

კარდიოლოგია
და
შინაგანი მედიცინა
XXI

დიაგნოსტიკის, პრევენციის, მედიკამენტური და
ქირურგიული მკურნალობის, ინტერვენციული თერაპიის,
მოდელირებისა და ახალი ტექნოლოგიების

მიღწევები და პროგლომები

**№1-4
(LXIII-LXVI)**

თბილისი
2018

სარედაქციო კოლეგია

- | | |
|-------------------------------|-----------------------|
| ე. ამოსოვა (უკრაინა) | ა. სეკიგუჩი (იაპონია) |
| ნ. ანგომაჩალელის (საბერძნეთი) | ბ. ქობულია |
| ჰ. ბლუმი (გერმანია) | ც. ყიფშიძე (აშშ) |
| ლ. ბოკერია (რუსეთი) | რ. შაქარიშვილი |
| ი. ბორისოვი (რუსეთი) | ი. შეგჩენკო (რუსეთი) |
| დ. გიბსონი (ინგლისი) | ე. ჩაზოვი (რუსეთი) |
| ქ. დე პოუპი (შვეიცარია) | გ. ჩაფიძე |

სარედაქციო საბჭო

- | | |
|------------------------------|----------------------------|
| ა. ალადაშვილი | ხ. პაჭკორია |
| ზ. ბახუტაშვილი | ა. რევიშვილი (რუსეთი) |
| გ. ლილავა | თ. სანიკიძე |
| ი. ლინდარი (თურქეთი) | ც. სენ (თურქეთი) |
| ნ. ემუხვარი | გ. სუკოანი |
| მ. ვინგამა (ესტონეთი) | ბ. ტაბიძე |
| ა. თავართქილაძე | ზ. ფალავა |
| ილ. თავხელიძე | მ. ფირცხალავა |
| თ. თავხელიძე | ა. ქისტაური |
| დ. თელია | რ. შენგელია |
| ა. კალოფოუსტისი (საბერძნეთი) | კ. ყიფიანი |
| ზ. კაპაბაძე | გ. ჩახუნაშვილი |
| დ. კორძაია | ა. ჩუხრუკიძე |
| ხ. კლიმიაშვილი | თ. ცერცვაძე |
| თ. ლობჟანიძე | ბ. წვერავა |
| ვ. მეუნარგია | ძ. წინამძღვრიშვილი |
| დ. მეტრეველი | კ. ჭუმბურიძე |
| ჯ. მოზესი (აშშ) | ი. ჯაში |
| ს. ორჯონიკიძე | იოპ. ილისი (ბელგია) |
| ა. პაპიტაშვილი | ნ. ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) |

მთავარი რედაქტორი:

მთავარი რედაქტორის მოადგილე:

რედაქციის სამდივნო:

მისამართი:

ტელეფონი:

ელ-ფოსტა:

გ. როგავა

მ. დუდუშაური

თ. ბოჭორიშვილი, ქ. კაპანაძე

ბახეტრიონი 10ა, „ნეოპლინიკა“

(99532) 516498, (99577) 478707, 469650

mamantirogava@mail.ru, tamrikob@yahoo.com, gisc@posta.ge

ვებ-გვერდი:

www.gisc.ge

ჟურნალი გამოქვეყნებული სტატიები რეფერატულ ჟურნალსა” და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ)-ს რეფერატულ ჟურნალში, მასში გამოქვეყნებული სტატიები შედის მედიცინის მონაცემთა ბაზაში და განთავსებულია ინტერნეტში საქართველოს საერთაშორისო კარდიომიოპათიის საზოგადოების ვებ-გვერდზე www.gisc.ge, აგრეთვე იგი შეტანილია ქართულ საძიებო საიტებში: www.internet.ge; www.qartuli.com და www.geres.ge.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია eISSN1512-1968 იგზავნება პარიზის საერთაშორისო ISSN-ის ცენტრში. ჟურნალის ტიპოგრაფიული ბეჭდვითი ვერსია ISSN1512-1291 იგზავნება მსოფლიოს 22 ქვეყნის სამედიცინო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

**ISSN 1512-1291
EISSN1512-1968**

**CARDIOLOGY
AND
INTERNAL MEDICINE
XXI**

**DIAGNOSTIC, PREVENTION, DRUG AND SURGICAL TREATMENT,
INTERVENTIAL THERAPY, MODELLING AND MODERN TECHNOLOGIES**

ACHIEVEMENTS AND PROBLEMS

**N^o1-4
(LXIII-LXVI)**

**TBILISI
2018**

EDITORIAL BOARD:

- | | |
|----------------------------|---------------------------|
| E. Amosova (Ukraine) | J. De Paepe (Switzerland) |
| N. Angomachalelis (Greece) | D. Gibson (UK) |
| H. Blum (Germany) | N. Kipshidze (USA) |
| L. Bokeria (Russia) | B. Kobulia |
| I. Borisov (Russia) | A. Sekiguchi (Japan) |
| G. Chapidze | R. Shakarishvili |
| E. Chazov (Russia) | Ju. Shevchenko (Russia) |

EDITORIAL COUNCIL:

- | | |
|--------------------------|------------------------|
| A. Aladashvili | J. Moses (USA) |
| Z. Bakhutashvili | S. Orjonikidze |
| G. Chakhunashvili | Ch. Pachkoria |
| T. Cercvadze | Z. Paghava |
| V. Chumburidze | A. Papitashvili |
| A. Chukhrukidze | M. Pirtskalava |
| G. Didava | A. Revishvili (Russia) |
| I. Dindar (Turkey) | T. SanikiZe |
| N. Emukhvvari | C. Sen (Turkey) |
| N. Huseinov (Azerbaijan) | R. Shengelia |
| I. Jashi | G. Sukhoiani |
| A. Kalofoustis (Greece) | G. Tabidze |
| Z. Kakabadze | A. Tavartkiladze |
| A. Kistauri | IL. Tavkhelidze |
| K. Kipiani | T. Tavkhelidze |
| Z. Klimiashvili | D. Telia |
| D. Kordzaia | B. Tsinamdzghvishvili |
| T. Lobzhanidze | M. Tsverava |
| D. Metreveli | M. Viigama (Estonia) |
| V. Meunargia | |

EDITOR-IN-CHIEF:

M. Rogava

EDITOR:

M. Gudushauri

T. Bochorishvili, K. Kapanadze

ADDRESS:

Bachtrioni 10a St., Tbilisi, Georgia, "Neoklinik"

(9995 32) 516498, (995 77) 478707, 469650

PHONE:*mamantirogava@mail.ru , tamrikob@yahoo.com, gisc@posta.ge***E-mail:**

www.gisc.ge

HOME PAGE:

The Abstracts of the articles included in "Cardiology and Internal Medicine-XXI" will be published in the Georgian Abstract Journal and in the Journal of the Institute of the Scientific and Technical Information of the Russian Academy of Science (VINITI). Be-si-des, the Abstracts are entered into the Medical Information Database, and could be found in the internet on the web-site of the Georgian International Society of Cardiomyopathy www.gisc.ge.

The information about it is also available on the Georgian search sites: www.internet.ge, www.qartuli.com and www.geres.ge. The electronic version of the journal eISSN1512-1968 is sent to the International ISSM Centre in Paris and the published version of it ISSN1512-1291 is delivered to 22 countries around the world.

სარჩევი

კლინიკური მედიცინა

1. ნ. ცინცაძე, ნ. კობალაძე

არტერიული ჰიპერტენზიის გავლენა ფსიქიკურ ფუნქციებზე ხანდაზმულ
პაციენტებში

5

2. ზ. ფალავა, რ. აგლაძე, თ. გაფრინდაშვილი

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიისა და დოზირებულ ფიზიკურ
დატვირთვაზე განვითარებული არტერიული წნევის პასუხის
კავშირი პაციენტებში ესენციური ჰიპერტენზიით

9

პრაქტიკული მედიცინა

3. ო. მარშავა

გასტრო მუნტირება შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 სამკურნალოდ

14

4. რ. გახოვიძე

აკრილამიდი – კოდევ ერთი პოტენციური შხამი ჩვენს საკვებში

16

5. მ. როგავა, ი. მაისაა, თ. ბოჭორიშვილი, ქ. კაპანაძე

დასავლეთ საქართველოს – სამეცნიერო რეგიონის მირიტადი
სახალხო-სამეცნიერო კულტურები XVII საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით,
სამთო-კლიმატური მახასიათებლები, ფლორა და ფაუნა, მოსახლეობის ცხოვრება -
საქმიანობა და კვების თავისებურებანი

28

6. ნ. ჭალიაშვილი, ლ. ყურაშვილი, გ. კაჭახიძე, მ. თანდილაშვილი, მ. აბულაძე,

ლ. კართიკიანი, ზ. კლიმიაშვილი

თალასემიით ინდუცირებული რკინადაგროვებითი კარდიომიოპათია

75

7. ო. მარშავა, ლ. ქოსტავა

ჰემოროიდული კვანძების ტრანსანალური დეზარტერიზაცია ულტრაბგერითი
კონტროლით, ლორწოვანის ლიფტინგი და მუკოპეჯისა

80

მიმოხილვა

1. ნ. ცინცაძე, ნ. კობალაზე

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები თირკმელების
ქრონიკული უკმარისობის დროს

83

განცხადება

CONTENTS

Clinical Medicine

1. *N. Tsintsadze N. Kobaladze*

Arterial Hypertension Influence on Psychical Functions in Elderly Patients

5

2. *Z. Pagava, r. Agladze, T. Gaprindashvili*

Relationship Between Left Ventricular Hypertrophy and Blood Pressure Response
to Dosed Exercise in Patients with Essential Hypertension

9

Practical Medicine

3. *O. Marshava*

Gastric Bypass Surgery to Treat Diabetes Mellitus Type 2

14

4. *R. Gakhokidze*

Akrylamide – One More Potential Poison in Our Food

16

5. *M. Rogava, I. Maisaia, T. Bochorishvili, K. Kapanadze*

Basic agriculture species, mountain - climate characteristics, flora, fauna, population
activities and food peculiarities in west Georgia, particularly in Samegrelo region
between XVII-XX centuries

28

6. *N. Chaghiashvili, L. Kurashvili, G. Katchakhidze, M. Tandilashvili, M. Abuladze,
L. Karthikeyan, Z. Klimiashvili*

Thalassemia Induced Iron Overload Cardiomyopathy

75

7. *O. Marshava, L. Kostava*

Transanal Hemorrhoidal Dearterialization under the ultrasound control,
Mucosa Lifting and Mucopexy

80

Review

8. *N. Tsintsadze, N. Kobaladze*

Cardiovascular System Changes During Renal Chronic Failure

83

Statement

არტერიული ჰიპერტენზიის გავლენა ფსიქიკურ ფუნქციებზე ხანდაზმულ პაციენტებში

ნ. ცინცაძე, ნ. კობალაძე
ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არტერიული ჰიპერტენზიის საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და სერიოზულ პრობლემად თანამედროვე კარდიოლოგიაში. იგი ხშირად ასოცირებს სიცოცხლესთან მნელად შეთავსებად ისეთ გართულებებთან, როგორიცაა ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ნაადრევი სიკვდილი, გულის მწვავე უკმარისობა. არტერიული ჰიპერტენზიის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმულ პაციენტებში, რადგანაც მისი სიხშირე ასაკთან ერთად მკვეთრად მატულობს და 50 წლის შემდეგ 50%-ს აღემატება [5]. ამასთანავე, არტერიული ჰიპერტენზია არსებით გავლენას ახდენს ხანდაზმული ავადმყოფის ჯანმრთელობაზე, სიცოცხლის ხარისხზე და ხანგრძლივობაზე. ასე მაგ.: 55 > წელი - მამაკაცებში და 65 წელზე > ქალებში - წარმოადგენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დამატებით რისკ-ფაქტორს [7]. არტერიული ჰიპერტენზიის, როგორც სისტოლურის, ასევე დიასტოლურის ერთი და იგივე დონის შემთხვევებში ინსულტის და მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი უფრო მაღალია ხანდაზმულ პაციენტებში, ვიდრე შედარებით ახალგაზრდა პირებში, ამიტომ ხანდაზმულ პაციენტებში არტერიული წნევის სამიზნე ციფრების მიღწევას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება [6,10]. არტერიული ჰიპერტენზიის სიხშირის მატებას ხანდაზმულ პაციენტებში თავისებური საფუძვლები გააჩნია: ნეფროსკლეროზი [9], აორტის ელასტიურობის დაქვეითება [18,20], მარილის მიმართ მგრძნობელობის მომატება [24], ენდოთელიუმის დისფუნქცია [23]. ასაკთან ერთად მატულობს იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზიის სიხშირე. 60 წელზე მეტ ავადმყოფებში იგი შეადგენს 65 - 75%-ს [8]. იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზია წარმოადგენს, ცერებრალური და კარდიალური გართულებების მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს, მაშინაც კი, თუ დიასტოლური წნევის ციფრები ნორმალურია [16,19]. ასე, რომ სისტოლური ჰიპერტენზიის შეფასება, როგორც ასაკობრივი ნორმის, როგორც ეს რამოდენიმე წლის წინ იყო გავრცელებული, წარმოადგენს დიდ შეცდომას, რომელიც პაციენტებისათვის შესაძლოა სავალალო გამოდგეს. არტერიული წნევის ციფრების, როგორც სისტოლურის, ისე დიასტოლურის მომატება უნდა შეფასდეს როგორც თანაბარზომიერი რისკ-ფაქტორები ჰიპერტენზიის გართულებების განვითარებაში. ამდენად, აუცილებელია ამ მაჩვენებლების ნორმალიზაცია. დადგენილია, რომ იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზიის დროს მატულობს სიკვდილიანობა გულ-სისხლძარღვთა ჰათოლოგიის მქონე ავადმყოფებში 2-5-ჯერ, საერთო სიკვდილიანობა კი 51%-ს აღწევს შედარებით იმ პირებთან, ვისაც არტერიული წნევის ნორმალური მაჩვენებლები აღენიშნება [16]. არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის პრობლემა ხანდაზმულ პაციენტებში მნიშვნელოვნად უკავშირდება სისხლძარღვოვან დემენციას. ცნობილია, რომ პერფუზიის ზღურბლი ამ პაციენტებში გადანაცვლებულია არტერიული წნევის მაღალი მაჩვენებლების მხარეს, ამიტომ არტერიული წნევის ციფრების სწრაფმა დაწევამ შესაძლებელია გამოიწვიოს ტვინის პერფუზიის დაქვეითება და შესაბამისად, ტვინის თეთრი ნივთიერებების იშემია. მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული ფსიქიკური დარღვევები წარმოადგენს სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას და ის მხოლოდ ექიმების და პაციენტების ნათესავების მნიშვნელობის პრობლემად არ უნდა განვიხილოთ. დღემდე ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების ზემოქმედება უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციებზე და მასთან დაკავშირებულ ტვინის სტრუქტურებზე, სათანადო შესწავლილი არ არის.

დემენციად მიიჩნევენ ფსიქიკური ფუნქციის დიფუზურ დარღვევას ტვინის ორგანული დაზიანების შედეგად, რომელიც ვლინდება პირველად აზროვნების და მეხსიერების, მეორადად ემოციონალური და ყოველდღიური დარღვევებით [1,4]. დემენცია წარმოადგენს უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის დარღვევის უკიდურეს ხარისხს. დემენციაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როდესაც მეხსიერების და სხვა კოგნიტიური ფუნქციების დარღვევა იმდენადაა გამოხატული, რომ ხელს უშლის პროფესიულ და სოციალურ საქმიანობას უწინდებური მოცულობით და ხარისხით. იმ შემთხვევები, თუ პაციენტს დარღვეული აქვს მეხსიერება, აზროვნება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები, მაგრამ ეს ხელს არ უშლის პროფესიულ საქმიანობას და არ იწვევს ადამიანის დეზადაპტაციას ყოფაცხოვრებაში,

ლაპარაკობენ კოგნიტიურ დარღვევებზე [1,4]. არჩევენ დემენციის რამოდენიმე სახეს: ალცემიერის დაავადება, სისხლძარღვოვანი დემენცია („ქერქვეშა“ დემენცია, სუბკორტიკალური ათეროზული ენცეფალოპათია), შერეული დემენცია, ალკოჰოლური დემენცია და სხვა [14]. ყველაზე ხშირად დემენცია აღენიშნებათ ხანდაზმული ასაკის პირებს. პოპულაციის გამოკვლევის შედეგად [15] იგი ვლინდება 5-20% შემთხვევაში 60 წელს გადაცილებულ პირებში. ამასთანავე, დადგენილია [13], რომ დემენცია ზრდის ლეტალობას ხანდაზმულ ავადმყოფებში 3-ჯერ. თვლიან, რომ ეს უკავშირდება ინტელექტის დაქვეითებას, ამიტომ დემენციით ავადმყოფებს არ შეუძლიათ თავიანთი ავადმყოფობის ადექვატური ხარისხით შეფასება და მკურნალობის აუცილებლობის განსაზღვრა. ამასთანავე მებსიერების დაქვეითების გამო (მირითადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმი) ავადმყოფებს ავიწყდებათ პრეპარატების მიღება.

სისხლძარღვოვან დემენციას უკავია პირველი ადგილი. მისი ხვედრითი წილი წარმოადგენს 10-დან 39%-მდე ყველა სხვა დემენციის სახეობებთან მიმართებაში [1,4] პაციენტებს აღენიშნებათ ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება, სწრაფი განლევა, მებსიერების დაქვეითება, განსაკუთრებით მიმდინარე მოვლენებზე, ემოციური და ყოველდღიური დარღვევები. მებსიერების დაქვეითება ახასიათბს „ქერქვეშა“ დემენციას [1,2,4,15]. მებსიერების დარღვევა ძირითადად ვლინდება სწავლების დროს: გაძნელებულია ვიზუალური ინფორმაციის და სიტყვების დამახსოვრება, ახალი მოქმედებითი ჩვევების ათვისება [2,15]. ძირითად პათოგენეზურ როლს ფსიქიკური დარღვევების ფორმირებაში, ქერქვეშა დემენციის დროს, თამაშობს ტვინის შუბლის წილის დისფუნქცია, რომელიც იწვევს აქტივობის დაქვეითებას, დაგეგმარების და თანმიმდევრულობის უკარისიობას [2,15]. სისხლძარღვოვანი დემენციით ავადმყოფებისთვის დამახასიათებელია ფსიქიური პროცესების შენელება, ინტერესთა სფეროს შევიწროება. მოგვიანებით სტადიაში შეიძლება განუვითარდეთ აბსტრაქტული აზროვნების და მსჯელობის უნარის დარღვევა. უმაღლესი ქერქოვანი ფუნქციის კეროვანი დაზიანებები (აფაზია, აგრაფია და სხვა) არ ხდება [1,2,4,15]. სისხლძარღვოვანი დემენციით ავადმყოფების ნახევარს აღენიშნება ემოციური შეუკავებლობა (სულმოკლეობა, ძალდატანებითი ტირილი) სისხლძარღვოვან დემენციას ახასიათბს სტაბილიზაციის ხანგრძლივი პერიოდი და ზოგჯერ უკუგანვითარებაც კი, ამიტომ მისი გამოხატულების ხარისხი ხშირად ძლიერ მერყეობს ან ერთ ან მეორე მხარეს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ტვინის რეგიონალური სისხლის მიმოქცევის მერყეობას [1,2,4,15].

დემენციის წამყვანი ფაქტორი ტვინის სისხლძარღვოვანი დაზიანების დროს არის თავის ტვინის თეთრი ნივთიერების და ბაზალური განგლიების დაზიანება, რაც იწვევს შუბლის წილის და ქერქვეშა სტრუქტურების კავშირის დარღვევას [1,4]. ძირითადი პათოგენეზური ფაქტორი ამ ფენომენის არის არტერიული ჰიპერტენზია, რომელიც იწვევს სისხლძარღვის კედლის ცვლილებას (ლიპოპილინოზი), ძირითადად მიკროცირკულაციის ქსელში. ამის შედეგად ვითარდება ათეროსკლეროზი, რაც აპირობებს ფიზიოლოგიური რეაქციების ცვლილებას სისხლძარღვებში. ასეთ პირობებში არტერიული წნევის სწრაფი დაწევა არაადექსატური ჰიპერტენზიური თერაპიით მიგვიყვანს პერფუზიის შემცირებასთან და ტვინის თეთრი ნივთიერების იშემიასთან [1,4].

მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრამაზე ტვინის ქრონიკული იშემიის მარკერად ითვლება პერივენტრიკულარული ან სუბკორტიკალური თეთრი ნივთიერების რღვევა - ლეიკოარეოზი (თეთრი ნივთიერების ნათება) მორფოლოგიურად ეს ზონები წარმოადგენს დემიელინიზაციის უბნებს, გლიონის და პერივასკულარული სივრცეების გაფართოებას.

სისხლძარღვოვანი დემენციის რისკ-ფაქტორებად ითვლება ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, დისლიპიდემია, თამბაქო, მეკვიდრეობა. არტერიული ჰიპერტენზია ითვლება ძირითად ფაქტორად სისხლძარღვოვანი დემენციის განვითარების და პროგრესირების [1,4].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სისხლძარღვოვანი დემენციის პროფილაქტიკის და მკურნალობის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს არტერიული ჰიპერტენზიის ადექსატური თერაპია [19,21] სამიზნე წნევის ციფრების მიღწევა აუცილებელია, თუმცა ტემპი მისი მიღწევის უნდა იყოს ფრთხილი [7], ყველაფერი დამოკიდებულია წნევის საწყის დონეზე, წნევის ხანგრძლივობაზე და სიმძიმეზე, ასევე თანმხლები დაავადებების არსებობაზე. მოკლედ, სწორია წესი, რომ ხანდაზმულ პაციენტებში წნევის ციფრების მკვეთრი დაწევა გაცილებით სახიფათოა, ვიდრე აწევა. არტერიული ჰიპერტენზიის ადექსატური მკურნალობა ხელს უწყობს კოგნიტიური დარღვევების პროფილაქტიკას და უკვე არსებულის შემცირებას. აუცილებელია აგრეთვე ჰიპერგლიკემიის და ჰიპერლიპიდემიის კონტროლი. თუმცა დღემდე დემენციის პატოგენეზური მკურნალობა არ ხერხდება, რადგანაც მიზეზი ზოგ 6

შემთხვევაში უცნობია (სენილური დემენცია, ალცენიმერი), ზოგში კი მისი აცილება შეუძლებელი. ასეთ შემთხვევებში დემენციის მკურნალობაში დიდი როლი მიუძღვის ანტიპიპოქსანტებს [1,4,21].

მიუხედვად იმისა, რომ არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს ძირითად რისკ-ფაქტორს დემენციის განვითარებასა და პროგრესირებაში, მისი ზემოქმედება უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციებზე, მათ შორის ხანდაზმულ პაციენტებში, მცირედ არის შესწავლილი. არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს ერთ-ერთ პათოგენეზურ ფაქტორს სისხმარღვოვანი დემენციის განვითარებაში, რომელსაც თან ახლავს უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა, ცხოვრების ხარისხის და სოციალური ადაპტაციის გაუარესება, ასევე დიდი სამკურნალო დანახარჯები [20,21]. SCOPE-ის გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ხანდაზმულ ავადმყოფებში არტერიული ჰიპერტენზია იწვევს შემეცნებითი ფუნქციის გაუარესებას და დემენციას [17]. დიდ ინტერესს იწვევს მულტიცენტრული გამოკვლევა SYSTEUR-ი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60 წელს გადაცილებულმა 3000 პაციენტმა დემენციის გარეშე, მაგრამ იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზიით. მიღებულმა მონაცემებმა ცხადჰყო, რომ ანტიპიპერტენზიულმა თერაპიამ ხანდაზმულ პაციენტებში შეამცირა დემენციის განვითარების სიხშირე 50%-ით პლაცებოსთან შედარებით [12]. საინტერესო მონაცემებია მიღებული მოსახლეობის კვლევაში, რომელიც ჩატარდა 75 წელს გადაცილებულ ავადმყოფებში, რომელიც ეძღვნებოდა დემენციის განვითარების და პროგრესირების შესწავლას, ასევე სხვადასხვა ჯგუფის ანტიპიპერტენზიული პრეპარატების გავლენას ამ პროცესზე. 1810 დაკვირვების ქვეშ მყოფი პირებიდან 651 ადამიანს, რომლებსაც ადრე ჩატარებული ჰქონდათ ჰიპოტენზიური თერაპია, სარწმუნოდ ნაკლებად აღნიშნათ დემენციის შემთხვევები, ვიდრე იმ პირებს, ვისაც არ ჰქონდათ ჩატარებული ანტიპიპერტენზიული თერაპია. 584 პაციენტს დემენციის გარეშე მკურნალობის დროს სარწმუნოდ შეუმცირდათ დემენციის შემთხვევების განვითარება [14]. ცნობილია, რომ იმ ავადმყოფებსაც კი, რომლებსაც აღნიშნებათ მსუბუქი ჰიპერტენზია ხანდაზმულ ასაკში, მკურნალობა ამცირებს დემენციის ეპიზოდებს, რასაც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი აქვს [14].

ამასთანავე არტერიული წნევის კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკვე დაზიანებული თავის ტვინის შემთხვევაშიც, მაშინაც კი, როდესაც ინტელექტის დაქვეითებას აქვს ადგილი. Stassen და თანაავტ. მონაცემებით [23]. სისტოლური არტერიული წნევის შენარჩუნება 135-150 მმ/ჴგ ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციის სტაბილიზაციით ან გაუმჯობესებით დემენციის მქონე პაციენტებში. მაშინ, როდესაც ანტიპიპერტენზიული პრეპარატების გარეშე ეს მაჩვენებლები უარესდება.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ანტიპიპერტენზიული თერაპია პოზიტიურ გავლენას ახდენს ხანდაზმული ჰაციენტების ადაპტაციურ შესაძლებლობებზე. ამცირებს აქ პათოგენურ გავლენას ტვინის პრეფრონტალურ სტრუქტურებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფსიქიური მოქმედების რეგულაციაზე და კონტროლზე. ამ პათოგენური გავლენის შემცირება იწვევს დაბერების შედეგად განვითარებული ცვლილებების სტაბილიზაციას და ამაღლებს ადაპტაციის შესაძლებლობებს, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს დაბერების დროს სოციალური რეაბილიტაციისათვის და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის.

Arterial Hypertension Influence on Psychical Functions in Elderly Patients

N. Tsintsadze N. Kobaladze
Batumi Shota Rustaveli State University

Anti-hypertension therapy affects positively the adaptation abilities of the elderly patients, decreases the pathogenic influence of hypertension on brain structure, which are responsible for physical actions regulation and control. Decrease of this pathogenic influence causes changes stabilization and increases the adaptation abilities, which is significant for social rehabilitation and the life condition improvement.

ლიტერატურა:

1. Верещагин Н. В. Гулевская Т. С., Миловидов Ю. К. Неврологические аспекты проблемы сосудистой деменции. Журн. неврол. и психиат. 1993; 3:91-95
2. Калашникова Л. А., Кадыков А.С., Гулевская Т.С. и др. Когнитивные нарушения и деменция при субкортикальной артериосклеротической энцефалопатии в пожилом и старческом возрасте. Клин. геронтология 1996; 1:22-26
3. Мартинов А. И. Остроумова О.Д. Мамаев В. И. О растяжимости периферических артерий при эссенциальной артериальной гипертензии у лиц пожилого возраста: влияние терапии инданамидом ретард. Кардиология 2001; 10:45-48.
4. Медведев А. В. Сосудистая деменция. Сов. психиат. 1998; 4:20-23.
5. Оганов Р. Г. Профилактическая кардиология: от гипотез к практике. Кардиология 1999; 2:4-9
6. Остроумова О. Д., Десницкая И. В., Поликарпов В. А. Артериальная гипертония у пожилых больных и состояние высших психических функций. Кардиология 2006; 4:85-88
7. Чазова И. Е., Бойцов С. А. Небиерицзе Д. В. Основные положения проекта второго пересмотра рекомендации ВНОК по профилактике, диагностике и лечению артериальной гипертензии. Кардиоваск тер и проф 2004; 4: 90-98.
8. Amery A., Brixro P., Clement D. Mortality and morbidity results from the European Working party in High Blood pressure in the Elderly trial. Lancet 1985; 1349:54-62.
9. Barker D. J. P. Fatal origins of coronary heart disease. BMJ 1995; 311:171-174.
10. Britov A. N., Bystrova M. M. Резидентная артериальная гипертония современные подходы к диагностике и лечению. Rational paramedicine cardiol 2010 16(2), 206-211.
11. Burt V. L. Whelton P., Roccella E. J. Prevalence of hypertension in US adult population. Results from the Third National Health and Nutrition Examination survey, 1988-1991 Hypertension 1995; 25:305-313.
12. Forette F., Seux M. L. Staessen J. A. Prevention of dementia in randomized double-blind placebo-controlled systolic Hypertension in Europe trial. Lancet 1998; 352:1347-1351.
13. Fried L. P., Kronmal R.A., Newman A. V. The facts of risks of 5-years mortality among aged peoples. JAMA 1999; 2:12-22.
14. Gio L. Fratiglioni L. Occurrence and Progression of Dementia in a Community Population Aged 75 Years and older. Arch Neurol 1999; 56:991-996.
15. Grober E., Bushke H. Genuine memory deficit in dementia, Neuropsychol 1987; 3:13-36.
16. He J., Whelton P.K. Elevated systolic blood pressure as a risk factor for cardiovascular and renal disease. J. Hypertension 1999; 17: Suppl 2:7-13.
17. Lithell H., Hannson L., Skoold L., et al. The Study on cognition and prognosis in the Elderly (SCOPE) principal results of the randomized double-blind interventional J. Hyperteny 2003; 21:875-886.
18. Mohiaddin R. H., Schoser K., Amanuma M. MR imaging of age-related dimensional changes of thoracic aorta J. Comput Assist Tomogr 1990; 14: 748-752.
19. MRC Working Party. Medical Research Council trial of treatment of hypertension in older patients. BNJ 1992; 304:405-412.
20. Newman D. L. Lallemand R. C. The effect of age on the distensibility of the abdominal aorta in man. Surg Gynecol obstet 1978; 147: 211-214.
21. Ykoog L., Lernfelt B., Landahl 1.15 – year longitudinal study of blood pressure and dementia. Lancet 1996; 347, 114 1145
22. Souetre E. J. Qing W., Vigoureux L. Economic analysis of Alzheimer's disease in outpatients impact of symptom severity Int J. psychogeriatr 1995; 7:115-122
23. Vanhoutte P. M. Aging and endothelial dysfunction. Eur Heart J. 2002; Suppl A: A8-A17.
24. Weinberger M.H. Fineberg N.S. Sodium and volume sensitivity of blood pressure, Age and pressure change over time. Hypertension 1991; 18: 67-71.

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტოფიისა და დოზირებულ ფიზიკურ დატვირთვაზე
განვითარებული არტერიული წნევის პასუხის კავშირი პაციენტებში ესენციური
ჰიპერტენზიით

**ზ. ფალავა, რ. ავლაძე, თ. გაფრინდაშვილი
ნ. ბოხუას სახელმწის კარდიოგასკულური ცენტრი, კარდიოლოგიის დეპარტამენტი**

შესავალი: კვლევის მიზანს წარმოადგენს მაღალი ნორმალური არტერიული წნევით და
პირველი ხარისხის ესენციური ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში დოზირებულ ფიზიკურ
დატვირთვაზე განვითარებულ არტერიულ წნევის პარამეტრების (დიასტოლური არტერიული

წნევა, პულსური წნევა, საშუალო არტერიული წნევა) და მარცხენა პარკუჭის მასისა და ჰიპერტონიის ტიპების ურთიერთვავშირის შესწავლა.

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა ატარებს კოპორტული ხასიათს. ძირითადი საკვლევი ჯგუფი შედგება 150 პაციენტისაგან, ასაკი: 18–55წ, ESH/ESC 2018 წლის რეკომენდაციების მიხედვით მაღალი ნორმალური არტერიული წნევით და პირველი ხარისხის ესენციური ჰიპერტენზიის. სიმპტომური, მეორადი ჰიპერტენზიის გამორიცხვა მოხდება ამავე რეკომენდაციის ალგორითმის გამოყენებით.

მოსალოდნელი შედეგები: მოსალოდნელია კორელაციური კავშირის დადგენა მარცხენა პარკუჭის რემოდელირების ტიპსა და დაბალ სტრესთან დაკავშირებულ არტერიული წნევის პასუხთან ფიზიკური დატვირთვის სინჯის დროს, ისევე როგორც, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა არტერიული წნევის პარამეტრებს და გულის მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიული შორის, არტერიული წნევის 24 სათიანი, ამბულატორული მეთვალყურების დროს.

შესავალი: მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიულია (მპჳ) წარმოადგენს წინაგულთა ფიბრილაციის, გულის დიასტოლური და სისტოლური უკმარისობის, უეცარი კარდიული სიკვდილის (ფატალური არითმიების) განვითარების მნიშვნელოვან დამოუკიდებელ რისკ ფაქტორს [1]. ჰიპერტენზიის დროს მპჳ, თავდაპირველად წარმოადგენს კომპენსატორულ პროცესს, და ვითარდება, როგორც ადაპტაცია მარცხენა პარკუჭში გაზრდილი წნევის (სტრესის) მიმართ.

ევროპის ჰიპერტენზიის საზოგადოებისა (ESH) და ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების (ESC) რეკომენდაციების გათვალისწინებით, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიული დაიგნოსტიკური გარდაპირველად წარმოადგენს კომპენსატორულ პროცესს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნიჭება. დადგენილია ისიც, რომ კარდიოგასკულური გართულებების განვითარების ალბათობის სიხშირე კორელაციაშია მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიული ტიპთანაც (კონცენტრული ან ექსცენტრული ჰიპერტონიული რემოდელირება), აქედან გამომდინარე, ჰიპერტონიული სარისხის დადგენასთან ერთად მიზანშეწონილია ამ უკანასკნელის გათვალისწინებაც.

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიულის ეკვ კრიტერიუმები გვხვდება საერთო პოპულაციის 3%-ში, ეს ციფრი იზრდება 7–40%-მდე ჰიპერტენზიულ პაციენტებში [1]. თუმცა ფრემინგჰემის კვლევის (Framingham Heart Study) მონაცემების მიხედვით, პაციენტებში საშუალო ხარისხის ჰიპერტენზიით მარცხენა პარკუჭის ჰიპეტროფია გვხვდება შემთხვევათა 15–20%-ში და მისი სიხშირე თანდათანობით იზრდება ჰიპერტენზიის ხარისხის მატებასთან ერთად (5). მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არსებობს სუსტი კორელაცია მარცხენა პარკუჭის მასის ინდექსა და არტერიული წნევის საოფისე მაჩვენებლებს შორის, თუმცა 24 საათიანი ამბულატორული მონიტორინგების მეშვეობით გაზომილი სამუალო დღელამურ წნევასთან მიმართებაში კორელაცია უფრო მჭიდროა. რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მარცხენა პარკუჭის მასის ზრდაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს ყოფით პირობებში შესრულებული ფიზიკური აქტივობით გამოწვეული ჰუმორალურ თუ ჰემოდინამიკურ ფაქტორთა ცვალებადობა, ვიდრე ის ფაქტორები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან, მხოლოდ მოსვენების პირობებში, ოფისში, „ყველა წესის დაცვით“, გაზომილ წნევაზე [1].

როგორც ცნობილია, არტერიული წნევა რეგულირდება ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოქმედების ადაპტაციური, რთული ნერვული და ჰუმორალური მექანიზმებით.

ა) ხანმოკლე რეგულაცია გულისხმობს მასზე პასუხისმგებელი მექანიზმების მეშვეობით განხორციელებულ დაუყოვნებელ რეაქციას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს არტერიული წნევის უწყვეტ რეგულირებას და ძირითადად განპირობებულია ვეგეტატიური ნერვული სისტემის რეფლექსებით (ცენტრალური ნერვული სისტემა-ჰიპოთალამუსი, თავის ტვინის ღერო; პერიფერიაზე ბარორეცეპტორები).

ბ) საშუალო ხანგრძლივობის რეგულირება ხორციელდება რენინ-ანგიოტენზინ ალდოსტერონის სისტემის ჩართვით, ანგიოტენზინ II-ის მიერ გამოწვეული ვაზოკონსტრიქციისა და მეორეს მხრივ ნატრიურეზული ჰიპოთალამუსის აქტივაციის ზეგავლენით.

გ) ხანგრძლივი რეგულაცია – ანუ ხატრიუმის და წყლის რეგულაცია (ე.წ „წნევა-ნატრიურეზული „ფენომენი“) მაგალითად, დიდი რაოდენობით ნატრიუმის ქლორიდის მიღება იწვევს სისტემური არტერიული წნევის მატებას, რაც თავის თავად ალდოსტერონისა და სხვა ჰორმონალური

მარეგულირებელი მექანიზმების გამოყენებით იწვევს Na-ის შარდთან ერთად ექსკრეციის გაძლიერებას და ნატრიუმის ჰომეოსტაზური ბალანსის შენარჩუნებას.

ყოფით პირობებში სწრაფად ცვლადი ფიზიოლოგიური მოთხოვნები იწვევენ სისხლის წნევის ე.წ. „ნორმალური“ დონეების შენარჩუნებისათვის საჭირო ნეიროჰიმორალური მექანიზმების მუდმივ სტიმულაციას. აერობული ფიზიკური დატვირთვის პირობებში ზემოაღწერილი მექანიზმები, სისხლის ნაკადისადმი ცვლადი მოთხოვნების პირობებში არეგულირებენ ჩონჩხის კუნთების, კანის და თავის ტვინის ნორმალური ოქსიგენაციას. სისხლის ნაკადის მიმართ მზარდმა მოთხოვნამ და ადაპტაციური მექანიზმების, მაგალითად რენინ-ანგიოტენზინ ალდოსტერონის სისტემისა და სიმპათიკური ნერვული სისტემის ხშირმა სტიმულაციამ (განსაკუთრებით თუ იგი ხანგრძლივ ხასიათს ატარებს) შესაძლებელია თავის მხრივ განაპირობოს არტერიული წნევის ქრონიკული მატება, სამიზნე ორგანოების დაზიანება, რაშიც ოქსიდაციურ სტრესსა და ანთების მედიატორების გააქტივებასაც ენიჭება გარკვეული როლი.

იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური დატვირთვისადმი ტოლერანტობის გამოვლენის მიზნით ჩატარებულ ტესტის დროს ეტაპობრივად გაზომილი არტერიული წნევა ცალსახად წარმოადგენს რუტინული აქტივობების დროს განვითარებული ჰემოდინამიკური დატვირთვის ექვივალანტს, არტერიული წნევის ეს მაჩვენებელი, წარმოადგენს მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიულის განვითარების საკმაოდ ადვილად და იაფად მიღებად შესაძლო პრედიქტორს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, იბადება კითხვა:

ხომ არ არის ხშირად განმეორებადი ფიზიოლოგიურად ინდუცირებული არტერიული წნევის მატება (მაგ.: ყოფითი ფიზიკური დატვირთვის დროს) სამიზნე ორგანოთა დაზიანების და კერძოდ მარცხენა პარკუჭის მასის ზრდის მიზეზი.

2. კვლევის ჰიპოთეზა, მიზანი და ამოცანები: კვლევის ჰიპოთეზა: მოსალოდნელია ურთიერთ-კავშირის არსებობა მარცხენა პარკუჭის მასასა და ფიზიკური დატვირთვით ინდუცირებული არტერიული ჰიპერტენზიის პარამეტრებს შორის. განსაკუთრებით კი არტერიული წნევის იმ პარამეტრებთან, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ აქტივობასთან ყოფით პირობებში. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი მიენიჭება პულსურ და საშუალო წნევას, რომლებიც აორტის სიხისტის მაღალი მგრძნობელობის სურვეგატული მარკერებია.

კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა ატარებს კოპორტულ ხასიათს. ძირითადი საკვლევი ჯგუფი შედგება 150 პაციენტისაგან, ასაკი: 18-55წ, ESH/ESC 2018 წლის რეკომენდაციების მიხედვით მაღალი ნორმალური არტერიული წნევით და პირველი ხარისხის ესენციური ჰიპერტენზიით [3]. სიმპტომატიური, მეორადი ჰიპერტენზიის გამორიცხვა მოხდება ამავე რეკომენდაციის ალგორითმის გამოყენებით [3].

კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

1. დიაგნოსტირებული კორონარული პათოლოგია.
2. გულის ქრონიკული უკმარისობა II-IV ფ.კ. (NYHA).
3. მორბიდული სიმსუქნე (სხეულის მასის ინდექსი >30).
4. ჰიპერტონიული კარდიომიოპათია.
5. ნებისმიერი ხარისხის აორტული სტენზის არსებობა.
6. საშუალო და მძიმე ხარისხის სხვა სარქვლოვანი პათოლოგია.
7. დაგროვებითი დაავადებები.
8. თირკმლის ქრონიკული უკმარისობა.
9. ასაკი <18 წელზე და >55 წელზე.
10. იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზია.
11. ორსულობა.

ყველა პაციენტს ჩაუტარდება სტანდარტული 12 განხრიანი ეკგ, ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფია და ფიზიკური დატვირთვის ეკგ სინჯი ტრედილზე.

მარცხენა პარკუჭის გეომეტრია - ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის 2018 წლის არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის გაიდლაინის მიხედვით 12 განხრიანი ელექტროკარდიოგრაფიული კველევა ჰიპერტენზის მქონე პაციენტებისა და ზოგადად მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიულის სკრინინგის რუტინული გამოკვლევის აუცილებელ ელემენტს წარმადგენს და გვაძლევს დამოუკიდებელი პროგნოზისათვის საჭირო ინფორმაციას [3] და მისი უპირატესობა მატულობს მარცხენა პარკუჭის ჰიპერტონიულის ზრდასთან ერთად. ვინაიდან დღეისათვის არსებობს მაციპერტონიულის განმსაზღველ ეკგ კრიტერიუმებად გამოყენებული იქნება შემდეგი პარამეტრები (ცხრილი 1):

ცხრილი 1. მათიკერტროფიის განმსაზღვრელი, მარტივი ეკგ კრიტერიუმები

ეკგ ვოლტურის კრიტერიუმები	მპ ჰიპერტროფიის კრიტერიუმები
Sv1+R _{V5} (Sokolow-Lyon criteria)	>35 mm
Sv1/2+R _{V5/6} (Murphy criteria)	>35 mm
Sv3+R _{aVL} (Cornell duration product) ^a	>28 mm (მამაკაცებში) >20 mm (ქალებში)

ეკგ-ელექტროკარდიოგრაფია:

მპ-პარცენაპარკუჭი

ექოკარდიოგრაფიული მეთოდი, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის (LVH) დადგენის უფრო მაღალი სენსიტიურობით ხასიათდება სტანდარტულ, 12 განხრიან ეკგ-თან შედარებით. რის გამოც, მოცემულ კვლევაში, ექოკარდიოგრაფიულად მარცხენა პარკუჭი ჰიპერტროფიის (LVH) დადგენა მოხდება სტრანდარტული, 2-განზომილებიანი, ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფიული მეთოდით (2D-TTE), EACVI-სა და ამერიკის ექოკარდიოგრაფიის საზოგადოების, ASE-ს მიერ მოწოდებული უახლოესი პარამეტრების მიხედვით [5]. ხსენებული პარამეტრების მიხედვით შესაძლებელი გახდება მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ტიპების, კონცენტრულისა და ექსცენტრულის, გამოყოფა, რაც ძალუება მნიშვნელოვანია ვინაიდან კონცენტრული ჰიპერტროფია დაკავშირებულია კარდიოვასკულური გართულებების განვითარების გაცილებით მაღალ რისკთან. [4] პარცხენა პარკუჭის კედლის შედარებითი სისქე გაიზომება შემდეგი ფორმულით (relative wall thickness (RWT) (2×PWTd)/LVIDd [5]

ცხრილი 2 მპ გეომეტრიისა და მპ ჰიპერტროფიის კლასიკურ აღწერა

მპ გეომეტრია	მპ მასა	კედლის (RWT)	შედარებითი	სისქე
ნორმა	$\leqslant 115 \text{ g/m}^2$ (კაცი) or $\leqslant 95 \text{ g/m}^2$ (ქალი)	$< 0,42$		
კონცენტრული ჰიპერტროფია	$\geqslant 115 \text{ g/m}^2$ (კაცებში) or $> 95 \text{ g/m}^2$ (ქალებში)	$> 0,42$		
ექსცენტრული ჰიპერტროფია	$> 115 \text{ g/m}^2$ (კაცებში) or $> 95 \text{ g/m}^2$ (ქალებში)	$< 0,42$		
კონცენტრული რემოდელირება	$\leqslant 115 \text{ g/m}^2$ (კაცი) or $\leqslant 95 \text{ g/m}^2$ (ქალი)	$> 0,42$		

მარცხენა პარკუჭის მასა გამოთვლილი იქნება ექოკარდიოგრაფიის მეთოდით. გამოყენებული იქნება ფორმულა: 2011 წლის ESC/AHA რეკომენდაციებით მოწოდებული ფორმულის მიხედვით $LV \text{ mass} = 0.8[1.04 (\text{LVIDD} + \text{IVST} + \text{PWT})^2 / 2 (\text{LVIDD})^3] + 0.6, [2]$, სადაც LVIDD წარმოადგენს მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლურ ზომას (გაზომილს ენდოკარდიუმის კიდეებიდან), IVST და PWT წარმოადგენს მარცხენა პარკუჭის ძგიდისა და უკანა კედლის საბოლოო დიატოლურ სისქეს. დატვირთვის სინჯი ჩატარდება ტრედმილზე, მოდიფიცირებული ბრუსის ოქმით [14]. საწყისი არტერიული წნევის გაზომვა მოხდება 10 წუთის მოსვენების შემდეგ და ყოველ 3 წუთში დატვირთვის ტესტის მიმდინარეობისას და აღდგენის პერიოდის უმაღვე და ყოველ მესამე წთ-ზე.

მოსალოდნელი შედეგები: მოსალოდნელია კორელაციური კავშირის დადგენა მარცხენა პარკუჭის რემოდელირების ტიპსა და დაბალ სტრესთან დაკავშირებულ არტერიული წნევის პასუხთან ფიზიკური დატვირთვის სინჯის დროს, ისევე როგორც, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა არტერიული წნევის პარამეტრებს და გულის მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიას შორის, არტერიული წნევის 24 სათიანი, ამბოლატორული მეთვალყურების დროს.

პრაქტიკული დირექტულება: ესენციური ჰიპერტროფიის მქონე პაციენტებში, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიასა და დაბალი დოზით ფიზიკურ დატვირთვის საპასუხოდ, რომელიც

პოპულაციის დიდი ნაწილის ყოველდღიური ყოფითი აქტივობის ექვივონტს შეადგენს, განვითარებულ არტერიული წნევის პასუხს შორის მკაფიო კორელაციის დადგენა, საშუალებას მოგცემს დავადასტუროთ, რომ სწორედ ეს პარამეტრები წარმოადგენენ ასეთ პაციენტებში მაკიპურტონფის განვითარების ძირითად მიზეზს.

Relationship Between Left Ventricular Hypertrophy and Blood Pressure Response to Dosed Exercise in Patients with Essential Hypertension

Z. Pagava, r. Agladze, T. Gaprindashvili
N. Bokhua Cardiovascular Center, Cardiologe department

Abstract: Systemic hypertension and physical exercise are both associated with cardiac adaptations. The impact is most prominent on the left side of the heart, which hypertrophies leading to left ventricular hypertrophy. This article reviews structural and functional cardiac changes seen in patient with High normal and Grade I hypertension.

ლიტერატურა:

1. Enrico Agabiti Rosei, M. Lorenza Muiesan, Hypertension and Left Ventricular Hypertrophy; *Clinica Medica, University Hospital*, Brescia, Italy 2007; 8: No. 10 revised version
2. Devereux RB. Hypertensive cardiac hypertrophy, Pathophysiology and clinical characteristics. In: Hypertension, Pathophysiology, diagnosis and management. *Laragh JH, Brenner BM (eds)*. 2nd edition. Raven Press, New York 1995
3. Bryan Williams Giuseppe Mancia Wilko Spiering Enrico Agabiti Rosei Michel AziziMichel Burnier Denis L Clement Antonio Coca Giovanni de Simone Anna Dominiczak; 2018 ESC/ESH Guidelines for the management of arterial hypertension *European Heart Journal*, Volume 39, Issue 33, 1 September 2018, Pages 3021–3104,
4. Bursi F, Mantovani F, Valenti C, Quaglia M, Berti E, Marino M, Modena MG. Left ventricular hypertrophy reclassification and death: application of the Recommendation of the American Society of Echocardiography/European Association of Echocardiography. *Eur Heart J Cardiovasc Imaging*. 2012 Jan;13(1):109-17. doi: 10.1093/ejehocard/jer176. Epub 2011 Oct 5.
5. Roberto M. Lang, MD, FASE, FESC, Luigi P. Badano, MD, PhD, FESC, Victor Mor-Avi, PhD, FASE, Jonathan Afilalo, MD, MSc, Anderson Armstrong, MD, MSc, Laura Ernande, MD, PhD, et al. Recommendations for Cardiac Chamber Quantification by Echocardiography in Adults: An Update from the American Society of Echocardiography and the European Association of Cardiovascular Imaging (*J Am Soc Echocardiography* 2015;28:1-39.)
6. European Heart Journal – Cardiovascular Imaging (2012) 13, 109–117 doi:10.1093/ejhcqi/jer176]
7. Mitchell GF, Wang N, Palmisano JN, Larson MG, Hamburg NM, Vita JA, Levy D, Benjamin EJ, Vasan RS. Hemodynamic correlates of blood pressure across the adult age spectrum: noninvasive evaluation in the Framingham Heart Study. *Circulation*. 2010; 122:1379–1386. doi: 10.1161/CIRCULATIONAHA.109.914507
8. W. S. Post, M. G. Larson, and D. Levy, “Impact of left ventricular structure on the incidence of hypertension: the Framingham Heart Study,” *Circulation*, vol. 90, no. 1, pp. 179–185, 1994.
9. P. Anversa, E. Puntillo, G. Olivetti et al., “Cellular and mechanical adaptations in cardiac hypertrophy and its reversal,” *Cardiovascular Reviews and Reports*, vol. 11, no. 12, pp. 34–41, 1990.
10. D. B. Johnson and L. J. Dell’Italia, “Cardiac hypertrophy and failure in hypertension,” *Current Opinion in Nephrology and Hypertension*, vol. 5, no. 2, pp. 186–191, 1996.
11. T. E. Simpson, H. M. Dansky, and P. M. Buttrick, “Molecular genetic mechanisms of cardiac hypertrophy,” *Cardiovascular Risk Factors*, vol. 5, no. 2, pp. 93–108, 1995.
12. Martin G. Schultz James E. Exercise Hypertension *SharmanMenzies Research Institute Tasmania, University of Tasmania, Hobart, Tas.*, Australia. Pulse 2013; 1:161–176
13. Simon K. Michael*, Howard K. Surks*, Yuepeng Wang*, Yan Zhu*, Robert Blanton*, et al. Molecular Cardiology Research Institute, Tufts Medical Center, Tufts High blood pressure arising from a defect in vascular function; *University School of Medicine, Boston, MA 02111; and †Department of Pharmacology, University of Vermont, Burlington, VT 05405* Communicated by David E. Housman, Massachusetts Institute of Technology, Cambridge, MA, March 8, 2008 (received for review January 20, 2008)
14. Linda S. Pescatello *American College of Sports Medicine Guidelines for Exercise Testing and Prescription*. 9th ed. Philadelphia, Lippincott, Williams & Wilkins, 2013.

გასტროშუნტირება შაქრიანი დიაბეტი ტიპის -2 სამკურნალოდ


ო. მარშავა საუნივერსიტეტო კლინიკა „ვიზამედი“

შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 დამახასიათებელია ქრონიკული ჰიპერგლიკემია, რომელიც ვითარდება, არა ინსულინის დეფიციტით, არამედ მისი და ქსოვილის უჯრედის ურთიერთქმედების დარღვევის შედეგად (ინსულინრეზისტენტული). შაქრიანი დიაბეტის ტიპებს შორის ეს უკანასკნელი შეადგენს 85 – 90 %. ამ პათოლოგიისაგან სრული განკურნების კონსერვატიული მეთოდები არ არსებობს. ამავდროულად არსებობს სრული განკურნების მაღალი შანსი მეტაბოლური ქირურგიის ისეთი სახის გამოყენება, როგორიცაა გასტროშუნტირება. არსებობს ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით და ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება. ეს ოპერაციები შეიძლება შესრულდეს, როგორც ლაპაროსკოპიური მეთოდით, ისე ლაპაროტომიური მიდგომით. დასავლეთ საქართველოს აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში (ქ. ქუთაისი) შაქრიანი დიაბეტი ტიპი -2 სამკურნალოდ ჩვენს მიერ დანერგილია 2007 წლიდან ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით, ხოლო 2009 წლიდან ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება. მიღებული შედეგები სრულად ემთხვევა მსოფლიო მონაცემებს.

შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2 არის ყველაზე გავრცელებული ფორმა და არსებულ შაქრიანი დიაბეტის ტიპებს შორის შეადგენს 85 – 90 %. უფრო ხშირად ვითარდება 40 წელზე ზევით ასაკის ადამიანებში და როგორც წესი ასოცირდება სიმსუქნესთან. ამ დროს პანკრეასი ვერ გამოიმუშავებს საკმარისი რაოდენობით ინსულინს, რომელიც საჭიროა სისხლში შაქრის დასარეგულირებლად ან უჯრედებს არ შეუძლიათ აითვისონ გამომუშავებული ინსულინი სათანადოდ.


შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 სერიოზული პრობლემაა ყველა ადამიანისთვის, ვისაც უსვამენ ამ დიაგნოზს. ექიმებისთვის და პაციენტვისთვის კარგადაა ცნობილი, რამდენად რთულია აღნიშნული დაავადების გაკონტროლება. პაციენტების ნაწილი, რომლებიც აღწევენ სისხლში შაქრის დონის მიზნობრივ მაჩვენებლის მიღწევას, არ აღემატება 5%. თანამედროვე მედიცინაში ამ პათოლოგიისაგან სრული განკურნების კონსერვატიული მეთოდები არ არსებობს. ამავდროულად არსებობს სრული განკურნების მაღალი შანსი მეტაბოლური ქირურგიის ისეთი სახის გამოყენებისას, როგორიცაა გასტროშუნტირება. სხვა მეტაბოლური ოპერაციების (კუჭი ბალონის ჩაყენება, კუჭის ბანდაჟირება, ვერტიკალური გასტროპლასტიკა, ბილიოპანკრეატიკული შუნტირება) ეფექტურობა საგრძნობლად დაბალია.

961 წლიდან შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 სამკურნალოდ გამოიყენება ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით. (იხ.სქემა 1.).



სქემა 1. ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით.

XX საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 სამკურნალოდ დაინერგა ერთანოსტომოზიანი მინიგასტროშუნტირება, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება, როგორც ქირურგებში, ისე პაციენტებში. მისი პოპულარობა განპირობებულია მეტი უსაფთხოებით და ეფექტურობით, ვიდრე სტანდარტული ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება (იხ.სქემა 2).



სქემა 2. ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება.

ინტესიური კლინიკური კვლევებით დადგნილია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 დროს მეტაბოლური ქირურგია მაღალეფექტურია, პაციენტების 90% მთლიანად განიკურნა, დარჩენილი 10% პაციენტების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

გასტროშუნტირება რთული კომბინირებული ოპერაციაა ვიდრე სხვა სახის ქირურგიული ჩარევები, მიზანია კუჭის მოცულობის შემცირება 20 მლ-მდე („მცირე კუჭის“) შექმნა, წვრილი ნაწლავის გადაკვეთა და მის ინტერპოზიცია (წვრილი ნაწლავის დისტალური ნაწილის გადატანა პროქსიმალურად). რეკონსტრუქციის შედეგად თორმეტგოჯა ნაწლავი ითიშება საკვების პასაჟიდან, საკვების მასა „მცირე კუჭი“-დან მიემართება თემოს ნაწლავში და მისი პირდაპირი ზემოქმედება ამ უკანასკნელის ლორწოვან გარსზე იწვევს გლუკონის მაგვარი პეპტიდის (GLP-1) გამომუშავებას, რომელიც ინკრეტინტს მიეკუთვნება. აღნიშნულ პეპტიდი, გლუკოზის დონის მომატებისას, ხელს უწყობს კუჭეული ჯირვალში ბეტა უჯრედების ზრდის სტიმულირებას და ინსულინის გამომუშავების გააქტიურებას. ცნობილია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 დროს, აღნიშნება ბეტა უჯრედების მომატებული აპოპტოზი, ამ უკანასკნელის ალდგნა უკიდურესად პოზიტიური ფაქტორია. აგრეთვე GLP-1 ბლოკავს ღვიძლში გლუკონის მიერ სტიმულირებულ გლუკოზის პროდუქციას.

ამერიკის დიაბეტის ასოციაციამ (ADA) გასტროშუნტირება შეიყვანა დიაბეტის მკურნალობის სტანდარტებში. ეს მეთოდი გამოიყენება ევროპის ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და ისრაელში. გასტროშუნტირება შეიძლება შესრულდეს, როგორც ლაპაროსკოპიური მეთოდით, ისე ლაპაროტომიური მიდგომით.

ჩვენს მიერ ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება შაქრიანი დიაბეტი ტიპი-2 და სხვა მეტაბოლური დარღვევების (არტერიული ჰიპერტენზია, ღამის სინდრომი, სახსრებისა და ხერხემლის დაავადებები, ნიკრისის ქარი) სამკურნალოდ არ ჩატარებულა.

დასავლეთ საქართველოს აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში (ქ. ქუთაისი) შაქრიანი დიაბეტი ტიპი -2 სამკურნალოდ ჩვენს მიერ დანერგილია 2007 წლიდან ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით, ხოლო 2009 წლიდან ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება. მიღებული შედეგები სრულად ემთხვევა მსოფლიო მონაცემებს.

სადემონსტრაციოდ მოგვყავს ერთ-ერთი შემთხვევა ჩვენი პრაქტიკიდან: აკად.ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ სამედიცინო ცენტრში შემოვიდა პაციენტი თ.ჯ. 49 წლის, სხეულის წონა 184 კგ., სიმაღლე 165 სმ (სხეულის მასის ინდექსი - 68,1კგ/მ²). კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევებით დადგინდა დიაგნოზი: შაქრიანი დიაბეტი ტიპი - 2; მორბიდული სიმსუქნე IV ხარისხი; ნაღვლკენჭოვანი დაავადება, ქრონიკული კალკულოზური ქოლეციისტი.

მოწვეული იქნა კონსილიუმი ქირურგის, ენდოკრინოლოგის, კარდიოლოგის, ანესთეზიოლოგის მონაწილეობით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქირურგიული ჩარევის სასარგებლოდ. მკურნალობის მეთოდად შეირჩა ლაპარატომიული მიდგომით მინი გასტროშუნტირება, ქოლეცისტექტომია, აპენდექტომია.

ოპერაციის შემდგომი პერიოდი მიმდინარეობდა გართულების გარეშე. წონის კლებასთან ერთად უმჯობესდებოდა მეტაბოლური სინდრომისათვის დამახასიათებელი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები. ერთ თვეში სრულიად მოეხსნა მეტაბოლური სინდრომი (ჰიპერგლიკემია და ჰიპერინსულინემია, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერჟოლესტერინემია) და დაუბრუნდა ცხოვრების ნორმალურ რითმს, ხოლო 16 თვეში წონაში დაიკლო 77 კგ. და სხეულის მასის ინდექსი გახდა 32,5 კგ/მ². დაკვირვება პაციენტზე გრძელდებოდა ხუთი წლის განმავლობაში.

რეზიუმე: დასავლეთ საქართველოს აკად. ზ.ცხავაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში (ქ. ქუთაისი) შაქრიანი დიაბეტი ტიპ -2 სამკურნალოდ ჩვენს მიერ დანერგილია 2007 წლიდან ორანოსტომოზიანი კომბინირებული გასტროშუნტირება რუ-ს წესით, ხოლო 2009 წლიდან ერთანოსტომოზიანი მინი გასტროშუნტირება. მიღებული შედეგები სრულად ემთხვევა მსოფლიო მონაცემებს. ოპერაციის შემდგომი პერიოდი მიმდინარეობდა გართულების გარეშე. წონის კლებასთან ერთად უმჯობესდებოდა მეტაბოლური სინდრომისათვის დამახასიათებელი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები. ერთ თვეში სრულიად ეხსნებოდა მეტაბოლური სინდრომი (ჰიპერგლიკემია და ჰიპერინსულინემია, არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერჟოლესტერინემია) და დაუბრუნდა ცხოვრების ნორმალურ რითმს. დაკვირვება პაციენტზე გრძელდებოდა ხუთი წლის განმავლობაში.

Gastric Bypass Surgery to Treat Diabetes Mellitus Type 2

*O. Marshava
University Clinic "Vivamedi"*

At Academician Z. Tskhakaia National Center of Intervention Medicine of Western Georgia combined (two anastomosis) Gastric Bypass surgery and mini (one anastomosis) gastric bypass surgery have been implemented to Treat Diabetes Mellitus Type 2 since 2007 and 2009, respectively. Our results absolutely meet the world's data. No complications were observed during the postoperative period. Improvement of clinical manifestation of metabolic syndrome and laboratory results were observed along with weight loss. After a month all symptoms of metabolic syndrome (hyperglycemia and hyperinsulinemia, arterial hypertension, hypercholesterolemia) disappeared and patients led the usual lifestyle. Study period continued for five years.

ლიტერატურა:

1. ო.მარშავა, გ.ფარფალია „ბარიატრიული ოპერაცია სიმსუქნისა და მეტაბოლური სინდრომის სამკურნალოდ“. (ქართულ ენაზე) 2013, თბილისი „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“ გვ.42-45.
2. ო.მარშავა, ლ. ბერაია, გ.ფარფალია „ სიმულტანური ოპერაცია სიმსუქნისა და მეტაბოლური სინდრომის ფონზე“. (ქართულ ენაზე) 2015, თბილისი „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა“ გვ.70-72.
3. Thaler JP., Cummings de, 2009 Hormonal and metabolic mechanism of diabetes remission after gastrointestinal surgery. Endocrinologi 150. 2518-2525.
4. Anderson JW, Grant L, Gotthelf L, Stifler LT, 2006 Weight loss and long-term follow-up severely obese individuals treated with an intense behavioral program. Int J Obes 31. 488-493.
5. Santry HB, Gillen DI, Lauderdale DS, 2005 Trends in bariatric surgical procedures. J Am Med Assoc Nengl J. 2012. Mar 26.
6. Haslam DW, James WRT, 2005 Obesity. Lancet 366. 1197-1209.

აკრილამიდი – კიდევ ერთი პოტენციური შხამი ჩვენს საკვებში

რ. გახოვიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრილამიდი (აკრილის მქავას ამიდი, 2-პროპენამიდი) ნივთიერებაა, რომელსაც ფართოდ იყენებენ პლასტმასების დასამზადებლად, წყლის გასაწმენდად. აკრილამიდი წარმოადგენს უფერო კრისტალებს (ლილის ტემპერატურა 84,5°C, დუღილის ტემპერატურა 215°C, სიმკვრივე 1,122გ/სმ³), იხსნება წყალში, ეთანოლში, აცეტონში, ნაკლებად – ბენზოლში, ცეცხლსაშიში და ადვილად აალებადია. აკრილამიდი ტრექსიკურია – აზიანებს ნერვულ სისტემას, ღვიძლს და ლორწოვან გარსებს. იგი ავლენს კანცეროგენურ და ნეიროტოქსიკურ თვისებებს, აზიანებს ადამიანის რეპროდუქციულ სისტემას და სისხლის სხეულების ქრომოსომებს, რაც წარმოადგენს კიბოს წარმოქმნის პირველ ეტაპს. გარდა ამისა, იგი არღვევს ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას, აფერხებს „ცუდი“ ქოლესტერინის დაშლას, აზიანებს ნერვულ უჯრედებს (რაც იწვევს კუნთის სისუსტეს). აკრილამიდი ზრდის უშვილობის, ალცეპაიმერის, დიაბეტის, სიბრმავის განვითარების რისკს, აქვეითებს იმუნიტეტს. საკვებში აკრილამიდის დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 0,2 მგ/კგ [1].

აკრილამიდი საკვებში XXI საუკუნის დასაწყისში იქნა აღმოჩენილი შვედი მეცნიერების მიერ [2,3], თუმცა კაცობრიობას მასთან ათასწლეულების განმავლობაში აქვს კავშირი, ე.ი. იმ დროიდან, როცა მან საკვების დასამზადებლად ცეცხლის გამოყენება დაიწყო. აკრილამიდი წარმოიქმნება ნახშირწყლებით (განსაკუთრებით, ფრუქტოზით) და ამინმჟავებით (განსაკუთრებით, ასპარაგინით) მდიდარ პროდუქტებში თერმული დამუშავების შედეგად (შეწვისას ან გამოცხბისას) 120°C-ზე მეტ ტემპერატურაზე. აკრილამიდი შედის „ფასტ-ფუდის“ სახელით ცნობილ პროდუქტთა უმრავლესობაში. ესენია: მშრალი საუზმე და კრეკერები, ბურღული, ჩიპსები და კარტოფილი ფრი, სიმინდის ჩხირები და შოკოლადის ნამცხვრები, შემწვარი წიწილები და ჰამბურგერები, ბისკვიტები და პოპკორნი და ა.შ. გარდა ამისა, ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა მრავალი ნახევარფაზრივატი, ყავა და ჩვეულებრივი პურიც კი [4,5]. საკვებში აკრილამიდის შემცველობა ასჯერ და ათასჯერ აღმატება ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო დოზას. იგი წარმოიქმნება თაბაქოს წევის დროსაც.


აკრილამიდის ძირითად წყაროს წარმოადგენს, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, საკვები და სიგარეტის ბოლი. აკრილამიდის შემცველობა კვების პროდუქტებში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მწარმოებელზე, საკვების მომზადების ხანგრძლივობაზე, თბური დამუშავების ხერხებსა და ტემპერატურაზე.

პროდუქტი	აკრილამიდის საშუალო შემცველობა, (მგ/კგ)
კარტოფილის ჩიფსები	1343
კარტოფილის ფრი და შემწვარი კარტოფილი	330
მოხალული ყავა	200
სიმინდის ჩხირები და ფირფიტები	167
ბისკვიტები, ნამცხვრები	142
ფრინველის ხორცი	52
თევზი და ზღვის პროდუქტები	35
პური	30



აკრილამიდის წარმოქმნის რეაქცია აღმოჩინა 1912 წელს ახალგაზრდა ექიმმა და ქიმიკოსმა ლუი მაიარმა ამინმჟავებსა და საკვებ შაქრებს შორის ურთიერთმოქმედების შესწავლის საფუძველზე [6]. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პირველად მსგავსი რეაქცია (შაქრის ამიაკთან გაცხელებისას) შემჩნეული იქნა პ. ბრანდესის და ც. შტოერის მიერ 1896 წელს [7].

მაიარის რეაქცია არ არის ერთი რეაქცია, იგი თანმიმდევრული და პარალელური პროცესების მთელი კომპლექსია, რომელიც მიმდინარეობს ხარშვისას, შეწვისას და გამოცხობისას [8,9]. გარდაქმნათა კასკადი იწყება აღმდგენელი ნახშირწყლების (გლუკოზა, ფრუქტოზა) კონდენსაციით ამინებთან (ამინმჟავები, ცილები). რეაქციის პროდუქტები განიცდის შემდგომ გარდაქმნას საკვების სხვა

კოპონენტებთან ურთიერთმოქმედებით სხვადასხვა ნივთიერებათა ნარევის წარმოქმნით. მაიარის რეაქციაში მონაწილე ნახშირწყლებს შემდეგი აქტიურობა გააჩნია: პენტოზა > ჰექსოზა > დისაქარიდი. ფრუქტოზა 100-200-ჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე გლუკოზა.



ყველასთვის ცნობილია, რომ კერძის მიმზიდველობას, პირველ რიგში, სუნი განაპირობებს, რაც ამა თუ იმ ნივთიერებითაა გამოწვეული. მაგალითად, ყვავს განსაცვიფრებელ არომატს ათასზე მეტი სურნელოვანი ნივთიერება ანიჭებს, ხოლო ახალგამომცხვარი პურის სუნს წარმოქმნის ორასამდე კომპონენტი, რომლებიც ორგანულ ნივთიერებათა სხვადასხვა კლასს მიეკუთვნება. მათ შორისაა სპირტები, კეტონები, რთული ეთერები, კარბონმჟავები. ხშირად მოლეკულის სტრუქტურის უმნიშვნელო მოდიფიკაციასაც კი შეუძლია არსებითად შეცვალოს ნივთიერების სუნი. ამის ნიმუშია ტერპენული ნახშირწყალბადი ლიმონენი და მისი უნგბადწარმოებული კარვონი. მაგალითად, (R)-და (S)-ლიმონენებს, რომლებიც მხოლოდ ჩანაცვლებულთა სივრცული განლაგებით განსხვავდება, ახასიათებს ფორთოხლის და ლიმონის არომატი, შესაბამისად. კარვონის ოპტიკურ იზომერებსაც ასევე სხვადასხვა სუნი აქვს. ერთს (S)-კარვონს კამის სუნი აქვს, ხოლო მის ანტიპოდს პიტნის სუნი.




მაიარის რეაქციას ჩვენ ვხვდებით არა მარტო სამზარეულოში, რომლის შედეგია ახლად გამომცხვარი პური და შემწვარი ხორცი, ფურნის პურის დაბრაწული ქერქი და დაბეგვილი კარტოფილის საოცარი გემო. ნიადაგის ჰექსუსის, ნახშირის, ტორფის, საპროპელის, სამ-კურნალო ტალახის წარმოქმნა ასევე მიმდინარეობს მაიარის რეაქციის წყალობით. ამ რეაქციას შეიძლება

საკუთარ კანზეც დავაკვირდეთ. კანის გარუჯვისას კერატინის ცილების ამინმჟავებსა და ნახშირწყლებს შორის რეაქციის შედეგად წარმოიქმნება მელონოიდინები, რომლებიც კანის ბუნებრივი პიგმენტის – მელანინის მსგავსია. რამდენიმე საათის განმავლობაში მელონოიდინების წარმოქმნის გამო კანი იძენს ბუნებრივი ნამზეურის ფერს. რძეში 100°C-ზე დაბალ ტემპერატურაზეც კარგად მიდის მაიარის რეაცია, რადგან იგი საკმაო რაოდენობით შეიცავს შაქრებს (ლაქტოზა) და ცილოვან ნივთიერებებს. დიდხანს დაყოვნებულ რძეში ანალოგიური რეაქცია შესაძლოა ოთახის ტემპერატურაზეც წარიმართოს [10].

მაიარის რეაქცია ცოცხალ ორგანიზმშიც მიმდინარეობს ნორმალურ პირობებში. რეაქციის სიჩქარე ძალიან დაბალია და წარმოქმნილი პროდუქტები ადვილად ცილდება. დიაბეტის შემთხვევაში შაქრის მკვეთრი აწევისას რეაქცია მნიშვნელოვნად ჩქარდება, პროდუქტები გროვდება და მრავალ დავადებას იწვევს, მაგალითად, ჰიპერლიპიდემიას – სისხლში ლიპოპროტეინების ანომალურ მატებას. დიაბეტის დროს შეცვლილი ცილების დაგროვება ბროლში იწვევს მხედველობის მძიმე დარღვევას.

გლუკოზა და სხვა ნახშირწყლები გაცხელებთ მჟავე და ნეტრალურ არეში გარდაიქმნება ჰიდროქსილმეთილფურფუროლად. ფრუქტოზის გარდაქმნის სიჩქარე 7-ჯერ მეტია ვიდრე გულკოზისა. ფურანის წარმოებულები წარმოადგენს შხამებს, დიდი დოზით იწვევს კრუნჩხვებს და დამბლას, დაბალი დოზებით თრგუნავს ნერვულ სისტემას. ამ ტიპის ნაერთები არ მეტაბოლიზდება, რის გამოც გროვდება ადამიანის ლიმფოდენიტის და არღვევის ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს. ჰიდროქსილმეთილ-ფურფუროლი წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესის ხარისხისა და უვნებლობის ე.წ. ინდიკატორს. მთელი რიგი ექსპერიმენტული კვლევების მონაცემებით, ჰიდროქსილ-მეთილფურფუროლს ახასიათებს მუტაგენური მოქმედება, რის გამოც აუცილებელია პროდუქტებში, განსაკუთრებით ბავშვთა კვების პროცესებში, მისი მაქსიმალური რაოდენობის ნორმირება. მისი შემცველობა საკვებში არ უნდა აღემატებოდეს საკვებში 10-25 მგ/კგ-ს. ასეთი კონტროლი ევროკავშირის ქვეყნებში უკვე დაიწყო.

თერმულად დამუშავებულ პროდუქტს (პურის ქერქი, თევზი, ხორცი, ჩაი, ყავა) ფერს აძლევს მუქად შეფერილი მაღალმოლეკულური ნივთიერებები – მელანოიდინები (ბერძნული სიტყვიდან „მელანოს“, რაც „შავს“ ნიშნავს), რომლებიც მაიარის რეაქციის ბოლო სტადიაზე წარმოიქმნება. თუმცა მელანოიდინების შავ პიგმენტებს წარმოქმნის პუმინური ნივთიერებების მსგავსად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკვები იხრაკება მაღალ ცეცხლზე ან ტაფაზე, თუ ჰაერლუმელში დაგრჩათ კარტოფილი ან ნამცხვარი შესაწვავად. ქიმიური სტრუქტურის მიხედვით მელონოიდინები განსხვავებული აგებულების პოლიმერების ფართო სპექტრია, რომლებიც შეიცავს ჰეტეროციკლურ და ქინოიდურ სტრუქტურებს, მოლეკულური მასით 0,2-დან 100 ათას დალტონამდე.



მაიარის რეაქციის დროს მელანოიდინებთან ერთად გამოიყოფა მრავალი არომატული ნივთიერება, რომლებიც განუმეორებელ, მადის მომვრელ არომატს ახალგამომცხვარ პურს, ფლავს, მწვადს.

მელანოიდინების ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული, იმუნომოდულატორული თვისებების გარდა ახასიათებს მძიმე მეტალების იონთა შებოჭვის უნარი, რასაც ორგანიზმისთვის განსაკუთრებული მიშვნელობა გააჩნია, მაგალითად, ორგანიზმში რკინის შებოჭვით მელონოიდინები მას წყალბადის ზეჟანგთან ურთიერთმოქმედების საშუალებას არ აძლევს ძლიერი დამჟანგავის წარმოქმნით და


ჰიდროქსილის რადიკალის დამშლელი იონის წარმოქმნით. მათ შეუძლიათ ასევე პეროქსიდური ლიპიდური რადიკალების აღდგენა.

მელანოიდინების კიდევ ერთი ღირსება ანტიმიკრობული აქტიურობაა. ახლახან აღმოჩენილ იქნა, რომ ყავის ანტიმიკრობული მოქმედება გამოწვეულია მაიარის რეაქციის მსვლელობისას წყალბადის ზეჯანგის წარმოქმნით, რომელიც თრგუნავს ბაქტერიების *Escherichia coli*-ს და *Listerin innocua*-ს ზრდას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყავის მელონოიდინებს შეუძლია კიბოს დაავადების რისკის შემცირება. მოდელურ ექსპერიმენტებში ნაჩვენები იქნა, რომ მელონოიდინები თრგუნავს კანცეროგენურ N-ნიტროზამინებისწარმოქმნას. გარდა ამისა, ისინი აძლიერებენგლუტათიონ-ს-ტრანსფერაზის ჯგუფის ფერმენტების სინთეზს, რომლებიც უვნებელყოფებ სხვადასხვა ქსენობიოტიკებს. ვირთხებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში ნაჩვენები იქნა, რომ მოხალული ყავის მარცვლების არომატი (მაიარის რეაქციის შედეგად) ცვლის ზოგიერთი გენის მუშაობას და ამასთნ ტვინში წარმოიქმნება ცილები, რომლებიც ამცირებს უძილობით გამოწვეული სტრესის შედეგებს. ამგვარად, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ტვინისთვის სასარგებლოვა ყავის სუნზე გამოღვიძება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყავა უნდა სვათ დილიდან საფარისა თუნდაც ყავის შესუნთქვა დალევის ნაცვლად.

მელანოიდინებს, სამკურნალო თვისებების წყალობით, უხსოვარი დროიდან იყენებენ სახალხო მედიცინაში, როგორც ანტისეპტიკს. მათი სამუალებით მკურნალობდნენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, თირკმლების, საშარდე გზების და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებს. მაინც როგორ ჩნდება კანცეროგენები? საქმე ის არის, რომ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე მაიარის რეაქციის მიმდინარეობისას შესაძლებელია წარმოიქმნას ტოქსიკური და კანცეროგენური ნივთიერებები. მაგალითად, აკრილამიდი აქტიურად წარმოიქმნება 180°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე, როცა ხდება მელონოიდინების თერმული დაშლა. პიროლიზის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას კანცეროგენური პოლიციკლური ნახშირწყალბადები. განსაკუთრებით საშიშია, როცა ხორცი, თევზი ან სხვა პროდუქტი იწვება მრავალჯერ გამოყენებულ ცხიმში. შემწვარი ხორცის ექსტრაქტები 10-50-ჯერ უფრო ძლიერად აზიანებს უჯრედის გენებს, ვიდრე მოხარშული პროდუქტებისა. განმეორებით გაცხელებულ ცხიმებში დიდი რაოდენობით წარმოიქმნება კანცეროგენები. კერძის მოსამზადებლად ცხიმი მხოლოდ ერთხელ უნდა იყოს გამოყენებული. კიდევ უფრო საშიშია საკვების კვამლში გამოყვანა (მებოლვა), რაც სასიამოვნო გემოს ანიჭებს პროდუქტს და დიდხანს ინახავს. შებოლვისას პროდუქტებში დიდი რაოდენობით გროვდება პოლიციკლური ნახშირწყალბადები და ნიტროზნაერთები. კარგად მომზადებულ მწვადს, ამზადებენ ხორცისგან არ თევზისგან ჩაფერფლილ ნახშირზე, როცა ბოლო აღარ გამოიყოფა და შენარჩუნებულია სითბო. ასეთი მწვადი კანცეროგენებს არ შეიცავს.


დადგენილ იქნა, რომ მაიარის რეაქციის ზოგიერთი პროდუქტი ასტიმულირებს ფერმენტების წარმოქმნას, რომლებიც მონაწილეობს ტოქსინების, მათ შორის, აკრილამიდის შებოჭვაში.

არსებობს ყავისფერი პროდუქტების წარმოქმნის სხვადასხვა რეაქცია. მაგალითად, ფენოლურ კომპონენტთა ფერმენტული ურთიერთობის შეფერილობის პოლიმერები. კარგად მომზადებულ მწვადს, ამზადებენ ხორცისგან არ თევზისგან ჩაფერფლილ ნახშირზე, როცა ბოლო აღარ გამოიყოფა და შენარჩუნებულია სითბო. ასეთი მწვადი კანცეროგენებს არ შეიცავს.



კარამელში შემავალ ნივთიერებებს იყენებენ პიგმენტებად, როგორც ალკოჰოლურ, ისე უალკოჰოლო სასმელებში (ვისკი, კოკა-კოლა). კარამელიზაციის დროს შაქრების დაშლის პროდუქტებიდან წარმოიქმნება ყავისფერი შეფერილობის პოლიმერები. მაიერის რეაქციით წარმოიქმნება შეფერილი ნივთიერებათა მთელი ჯგუფი – მელანოიდური პიგმენტები და სურნელოვანი ნივთი-

ერებები. კარამელიზაციის პროდუქტია მალტოლი, (აქვს ახალგამომცხვარი პურის სუნი), 2-ფურანილმეთანთიოლი (აქვს ახლად მოხალული ყავის არომატი).



მალტოლი




2-ფურანულ მეთანოლი

საკვებში აკრილამიდის ანალიზური რაოდენობით შემცველობის დადგენა შესაძლებელია მაღალმგრძნობიარე თხევადი, აირადი და კაპილარული ქრომატოგრაფიული დაყოფის, ქრომატომას-სპექტრომეტრული და პლაზმური მას-სპექტრომეტრული დეტექციის მეთოდებით [1, 11-18].

მრავალრიცხოვანი გამოკვლევის საფუძველზე, უცხოელი მკვლევრები აკრილამიდის მავნე მოქმედების რისკს, პირველ რიგში, უკავშირებენ ბავშვებში ნეიროტოქსიკურობის ეფექტს [19-22]. ვირთაგვებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აკრილამიდი, ნეიროტოქსიკურობასთან ერთად, გავლენას ახდენს ხერხემლის კუნთოვანი სისტემის, შარდ-სასქესო სისტემის და მთელი რიგი შინაგანი ორგანოს ატროფიაზე. მღრღნელებზე ჩატარებული გამოკვლევებით ნაჩვენები იქნა, რომ აკრილამიდის ზემოქმედება წარმოადგენს რამდენიმე ტიპის კიბოს განვითარების რისკს (დასკვნები ეფუძნება ლაბორატორიულ ცხოველებზე დაკვირვებებს, რომლებიც აკრილამიდს სასმელ წყალთან ერთად იღებდნენ) [19], რის გამოც კიბოს შემსწავლელმა საერთაშორისო სააგენტომ (IARC) იგი შეიტანა ადამიანისთვის სავარაუდო კანცეროგენების სიაში. თუმცა ჯერ-ჯერობით არ არსებობს საკმაო სტატისტიკა აკრილამიდის ზემოქმედებისა ადამიანებზე. ამიტომ მეცნიერულად დასაბუთებული დიეტოლოგიური რეკომენდაციების გაცემა ჯერ ადრეა. თაგვების კანცეროგენობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის საშიშროებას ადამიანებისთვის.

იზოტოპური მარკირების მეთოდით შესწავლილია აკრილამიდის მეტაბოლიზმი ცხოველებსა და ადამიანში [20, 21] (იხ. სქემა, ვარსკვლავებით ნაჩვენებია ხირალური ნახშირბადატომები). ძუძუმწოვრებში აკრილამიდი (AA) გარდაიქმნება ეპოქსიპროპიონამიდად (გლიციდამიდი, GA), რომელიც ნაწილობრივ ჰიდროლიზდება 2,3-დიკიდროქსიპროპიონამიდად (GHPA). რადიოიზოტოპური მეთოდის გამოყენებით დადგინდა აკრილამიდთან ერთად გლიციდამიდის არსებობა მცირე რაოდენობით თერმულად დამუშავებულ საკვებში. კარტოფილის ჩიპსებში გლიციდამიდის კონცენტრაცია შეადგენდა აკრილამიდის 0,5%-ს, ხოლო ფრანგულ ფრიში – 0,2%-ს [23]. როგორც აკრილამიდი, ისე გლიციდამიდი უკავშირდება გლუტათიონს (GSH) და გარდაიქმნება მერკაპტურის მჟავებად. აკრილამიდი გლუტათიონთან იძლევა მხოლოდ ერთ ადუქტს (AA-GSH), ხოლო გლიციდამიდი გლუტათიონთან ორ ადუქტს წარმოქმნის (GA-GSH და iso-GA-GSH), რაც გამოწვეულია ეპოქსიდური (გლიციდური) რეაქციის გახსნით. AA-GSH-ის გარდაქმნით წარმოიქმნება N-აცეტილ-S-(2-კარბამოილეთიოლ)-L-ცისტეინი (AAMA). GA-GSH და iso-GA-GSH გარდაიქმნება მერკაპტურის მჟავებად: N-აცეტილ-S-(2-კარბამოილ-2-ჰიდროქსიეთიოლ)-L-ცისტეინად (GAMA) და N-აცეტილ-S-(1-კარბამოილ-2-ჰიდროქსიეთიოლ)-L-ცისტეინად (iso-GAMA), შესაბამისად. აკრილამიდის მეტაბოლიზმის პროცესში ასევე წარმოიქმნება AAMA-ს სულფოქსიდი (AAMA-SO). ნაჩვენები იქნა, რომ აკრილამიდი (AA) წარმოქმნის კოვალენტურ ბმას ცილებთან (ჰემოგლობინის ჩათვლით), ხოლო მისი უახლოესი მეტაბოლიტი – გლიციდამიდი (GA) კოვალენტურ ბმას წარმოქმნის დეზოქსირიზაციის მჟავასთან (დწმ), რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკრილამიდის ტოქსიკურობას.



ლიტერატურაში აღწერილია ვირთხებში აკრილამიდით გამოწვეული დარღვევების გაუმჯობესების შედეგები. მაგალითად, დადებით ეფექტს იძლევა საკვებში გერანიოლის, კურკუმინის და მწვანე ჩაის ექსტრაქტის ყოველდღიური დამატება [24]. ალიცინის მიღება *peros* შესამჩნევად ზრდის გლუტათიონ-ს-ტრანსფერაზის და გლუტათიონის დონეს აკრილამიდით ნაკვები თაგვების თირკმლები, ღვიძლში და ტვინში [25]. დადგენილია, რომ ციანიდინ-3-გლუკოზიდი ასრულებს დამცავ როლს აკრილამიდით გამოწვეული ოქსიდატური სტრესის წინააღმდეგ [26]. ვირთხების კვებამ სანელებლებით გამდიდრებული ინგრედიენტით შესამჩნევად შესამცირა აკრილამიდით გამოწვეული ოქსიდატური სტრესის მარკერები. ევგენოლით კვებამ შესამჩნევად დააბალანსა აკრილამიდით გამოწვეული გამოფიტვა ტვინის არეთა დოპამინურ დონეებში [24]. სანელებლებით გამდიდრებული ინგრედიენტები ასუსტებს აკრილამიდით გამოწვეულ ნეიროპათიას.

დადებით შედეგს იძლევა ყურძნის თესლის ზეთი აკრილამიდით გამოწვეული პათოლოგიური ცვლილების წინააღმდეგ [27]. განსაკუთრებით ამცირებს აკრილამიდით გამოწვეულ ციტოტოქსიკურობას მირიციტრინი ადამიანის უჯრედებში ოქსიდატური სტრესის აღვევთის საშუალებით [28]. რეზვერატორული აქარწყლებს დნმ-ის ოქსიდატურ ზიანს და იცავს ვირთხებს აკრილამიდით გამოწვეული სტრესისგან [29]. ასევე აღმოაჩნდა აკრილამიდით გამოწვეული ოქსიდატური სტრესისგან დამცავი ეფექტი ვირთხებში N-აცეტილ-L-ცისტინს [30]. კარტოფილის ბოჭკო იცავს წვრილი ნაწლავის კედელს აკრილამიდით გამოწვეული ტოქსიკური გავლენისგან [31]. აკრილამიდით გამოწვეული ოქსიდატური სტრესის ტვინის ქერქში ნეირონების კვდომის მიმართ გამანეიტრალებელი ეფექტი გააჩნია თევზის ქონს. ნივრის ფხვნილი ამცირებს აკრილამიდით გამოწვეულ ოქსიდატურ ზიანს ვირთხებში [32]. დადგენილია ასევე ნივრის გამანეიტრალებელი ეფექტი ჰეპატო- და ნეიროტოქსიკურობაზე ვირთხებში შესწავლილია პაპაიას ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური და იმუნომასტიმულირებელი ეფექტი აკრილამიდით მოწამლულ ვირთხებში [33]. აკრილამიდით გამოწვეული ნეიროტოქსიკურობის წინააღმდეგ საიმედო დამცავი აქტიურობა აღმოაჩნდა მელატონინის ახლად სინთეზირებულ მთელ რიგ წარმოებულებს. აკრილამიდით გამოწვეულ ტოქსიკურობას ამცირებს A და E ვიტამინები, ალიცინი, ზეითუნის ზეთი [25, 34, 35]. აკრილამიდის შემცველობაზე გავლენას ახდენს ნედლი მასალის შენახვა, რის გამოც მნიშვნელოვანია პროდუქტის შენახვის სათანადო პირობების დაცვა. მაგალითად, კარტოფილის 8°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე შენახვისას ხდება შაქრების კონცენტრაციის გაზრდა ბოლქვებში. რაც უფრო დიდხანს ინახება ცივ პირობებში, მით უფრო იზრდება შაქრების რაოდენობა

[36]. ასევე მოქმედებს სეზონური ცვლილება აკრილამიდის შემცველობაზე [37]. წლის პირველ ნახევარში აკრილამიდის კონცენტრაცია კარტოფილში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე წლის მეორე ნახევარში. ტემპერატურასთან ერთად ატმოსფეროც ახდენს გავლენას კარტოფილში შაქრის შემცველობაზე, რადგან ჟანგბადის დაბალი კონცენტრაცია თრგუნავს შაქრის დაგროვებას, მაშინ როცა ნახშირორქანგის კონცენტრაციის ზრდა საპირისპიროდ მოქმედებს [38].

ბურღულეულსა და მარცვლეულის ბაზაზე დამზადებულ საკვებში აკრილამიდის წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი თავისუფალი ასპარაგინია. ამიტომ სასურსათო ნედლეულის თერმულად დამუშავებამდე სასურველია ასპარაგინის კონცენტრაციის შემცირება. ამისთვის საჭიროა ფერმენტ ასპარაგინაზის დამატება, რომელსაც ასპარაგინი ჰიდროლიზით გადაყავს ასპარაგინის მუვაში. მარცვლეულის და კარტოფილისგან დამზადებული პროდუქტების მაგალითზე ექსპერიმენტულად ნაჩვენები იქნა ფერმენტით ნედლეულის დამუშავების შედეგად აკრილამიდის მნიშვნელოვანი კლება [39-41]. აკრილამიდის კონცენტრაციის შემცირება შესაძლებელია აღმდგენელი შაქრების კონცენტრაციის კონტროლის საშუალებით. საკვებში აკრილამიდის დონის შესამცირებლად, შეძლების-დაგვარად, უნდა შემცირდეს ფრუქტოზის გამოყენება.

აკრილამიდის დაგროვებაზე გავლენას ახდენს ასევე ცხობის ტექნოლოგია. მაგალითად, ამონიუმის კარბონატი ან ბიკარბონატი, რომლებიც გამოიყენება ცომის ამოსაყვანად, მნიშვნელოვნად (თითქმის ათმაგად) ზრდის აკრილამიდის კონცენტრაციას. ჯანჯაფილის პურზე ჩატარებული ცდებით ნაჩვენებია, რომ აკლრილამიდის წარმოქმნა დამატებული ამონიუმის ბიკარბონატის პროპორციულად იზრდება. აკრილამიდის კონცენტრაცია „ხრაშუნა პურში“ შეიძლება შემცირებულ იქნას ღუმელში შემავალი და გამომავალი ტემპერატურების ოპტიმიზაციით, პროდუქტში მაქსიმალური სინესტის (7%) შენარჩუნებით და ასევე საცხობი „გრძივი“ ღუმელის ცხობის საშუალო ტემპერატურის შემცირებით და ცხობის ხანგრძლივობის გაზრდით [42]. სითბოს გადაცემა პროდუქტებში ცხობის პროცესში არ არის ისეთი ეფექტური, როგორც ზეთზე შეწვის დროს.

აკრილამიდის წარმოქმნაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად ზეთის სახეობა, ზეთის გამოყენების სიხშირე ან დანამატების გამოყენება [42] მაგალითად, პალმის ზეთში შემწვარი ტკბილი კარტოფილი აკრილამიდს თითქმის 1.5-ჯერ ნაკლები რაოდენობით შეიცავს, ვიდრე სოიის ზეთში შემწვარი [43].

შეწვამდე კარტოფილის ნაჭრების წყალში მოთავსებით აკრილამიდის კონცენტრაცია 8-40%-ით მცირდება. აკრილამიდის შემცველობის შესამცირებლად ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა ლიმონმჟავას ხსნარში კალიუმის ქლორიდის ხსნარში (2გ/ლ) და ნატრიუმის ქლორიდის ხსნარში (0.5გ/ლ) მოთავსება, რის შედეგად, კარტოფილის ჩიფსების გემოვნური თვისებების შენარჩუნებით, AA-ს რაოდენობა ოპტიმალურად მცირდება 77%-ით, 72%-ით და 64%-ით, შესაბამისად [44].

სასარგებლოვანი როზმარინის ექსტრაქტის, ლიმონმჟავას, B3 ვიტამინის დამატება. არ შეწვათ პროდუქტები მუქ შეფერილობამდე (დაკმაყოფილდით ოქროსფერი შეფერილობით). პური, გამოცხობისას, ეცადეთ, იყოს ღია ყავისფერი და არა მუქი. თუ მიიწვა სჯობს, არ მიირთვათ. იგივე ეხება კარტოფილსაც, ეცადეთ, არ მიიწვას. შეწვით დაბალ ტემპერატურაზე დახურულ ჭურჭელში. თუ მაინც მიიწვება, მოაშორეთ მიმწვარი ნაწილი. აკრილამიდი დიდი რაოდენობით წარმოიქმნება იმ კარტოფილის შეწვისას, რომელიც მანამდე ინახებოდა ცივ ადგილზე, მაგალითად, მაცივარში. ამიტომ კარტოფილი უნდა ინახებოდეს ბნელ და გრილ (და არა ცივ) ადგილზე (სარდაფი, საწყობი, კარადა). ბოლო გამოკვლევების თანახმად მაიარის რეაქციის მნიშვნელოვანი ინპიბირება შესაძლებელია ამინგუანოდინით. აკრილამიდი 99%-ზე მეტი პურის ქერქშია აღმოჩენილი [45]. ქერის გადაფხევა გაყავის-ფრებული ნაწილის მოსაცილებლად თითქმის 3-ჯერ ამცირებს აკრილამიდის დონეს (484 მკგ/კგ-ს ნაცვლად 181 მკგ/კგ) [46].

ყავის მოხალვის დასაწყისში აკრილამიდის წარმოქმნა აღწევს მაქსიმუმს, მოხალვის ბოლოსთვის კი მნიშვნელოვნად ეცემა [16,42,47-49]. რადგან საკვებში აკრილამიდის ნორმირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვანაირი ფაქტორები, ამიტომ შესაძლებელია სურსათიდან მისი სრულიად გამორიცხვა. საჭიროა იმ პარამეტრების კონტროლი, რომლებიც პოტენციურ გავლენას ახდენს აკრილამიდის წარმოქმნაზე (მაგალითად, ნედლი მასალის შერჩევა, შენახვის პირობები, საკვების დამუშავება). საუკეთესო რჩევაა – დადგენილი დიეტური რეკომენდაციების დაცვა და დაბალი შემცველობის ცხიმების და მაღალი შემცველობის უჯრედისის შემცველი ჯანსაღი, დაბალანსებული საკვების (პირველ რიგში, ხილის და ბოსტნეულის) მიღება. მიგვაჩნია, რადგან მაიარის რეაქციის პროდუქტები (მელანოიდინები) ასტრიმულირებს ტრქსინების შებოჭვაში (მათ შორის აკრილამიდისაც) მონაწილე ფერმენტების წარმოქმნას, მათი ამ უნარის გააქტიურება აღნიშნული შხამის მავნე ზემოქმედების

პროფილაქტიკის ერთ-ერთი გზაა. როგორც ირკვევა, მაღალმოლევულური მელანონიდინები თრგულავს კანცეროგენური N-ნიტროზამინების წარმოქმნასაც. მაიარის რეაქციის ინჰიბირებაში რადიკალური როლი შეუძლია შეასრულონ რძემჟავური დუღილის ბაქტერიებმა. რადგან ისინი ხარბად მოიხმარენ აღმდგენელ ნახშირწყლებს, მაგალითად, პურის ზედაპირის წინასწარი დამუშავება რმის ნაღებით ან რძემჟავა ბაქტერიების შემცველი სხვა მასალით, მნიშვნელოვნად შეაფერხებს მაიარის რეაქციის მიმდინარეობას. დადგენილია, რომ სელენის ზემოქმედებით იზრდება გლუტათიონის დონე და მცირდება ლიპდების ზეჟანგვა [50]. მოსახლეობაზე აკრილამიდის ზემოქმედების რისკის შესაფასებლად შესწავლილ იქნა სურსათის სახეობანი: პური და მარცვლეულზე დამზადებული სხვა საკვები, ბურღულეული, კარტოფილის შემწვარი პროდუქტები, ყავა. ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აღმოჩნდა შემწვარი კარტოფილის პროდუქტებში [51,52]. 10 ევროპული ქვეყნის 27 ცენტრში შესწავლილ იქნა საკვების გზით მიღებული აკრილამიდის დღიური საშუალო კონცენტრაცია მოსახლეობაში, რომელმაც შეადგინა 12-დან 41 მიკროგრამამდე ქალებში და 15-დან 48 მიკროგრამამდე მამაკაცებში. აკრილამიდის ძირითადი წყარო იყო პური, ყავა და კარტოფილი. შემჩნეული იყო, რომ აკრილამიდის დონე უფრო მაღალი იყო ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში [53].

აკრილამიდის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება კარგად შემწვარ კარტოფილში და კარტოფილის ჩივსებში [54]. რადგან საქართველოს კულინარული მრავალფეროვნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა, მოიცავს თერმულად დამუშავებულ და შებოლილ საკვებს – აკრილამიდის და სხვა კანცეროგენების შესაძლო წყაროს, უნდა ჩატარდეს ეპიდემიოლოგიური კვლევები საკვების გზით მიღებულ აკრილამიდს და სიმსივნის რისკს შორის არსებული კავშირის შესაფასებლად.

2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა რომ აკრილამიდი ბევრ საკვებში შედის, აუცილებელი გახდა ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება. ჯერ-ჯერობით არ იქნა დადგენილი საკვებთან ერთად მიღებულ აკრილამიდის დოზასა და კიბოს შორის კავშირი [55]. დღეისთვის ხელმისაწვდომ ეპიდემიოლოგიურ კვლევების თანახმად, აკრილამიდის მიღება არ არის დაკავშირებული კიბოს ყველაზე გავრცელებულ სახეობებთან, მათ შორის, კუჭ-ნაწლავის, რესპირატორული სისტემის, მკერდის, პროსტატის და შარდის კიბოს რისკის ზრდასთან.

აკრილამიდის ზემოქმედებამ შეიძლება ადამიანებში გამოიწვიოს ნევროლოგიური სიმპტომები. არცერთმა კვლევამ არ დაადასტურა საკვებთან ერთად აკრილამიდის მიღებასა და ნევროლოგიურ ცვლილებებს შორის კავშირი [54].

აკრილამიდი განიცდის მეტაბოლიზმს და ფერმენტის (CYP2E1) მოქმედებით გარდაიქმნება გლიციდამიდად, რომელიც რეაქტიული ეპოქსიდია და ფართოდ ვრცელდება ქსოვილებში. აკრილამიდი უფრო სწრაფად გარდაიქმნება გლიციდამიდად თაგვებში, ვიდრე ვირთაგვებსა და ადამიანებში. როგორც აკრილამიდი, ისე გლიციდამიდი უერთდება გლუტათიონს ფერმენტ გლუტათიონ-ს-ტრანსფერაზის საშუალებით და შემდეგ გლუტათიონის ადუქტები გარდაიქმნება მერკაპტურის მჟავებად. ეს რეაქცია წარმოადგენს დეტოქსიკაციის გზას, რადგან აკრილამიდის და გლიციდამიდის მერკაპტურის მჟავები, როგორც ძირითადი მეტაბოლიტები, გამოიყოფა შარდით.

ადამიანის მიერ ცეცხლის ათვისებამ წარმოშვა გლობალური შედეგები. საკვების თერმულმა დამუშავებამ გამოიწვია ანთროპოგენური რევოლუცია და ამოსავალ პუნქტად იქცა ადამიანის კულტურულ ჩამოყალიბებაში. ჩვენი წინაპრები მიირთმევდნენ უხეშ საკვებს, რომლის ათვისება ძნელია. ამიტომ საკვების მოპოვებასა და მონელებაზე ბევრი დრო იხარჯებოდა. შიმპანზე საკვების მოხმარებაზე რამდენიმე საათს ხარჯავს დღელამეში, ხოლო თანამედროვე ადამიანი – ბევრად ნაკლებს, დაახლოებით, ერთ საათს (რესტორნებსა და ბარებში დიდ ხანს ჯდომით. ძირითადი დრო იხარჯება ურთიერთობაზე). საკვების თერმულმა დამუშავებამ მკვეთრად აამაღლა მონელების მარგი ქმედების კოეფიციენტი, ე.ი. შეამცირა მოთხოვნა რესურსებზე და ჩვენს წინაპრებს აჩუქა თავისუფალი დრო და ენერგია, რაც უნდა მოხმარებოდა ფიქრს, სამყაროს შემეცნებას, შემოქმედებას, შრომის იარაღების შექმნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკვების დამზადებამ ადამიანს საშუალება მისცა მოაზროვნე არსებად ჩამოყალიბებულიყო.

რეკომენდაციები: საკვების თერმული დამუშავების პროცესში წარმოქმნილი აკრილამიდის კონცენტრაციის და ტოქსიკურობის შესამცირებლად მოგვყავს შემდეგი რეკომენდაციები:

1. საკუებში აკრილამიდის დონის დასაწევად, შეძლებისდაგვარად უნდა შემცირდეს ფრუქტოზის გამოყენება.
 2. აკრილამიდის ტოქსიკურობის შესამცირებლად სასარგებლოა როზმარინის ექსტრაქტის, ლიმონმჟავას და B3 ვიტამინის დამატება.

3. პროფილაქტიკისთვის საჭიროა ახალი ბოსტნეულის და ხილის მიღება.
4. პროდუქტები უნდა შეიწვას ოქროსფერ და არა მუქ შეფერილობამდე.
5. არ არის სასურველი მიმწვარი პურის, კარტოფილის და სხვა პროდუქტების მიღება.
6. შესწავლილ უნდა იქნას საკვებში ამინგუანოიდინის დამატების მიზანშეწონილობა, რადგან ბოლო გამოკვლევების თანახმად, იგი წარმოადგენს მაიარის რეაქციის ძლიერ ინჰიბიტორს.
7. მაიარის რეაქციის ინჰიბიტებაში რადიკალური როლი შეუძლიათ შეასრულონ რძემჟავური დუღილის ბაქტერიებმა, რადგან ისინი ხარბად მოიხმარენ აღმდგენელ ნახშირწყლებს. მაგალითად, პურის ზედაპირის წინასწარი დამუშავება რძის ნაღებით ან რძემჟავა ბაქტერიების შემცველი სხვა მასალით, მნიშვნელოვნად შეაფერებს მაიარის რეაქციის მიმდინარეობას.
8. ნახშირწყლებთან ერთად აკრილამიდის წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია თავისუფალი ასპარაგინი. მის შესამცირებლად სასურსათო ნედლეულის თერმულად დამუშავებამდე სასურველია ფერმენტი ასპარაგინაზის დამატება, რომელსაც ასპარაგინი ჰიდროლიზით გადაყავს ასპარაგინის მჟავაში.
9. რადგან საკვებში აკრილამიდის შემცველობაზე გავლენას ახდენს ნედლეულის შენახვა, ამიტომ აუცილებელია სათანადო პირობების დაცვა. მაგალითად, კარტოფილი უნდა ინახებოდეს ბნელ და გრილ (და არა ცივ) ადგილზე, რადგან რაც უფრო დიდხანს ინახება ბოლქვები ცივ პირობებში, მით უფრო იზრდება მასში შაქრების რაოდენობა.
10. ტემპერატურასთან ერთად ატმოსფეროც ახდენს გავლენას კარტოფილში შაქრის შემცველობაზე, რადგან ჟანგბადის დაბალი კონცენტრაცია თრგუნავს შაქრის დაგროვებას, მაშინ როცა ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდა საპირისპიროდ მოქმედებს.
11. აკრილამიდის დაგროვებაზე გავლენას ახდენს ცხობის ტექნოლოგია. მაგალითად, პურის ცხობისას ამონიუმის კარბონატის ან ბიკარბონატის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის აკრილამიდის კონცენტრაციას.
12. აკრილამიდის კონცენტრაციის შემცირება შეიძლება ტემპერატურების ოპტიმიზაციით, პროდუქტში მაქსიმალური სინესტის შენარჩუნებით და ცხობის საშუალო ტემპერატურის შემცირებით და ცხობის ხანგრძლივობის გაზრდით.
13. აკრილამიდის წარმოქმნაზე გავლენას ახდენს ზეთის სახეობა. მაგალითად, პალმის ზეთში შემწვარი ტკბილი კარტოფილი, სოის ზეთში შემწვართან შედარებით, 1,5-ჯერ ნაკლები რაოდენობით შეიცავს აკრილამიდს.
14. აკრილამიდის წარმოქმნაზე გავლენას ახდენს ზეთის სახეობა. მაგალითად, პალმის ზეთში შემწვარი ტკბილი კარტოფილი, სოის ზეთში შემწვართან შედარებით, 1,5-ჯერ ნაკლები რაოდენობით შეიცავს აკრილამიდს.
15. აკრილამიდის შემცველობაკარტოფილში წყალში მოთავსებით 40%-დე მცირდება, ხოლო ლიმონმჟავას (1 გ/ლ), კალციუმის ქლორიდის (2 გ/ლ) და ნატრიუმის ქლორიდის (0,5 გ/ლ) ხსნარებში მოთავსებით – 64-დან 77%-დე.

დასკვნები:

1. აკრილამიდი საკვებში წარმოიქმნება თერმული დამუშავების შედეგად ნახშირწყლებისა და ამინმჟავებისგან მაიარის რეაქციით, რომელიც შედგება კასკადური ქიმიური რეაქციებისგან. მაიარის რეაქცია შეძლება მიმდინარეობდეს ოთახის ტემპერატურაზეც, მაგალითად, დიდხანს დაყოვნებულ რძეში (რომელიც საკმაო რაოდენობით შეიცავს ლაქტოზას და კაზინს).
2. მაიარის რეაქციაში მონაწილე ნახშირწყლებს შემდეგი აქტიურობა გააჩნია: პენტოზა > ჰექსოზა > დისაქარიდი. ფრუქტოზა 100-200-ჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე გლუკოზა.
3. მართალია, არსებობს საკმაო გამოკვლევები ცხოველებზე აკრილამიდის კანცეროგენური და მუტაგენური მოქმედების შესახებ, მაგრამ, ჯერ-ჯერობით არ არსებობს საკმაო სტატისტიკა მისი ზემოქმედებისა ადამიანებზე. ამიტომ იგი შეტანილ უნდა იყოს ადამიანისთვის პოტენციურად საშიშ ნივთიერებათა სიაში.
4. მაიარის რეაქციის შედეგად ასევე გამოიყოფა კიდევ ერთი პოტენციურად კანცეროგენური ნივთიერება ჰიდროქსიმეთილფურფუროლი, ძლიერ ტოქსიკურ ფორმალდეპიდთან ერთად, რომლის შესწავლა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.
5. რადგან მაიარის რეაქციის პროცესში წარმოიქმნება ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნივთიერებები, მიგვაჩნია, რომ მათი მონაწილეობით მიმდინარე კომპენსატორული მექანიზმებით, შესაძლოა, ხდებოდეს ენდოგენურად წარმოქმნილ ტოქსიკურ ნივთიერებათა დეტოქსიკაცია, მაგალითად, მაიარის რეაქციის შედეგად წარმოქმნილ მელანოიდინებს შეუძლია დასკვნების მიღება.

ლია კიბოს რისკის შემცირება. გარდა ამისა, ისინი აძლიერებენ გლუტათიონ-ს-ტრანსფერაზის ჯგუფის ფერმენტების სინთეზს, რომლებიც უვნებელყოფს სხვადასხვა ქსენობიოტიკებს, რაც მომავალი სერიოზული სამეცნიერო კვლევის საგანი უნდა გახდეს.

6. საკვების თერმული დამუშავების პროცესში წარმოქმნილი აკრილამიდის კონცენტრაციის და ტოქსიკურობის შესამცირებლად მოცემულია სათანადო რეკომენდაციები.
7. რადგან საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ფართოდ მოიხმარს თერმულად დამუშავებულ და შებოლილ საკვებს, საჭიროა ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება საკვების აკრილამიდსა და სიმსიცნის რისკს შორის არსებული კავშირის შესაფასებლად.

Akrylamide – One More Potential Poison in Our Food

R. gakhokidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Acrylamide is a carcinogenic substance that is formed in foods that have undergone heat treatment. Acrylamide can be generated from food components during heat treatment as a result of the Maillard reaction between amino acids and reducing sugars. Asparagine, a major amino acid in potatoes and cereals is a crucial participant in the production of acrylamide by this pathway. High temperature cooking, such as frying, roasting, or baking, is most likely to cause acrylamide formation. Acrylamide is found mainly in foods made from plants, such as potato products, grain products, or coffee. Generally, more acrylamide accumulates when cooking is done for longer periods or at high temperatures. Cooking cut potato products to a golden yellow color rather than a brown color helps reduce acrylamide formation. Brown areas tend to contain more acrylamide. Tasting bread to a light brown color, rather than a dark brown color, lowers the amount of acrylamide. Very brown areas should be avoided, since they contain the most acrylamide. Boiling or steaming do not typically form acrylamide. Acrylamide does not form, or forms at lower levels, in dairy, meat, and fish products. The analytical determination of acrylamide in food products is most frequently performed by high performance liquid chromatographic (HPLC) or gas chromatographic (GC) separation methods with mass spectrometric detection (MS), either in selected ion monitoring (SIM) or by tandem mass spectrometry (MS/MS) in multiple reaction mode (MRM). Further epidemiological studies are required and improved approaches for the detection and risk assessment of cell mutagens should be developed, and applied to acrylamide.

ლიტერატურა:

1. Keramat J, LeBail A, Prost C and Soltanizadeh N, 2011. Acrylamide in foods: Chemistry and analysis. A review. *Food and Bioprocess Technology*, 4, 340–363.
2. Biedermann M, Biedermann-Brem S, Noti A, Grob K, Egli P, and Mändli H, 2002b. Two GC-MS methods for the analysis of acrylamide in foods. *Mitteilungen aus Lebensmitteluntersuchung und Hygiene*, 93, 638–652.
3. Stadler RH, Blank I, Varga N, Robert F, Hau J, Guy PA, Robert MC and Riediker S, 2002. Food chemistry: Acrylamide from Maillard reaction products. *Nature*, 419, 449–450.
4. Michalak J, Gujska E and Klepacka J, 2011. The effect of domestic preparation of some potato products on acrylamide content. *Plant Foods for Human Nutrition*, 66, 307–312.
5. Sanny M, Luning PA, Jinap S, Bakker EJ and Boekel MAJS, 2013. Effect of frying instructions for food handlers on AA concentration in French fries: an explorative study. *Journal of Food Protection* 76, 462–472.
6. Maillard LC, 1912. Action des acides aminés sur les sucres: formation des mélanoïdines par voie méthodique. *Compte-rendu de l'Académie des Sciences*, 154, 66–68.
7. Nursten H. The Maillard Reaction: Chemistry, Biochemistry and Implications. RSC. 2005.
- Hans-Dieter Belitz, Werner Grosch, Peter Schieberle. *Food Chemistry*. Springer; 4 th ed. 2009.
- Barham P. et al. Molecular Gastronomy: A New Emerging Scientific Discipline. *Chemical Reviews*, 2010, 110 (4): 2313–2365.
- Fohgelberg P, Rosen J, Hellenas KE and Abramsson-Zetterberg L, 2005. The acrylamide intake via some common baby food for children in Sweden during their first year of life – an improved method for analysis of acrylamide. *Food and Chemical Toxicology*, 43, 951–959.

10. Wenzl T, de la Calle MB and Anklam E, 2003. Analytical methods for the determination of acrylamide in food products: a review. *Food Additives and Contaminants*, 20, 885–902.
11. Stadler R and Scholz G, 2004. Acrylamide: An update on current knowledge in analysis, levels in food, mechanisms of formation, and potential strategies of control. *Nutrition Reviews*, 62, 449– 467.
12. Zhang Y, Zhang G and Zhang Y, 2005. Occurrence and analytical methods of acrylamide in heat-treated foods. Review and recent developments. *Journal of Chromatography A*, 1075, 1–21.
13. Oracz J, Nebesny E and Źyzelewicz D, 2011. New trends in quantification of acrylamide in food products. *Talanta*, 86, 23–34.
14. Tekkeli SEK, Önal C and Önal, A, 2012. A review of current methods for the determination of acrylamide in food products. *Food Analytical Methods*, 5, 29–39.
15. Arvanitoyannis IS and Dionisopoulou N, 2014. Acrylamide: formation, occurrence in food products, detection methods, and legislation. *Critical Reviews in Food Science and Nutrition*, 54, 708–733.
16. Elbashir AA, Omar MMA, Ibrahim WAW, Schmitz OJ and Aboul-Enein HY, 2014. Acrylamide analysis in food by liquid chromatographic and gas chromatographic methods. *Critical Reviews in Analytical Chemistry*, 44, 107–141.
17. Albishri HM and El-Hady DA, 2014. Eco-friendly ionic liquid based ultrasonic assisted selective extraction coupled with a simple liquid chromatography for the reliable determination of acrylamide in food samples. *Talanta*, 118, 129–136.
18. Burek JD, Albee RR, Beyer JE, Bell TJ, Carreon RM, Morden DC, Wade CE, Hermann EA and Gorzinski SJ, 1980. Subchronic toxicity of acrylamide administered to rats in the drinking water followed by up to 144 days of recovery. *Journal of Environmental Pathology and Toxicology*, 4, 157–182.
19. Chapin RE, Fail PA, George JD, Grizzle TB, Heindel JJ, Harry GJ, Collins BJ and Teague J, 1995. The reproductive and neural toxicities of acrylamide and three analogues in Swiss mice, evaluated using the continuous breeding protocol. *Fundamental and Applied Toxicology*, 27, 9–24.
20. Doerge DR, da Costa GG, McDaniel LP, Churchwell MI, Twaddle NC and Beland FA, 2005c. DNA adducts derived from administration of acrylamide and glycidamide to mice and rats. *Mutation Research*, 580, 131–141.
21. Young JF, Luecke RH and Doerge DR, 2007. Physiologically based pharmacokinetic/ pharmacodynamic model for acrylamide and its metabolites in mice, rats, and humans. *Chemical Research in Toxicology*, 20, 388–399.
22. GranvoglM, KoehlerP, LatzerL and SchieberleP, 2008. Development of a Stable Isotope Dilution Assay for the Quantitation of Glycidamide and Its Application to Foods and Model Systems. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 56, 6087–6092.
23. Muralidhara PSN, 2013. Neuroprotective efficacy of eugenol and isoeugenol in acrylamide-induced neuropathy in rats: behavioral and biochemical evidence. *Neurochemical Research*, 38, 330–345.
24. Zhang LL, Wang ET, Chen F, Yana HY and Yuan Y, 2013. Potential protective effects of oral administration of allicin on acrylamide-induced toxicity in male mice. *Food & Function*, 4, 1229– 1236.
25. Song J, Zhao M, Liu X, Zhu Y, Hu X and Chen F, 2013. Protection of cyanidin-3-glucoside against oxidative stress induced by acrylamide in human MDA-MB-231 cells. *Food and Chemical Toxicology*, 58, 306–310.
26. Hasseeb MM, Al-Hizab FA and Hamouda MA-H, 2013. Impacts of grape seed oil supplementation against the acrylamide induced lesions in male genital organs of rats. *Pakistan Veterinary Journal*, 33, 282–286.
27. Chen W, Feng L, Shen Y, Su H, Li Y, Zhuang J, Zhang L and Zheng X, 2013b. Myricitrin inhibits acrylamide-mediated cytotoxicity in human Caco-2 cells by preventing oxidative stress. *BioMed Research International*, 2013, Article ID 724183.
28. Alturfan AA, Tozan-Beceren A, Sehrili AO, Demiralp E, Sener G and Omurtag GZ, 2012a. Resveratrol ameliorates oxidative DNA damage and protects against acrylamide-induced oxidative stress in rats. *Molecular Biology Reports*, 39, 4589–4596.
29. Alturfan EI, Beceren A, Sehrili AO, Demiralp ZE, Sener G and Omurtag GZ, 2012b. Protective effect of N-acetyl-L-cysteine against acrylamide-induced oxidative stress in rats. *Turkish Journal of Veterinary & Animal Sciences*, 36, 438–445.
30. Dobrowolski P, Huet P, Karlsson P, Eriksson S, Tomaszewska E, Gawron A and Pierzynowski SG, 2012. Potato fiber protects the small intestinal wall against the toxic influence of acrylamide. *Nutrition*, 28, 428–435.
31. El-Halim SSA and Mohamed MM, 2012. Garlic powder attenuates acrylamide-induced oxidative damage in multiple organs in rat. *Journal*.
32. Sadek K, 2012. Antioxidant and immunostimulant effect of carica papaya linn. Aqueous extract in acrylamide intoxicated rats. *Acta Informatica Medica (AIM)*, Journal of the Society for Medical Informatics of Bosnia & Herzegovina [casopis Drustva za medicinsku informatiku BiH], 20, 180– 185.
33. Rahangadale S, Kurkure N, Prajapati B, Hedao V and Bhandarkar AG, 2012. Neuroprotective effect of vitamin E supplementation in Wistar rat treated with acrylamide. *Toxicology International*, 19, 1–8.
34. Siahkoohi S, Anvari M, Tafti MA and Hosseini-Sharifabad M, 2014. The effects of vitamin E on the liver integrity of mice fed with acrylamide diet. *Iranian Journal of Pathology*, 9, 89–98.
35. Noti A, Biedermann-Brem S, Biedermann M, Grob K, Albisser P, and Realini P, 2003. Storage of potatoes at low temperatures should be avoided to prevent increased acrylamide formation during frying or roasting. *Mitteilungen aus Lebensmitteluntersuchung und Hygiene*, 94, 167–180.
36. Powers SJ, Mottram DS, Curtis A and Halford NG, 2013. Acrylamide concentrations in potato crisps in Europe from 2002 to 2011. *Food Additives and Contaminants-Part A*, 30, 1493–1500.

37. Kumar D, Singh B, Pand Kumar P, 2004. An overview of the factors affecting sugar content of potatoes. *Annals of Applied Biology*, 145, 247–256.
38. Zyzak DV, Sanders RA, Stojanovic M, Tallmadge DH, Eberhart BL, Ewald DK, Gruber DC, Morsch R, Strothers MA, Rizzi GP and Villagran MD, 2003. Acrylamide formation mechanism in heated foods. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 51, 4782–4787.
39. Ciesarova Z, Kiss E and Boegl P, 2006. Impact of L-asparaginase on acrylamide content in potato products. *Journal of Food and Nutrition Research*, 45, 141–146.
40. Hendriksen HV, Kornbrust BA, Østergaard PR and Stringer MA, 2009. Evaluating the potential for enzymatic acrylamide mitigation in a range of food products using an asparaginase from *Aspergillus oryzae*. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 57, 4168–4176.
41. Stadler R and Scholz G, 2004. Acrylamide: An update on current knowledge in analysis, levels in food, mechanisms of formation, and potential strategies of control. *Nutrition Reviews*, 62, 449–467.
42. Lim PK, Jinap S, Sanny M, Tan CP and Khatib A, 2014. The influence of deep frying using various vegetable oils in acrylamide formation sweetpotato (*Ipomoea batatas* L. Lam) chips. *Journal of Food Science*, 79, 115–121.
43. Yuan Y, Zhang H, Miao Y and Zhuang H, 2014. Study on the methods for reducing the acrylamide content in potato slices after microwaving and frying processes. *RSC Advances*, 4, 1004–1009.
44. Surdyk N, Rosen J, Andersson Rand Aman P, 2004. Effects of asparagine, fructose and baking conditions on acrylamide in yeast-leavened wheat bread. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 52, 2047–2051.
45. Jackson LS and Al-Taher F, 2005. Effects of consumer food preparation on acrylamide formation. In: *Chemistry and Safety of Acrylamide in Food*. Eds Friedman, Mand Mottram, D. Springer+Business Media Inc., 447–465.
46. Lantz I, Ternit  R, Wilkens J, Hoenicke K, Guenther H, van der Stegen G, 2006. Studies on acrylamide levels in roasting, storage and brewing of coffee. *Molecular Nutrition and Food Research*, 50, 1039–10
47. Summa CA, de la Calle B, Brohee M, Stadler RH and Anklam E, 2007. Impact of the roasting degree of coffee on the in vitro radical scavenging capacity and content of acrylamide. *LWT-Food Science and Technology*, 40, 1849–1854.
48. Alves RC, Soares C, Casal S, Fernandes JO and Oliveira BPP, 2010. Acrylamide in espresso coffee: influence of species, roast degree and brew length. *Food Chemistry*, 119, 929–934.
49. Ali MA, Aly EM and Elawady AI, 2014. Effectiveness of selenium on acrylamide toxicity to retina. *International Journal of Ophthalmology*, 7, 614–620.
50. Sirot V, Hommet F, Tard A and Leblanc JC, 2012. Dietary acrylamide exposure of the French population: results of the second French Total Diet Study. *Food and Chemical Toxicology*, 50, 889–894.
51. ANSES (French agency for food, environmental and occupational health and safety), 2013. Note d'appuis scientifique et technique de l'Agence nationale de s curit  sanitaire de l'alimentation de l'environnement et du travail relative < l'Etude de l'alimentation total fran ais >. Demande n  2006-SA-0361.
52. Freisling H, Moskal A, Ferrari P, Nicolas G, Knaze V, Clavel-Chapelon F, Boutron-Ruault M-C, Nailleur L, Teucher B, Grote VA, Boeing H, Clemens M, Tjonneland A, Olsen A, Overvad K, Quiros JR, Duell EJ, Sanchez M-J, Amiano P, Chirlaque M-D, Barricarte A, Khaw K-T, Wareham NJ, Crowe FL, Gallo V, Oikonomou E, Naska A, Trichopoulou A, Palli D, Agnoli C, Tumino R, Polidoro S, Mattiello A, Bueno-de-Mesquita HB, Ocke MC, Peeters PHM, Wirthfalt E, Ericson U, Bergdahl IA, Johansson I, Hjartaker A, Engeset D, Skeie G, Riboli E and Slimani N, 2013. Dietary acrylamide intake of adults in the European Prospective Investigation into Cancer and Nutrition differs greatly according to geographical region. *European Journal of Nutrition*, 52, 1369–1380.
53. Normandin L, Bouchard M, Ayotte P, Blanchet C, Becalski A, Bonvalot Y, Phaneuf D, Lapointe C, Gagn  Mand Courteau M, 2013. Dietary exposure to acrylamide in adolescents from a Canadian urban center. *Food and Chemical Toxicology*, 57, 75–83.
54. EFSA (European Food Safety Authority) Journal, 2015, №13.
55. WHO (World Health Organization), 1985. WHO Taskgroup. Acrylamide. Environmental Health Criteria 49. World Health Organization, Geneva, 1985.

**დასავლეთ საქართველოს – სამეცნიეროს რეგიონის ძირითადი სასოფლო-სამეცნიერო
კულტურები XVII საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით, სამთო-კლიმატური მახასიათებლები,
ფლორა და ფაუნა, მოსახლეობის ცხოვრება—საქმიანობა და კვების თავისებურებები**

გ. როვავა¹, ი. მაისაია², თ. ბოჭორიშვილი³, ქ. კაპანაძე⁴

**კლინიკა „ჯანმრთელობის ცენტრი”¹, ბოჭორიშვილის ინსტიტუტი²,
გორის სამსჯაო პოსტაცია³, თბილისის ცენტრალი⁴**

შავი ზღვისა და კავკასიონის მთებით შემოფარგლული ტერიტორია, ულამაზესი ლანდშაფტი, ბუნების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამორჩეული საქართველო ისტორიულად მაღალი კულტურის ქვეყანაა, რომლის სახელწოდებაც მიწადმოქმედებას, ხოლო მედიცინის ჩასახვა და განვითარება გრძელებული ქალის, მედიცინის მატრიარქატის – მედეას სახელსა და საქმიანობას უკავშირდება. მას სამკურნალო მცენარეთა ჩამონათვალში შეტანილი ჰქონდა ვაზიც. „...ძველი კოლხეთის – კაბადოკისა და პონტოს ტომებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძლვის მსოფლიო მედიცინის განვითარებაში. 1792 – 1803 წლებში, ქ. ჰალეში, გერმანელმა ექიმმა და ბოტანიკოსმა კურტ იოახამ შპრენგელმა, 5 ტომად გამოსცა წიგნი „პრაგმატული მედიცინის ისტორიის ცდა”. ავტორმა უძველესი მედიცინის ქვეყნებად დაასახელა კოლხეთი, ეგვიპტე, ფინიკია, შუმერი, კართაგენი და საბერძნეთი. კურტ შპრენგელმა მედიცინის ისტორიის განხილვა დაიწყო კოლხერი მედიცინით... პონტოს მეფეები საუკუნეთა მანძილზე თავდაცვით ომებს აწარმოებდნენ მაშინდელი მსოფლიო ჰეგემონების რომის იმპერიის წინააღმდეგ პონტოს მეფე მითრიდატე VI პონტოელის სახელი გამორჩეულია მსოფლიოს ისტორიაში. იგი თითქმის 40 წელი გმირულად უმკლავდებოდა ძველი რომის იმპერიას... გამოიცნო რა მტრების ხრიკები. მან იზრუნა მოწამელის საწინააღმდევო საშუალების შესაქმნელად... მისი ანტიდოტი 54 იგნრედიენტისაგან შედგებოდა, რომელსაც ყოველდღე იღებდა აღმავალი დოზით, მიღებამდე ჯერ ხსნიდა იხვის სისხლში... მისმა მახვილმა თვალმა შენიშნა, რომ იხვები არ იწამლებიან შხამიანი მცენარეებით, მათ შხამებისადმი ჰქონდათ განსაკუთრებული მედეგობა (რეზისტენტობა). სამწუხაროდ მას ეს აღმოჩენა მეტად ძვირად დაუჯდა. რადგან, როცა რომაელებთან დამარცხდა, ცადა თვით-მკვლელობა შხამით სცადა, მაგრამ შხამი ვერ მოერია მიჩვევის გამო. ამიტომ მით-რიდატემ სთხოვა თავის ერთგულ ჯარისკაცს მახვილით მოეკლა და ამით სამარცხვინო ტყველია თავ-იდან აეცილებინა. მითრიდატე პონტოელის მაღალნიჭიერებაზე მეტყველებს ისიც, რომ მან 22 ენა იცოდა, 16 ცხენიან ეტლს მარტო მართვდა და თავისი, მრავალათასიანი არმიის თითოეულ ჯარისკაცს სახელით იცნობდა.... კაპადოკიის და პონტოს გამოჩენილი მეცნიერები და ექიმები ცნობილია მთელ მსოფლიოში: ესენია არეთა კაპადოკიელი, წმინდა ბასილი დიდი (კაპადოკიელი), გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანელი და სხვა. არეთა კაპადოკიელი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში. მან აღწერა დიფტერია, ტეტენუსი, ასთმა, პნევმონია, თავის ტვინის მხედველობის ნერვის ჯვარედინი და სხვა. შეისწავლა კარის ვენა. ხშირად იყენებდა პერკუსიას პლევრიტების დიაგნოსტიკაში. მან აღწერა კრონის დაავადებაისთვის დამახასიათებელი ცვლილებები: დიარეა რომლის სახელწოდებაც თვითოვვე მოაწოდა, მოგვცა ნაწლავთა აშლილობის კლასიფირი აღწერა. პირველად შემოტანა ტერმინი „დიარეა”. არეთამ პირველად აღწერა შაქრის ავადმყოფობა და უწოდა მას „დიაბეტი“. არეთა კაპადოკიელი ცნობილია როგორც ნერვიული და ფსიქიურ დაავადებათა უბადლო მკურნალი. აღწერა ცერებრული დამბლები, მელანქოლია, ნევროზები და სხვა... მსოფლიო მედიცინის ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა სასულიერო მოღვაწემ – წმ. ბასილი დიდმა (კაპადოკიელმა). იგი დაიბადა პონტოში, ქალაქ ნეოკე-სარიაში. სადაც ცხოვრობდნენ კოლხერი ტომები. მისი დედ-მამა კოლხები (ზანები იყვნენ). ოჯახი ამაყობდა, რომ იყვნენ კოლხები, რადგანაც ისინი მათ თვლითან უმამაცეს ვაჟეცაცხად, უბადლო რიტორებად და ქველმოქმედებად... ბასილი დიდმა – 370 – 78 წლებში კესარიაში (კაპადოკია) გააშნა სამედიცინო ქალაქი ქალაქში. ის იყო პირველი სავადმყოფო კომპლექსი მედიცინის ისტორიაში. სამედიცინო ქალაქი შედგებოდა სასნეულო სახლებისაგან (სავადმყოფოებისაგან), სადაც საზედამშედველო და საკარანტინო სამსახურის მსგავსი სავადმყოფოები ევროპაში მხოლოდ 5 საუკუნის მოგვიანებით გამოჩნდნენ. მანმადე კი მე-5 საუკუნეში ქართლის დედოფალმა შექმნა სავადმყოფოთა სისტემა, რომელიც ქვეყნის გზაჯვა- რედინზე გაშენდა. ამ სავადმყოფოს დანიშნულება იყო სამკურნალო-საკარანტინო საქმიანობა. დედო-ფალ ბაკურდუხტის

და მეუე ვარაზ ბაკურის შვილმა მურმანოზმა (პეტრე იბერმა), რომლის მოძღვარი იოანე ლაზი იყო, პალესტინაში დაარსა სნეულთა სახლი (სააგადმყოფო), სადაც სამკურნალო საქმიანობას ეწეოდა.... სასწეულო სახლებში წმინდა ბასილი კურნავდა სიტყვით, დიეტით და სამკურნალო მცნარეებით. მისი გარდაცვალების შემდეგ სამკურნალო სახლებს „ბასილია“ ეწოდა. წმ. ბასილი დიდის სახელი ფრიად ცნობილია გურიასა და სამრელოში” (41).

საქართველო მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა ბუნებრივი მაღალი და საშუალო-მინერალიზირებულ-სამკურნალო-სასმელი და დაბალმინერალიზირებული მტკნარი სასმელი წყლების მარაგებით. ჩნი ქვეყანა ცნობილია აგრეთვე, როგორც მარცვლოვანი კულტურებისა და ღვინის სამზობლო. ქართული ხორბალი, ქერი და ფეტვაირი კულტურები ადასტურებს საქართველოს უნიკალურ პრეისტორიულ კულტურას. მიწათმოქმედების პირველი ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე თარიღდება მეზოლითის პერიოდით. შორეული წარსულიდან დღემდე ფრაგმენტების სახით მოღწეულია ხორბლის სახესხვაობებისა და სახეობათა დიდი მრავალფეროვნება. უძველესი კოლხური კულტურების რელიქტებში (მახა, ზანდური, ძველი კოლხური ასლი) ნათლადაა წარმოსახული ხორბლის ევოლუციის თითქმის ყველა ეტაპი (Menabde 1948). საქართველო მდიდარია მრავალფეროვანი ლანდშაფტებით და სამეგრელოს ბუნება ამ მხრივ განსაკუთრებულია უძველესი ნასახლარებით, ტაძრებითა და ციხე-სიმაგრეებით, საოცარი ისტორიებითა და მითებით, ულამაზესი ხეობებით, ჩანჩქერებით, დაბლობებისა თუ ალპური ტბებით, ბევრი საოცარი მღვიმეებით, კლდეებში განთავსებული ტბით – ტობა ვარჩხილი (ვერცხლის ტბა). კოლხეთის დაბლობი შავი ზღვის სანაპირო (საბჭოთა კავშირის დროს) ცნობილი იყო, დღეგრძელ (უხუცეს) ადამიანების ერთ-ერთ მჭიდრო დასახლების ადგილად (შ. გოგოხია; გ. ფიცხელაური; ნ. ყიფშიძე, ზ. დუმბაძე). „... სამეგრელო ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ცნობილი და ამავე დროს, მრავალმხრივ საინტერესო მხარეა....იგი დასავლეთით დეფორმირებულ პარალელოგრამს ჰგავს. მისი ფართის ნახევარი, უმთავრესად ჩრდილოეთ ნაწილში, დაფარულია ქედებით, რომლებიც კავკასიონიდან ეშვებიან და ვაკეს უერთდებიან 42° , $20'$ განედზე.... ქედები ზღვის დონიდან 7, 8, 9 ათასი ფუტია. ღოლაშის სიმაღლე 8978 ფუტია, ხოლო საჩქეს (ოსაჩქე) 7073 ფუტი. ყველაზე მაღალი მწვრვალი ცაშკიბული 42° $47'$ ჩრდილოეთის განედზე მდებარეობს. სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილში დანარჩენი მწვერვალებია: ურულაფუ, ყვირა, ქლაში, ნატოლოფუ, ობორიე. მათ ყველას თითქმის ერთი სიმაღლე აქვთ. მთები 42° $39'$ განედიდან სამხრეთ-დასავლეთით დაბლდებიან და ამ-ით განსაზღვრავენ მდინარეების მიმართულებას, რომლებიც ერთმანეთის პარალელურ ხეობებში მიედინებიან. აქ ქედების სიმაღლე 2000 ფუტამდეა. შავ ზღვასთან ყველაზე ახლოს აღმართული ურთას მთის სიმაღლე მხოლოდ 1 909 ფუტი, რაც შეეხება შეხვის, ეკის, ნაკოლუსა და კიწის მთებს, ისინი კიდევ უფრო ნაკლები სიმაღლისა არიან. კაგასიონის ქედით სამეგრელო რუსეთის სიცივისაგან არის დაცული და ლიხის მთით კი გამოყოფილია საერთო კონტინენტალური ჰავისაგან. მცირე კავკასიონის მთებით სამხრეთის ქარებისაგან იზოლირებული სამეგრელო აღმოსავლეთის ქარისაგან დაუცველი რჩება. ამავე დროს ეს ქვეყანა სრულიად გახსნილია შავი ზღვის წვიმებიანი ქარების სასარგებლო გავლენისათვის; აქ ზომიერი ჰავაა და ნაკლებად ცხელი, ვიდრე ქვეყნის მდებარეობას შეეფერება. ზამთარი ნაკლებად მკაცრია და ზაფხული უფრო გრილი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. სამეგრელოს რელიეფი დაღარულია მდინარეებით, ნიაღვრებით, წყაროებითა და ჭაობებით, რომელთაც აღიღილობრივი რელიეფის წყალობით წვიმის სიუხვე და თოვლის დნობა წარმოქნის. თოვლიანობა აქ რბილი ტემპერატურის გამო ხანგრძლივი არ არის. თითქმის ყველა მდინარე სათავეს ჩრდილოეთში იღებს, იმ პირველივე მთების ძირში, სადაც ზღვიდან წამოსული ღრუბელი ჩერდება. ამ მდინარეების სიგრძე საშუალოდ 50–60 კილომეტრია. სხვა-დასხვა შენაკადების წყალობით გადიდებული ენგური და ცხე-ნისწყალი სამეგრელოს აღმისავლეთისა და დასავლეთის მხრიდან შემოსაზღვრავენ; მათი სიგრძე 200 და 290 კილომეტრია მთების მიმართულებას ჩამოყოლილი პატარა მდინარეები სამხრეთ-დასავლეთის მიერართებიან, შემდეგ მარცხნივ უცვევებ და დაბლობზე გადიან. მათი უმეტესობა შავ ზღვაში რიონის, ხობის დაენგურის მეშვეობით ჩაედინება. პატარა მდინარეების დიდი ნაწილი სიჩქარისა და სახიფათოობის გამო ხეების დასაცურებლადაც გამოისადეგარია, წერდა 1884 წელს ათვის წიგნში ჟიულ მურიე. სამეგრელოში უმაღლესი მთა არის ჭითაგვალა (წითელი მთა), მისი მწვერვალი 3226 მეტრია ზღვის დონიდან, რომლის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ კალთაზე ტრანზიტული, მძლავრი და წყალუხვი მდინარეებია: ენგური, ცხენისწყალი და რიონი. სამეგრელო თავისი ისტორიული წარსულითა და ადათ-წესებით ძალიან საინტერესო მხარეა. ბერძნები, კოლხებს ბიბლიური ნოეს შვილის – იაფეტის

შთამომავლებად თვლილნენ. ჰეროდოტე კი მათ ეგვიპტური წარმოშობის ხალხად მიიჩნევდა. ნიკოლოზ დამასკელი წერდა, რომ კოლხები მიცვალებულს მიწაში არ მარხავდნენ, არამედ ტყავში ახვევდნენ და ხეზე კიდებდნენ. ჰეროდოტეს ცნობით, მათ ტრადიციად ჰქონდათ წინადაცვეთა. ანტიკურ ხანაში სამეგრელო კოლხეთის ნაწილს და მის შუაგულს შეადგენდა. თანამეროვე ეპოქამდე ამ რეგიონს ლაზიკის და ეგრისის სახელმწიფოდაც მოიხსენიებდნენ. მისი პოლიტიკური ცენტრი არქეოპოლისი (ნოქალაქევი) იყო. სწორედ მას უკავშირდება არგონავტებისა და ოქროს საწმისის მითი. სამეგრელო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელიც მდინარე რიონს, ცხენისწყალს, ენგურსა და შავ ზღვას შორის არსებულ ტერიტორიას მოიცავს. მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ზუგდიდი. „მეგრელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკმაოდ უზადო და გასაოცრად ლამაზები არიან, მამაკაცები წვრილი წელით, აშოლტილი, პროპორციული აღნაგობით, ღონიერი, თანდაყოლილი სიკონტავით, რომელი კლასისაც არ იყენებ ისინი, მაღალი ფენის ადამიანების მიხვრა-მოხვრა აქვთ. მეგრელები არ თვრებიან, თავდაჭერილები, გულადები, რაინდები არიან და ძალიან უყვართ ცხენები. მიუხედავად იმისა, რომ კბილებამდე შეიარაღებულნი არიან, მშვიდობიანი ხასიათი აქვთ და იარაღს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ხმარობენ. ისინი გულითადები და უზომოდ თავაზიანნი არიან, ზოგჯერ მეტისმეტადაც კი — მათ ურჩევნიათ იცრუონ, ვიდრე გაწყენიონ. მეგრელებს სტუმარ-მასპინძლობის კულტი აქვთ. ბუნებისგან მინიჭებული სხარტი აზროვნების წყალობით მათ ყველაფერზე აქვთ საკუთარი შეხედულება, რომელიც არც საკმარისად ღრმაა და არც უტყუარი, მაგრამ შეუძლიათ საუბრის წარმართვა და ენამოსწრებულებიც არიან. ისინი ნებისმიერ სიტუაციაში ამჟღავნებენ გონიერებასა და მოხერხებულებას. გამჭრიახები, მოურიდებელნი, ახლობელზე ძვირის მთქმნელნი, ექსანსიურები, შხიარულები, უჭვიანები, დაუზარლები, უდარდელები და გულჩვილები — ამ თვისებებს ალბათ კლიმატური პირობები განაპირობებს... ტანსაცმელს აქ დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩოხა (ჩერგეზკა) შავი ან ფერადი მუხლებამდე სიგრძის, გრძელი შემოსაცმელია, რომელიც ისე იკვრება, რომ აჩენს ახალუხს — შალის ან აბრუშუმის ერთგვარ ტუნიკას, სწორი მაღალი საყელოთი. მეგრდის ორივე მხარეს დამშვენებული აქვს დანაყოფები ცილინდრული ქილებისათვის. ეს ქილები მფლობელის სიმდიდრის მიხედვით შეიძლება იყოს სპილოს ძვლის, ფოლადის, გაპრიალებული რკინის, ხის, ვერცხლის ან მოქერილი ვერცხლის და ზოგჯერ მათ ნამდვილი მასრებით ცვლიან. წელზე მაგრად მოჭერილი ტყავის ქამარი დამშვენებულია ვერცხლის მოსართავებით. ქამარზე ჩამოკიდებულია ხანჯალი — ორლესული სატევარი. მამაკაცების უმეტესობა წვერს ატარებს, ხოლო გრძელი თმა უკან აქვთ გადავარცხნილი. თავსაბურავად ხმარობენ ფაფახს (კარაკულის ქუდი) ან მხარზე გრაციოზულად გადაკიდებულ ბაშილაფის (ყაბალახი), რომელსაც წვიმის ღროს თავზე იხურავენ კაპიუშონის ან, უფრო ხშირად, ჩალმის მსგავსად. ბაშილაფის თავზე შემოხვევა მთელი ხელოვნებაა. იგი პრაქტიკულიც უნდა იყოს და მოხდენილიც; მისი შემოხვევის მანერა თითოეულს თავისებური აქვს. ფეხზე იცვამენ თხის მოქნილი ტყავის წუღალს — ერთგვარ ფეხსაცმელს, რომელსაც რბილი ლანჩა და ზემოთ აწეული ცხვირი აქვს. შალის ან ტყავის საწვივები მუხლის ზევით ადის. დაბოლოს კოსტუმს ასრულებს აუცილებელი ნაბადი ანუ ბურკა, გრძელი მატყლის წყალგაუმტარი პალტო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ქვეშაგებადაც ხმარობენ. მეგრელი ქალები ამართლებები თავის რეპუტაციას (ალექსანდრე დიუმას ქართველებზე მახვილგონიერად დაწერილ კალამბურს)... შავგვრემანი თუ ქერა, თითქმი ყველა ლამაზია. აბრეშუმივით რბილი, ხშირი, შუაზე გაყოფილი თმა გრძელ ნაწინავებად ეცემათ მხრებზე. მკაცრი და სწორი შუბლი აქვთ. ოდნავ მორკალული წარბების ქვეშ მრგვალი თვალები უბრწყინავთ; ხშირი და გრძელი წამწამები ლოფაზე ჩრდილად ეფინებათ. მათ არწივისებური ცხვირი და პატარა კოხტა ფურები აქვთ. ძირითადად ფერმკრთალებს, სახეზე ოდნავ ავადმყოფური ფერი დაპრავთ. შსოფლიოში ყველაზე თეთრი ჩაწიგწიგბული კბილები აქვთ და ტუჩების კუთხებში კი შსუბუქი ნაოჭები, რომელებიც სახეს ამაყ გამომეტყველებას აძლევს. მათი ღიმილი მომხიბვლელია. მეგრელი ქალები მაღლები არიან, გამოირჩევიან კარგი აღნაგობით, მაღალი მეგრდით, რომელიც არასდროს არის კორსეტში გამომწყვდებული და განვითარებული თეძოები აქვთ, რაც მიანიშნებს დედობისადმი ბუნებრივ მიღრეკილებაზე. ლამაზი მკლავები და თხელი მტევნები აქვთ, რომლებსაც მაღალი უვლიან ... ტკბილი ხმა აქვთ და ხმას იშვიათად უწევენ, რადგან ხმადაბალი საუბარი კარგ ტონად ითვლება. პატარა ფეხებს ყოველთვის მაღავენ, ტახტზე უდარდელად მოკალათებულები — კატის მოქნილობასა და გრაციოზულობას ამჟღავნებენ. რევერანსის გაკეთებაში განსაკუთრებით დახელოვნებულნი არიან. ქალბატონები შეხვედრისას ერთმანეთს მხრებზე ან წელზე შემოხვევენ ხოლმე ხელს. ...მათ ბუნებრივ წარმოსაღებობაში არაფერია ხელოვნური; ოდნავ პრანჭია ქცევის მანერა აქვთ, მაგრამ უნაკლოდ ტაქტიანები, საოცრად ყურადღებიანები და თავაზიანები არიან სტუმრებისა და მეგობრების მიმართ....

ქალების ტანსაცმელი ასეთია – პერკალის კოფტა წინ გახსნილია; მკვიდრად ნაქსოვი ტილოს გრძელი ქვედა საცვალი წელზე და კოჭებთან მჭიდროდ აქვთ შეკრული; ზოგჯერ კაბის ქვეშ ჩასაცმელი რუშებიანი ქვედაბოლი აცვიათ; კაბას გრძელი შლეიფი აქვს, რომელსაც მიწაზე მისდევს და რა ამინდიც არ უნდა იყოს მას მაღლა არ ასწევენ. თავზე ახურავთ დიდი თეთრი ან ზოლიანი ლებაქი, რომლის ტოტებიც მხრებზე აქვთ დალაგებული... მეგრული ქალი მეუღლესთან ერთად საზოგადოებაში იშვიათად ჩნდება... მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის სტუმართმოყვარეობა ისეთი გულითადი, უანგარო და მაღლიანი, როგორც სამეგრელოში. არსად არ მოაქვს მას ამდენი სიამოვნება მასპინძლისათვის... მასპინძლისათვის სტუმრის მოსვლაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს... ნუ იფიქრებო, რომ მხოლოდ ერთი ხანმოკლე და რამდენიმე საათიანი სტუმრობისათვის გაიწევა ასეთი ხარჯი. შესაძლებელია სრულიად უცნობი ადამიანი მოუღლონდელად ესტუმროს ოჯახს და რამდენიმე დღე დარჩეს! მასპინძლებისათვის ეს ღირსების საკითხია, ამიტომ იგი გაორმაგებული გულუხვობითა და ხელგაშლილობით იღებს ასეთ სტუმარს, თუმცა ამან შეიძლება სრულად გააკოტროს მისი ოჯახი... გლეხთა საცხოვრებელი სახლები ნედლი გათლილი ხისგან კეთდება და ისლით (ჩალის ერთ-ერთი სახეობა) იხურება... ასეთი სახლები ზაფხულში გრილი, ზამთარში კი თბილია. მის ასაშენებლად, ჯერ ოთხივე კუთხეს აშენებენ, შემდეგ ამ კუთხებს ერთმანეთთან კრავენ ერთმანეთზე ჩადგმული განივი კოჭებით; კარის ჩარჩოს სიგრძეზე მოთავსებულ ღარებში ფიცრებს აცურებენ, სახურავი ეყრდნობა ოთხ ჩალანგარს, რომლებსაც ლატნი და იატაკიდან სახურავის წვერამდე აღმართული რამდენიმე კოჭი იკავებს. ასეთი ნაგებობები, რომლებსაც ლუსმნის გარეშე აშენებენ და, შესაბამისად, მათი დაშლა და სხვაგან გადატანა ადვილად შეიძლება, საკმაოდ მყარია...

შეძლებული მემამულე სხვა ტიპის ნაგებობაში ცხოვრობს. ნაკლებად პრიმიტიულში და კომფორტულში. გარანდული კოპიტისაგან ან მუხისაგან აშენებული ასეთი სახლები ერთსართულიანია. ნაგებობის ქვედა ნაწილი ქვისა, გარედან კირითა შელესილი კარ-ფანჯარა თაღისებურია – სასულ ყაიდაზე გაკეთებული. შენობა თბება ბუხრით, რომელშიც ცეცხლი ღიად ანთია. სახლის ფასადზე და, ზოგჯერ გვერდებზეც, გრძელი გადახურული აივანი დაუყვება – ხეზე ფივურული ამონაჭრებით. აიგნი საგულდაგულოდ გაკეთებულ ბოქებს ეყრდნობა. სახლებს დაქნებული სახურავი აქვთ – ცულით გაპობილი მუხის თხელი ფიცრები, რომლებიც ერთმანეთზე კრამიტებივით სამ ფენად აწყვია.... საცხოვრებელი სახლების უმეტესი ნაწილი განლაგებულია ოდნავ ამაღლებულ ტაფობზე, სადაც ჰარი უკეთესია ვიდრე დაბლობზე. ზოგიერთი სახლი ტყის სიღრმეშია ჩაღვმული... სამოსახლო აღვილს დიდი ყურადღებით არჩევენ. იგი აღმოსავლეთის ქარისაგან უნდა იყოს დაცული... გლეხები იშვიათად აგებენ სახლებს გზის ნაპირას და თუ მაინც ააგეს, ასეთ შემთხვევაში ეზო ყოველთვის ბლაგვ კუთხეს ქმნის გზასთან მიმართებაში... ჩვეულებრივ, სახლი ამწვანებული ხების მიღმა არის ჩამაღლული. ვიწრო ბილიკი იქმდე ზიგზაგებით მიდის. ეზოს გარშემო შემოვლებული წნული ღობე გარედან შემოსული საქონლისაგან იცავს სიმინდსა და ხილს, და, განსაკუთრებით, გარეშე თვალთაგან ნიღბავს იქ მიმდინარე ცხოვრებას... ქორწინება, ნიშნობა მოსახლეობის ყველა ფენაში განსაკუთრებული დღესასწავლია. ერთ საღამოს ფერუმარილით, ძვირფასი სამეცაულებითა და თავსაბურით განსაკუთორებლად მორთული, მშობლებითა და მეგობრებით გარშემორტყმული ახალგაზრდა ქალი სადარბაზო ოთახში საქმროსა და მისი მშობლების მოსელიას ელოდება. ახალმოსულნი შემოდიან და ოთახის ერთ მხარეს სხდებიაქნ. საქმრო ისევე მდუმარეა, როგორც საცოლე. შემოსულები ოფიციალურად ითხოვენ ქალიშვილის ხელს, რაზეც ქალის მშობლები ჰასუხობენ: „თქვენ ჩვენთვის მოსაწონი და პატივსაცემი ბრძანდებით“. ამის შემდეგ ქალ-ვაჟის მშობლები ერთმანეთს სამჯერ მიესალმებიან. ამ დროს სასიძოს მამა წამოდგება, მას ხელში ნიშნობის ბეჭედი უჭირავს, რომელსაც თავისი შვილის სახელით საპატარძლოს თითზე გაუკეთებს. ამ საჩუქარს თან ერთვის ხატი და ქარვის მძივების ასხმა. ნიშნობა საზეიმო ვახშმით მთავრდება. თუმცა ქორწილი ერთი, ორი ან სამი წლის შემდეგ იმართება. მთელი ამ ხნის განმავლობაში საპატარძლოს შეუძლია ცალკე თავას მიღოლოს სასიძო... ქორწილი სასიძოს ოჯახში იმართება. ვაჟის მშობლები და მეგობრები დიღითვე მიდიან ქალის წამოსაყვანად, ხოლო სასიძო კი მოთმინებით იცდის სახლში. ქორწილში უამრავი ხალხია დაპატიუებული. სადღესასწავლო ტანსაცმელში გამოწყობილი სტუმრები ცხენებზე ამხედრებული მოდიან და თან მოაქვთ ყველანაირი საჩუქარი, ყველაზე ხშირად კი ფული... საქორწილო ზეიმისთვის ღია ცის ქვეშ აკეთებენ ერთგვარ კარავს – ხის დაწნულ ტოტებზე ნაჭერია გადაფარებული, რომელიც შეგნიდან გჩირაღდნებულია. კარავში ოთხივე შხარეს აწყობენ ორას ან სამას სტუმარზე გათლილ გრძელ მაგიდებსა და სკამებს. მაგიდები იმდენად ვიწროა, რომ სტუმრები

მის მხოლოდ ერთ მხარეს სხდებიან. შუაში დატოვებული თავისუფალი ადგილი ცეკვებისთის არის განკუთვნილი... პატარძლის მაყრიონი სახლს ნახევარი კილომეტრით რომ მოუახლოვდება, ერთ-ერთი მაყარი ცხენის ჭენებით დაწინაურდება და სასიძოს ოჯახს იარაღის სროლით აცნობებს პატარძლის მოახლოებას. ყველა დაფაცურდება, დედამთილი კი სახლის ზღურბლთან დგება ხელში ნატეხი შაქრით, რომ პატარძალს პირში ჩაუდის და უსურვოს „ტებილი ცხოვრება და ტებილი ენა“. ეს მშვენიერი ჩვეულებაა... მაყრიონის წინ პატარძალი მოაბიჯებს, რომელსაც გვერდით მიჰყვება ოჯახის ძველი მეგობარი ან მიძა. იგი პატარძალს მისთვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანს და გამოაწყობს და ტუალეტის დამთავრების შემდეგ გარეთ გამოიყვანს. სიძეს მოიყვანენ და მაყრიონი ეკლესისაკენ მიემართება... ამ დღიდან მეჯვარე ოჯახისა და, განსაკუთრებით პატარძლის მეგობარი ხდება. სწორედ მან უნდა მონათლოს პირველი შვილი... ჯვრისწერის შემდეგ ყველა ულოცავს და ისინი ეკლესიდან გადაინ. ეკლესის კართან დგას ორი სტუმარი ხელში გადაჯვარედინებული ხმლებით, რომლის ქვეშაც ჯვარდაწერილებმა უნდა გაიარონ. ამის შემდეგ იწყება მხიარული სიმღერები. დღესასწაულის ნიშნად იწყება თოფის სროლა და ყველანი მიემართებიან სახლისაკენ, სადაც დიდი ზეიმისათვის უპვე ყველაფერი მზად არის. სახლში შესვლის წინ ერთი მაყარი პატარძალს მიართმებს თანხას, რომელიც მისთვის შეაგროვეს სტუმრებმა. ახლო ნათესავები მას მიართმევენ სამკაულს, ქამრებს და სხვა. შემდეგ მოპყავთ 7-8 წლის ბიჭი, რომელსაც კალათაში ჩაუსვამენ დედოფალს და ამ დღიდან იგი მისი აღსაზრდელი ხდება. ამის შემდეგ ნეფე-დედოფალი იმ დარბაზში შედის, სადაც სუფრაა გაშლილი... პატარძალს პირბადე ჯერ კიდევ უკეთია. მის გარშემო მისი ყველაზე ახლობელი მეგობარი ქალები სხდებიან. საზეიმო ვახშამზე, რომელიც მთელ დამტე გრძელდება, უამრავ სადღეგრძელოს ამბობენ, უზომოდ სვამენ, თან მრავალქამიერს მღერიან და პატარძალს უსურვებენ: „შენი ფეხი ბედნიერი იყოს! ღმერთმა ინებოს შენი ბედნიერება!“ მოსული და დამხვდური მაყრები ერთმანეთს სმაში ეჯაბრებიან და ყველა მათგანს მოხარშული საქონლის ან ცხვრის უზარმაზარ ნაჭრებს მიართმევენ. ყველაზე საამაყო საქმედ 6-7 საათის განმავლობაში სუფრიდან აუდგომლად ღვინის სმა და სასმისის ბოლომდე გამოცვლა ითვლება! საზეიმო სუფრას აუცილებლად მეთაურობს ტოლუმბაში, რომელიც სადღეგრძელებს სთავაზობს დამსწრებას. შეა ვახშამზე პატარძალს, პირბადის მოხსნის ნებას რთავენ. იგი სუფრაზე დაახლოებით კიდევ ერთი საათი რჩება. შემდეგ მისი თანმხლები ქალბატონი დედისაგან პატარძლის საძინებელში წაყვანის ნებართვას იღებს, მაგრამ ისე, რომ ეს დამსწრეთაგან არავინ შენიშნოს. პატარძლისათვის მხოლოდ იქ მიაქვთ მსუბუქი ვახშამი, რის შემდეგ ის წვება, მისი მხებელი ქალბატონი კი კართან ნეფეს ელოდება. „რა მოგაქვს?“ – ეკითხება იგი სიძეს. ნეფე ქალბატონს რამდენიმე მონეტას ჩაუდებს და ოთახში შედის. საზეიმო სუფრა გრძელდება. განთიადზე სიძე ოთახიდან გამოდის და ლოგინში მისი ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად რამდენიმე რუბლს ტოვებს. პატარძლის თანმხლები ქალბატონი საძინებელში შედის და პატარძალს ჩაცმასა და მორთვაში ეხმარება... ქორწილის მეორე დღეს მარულა ეწყობა, გამარჯვებულებს პირზებს გადასცემნ და შემდეგ ისევ სუფრას მიუსხდებიან. საღამოს მოახლოებისას სტუმრები წასასვლელად ემზადებიან და მათ თან მიაქვთ ის, რისი ჭამა ვერ მოასწრეს. ახალდაქორწინებულები მეჯვარესა და მშობლებს ჩუქნიან: ცხენებს, იარაღს და სხვა. ერთი კვირის შემდეგ საჩუქრებით დატვირთული პატარძლის თანმხლები ქალბატონი ახალდაქორწინებულების სახლს ტოვებს და შინ ბრუნდება. გლეხებთან მზითევი მაყრიონს მოაქვს თან. მზითევი სიძისათვის განკუთვნილი გარკვეული რაოდენობის ნაღდი ფულის გარდა შედგება მყვირალა ფურებით შედებილი და ჭედური ორნამენტებით მორთული ხის სკივრებისგან, რომელებშიც პატარძლის შეკერილი ლეიბები, ბალიშები, საბნები და თეთრეული აწყვია. შეძლებულ ფენებში მზითევს სიძის ოჯახში ქორწილის დილას ან წინა საღამოს მიაქვთ... მეფის ბრძანებით დაწერილი ერთი ხელნაწერი ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII-XVIII საუკუნეებში მეფის ასულის აღზრდასა და მისი მზითევის შესახებ... უმდიდრესი და უამრავი ოქროსა და ძვირფასი თვლებით მორთული ტანსაცმელი და საოჯახო ნივთები და ა.შ. გარდა ამისა მეფე პატარძალს ქვრივ ქალს ატანდა, რომელსაც საკუთარი ნივთები და ცხენის აღკაზმულობა მიპქონდა თან. პატარძალს აგრეთვე თან მიჰყებოდა აურაცხელი ტანსაცმლით, ტაულეტის ნივთებით, ბეჭდებით, ოქროსა და ვერცხლის თასებით დატვირთული აღმზრდელი მოახლე, ასევე ატანდნენ ქვეშევრდომებს: მოლარეს, სეფექალს, რომელსაც ქალბატონის ოთახში უნდა დაეძინა; ორ სხვა სეფექალსა და მსახურს/მსახურთ უფროსს, მერიქიფეს, ქალბატონის პირად მსახურ ქალს, ქონების მართველსა და ზედამსედველს, დიაკვანს, მსატვარს, სასახლის ზედამსედველსა და მზარულს... როდესაც ოჯახში ვინმეს სიკვდილის უამი დგება... მოკვდავთან მარტო მისი ახლობელი ადამიანი რჩება, რომ მან თვალები დაუზუქოს... დაკრძალვას გარდაცვლილის ყველა ნაცნობი ესწრება – მტერიც და მოყვარეც. ყველა საუცხოოდ

ირთვება, მოსულები ხმამაღლა ჭირილს მხოლოდ მაშინ წყვეტის, როდესაც ზარის ხმა ახალი ადამიანის მოსვლას აცნობებს. ახლადმოსულებს ეპისკოპოსი ან მღვდელი საცმეველით ხელში ხვდება. ზოგ პიროვნებას უკან მიყვება ხალხი, რომელიც იწყებს უსიტყვო სამგლოვარო გალობას – ზარი. ეს არის მეტად გულშიამწვდომი მელოდია. სამგლოვარო ჰარმონია, რომელიც რელიგიურ ჰიმნს ჰგავს. განსაკუთრებით გამოიჩინება ერთი მოძღვრლის მაღალი ხმა, რომელსაც სახლში შესვლისას გულისგამგირავი კივილი აღმოხდება. ახალმოსული, რომელსაც თან მეგობარი იჭერს, მიცვალებულის წინ ჩაიმუხლდებს, ასე დაღვრის ცრემლს და დაემშვიდობება თავის ამხანაგს. ტირილის შემდეგ ყველა მომსვლელი მიდის დილიდან გაშლილ დიდ მაგიდასთან, საჭმლის გასინჯვა ყველასათვის საგაღლებულოა. აქ ყველაფერი უხვად არის – თევზეული და ხიზილალა, სიმინდი. ღომი, მწნილი, ბრინჯი ზეთით, ღვინო. სუფრა აღბათ დიდხანს გაგრძელდებოდა, შებინდებისას მღვდელი რომ არ შეახსენებდეს დამსწრებებს დაკრძალვის დროის მოახლოებას. ყველა ღვება, ქალი თუ კაცი სანთლით ხელში ლოცულობს და უკანასკნელად ეამბორება მიცვალებულს. სწორედ ამ დროს ცოლის ქმრის ცხედრიდან, ან შვილის მამის ცხედრიდან მოშორება შეუძლებელია. სწორედ ამ დროს ძლიერდება ტირილი და კივილი! აქედან ეკლესიისაკენ მიაქვთ კუბო, რომელშიც ცოლმა თავისი მოჭრილი თმა ჩაყარა, ეკლესიიდან კი სასაფლაოზე, სადაც ყველაზე ახლობელი ნათავები საფლავში მიწის პირველ გოროხებს აყრიან... ამ მეტად თავისებურ ცერემონიას რელიგიური ხასიათი ჰქონდა... (წერს უკულ მურიე 1884 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში 'LA MINGRELIE (ANC-IENNE COLCHIDE) – ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ, გამომც. „არტანუჯი“ თბ. 2018წ).

ლევილის ქართულ მამულში, კონცეფციის თანახმად მეგრული ოდა (ზის) სახლი, როგორც ტიათურად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული, დახვეწილი არქიტექტურის ფორმის საცხოვრებელი ნაგებობა დაიღმება და მამულის რესტავრაცია (2017 - 2026 წწ) დასრულდება. ეს ადგილი იქნება ქართული კულტურის ცენტრი არა შხოლოდ საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში. რაც მეტად მისასალმებელია. ქართული აკადემია – ლევილის ქართული მამული საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებად გადაეცა 2016 წლის ნოემბერში. სამეგრელოში დღეს შემორჩენილი კულტურული ძეგლებია: ნოქალაქევი, დაღიანების სასახლე ქალაქ ზუგდიდში, თავად ბოტანიკურ ბაღში. დადაიანების რეზიდენცია სალხინოში, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი, ცაიშის საკათედრო ტაძარი, ხობის მონასტერი, სქერის ეკლესია და თეთრი ციხის ნანგრევები, აბედათის ციხე სიმაგრე და ეკლესია, რუხის ციხე, ელის მონასტერი, შეხვის ციხე, ნოჯიხევის რვაფრთიანი ეკლესია, წალენჯიხის ეკლესია და ოცნებალეს კომპლექსი. ტობა ვარჩხილი (ვერცხლის ტბა) რომელიც პატარა ტბაა. ქუა-ქანცალია – უზარმაზარი ქალოდი, რომელიც მცირე შეხებისას ქანაობს. საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ პერიოდში სსრკ-ს დროს მრავალი კულტურული ძეგლი განადგურდა. მაგალითად მოგვყავს ჩხოროწყუს მხარეების მუზეუმის მეცნიერთანმშრომლის ანზორ სიჭინავას 1989 წლის ნაშრომიდან „საეკლესიო ჩანაწერები (მეტრიკული წიგნები როგორც ისტორიული წყარო“ გაზეთი „ნაპერწყალი“ 8 აგვისტო) მცირედი ამონარიდი: – „დღევანდელი ჩხოროწყუს რაიონის ტერიტორიაზე რევოლუციამდე მოქმედებდა 32 ეკლესია... საეკლესიო ჩანაწერები ცალკეული სოფლების ისტორიისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდიან“ //სამწუხაოოდ დღეს მხოლოდ 12 ეკლესის ნაგებობაა შემორჩენილი მ.რ//. როცა ჩხოროწყუს მოსახლეობა გაიზარდა, 1909 წელს მღვდელ-დიაკონთა ლოცვა-კურთხევით ხატებითა და სანთლებით, ეკლესია აშენდა და ჩხოროწყუ (ცხრა წყარო) მოინათლა, სადაც ყველწლიურად ბაზრობა იმართებოდა. ჟიულ მურიე ამ მხრივ ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1884 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში: „...ძეგლი ზუგდიდის ტერიტორიაზე გუმბათებით დამშვენებული ეკლესია ძველ ქართულ სტილშია აგებული ვალქერნის ხატისათვის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით 1806 წელს, სადაც ინახებოდა ოქროს სანაწილე ჯვარი ქრისტეს ჯვრის ფრაგმენტებით... ზუგდიდიდან წალენჯიხისაკენ მიმავალ გზაზე მე-6 ვერსზე მარცხნივ თუ გადაუხვევთ, ცხენით ერთი საათის საგალ გზაზე მდებარეობს ყულიშვარის პატარა ეკლესია, რომელიც მაღლობზე დგას და მის ძირში პატარა რუყულისწყარი მიედინება. ეს ეკლესია უძველესი სამრეკლოს ადგილას თლილი ქვებით ააშენა მღვდელმა ეგნატე როგავძ. კედლები შიგნიდან უცნაური ნახატებითა დაფარული. ეს არის მარტვილობისა და ჯოჯოხეთში სასტიკი წამების სცენები ყოველგვარი საწამებელი იარაღით. კანკელის უკან, თაღში, მამა ღმერთის უზარმაზარი თავია დახატული, რომლის თვალებიც, პერსპექტივისა და მხატვრის დახელოვნებული ფუნჯის მონასმის წყალობით, ოპტიკურ ილუზიას ქმნის – სადაც არ უნდა იდგეს

მაყურებელი, ფრესკის გამოხვდვა ყოველთვის თვალებში უყურებს მას. სწორედ აქ არის დაცული სამეცნიელოში ცნობილი ვერცხლის ჯვარი, რომელზეც გამოსახული ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი გველეშაპს ამარცხებს ...ჯვარი დევს ოქროს სირმით ამოქარგილ ძოწისფერ ხავერდის ბუდეში, შემჯულია ვერცხლის ეჯვნებით, მორთულია ქვებითა და ყოველგვარი იაფფასიანი სამკაულით. ჯვარს წარწერა არა აქვს, მაგრამ ალბათ ძალიან ძველია და, როგორც ამბობენ ის ყოველთვის „ყულიშვარში იყო“ (ჟ. მური 1884 წ.). თავად სიტყვა „ყულიში“ ისლამურ ლექსიკონში ნიშნავს მონას და ქართულში ამის მაგალითები ცნობილია... ყაზახის მთავარ მეჩეთს რუსიზმების გარეშე უნდა ერქვას ყულშარიფის მეჩეთი... ჩვენი აზრით ძალზე საინტერესოა XIII საუკუნის „წიგნი სააქმოი“-ში სიტყვა „ყულიში“-თან ასოცირებული განმარტებანი: „... მათი აზრით უსოუფუთასი როგორც უზენაესი ძალა, ისე „თავი და ვითარებაი არს აქიმობისა“, „რომელ იცოდეს თუ აქიმობაი და მკურნალობაი რაი არს“: ამისთვის ავტორის აზრით საჭიროა ორი რამის ცოდნა: პირველი: „რომელ ბუნებანი იცოდეს სიმრთელისანი“. მეორე: „რასა მიზეზისგან დასწულდა“. მისი აზრით, პირველ ანუ სიმრთელის ბუნებას განსაზღვრავენ შემდეგი მიზეზები: „და მიზეზნი თავად ოთხნი არიან“. 1. ფაილი – მოქმედი ძალი. 2. მაღალი – დამამარტადებელი ძალი. 3. სურათი – სახის მიმცემი ძალი. 4. თამამი – გამასრულებელი ძალი. ეს ოთხი ძალი არის შემქმნელი ყოვლისა არსისა და წარმოადგენს „სიმრთელის“ აუცილებელ პირობას. ამის გარდა სხვა შეიძი ძალია: 1. არქანი – ცეცხლი, პარი, მიწა და წყალი.... 7. პარვაპა – რომელსა ყულიშ ჰქვიან – გამყენებული ძალი. ამ შეიძი ძალის წონასწორობის მოშლა იწვევს ამა თუ იმ დაავადებას. ამ მოშლილობის ცოდნა განსაზღვრავს იმას, თუ ადამიანი „რაისა მიზეზისგან დასწულდა“.ამის შემდეგ ავტორი იძლევა უსუფუთასის დეტალიზაციას... ანუ სამყაროს და ქვეწის შექმნა და სიცოცხლის შექმნა ამ ქვეყანაზე ამ ოთხისაგან – ოთხი ელემენტისაგან არს, ანუ „უსოუფუთასისგან არს ღმრთისა შემწევით და ბრძანებითა“.... თავად წიგნის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა პარვაპა – „ყულიშ“ არის გამყენებული, გამწმედელი ძალი (XIII საუკუნის „წიგნი სააქმოი“, ლალო კოტეტიშვილი, თბ. 1936 წელი, გვ. XXVI–XXVII, გვ. 11, 333). ძველი მართმადიდებელი ლექსიკით კი – გამწმენდელი (წმინდა ძალი) ანუ მაკურთხეველი. **როგა(ვა)**-ს გვარით დასახლებულ საგვარეულო სოფელ ყულიშვარში, ყულის ეკლესიაში ჟ. მურიეს ზემოთ აღწერილი ჯვრის გარდა, იყო როგავების საგვარეულო ვერცხლის „ხატ-ჯვარი“: ზომა 22X19 სმ. ოთხივე ფრთაზე გამოხატულია წმიდა გიორგი. ჯვრის ზურგის სამი ფრთა სადაა, მხედრული წარწერით. ზემო ნაწილი კი ყვავილოვანი ორნამენტითა მოხატული. ჯვარი ჩასვენებულია შეკერილ ნაჭრის ბუდეში, რომელიც შექმობილია ეჯვნებით, ჩანჩხურებით, თვლებითა და სხვ. წარწერა ზურგზე გაკეთებულია ჩაჭედვით; გრაფემის ზომა 0,5-0,6 სმ-ია; „მღ(დელ)მა გაბრ(ი)ელ როგავა(მ) გავჭ(ე)დიე სულის ყ(უ)ლის ხატი“. ე. თაყაიშვილი (1914 წ.) წარწერას XIX საუკუნით ათარიღებს. ჯვარი უბრალო ხელობისაა. ჯვარ-ხატი ამჟამად ზუგდიდის მუზეუმშია დაცული – ამონარიღები და. ბერაიას წიგნიდან „სამეცნიელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები“ 2000 წ.). საგვარეულო ჯვარ-ხატი როგორც ჩანს დღესაც დაზიანებულია და მისი აღდგენა, როგორც წარწერიდან ჩანს, სწორედ XIX საუკუნეში მღვდელმა გაბრიელ როგავამ ითავა. მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე გამოხატულია მზე, მისი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ ხნის განმავლობაში თავის (ბედზე) ბედაურზე ამზერებული წმინდა გიორგი შეუპოვრად გმობს და ამარცხებს ბოროტებას. ბოროტებაზე მუდმივი გამარჯვების აღსანიშნავად სამყაროს უმაღლესი წერტილიდან – ჯვრის ზედა ვერტიკალურ ფრთაზე კი ცხენზე (ირობძირი-ზე – ყოველთვის ვხედავ) ამხედრებული წმინდა გიორგი ჩვენს თვალსაწიერ ცას კაბადონზე, მზის დისკოზეა შემომჯდარი და ზეციურ ხუთ მნათობთა გვირგვინი მოსავს. ხოლო ჯვრის ვერტიკალურ ქვედა ფრთაზე ისევ წმინდა გიორგი დგას დედამიწასთან შესისხლხორცებული და შეუვალი, ბოროტების ძალის დამამარცხებელი უძლეველი შებით („ტუნკით“) შეარაღებული და მტკიცედ მდგარი. ჯვარ-ხატის გულში გამოკვეთილი მთავარანგელოზი ავსებს ამ ჯვარ-ხატის მთელ კომპოზიციას. როგორც გვარის წარმომავლობიდან ჩანს, მზის ღმერთის გულთან, მის სიყვარულთან იყო დაკავშირებული. ტრადიციულად ჩვენს ცნობიერებაში გული სიყვარულის, მამაკაცური მეობის, სიმამაცის სიბბოლო იყო: გურამ კოჩი – გულიანი კაცი; “ო გვალო გურ როგა რე – ეს კაცი მთლად უჩინარი, უჩდრილო და სრულყოფილი გულსხივოსანი მეომარია”; „მეტუნკე როგოვი“ – ტუნკის – შების მკეთებელი როგ-ა-ვები. „ღორონთიში ირი დღას, იალონც ი-როგა-ნც, ბჟაიოლლც ბჟაშ ჩხორია, თუთას თოლს მიოგანც, გურიშგურშე ელნარზეფ ალდაჩირს გიორზანც, ყოროფაშე ნდლულაფირი ინა ორთ ირო განც, ცირაქ ბოშის ქეკათხოზდა იში გური ვე-როგა-ნც – ალიოზე ყოველ ღვთისკურთხეულ დღეს აღმოსავლეთიდან გასხვოსნებული მზის სხივი მთვარეს თვალს დაადგამს და სიყვარულით დამდნარი გულისგულიდან ამოფრქვეულ ცეცხლის ალს

უნთვებს, ის (მთვარე) კი ყოველთვის განზე გაურბის (განუდგება), თუ ქალიშვილი ბიჭს გამოედევნება მისი გული ვერასოდეს გასხივოსნდება”, ანუ საპასუხო სიყვარულს ვერ მიიღებს (მ.რ. 2007წ). კოლხური სიტყვა გურ – გულია და უძველესი კოლხური ცივილიზაციიდან მოდის. გურ გინი–(შ) რე – გული ხბოსია. ხბო – კოლხურად გინი, ციური ძროხის ნაშობი შვილი – მზეა. კოლხურად ჩხ-უ (ძროხა), ჩხ-ე /ცხელი, ჩხ-ანა/ მზე. მზე კოლხურად არის აგრეთვე ბჟა. ბჟა კოლხურად არის აგრეთვე – რძე. ჩხ-ანა–(ს)/ მშობელ მზეს (დედას) კოლხები შესაწირად ცხელ რძეს უდგამდნენ (მიართმევდნენ). გურ+გინი კოლხური სიტყვაა და გრგვინგას ნიშნავს – იგი ზეციდან მომავალი მზის ღმერთის ხმაა. სწორედ ამიტომა “ხმიანი” გული (კოლხურად – გურ) მიკროკოსმოსის მზე, მისი ცენტრი: – სკან გურს ქუგუალე – შენს გულს შემოვევლე. კოსმოსი ჩვენს წინაპრებს კი ასე აქვთ (ჰქონდათ) გათავისებული: კოლხური სიტყვა ბჟა/ მზე/ რძე – ძროხის რძე პატარა ხბო /გინი–სათვის სიცოცხლის წყაროა, დედის რძე – ბჟა/ მზე – პატარა ჩვილისათვისაც სიცოცხლის წყაროა. დიდებისათვის კი მშობელი და ყოველივეს საწყისი – (ციური ძროხის ნაშობი – ჩხანაშ, ბჟაშ/ მზის) სიმბოლოა: “ბჟა დიდა რე ჩქიმი/ მზე დედაა ჩემი, თუთა (მთვარე) მუმა ჩქიმი / მამა ჩემი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები/ ეს ბრდღვიაღლა ვარსკვლავები, და ღო ჯიმა ჩქიმი / და და მმა ჩემი”. გული – სიცოცხლის წყაროა, ყოველივე საწყისი წერდა დიდი და მცირე სისხლის მიმოქცევის წრის აღმომჩენი უილიამ პარვეი, ოთხი საუკუნის წინ. ქართველებისათვის მზე დედაა, (დედა + მიწა) – კი სიცოცხლის წყაროა. კოლხურად ღმერთების უხრწნადი (მარადიული) სისხლი – იხორი–ს (დაფუძნდი, დასახლდი, გამრავლდი) შემცველ ნაერთთა ურთიერთობის გამოვლინება დედამიწზე სიცოცხლეა, სამყაროს უსასრულობაში – უკვდავება. ტრადციულად კოლხურ–იბერიული გაგებით, გული პიროვნების, კაცითმიყვარების, მოვლენათა არსისა და მარადისობის სიმბოლოდ აღიქმებოდა და აღიქმება დღესაც. მარადისობის შეგრძნება ჩვენი აზრით თანდაყოლილია, ვინც კვდება, მათი “იმედი” ჩვენს გულში ცოცხლობს, ხოლო მათ “რაღაც” ჩვენი ნაწილი მიაქვთ და ჩვენ ყველანი მარადიულ გაცვლა–გამოცვლაში “ვისარჯებით” – ვცოცხლობთ. ჩვენი გული სიცოცხლის, სიყვარულის სიმბოლო. სიყვარული კი არის თავად ღმერთი. სიცოცხლის სიყვარული შეუცნობადია სიკვდილის გარეშე, სიკვდილის უარყოფა – უკვდავებაა, რაც მარადისობის – კაცობრიობის მუდმივი სიცოცხლისა და თვითდამკიდრების პრინციპის ასახვაა: – ”მე ისევ ვეძებ გულისათვის საფლავს, მე ისევ ვეძებ მარადისობას” თქვა ტერენტი გრანელმა და ერთიან სამყაროს გულში, მარადისობისა და სიყვარულის მუდმივ ძიებაში გადის ჩვენი წუთისოფელი. სიცოცხლის მატარებელ გარკვეულ არსებათა მასიური გადაშენების, ცივილიზაციათა განადგურების, ცალკეულ ინდივიდთა და შინაგანი მე–ს პიროვნებათა სიკვდილი, სიცოცხლის ისტორიაა ჩვენი ყოფიერების სამყაროში – დედამიწაზე (მ.რ.2014).

„...არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი, ქვისა და ბრინჯაოს ხანაში გარდაცვლილ ადამიანთა ჩონჩხის ძვლების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამორჩეული ინდივიდები–დან, არცერთი მათგანს არ მიუღწევია 50 წელზე მეტ ხანს. ხოლო ამ ისტორიულ ეპოქაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღმატებოდა 18–20 წელს! ძველ რომში 40 წლის კაცს უწოდებდნენ მოხუცს, ხოლო 60 წლისას – „დოპონტანუს“, ანუ ადამიანს რომელიც გამოსადეგარია მხოლოდ მსხვერპლ–შეწირვისათვის! ამ ხანაში რომში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 28 – 30 წელს. დიდად არ განსხვავდებოდა და ასეთივე იყო სიცოცხლის ხანგრძლივობა რომში აღორძინების პერიოდშიც. რაც შეეხება სიცოცხლის მკვეთრ ზრდას აღნიშულთან შედარებით, ეს მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. აშშ 1800 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგინა 33 წელს, 1850 წელს – 42 წელი, 1900 წელს – 49,7 წელი, 1950 წელს – 68,7 წელი. 1900 წლიდან ადამიანის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა მეფის რუსთან შედარებით, საბჭოთა კავშის დაარსების შეძლევ 70-იან წლებში კაცებში გაიზარდა 33 წლით, ქალებში – 31 წლით” (B. B. ფორლის „Природа старения“ იზ. Hayka 1969გ.). რაც შეეხება ცივილიზაციის მიღწევებს – სოფლის მურნებას და მისი დასამუშავებელ სათნადო იარაღების წარმოებას, მათ რეალურ დამკვიდრებას და მათ შემდგიმ განვითარებას იმ აღრეულ ნეოლითისა და ენეოლითის ხანებში და მის შემდგომ ადამიანთა სიცოცხლის გარკვეული ხანგრძლივობა უმთავრეს პირობას შეადგენდა, მათი სწავლების და შესაბამისი გამოცდილების სრული გაზიარებისა და სრულყოფილი გააზრებისათვის. ამისთვის რეალური ცხოვრება-არსებობის პირობები უნდა ყოფილიყო, რაც მჭიდრო კავშირში იყო შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, სოციალურ გარემოსთან, სათანადო ნიადაგისა და ფაუნის და ა.შ. პირობების არსებობასთან, რასაც მაშინ დღევანდელი საქართველოს ტერიტორია განაპირობებდა. სწორედ აქედან დაირწა ჩვენი აზრით ცივილიზაციის მოუმლელი აკვანი, რასაც ამ

რეგიონში მისი საწყისი ჩანასახების არსებობა და უწყვეტობა ადასტურებს, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის შემდგომი აღმავალი განვითარებით. ამ ხნის მანძილზე, სამწუხაროდ, რამდენი ერთ გადაყვა ცხოვრებისეულ ბატალიებს, ისტორიამ მათი კვალიც კი წაშალა. ჩვენ კი მართალია, დღეს მცირერიცხოვანი ერთ ვართ, მაგრამ კვლავ მედგრად ვდგავართ ჩვენს სადარაჯოზე,რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამნიღლოს ამით... (რადგან) ... ყოველივე საიდუმლო ამა ენასა შინა დამარტულ არს”(იოანე ზოსიმე). “... ენა ცნობიერების მაჩვენებელია, გნებავთ ენა და ცნობიერება განუყოფელია. წარმართული ქართული ენა ინახავს შვიდი თაობის ზოგად სახელებს ასეთი თანმიმდევრობით: პირველი თაობა – “სკუა – ბერე – შილი; ქრისტესმიერი ქართულით – “შვილი”; მეორე თაობა – “მუმა – ბაბა, ქალის ხაზით – ნანა – დიდა; მესამე თაობა – ბაბუა – ბებია; შვილს, ანუ პირველ თაობის პირს ჰყავს ორი ბაბუა და ორი ბებია; მეოთხე თაობა “პაპუ – პაპა – პაპული”, ქალს ხაზით – ”პეპი”; პირველ თაობის პირს ჰყავს ოთხი პაპუ და ოთხი პეპი; მეხუთე თაობა – ”ჯამა”, ქალის ხაზით – „ჯამარი”; შვილს ჰყავს რვა ჯამა და რვა ჯამარი; მექქსე თაობა: – „შამა” და „შამარი”, შვილს ჰყავს თექვსმეტი წინაპარი – შამა და შამარის ჩათვლით; მეშვიდე თაობა – „იმპუ”, ქალის ხაზით – სახელი უცნობია. შესაძლებელია ამ ასაკამდე ქალები ვერ აღწევდნენ, ან უბრალოდ ვერ მოვიძიე; სიტყვა „იმპუ” მეორე ნაირად ნიშნავს „არაფერს”, ნიშნის მოგებით, უარის ფორმით – „არაას” მნიშვნელობით. ვიტყვით ხოლმე – „ა, სი იმპუ”(ა, შენ არაფერი). ეს სიტყვა ჩანს ნაწარმოებია, ზმნა „იპიქ” – „იპუაფუქ”– ვიქნებიდან. ე. ი. მერვედან განვმეორდებიო, ასე ეგონათ უკვდავების მოსურნეთ. ჩვენთან, ლაკადაში, მთიელები ასე განმარტავდნენ: შვიდი თაობის შიგნით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მონათესავე სისხლის აჭრა, ანუ შეწყვილება, რადგან ... სისხლ-აჭრილი უნიჭოა, სიცოცხლის უუნარო და ავადმყოფია, დიდ ხანს არ ცოცხლობს. თუკი ვიზე გადაწყვეტდა ქორწინებას, კარგად გამოიძიებდნენ, თუ ვინ ვისგან იყო გამოსული. ამ დროს ხშირად წარმოსთქვამდნენ სიტყვას „ვაშინერს” ან „უშინერს”, რაც ნიშნავს არას ან პოს. „ვაშინერს” ნაწარმოებია ზმნა „შ”-დან, რაც ნიშნავს – ახსოვს, თუ ვინ ვისგან არის გამოსული, მეშვიდე თაობა ანუ „იმპუ”-ს. ასაკი 20-30 წლოვანი ციკლით 140 – 210 წელია. გერიარტრია ადასტურებს, რომ ადამიანს შეუძლია ამ ასაკამდე იცოცხლოს. ხოლო „შ”, ანუ ახსოვნის თვალსაზრისით საქმე გვაქვს სამას – ოთხას წლოვან ციკლთან.... როგორც ვხედავთ „იმპუ” იცის თავისი წინარე მეშვიდე თაობის წყალობით. ახლა ვნახოთ, განვიხილოთ ქართული გვარის დაბოლოებები: აი ისინიც: – „აი”, „ია”, „ეა”, „ში”, „თური”, „თი”, „ძე”, „ბე”. – კავკასიაში ეს გახლავთ ის მოცემულობა, რომელიც დღესაც სახეზეა..... „ძე” – ასაკის აღმნიშვნელია, კერძოდ, თორმეტ-თექვსმეტი წელს მოიცავს, უფრო მამრს ეხება, როცა მამრი გამოამჟღავნებს რამე ნიშან-თვისებას. წარმართული ქართულით ასე გაიქილიკებენ – „მურე ძე სი (რა ძე ხარ შენ)”. სხვათაშორის, ასაკის მიხედვით ასეთი ტერმინებია შემორჩენილი, ერთ წლამდე ბავშვს ქვია – ლლ, სამ წლამდე – ჩეიჩქი, ხუთ წლამდე – ბურგუ, შვიდ წლამდე – ბაღანა, თორეტ წლამდე – წიე, თექვსმეტ წლამდე – ძიე, ანუ ძე, გოგოს კი – ცირა. ამ ასაკიდან იწყება მდედრის და მამრის მიმართ სხვადასხვა ტერმინები. ოცდაათწლამდე ქვია – ბოში, ოცდაათიდან – კოჩი, ორმოციდან – ყაზაყი – კაზახი – კაზახი, ოთხმოციდან – ბადიდი, შემდეგ კი რჩინი და ბოლოს, ვიდრე სიკვდილამდე, ხუგეგი.... სისხლის, ჯიშის, გონის რანაირი მოქმედება და გარიანტი არ უნდა ვცადოთ, არაფერი გამოვივა, (ის ჩვენი ნებით არ მოხდება) ადამიანში რაღაც ჩნდება გონზე მეტი, რაღაც შემოდის ადამიანში (ცხოველში) ისეთი, რომელსაც შეუძლია წარმოშვას სხვა. ქალის სახით წარმოითქმის „ხე” ან „ხეა”, რაც ნიშნავს შობას, მშობელს, დამბადებელს. სხვადასხვა გვარის მდედრზე იტყვიან ან მიმართავენ (კვარაცხელიას) კვარაცხელ-ხე. თუ ძეობის ასაკი გასრულებულია, მოხუცებულობის ან სხვა მიზეზით, მათგანს წოდება – „ძე” ჩამორთმევა და უბრუნდება მშობელ „ეას”, რათა აღადგინოს მან. „ძე-ს” საპირისპირო ტერმინი გახლავთ „ჩუთ”, ანუ ის ვისაც არ აქვს გამრავლების უნარი// „სამედიცინო ტერმინი „ჩუთუყავილა” ალბათ ზემოთ აღნიშვნულ კონტექსტშია განმარტებული, ნამდვილ და მძიმე დააგადების საპირისპიროდ” – ხუტა პაჭკორია// „ძე” – მომწიფებული მდედრის ან მამრის კავშირის შეონებით, წარმოქმნილ მესამე სიცოცხლის საწყისს ქურუმებმა უწოდეს „ძე”, ჩანასახი. საერთაშორისო ტრანსკრიფციით (ზიგოტა). „ძე” ქალის საშვილოსნოში იქსოვება, მოქსოვილს კი წარმართული ქართულით ქვია „შილი”. არის ასეთი დამახასიათებელი გამოთქმა: „ვარექ თინი შილი” – არ ხარ სწორად მოქსოვილი, უფრო ნაკლოვანს ეტყვიან ხოლმე. 9 თვის შემდეგ ახალშობილს ცოცხალს რომ დაინახავნ, შესძახებნ სასიხარულო გამომსატველ სიტყვას – „რე” – არის. და ახალშობილს ქვია – „ბერე”, უფრო აღრინდელ წრმართულ ქართულში – „სკუა”, ვინც ქალთან, მშობელთან იყო გადაფსკვნილი, „მესკუათილი”, „მესკუალა” ჭიპლარით. სიტყვა „სკუალა” ნიშნავს გადაბმას, მეორე მხრივ

კი – დადებას, შობას. იტყვიან ასე, – „ქოთომქ გვერცხი სკუ” – ქათამმა გვერცხი დადო. საშვილოსნოში მიმდინარეობს ჩანასახის მოქსოვა... შორეულ წარსულში ტერმინი „შილი”, დიდი მეცნიერული აღმოჩენა გახლდათ და ეს უპირველეს ყოვლისა, მოგვთა და ქურუმთა, კერძოდ მედიცინის დარგის მუშაკთა მიგნება და დატერმინება გახლდავთ. ის გხვდება პროტონეტურ, ასევე ხეთურ სახელმწიფოებში თვით მეფეთა ტიტულარში, კერძოდ „ხათუშილი”, „მურ-შილი” და სხვა... //საერთოდ, ბებია დედის ხაზით ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის ცხო-ვრებაში. ახალშობილთან და დედასთან მომვლელად და ხელშემწყობად, იგი დიდი სიყვა-რულითა და განცდით იჩენს აქტიურ მზრუნველობას, თუმცა მამის დედის მხრიდანაც ეს მოვლა-დახმარება გარანტირებული აქვს. ნამშობიარებ ქალს დედასთან კონტაქტი და ყოფნა ბუნებრივად ურჩევნია. ეს კავშირი გენის დონეზეა... გენეტიკურ ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ბავშვი დედის ხაზით ბებიისაგანაც იღებს... რაც ქართველთა ცხოვრებაში მთელი არსით ოჯახურ ყოფაში აისახა, სახლის მთავარსაყრდენს დედაბობი ეწოდა, ხოლო ზოგადად, სიცოცხლის წარმომშობ და მატარებელ ჩვენს პლანეტას – დედამიწა, ხაზგასმა ჩვენია მ. რ. // ქართულში გვაქვს „იან”-ზე დაბოლოებული გვარები, დაბოლოება „იან” წარმართულ ქართლში არსებობდა და დღესაც არსებობს ქრისტესმიერ ქართლში. შეკითხვაზე „მიშიანი”? – „ვისიანი”? პასუხი ასეთია, დავითიანი, (ი – სახელობითი ბრუნვის ნიშანია), გოლეთიანი, მარგიანი და სხვა... „ვა”-ზე დაბოლოებულ გვარებზე შევაჩრებთ თქვენს ყურადღებას: წარმართული ქართულით დაბოლოება „ვა” არ გამოითქმევა, ასე იტყვიან ხოლმე: გაბედა, როგა და ა.შ. „ვა”-ზე დაბოლოებულ გვარის ხალხი მიგვაჩნია კავკასიის უმაღლესი უნაგირა მწვერვალის, იალბუზის (ელიაბარს) თაგმეტყვიდრე მებატრონებად. მათ იშვიათი, გამართული, ჰაეროვანი, ამაღლებული სიარული იციან. მოხუცებულიაშიც კი ნაკლებად რომ მოიხარინ წელში, თავაწეული არიან, სხვებისგან გამორჩეუნლი, რაღაც შინაგანი სიამავე აქვთ. მოსდგამთ ნებისყოფა, ამტანობა, ხუმრობით ქაშქ-ჩრქეზებს ვებასთი ხოლმე, მეორენაირად – აფხაზებს. სხვათაშორის, ერთ სიმღერაში არის ასეთი სოტყვები: „დუდი აფხაზა, გური აფხაზა, სივარაიდა, ვოსარაიდა” და ა. შ. თავად სიტყვა ქართული სწორედ, რომ წარმართული ქართული ზმნა „ქართულან” იღებს სათავეს. ეს კი, ერთი მხრივ ნიშნავს შეუერთდა, მეორე მხრივ კი აკეთებს და, მართლაც ვერავინ გერ გააკეთებს რამესთან შეერთების გარეშე. „ქართ” – ამ ზმნაში წინასართა „ქა”, „რო” ნიშნავს გაიყო. წარმართული ქართული ზმნა „ქართ” ნიშნავს შეუერთდა, „ქართუ” – შერევა, შეერთება. „ქართი” არსებითი სახელია და ნიშნავს ქართლს, კერძოდ დედაქალაქ თბილისს. „ქართა” არსებითი სახელია, მოზოდილი საქონლის სადგომი, კეთდება წრიული ფორმის, რომელიც უფრო სწრაფად კეთდება, კიდრე კუთხების გამოყვანა. მეორე მხრივ „ქართა” ნიშნავს სავსე მთვარის მომაკონტურებელ წრეწირს: „თუთას ქართა გუხე” – მთვარეს ქართა აკრავს. „ქართხამი”; „ქართხანი” – წნელისაგან გაკეთებული რგოლი, ადრე ასეთი რგოლებს ამზადებდნენ მესრის ღობისათვის. – მიწაში ჩარ-ჭობილ ორი მესრის შესაკრავად, ამათ შორის გარკვეული დახრილობით იწნებოდა (მეტი სიმტკიცისათვის). „ქართული” ზედსართავი სახელია და ნიშნავს შემორაგულს, შეკრულს. მართლაც გულ-ქართლის ვაკე შემორაგულია დიდი და მცირე კავკასიონის ლიზის მაერთი მთების გრაგნილებით....”(რ. მორგოშია „ქართული ცნობიერების სათავეებთან”, შურნალი „აია” 1998 წ.). ახლა ვნახოთ თუ რას წერდა უიულ მურიე 1884 წელს: „მეგრულ ენას ერთი მეტად სავირველი თვისება აქვს, ზოგიერთ სიტყვებში საერთოდ არ არის ხმოვანი. ბერა „გ” აღნიშნავს სიტყვა „პგაც”; ბერა „ჩხ” აღნიშნავს „ქათმებისთვის მიცემულ ღომის მარცვალს”; ბერა „რზ” – „ანთებული”; „რჩ” – „ლოგინი დაგებულია”; „რდ” – „იყო”; „ძ” – „დევს”; „რჩქ” – „ჩანს”; და ა.შ. ... მოუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში (ქართულში) მეგრული დამორჩილებულ როლს ასრულებდა... რომელსაც შეუძლია შეიძინოს გამოხატვის დიდი უნარი და მკაფიო გამოთქმა. ხშირად გაგვიგონია თუ როგორ ლაპარაკობენ მოსაუბრენი საათების განმავლობაში შეუწყვეტლივ ისე, რომ არ ჩერდებიან სიტყვისა თუ რეპლიკის მოსაძებნად! ეს ენა შესანიშნავი მოქნილობით გამოხატავს ყველა ნიუანსს, ყველა ინტონაციას, რომელიც კი გონებაში წამოიჭრება. იგი შესანიშნავად გამოხატავს ყოველი გამოთქმული აზრის სიფაქიზესა და სინატრიფებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე ენა არ დაიყო სხვადასხვა კილოკავებად! ენის გავრცელების არე თითქმის ზუსტად ემთხვევა ქვეშის გეოგრა-ფიულ და ბუნებრივ საზღვრებს, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიმრავლით, რომელიც უდავოდ მეგრული წარმოშობისა და მათი ახსნა მხოლოდ ამ ენის ეტიმოლოგიის საშუალებით არის შესაძლებელი, შეგვიძლია დაგასკენიათ, რომ ოდესლაც ზონა, სადაც ამ ენაზე ლაპარა-კობდნენ, უფრო ვრცელი იყო, ვიდრე დღეს არის”. აქვე გვინდა მოვიყვანოთ, მცირედი ამონარიდი ეკონომიურ მეცნიერებათა

დოქტორის ანზორ მესხიშვილის 2015 წლის პუბლიკაციიდან „ქართულო მიწავ” – „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც. ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა – საქართველოს ბუნება ადამიანს არც აზიანებს, რაც გაუსაძლისი პირობებით ჩავრავს... 1992-1998 წლებში ჩატარებული ნაჩერავი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები დაქუცმაცდა, მრავალწლიანი ნარგავები კი განადგურდა მიწის ფართობების ფიზიკურ პირებზე უფასოდ და პატარ-პატარა ნაკვეთებად განაწილებამ გამოიწვია მიწის დანაწევრება-ფრაგმენტაცია და მისი უფექტოდ გამოყენება... დიდი რაოდენობით მცირე ზომის, დაახლოებით 1,25 ჰა, ნაკვეთების ნაკვეთების მესაკუთრეობა, ეკონომიკურდ სიცოცხლისუნარიანი ფერმერული მეურნეობისათვის ძირითადი დაბრკოლებაა... ფაქტობრივად, ამ ფერმერთა უმრავლესობა ფერმერულ მეურნეობაში გრძელვადიან პერსექტივას ვერ ხედავს და დღეს-დღეობით ლიმიტირებული ინტერესი აქვთ მიწის კონსოლიდაციის შესახებ... ასეთმა მიღომამ ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, უკნ დასწავლა ქვეყანა და დარიბ არსებობაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. „ნუ ეხმერებით ქართულ მიწა-წყალს და ნუ ადგამთ ბუჯს ზედ წარამარად! ის არის ჩვენი „წმინდა წმინდათა”, უნდა გვახსოვდეს მარად და მარად. აბა ერთ გოჯას თუ სადმე ნახავთ, რომ ის არ იყოს სიხლით მოწერმული! იმის სიღრმეში ჩამარტულია სული და გული” – წერდა სულმნათი აკაკი.

საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების დიდი სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ქვეყნის განსხვავებულ ლანგშაპტურ პირობებს - ზღვის დონიდან მაღალმთიან რეგიონების ჩათვლით და მათში არსებულ სხვადასხვა პირობებს სრულყოფილად ეხამება. ჩვენმა წინაპრებმა კაცობრიობის საგანმურს უძველესი დროიდან დღემდე დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები შესძინეს. ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდებში საქართველოში უკვე ითესებოდა ხორბალი, ქერი, ფეტვაირები, საზეობოჭკოვანი კულტურები, მოშენებული იყო ვაზი და ხებილი (Менабდე 1948, გორგიძე, 1977, IGARDA 2003; Achalkatci at all., 2012), რაც ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის უნიკალურ პრეისტორიულ კულტურას. „... თითქმის ყველგან სადაც ვაზი ხარობს, თუთის ხები გვხვდება. მაშასადამე, თუთის მოსაშენებლად და აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად სამეგრელოზე უფრო შესაფერისი კუთხე არ არსებობს. ... და დღეს სამეგრელოში მხოლოდ ერთი აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა არსებობს, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებ ვინძე (გლეხ ბასა ქაიხოსროს ძემ 1860 წელს ბერძნ მარკოპულოსთან ერთად დაარსა და 1893 წლამდე იარსება; ფაბრიკა წელიწადში 130–150 ფუტის, მაღალი ხარისხის აბრეშუმის ძაფს, მარსელსა და ლიონში ყიდდა.) სიჭინავას აქვს სოფელ ლესიჭინები”(ჟ. მურიე 1884 წ.). მატერიალური და სულიერი კულტურის საგანმურში ვაზსა და ლვინოს გამორჩეული ადგილი ეკავა. ქვეყანა ცნობილია როგორც მარკვლოვანი კულტურებისა და ლვინის მშობელი ქვეყანა, რამაც თავისი ასახვა ქართველ ხასიათში, ჩვევებსა, კვების რაციონსა და სუფრის ადათ-წესებში ჰპოვა. ვაზისადმი თაყვანისცემის მისი სარწმუნოებრივ სიმბოლოდ აღქმისა და ლვთაებრიობამდე ამაღლების ფაქტია ვაზის ჯვრით წმინდა ნინოს შემობრძანება და სახელმწიფოებრივ რელიგიად დამკვიდრება. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უძველეს დროში მცხოვრებმა ადამიანმა შეძლო ველური ვაზი კულტურულ მცენარედ ექცია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კოლხეთში, ანაკლიაში 1936 – 1938 წლებში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპონის ფურძის წიაღები და ვაზის ლერწმის (რქის) ნაშთები. არგუმენტია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილია და დაცულია თანამედროვე კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი – უსურვაზი.

დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსაგან ლიხის ქედითაა გამოყოფილი. დასავლეთ საქართველოს – კოლხეთის ზონას აღმოსავლეთთან შედარებით მშრალი ვაკეებისა და ბარისაგან გამოყოფს. დასავლეთში ისე როგორც აღმოსავლეთში დაბალი ზეგანები და ბორცვები ერთმანეთს ენაცვლება. უყინვო პერიოდი შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის სამეგრელოში 300 დღემდე, ხოლო 2000 მეტრზე ძღვის დონიდან 120 დღეს არ აღემატება. ატმოსფერული ნალექი 1200 – 2600 მილიმეტრამდე მერყეობს. სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტენიანს-სუბტროპიკულ ჰავას. ნიადაგს და მის ნაყოფიერებას ოდითგანვე ექცეოდა ფურადღება. სამეგრელოში გავრცელებულია ხალხური ლექსი ამინდისა და მოსავლის პირობების შესახებ – „ მესიში ჭვიმა

ოქრორე, ივანობაში – ვაჩხილი, კვირკვე თუთაშ – დუღარე, აგვისტოშ – გვალო დაჩხირი”. ამ თქმულების ქართული ლექსად ასეთი შინაარსისაა: – „მაისის წვიმა – ოქროა, ივნისობისა – ვერცხლი, კვირიკობის თვის – მდუღარე, აგვისტოსი კი – ცეცხლი”. VII საუკუნეში იტალიელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამ-ბერტი წერდა: „...არცერთი ხალხი ისეთ პატივს არა სკემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. ისინი მინდვრის კულტურებს თესავენ მონაცემებით, პირველ წელს თესენ ღომს, მეორე წელს ფეტვს, მესამე წელს – პურს, შემდეგ მიწას სამი ან ოთხი წელით ასვენებენ”. 2013 წელს გამოცემულ წიგნში, „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით” პროფესორ პაატა კოლუაშვილი სვამის კითხვას და აგრძელებს. „დღეს, როდესაც ეროვნული მეურნეობათა მოდელების კონკურენცია საყოველთაო ფაქტია, ქართველთა დიდი წინაპრის, ილია ჭავჭავაძის ნაფიქრალსა და წინადადებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე, ქართულ – ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის, სამეურნეო განვითარების სრულფასოვანი მუნიციპალიტეტის აღორძინებისა და ამოქმედების თვალსაზრისით... ილია ჭავჭავაძის სიყვარული და ერთგულება, ქართველი ეროვნული რაობის ფინანსურულ საკითხებს წარმოადგენს – „ჩვენი ხალხი თავისი ბინადრობის დიდი და მკვიდრი მოვარეა... ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა. სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იმყობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავისთვის მეტი არა ურევია რა, ვისმე სიძულვილი, ვისმე დათრგუნვის სურვილი, ვისმე გაუქედურების წადილი, მასში სრულებით არ არის. ქართველები სამიწადმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეში იდგნენ და მიწათმოქმედება მათვის არამოლოდ უბრალო სამეურნეო საქმინობა, არამედ ერთგვარი დვთის მსახურება იყო. ჩვენი წარსული და მომავალი, განპირობებული და გაშინაარსებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური, რაციონალური და ემოციური საწყისები. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთი-ერთობების თავისებურებიდან გამომდინარებას.... ჩვევები ერისთვის იგივე რჯულია, იგივე კანონია, მსოლოდ დაუწერებლი ... სამეცნიეროში ჩამოვედი და საქართველო ვიზილე – დიდი საქართველო!“ (ილია).

სამეცნიეროს რეგიონში ძირითადად გამოიყოფა. ნიადაგების შემდეგი ოლქები: დაბლობები, გორაკბორცვიანი მთისწინები, საშუალომთიანი და მცირე რაოდენობით მაღამთიანი ზონები. ჩვენს ქვეყნაში მინერალური სამკურნალო-სასმელი და ბალნელოგიური სამკურნალო წყლების უდიდესი ნაწილი თვალწარმტაც სამთოკლიმატურ საკურორტო ზონებშია განლაგებული. მიუხედავად მაღალმინე-რალიზირებული სამკურნალო სასმელი წყლების მრავალ-სახეობისა და დიდი მარაგებისა ეს სიმდიდრე მისი აღმატებულება ქართველი ხალხისაა და მას და მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ემსახურება, ხოლო რაც იმპერიის პირობებში არსებობდა თითქმის მოშლილი და განუვითარებულია და დღესაც, სამწუხაროდ ჯეროვნი ყურადღება არ ექცევა. ამ მხრივ, საყურადღებოა სამეცნიეროში არსებული და ცნობილი სამკურნალო წყლები: ცაიშის თერმული წყლები, მენჯის თერმული წყალი, სქურის მინერალური წყალი. სამეცნიეროს რეგიონს გააჩნია სხვადასხვა დაავადებ-ებისათვის საკმაოდ ეფუქტური და ლამაზი ლანგმატის საკურორტო ზონები, რომლებიც ასე თუ ისე ფუნქციონირებდნენ საბჭოთა კავშირს დროს, ამჟამად ზოგიერთი საერთოდ მოშლილია, სხვები კი სავაალო მდგომარეობაშია და დღესაც სათანადო ყურადღება არ ექცევა; საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მოშალა კავშირები, დაიკარგა ტრადიციული სახსრები, რამაც საორგანიზაციო შეფერხებების პარალელურად, სტრუქტურის შეცვლა მოი-თხოვა და მოიშალა საწარმოო პროცესი, რაშიც საბაზრო ეკონომიკის რთულ მექანიზმებზე საზოგადოების უდიდესი მმართველი ნაწილის გაუბრალოებულმა წარმოდგვნამ და არაპროფესიონალიზმა მიიყვანა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, როგორც ზემოთ ავლიშეთ, სასოფლო-სამეცნიერო მიწების არაპროფესიონალურმა მიღების არაპროფესიონალურმა მდგომამ ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩაგვყარა. თუმცა, როგორც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიაქის, მცხეთა-თბილისის მთავარებისკობოსის, ბიჭვინთისა და ცხემ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კუროტხევით გამოცემულ წიგნში „სოფლის მეურნეობა, პური ჩვენი არსობისა“ 2016 წ. კვითხულობთ: საქართველოს სოფლის მეურნეობას ინვესტიციების ულევი შესაძლებლობა აქვს და გარკვეული ცვლილებები ხორციელდება მართვის სფეროში. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე შემსუბურებელი აგროსასურსათო სექტორის ხანგრძლივებისანი სტრატეგია და უკვე შეუდგა მის პრაქტიკულად განხორციელებას...“. და ჩვენც ამის მოლოდინში ვართ... იმედია გაამართლებს.

ცაში (ზუგდიდის მუნიციპალური) როგორც მდებარეობს ზღვის დონიდან 50 მეტრ სიმაღლეზე, თავისი გეოთერმიული წყლებით. „გაცდებით თუ არა სამეცნიეროს პატარა ქალაქ სენაკს

დასავლეთით სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილით, საუცხოო პანორამა იშლება თვალწინ, მარჯვნით და მარცხნით აზურმუხტებული მინდვრების პორიზონტზე მთა-გორაკების შავი გრეხილია გადაწოლილი, რომელიც გზის გასწვრივ მიიკლაკნება დასავლეთისაკენ. აქა იქ მწვანე ველებს მდინარეების თეთრი არშია გადასჭრის. განსაკუთრებით მომზიბლავია ეს სურათი გაზაფხულზე. გაივლით 15-20 ვერსტს და ხელმარჯვნივ გორაკები დაფნის ტყეებით იმოსება. ბუნების სიმშვინიერე აპოგეას აღწევს, როცა ცაიშის აღმართს მიუახლოვდებით. გადახედეთ ხელმარჯვნით, პატარა სოფელი ცაიში მოსჩანს, რომლის საგაზაფხულო მწვანე კაბა ათასფერი ყვავილებით არის აჭრელებული. შუა სოფელში ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ძველი ნაშთთაგანია ცაიშის სამიტროპოლიტო ეკლესია. იქვე ეკლესის ახლო, ცისფერათ შეღებილი იმერული ოდა. ამ სახლში სცხოვრობდა ერთი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ეროვნულ მოღვაწეთა ერთი ქართველი ბიოგრაფი, აწ განსვენებული იონა მეუნარებია..." (ვლ. ანთ. ციტ. წიგ. „ჰყონდიდელი და ცოტნე“ ავტ შ. ბადრიძე, 1995 წ.). სასამედიცინო თვალსაზრისით იგი წარმატებით გამოიენებოდა სხვადასხვა დაავადებების სამ-კურნალოდ, როგორებიცაა ართრიტი, ნეიროდერმიტი, ნევრიტი, ნევრალგია, ფსორიანი ეგზემა და ქლორიდულ ნატრიუმიანი წყალი, რომლის ტემპერატურა ცელსიუსით 81-82 გრადუსია, მეორე ჰიპერთერმიული საშუალო მინერალიზაციის სუსტი გოგირდიანი წყალი, რომლის ტემ-პერატურა ცელსიუსით ასევე 81-82 გრადუსია და მესამე სუსტად მინერა-ლიზირებული ნატ-რიუმ კალციუმიანი მინერალური წყალი რომლის ტემპერატურა 24-26 გრადუსია. ამჟამად აღნიშნული სამკურნალო-რეაბილიტაციის და სანატორიული მკურნალობის სამედიცინო სამ-სახური (უმოქმედოა) გაუქმებულია.

ანაკლია მდებარეობს (ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) შავ ზღვასა და მდინარე ენგ-ურს შორის (ხელაწერ წყაროებში ის მოიხსენიება სხვადასხვა დასახელებით: „ანაკრია“, „თანარგია“). ზოგიერთი ავტორის მიხედვით ანაკლია ანტიკურ ხანაში ჰერაკლის სახელის მატარებელი ქალაქი უნდა ყოფილიყო (შარდენი, 1975, 16, 38). ანაკლიაში არსებობდა გენუ-ელთა საგაჭრო ახალშენი სიმაგრე (დელეგი 181:5). XVII საუკუნეში წარმოადგენდა სოფელსა და ნაგსაღურს (მესხია 1983, 238), ამ დროს ანაკლიაში საეპისკოპოსო კათედრალიც არსებობდა (ლამბერტი, 1938, 121). XVIII საუკუნეში ანაკლია პატარა ქალაქი იყო (მესხია, 1938, 239). ანაკლიას ბორცვების გათხრისას (1979 წ.) აღმოჩნდა ნამოსახლარები, რომელიც ძვ. წ. აღრ. III ათასწლეულის დასასრულს და II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (მიქელაძე, 1990, 22). ხასიათდება კარგი კლიმატური ჰავით და ფართო საზღვაო ქვიშიანი ზოლით.

ჭყადუაში – სოფელი, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). იგი მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, ზღვის დონიდან 150 მეტრზე. მას დასავლეთით ესაზღვრება ზედაეწერი და ჩხორია, ჩრდილოეთით – ეწერის თემი (წალენჯიხის რაიონი), აღმისავლეთით ზღვაა (წალენჯიხის რაიონი) და სამხრეთით კორცხელი. მისი კლი-მატი სასარგებლოა ართოლოგიური, კარდიოლოგიური და გინეკოლოგიური დაავადებათა პროფილაქტიკისათვის.

მალთაყვა – (ფოთის მუნიციპალიტეტი) გამოირჩევა ზღვის ნოტიო და თბილი ჰამთარი ძლიერ თბილი და უთოვლო საშუალო ტემპერატურა (+5, +7) გრადუსი, ზაფხული ძლიერ თბილი, აგვისტო +23,24 გრადუსი, ნალექები დღი რაოდენობით, მთელი წლის განმავლობაში 1660 მმ-ია, შეფარდებითი ტენიანობა 78%. მალთაყვა ღარიბია ძუძუმწოვრებით. აქ ძირითადად გვხვდება ამფიბიები. ზამთარში მალთაყვას ჭაობებს სტუმრობს და თავს აფარებს 190-მდე სახეობის მიმომფრენი და მოზამთრე ფრინველები, მათ შორის წითელ წიგნში შესული სახეობები: ხუჭუჭა ვარხვი, მეკლოე ბატი, ყივანა გედი, შაკი, ქარცი, ყანჩა. პალიასტომის ტბაში ბინადრობა 15-მდე სახეობის სარეწაო თევზი. ტბის სანაპიროზე არის მცირე დებატიანი ჰიდროკარბონატული მინერალური წყალი. ზღვის სანაპირო ზოლი მდიდარია მაგნეტიტით. მალთაყვა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ე.წ. „ოქროს ტბა“, ზღვა, ქვიშიანი პლაჟი, დიდი ინსოლაცია და ჰაერში ზღვაური წარმოშობის ქიმიური მიკროელემნტების არსებობა სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი გზების, ნერვიული სისტემის ფუნქციური დარღვევების სამკურნალოდ. მალთაყვას გარს აკრავს შავი ზღვა, პალიასტომის ტბა, მდინარეები კაპარჭინა და მალთაყვა. მცირე დებატის თქმულების მიხედვით მალთაყვას უბანი გაუვალი და ჭაობისი ყოფილა, ხოლო აქ მდინარე მალთაყვა ძალზე ღრმა, სადაც მოსახლეობას მოუმწყვდევია და გაუ-ნაღვურებია მოძალადე უცხოელები, რომლებიც გამწარებულები იძახდნენ „რა ღრმა წყალია“ – ასე შემორჩა ამ ადგილს ეს სახელწოდება.

მენჯი – მეორე ბალნეოლოგიური კურორტია სამეგრელოში, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 29 მეტრზე, მდინარე ცივის ხეობაში (სენაკის მუნიციპალიტეტი). პავა სუბტროპიკული. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია გოგირდ-წყალბადიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისათვის სახსრების, პერიფერიულ ნერვიული ნერვიული სისტემის, გინეკოლოგიური და გულ-სისხლძარღვდა ზოგიერთი დაავადების დროს. სახალხო თქმულების მიხედვით, „მენჯი” მეგრულად მუავე წყალს ნიშნავს და სამკურნალო წყლებით ცნობილ ადგილებს სამეგრელოში უწინ ასე მოიხსენიებდნენ.

ლებარდე – ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მდებარეობს უგრისის ქედზე (მარტვილის მუნიციპალიტეტი) ზღვის დონიდან 1800 მეტრი. სამედიცინო ჩვენებებია სუნთქვისა და საჭმლის მინელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებები.

სქერი – კურორტი მდებარეობს (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) მდინარე აბანოს (ჭანის წყალის მარცხნა შენაკადი) ხეობაში. მინერალური სამკურნალო სასმელი წყალი „სქერი” – სულფატურ-ქლორიდულ ნატრიუმ-კალციუმიანი წყალია. მინერალური წყლის „სქერის” სამედიცინო ჩვენებებია: საჭმლის მომნელებელ ორგანოთა, საყრდენ-სამოძრაო აპარატისა და პერიფერიულ ნერვიულ სისტემის დაავადებები. ამჟამად როგორც ზემოთ მოყვანილი სამკურნალო-სარეაბილიტაციო სამედიცინო ცენტრები მოშლილია არ ფუნქციონირებს.

მარტვილი – (ქალაქი მარტვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციული ცენტრი). მარტვილში დაიბანდნენ: გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი (Xს.), ლვის, კაცი სრული ყოვლითა სიერთითა და ხორცითა, სავსე სიბრძნილა და გონიერებითა, გამნზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი და ამზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზითა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა”. მის სინოდიკონში, დამსწრეთა მრავალუმიერში, გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესის კრების თვალიც კი ეწოდება. „იოანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ჩვენისა კათალიკოსისა და ყოვლისა საქართველოთა ყოვლად ღირსისა მამამთავრისა მრავალმცა არან წელნი... ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა... ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმღლავრებულთა მოჩივანთა განიკოთხავს, და ყოველი საწილოს მწიგნობარი გვერდს უზის, და ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვინ რა სჭირს და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და რა უამიცა წამი იყოს, თვით მივა და მაშინ იურვის, რაც არც ვის უსამართლო სჭირს, არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს” („ხელმწიფის კარის გარიგებიდან”, მე-14 ს. ძეგლი). არამბროსი ხელაია (XIX საუკუნე). მოღვაწეობდნენ ივანე მინჩხი და სტეფანე სანანოიძე XX საუკუნის ქართველი ჰიმნოპერაფები. სამონასტრო კომპლექსი (VII საუკუნე) მაღალ გორაზეა აშენებული, ზღვის დონიდან (210 მ.) რომელიც მთელ იმერეთს, სამეგრელოს გადაცყურებს. მონასტერში შემორჩენილია უძველესი ფრესკები და გალავნის კომპლექსში ჩაშენებულია ჩიქოვანების ეკლესია (X საუკუნე) სადაც მოღვაწეობდა დავით აღმაშენებლის ამზრდელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, სადაც ის აღნიშნული ეკლესის პატარა საკანში ასწავლიდა დავით აღმაშენებელს. აქვე გახლავთ მდინარე აბაშის კანიონი, რომლის სიგრძე 24000 მ-ია, ჩაჭრის სიმაღლე 20-40 მ, თავისი ულამაზესი ჩანჩქერებით. იქვე ახლოს სოფელი სალხინო ცნობილია დადიანების რეზიდენციით, ცხენისწყალის აუზში. იქვე ახლოს როგორც სოფელ გორდში, ისე კინჩხის მიდამოებში, აღსანიშნავია ოკაცის წყალ-ვარდნილები. აბაშის კანიონში ერთი ადგილი გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით, რომელსაც მეგრელები – „ოფუცხოლეს” უწოდებენ და ის ცნობილია როგორც „დადიანების საბანაო”. აღნიშნულ აუზში, ჩასასვლელი ბილიკი, კირქვის დიდი კვადრებისგან არის აშენებული. გაღმოცემის თანახმად, ამ კიბით დადიოდნენ დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი. მიმღბარე კირქვიან კლდეებზე, აღსანიშნავია კოლხური ტიპის ფლორის უნიკალური წარმომადგენლები: დათვის თხილი, კოლხური ბზა, უთხოვარი და სხვა. აქვე გახლავთ ჭყონდიდელის საზამთრო რეზიდენცია – **სუვანა** (გაჩუმდი და მომეცვიე), რომელიც ოდესალაც საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა, წმ. გიორგის სახელობის და X ან XI საუკუნეშია აშენებული. ლეკების მიერ გა-დამწვარი ტაძარი ლევან V-ზ აღადგინა (იგი ახალი სენაკიდან 12 ვერსითაა დაშორებული წერს უთულ მურიე თავის 1884 წელს გამოცემულ წიგნში”.

ლუგელა – მდებარეობს სოფელ მუხურთან (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი), ხობის წყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 260 მეტრზე. ლუგელას ხეობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მიგარის კირქვოვანი მასივი, რომელიც მდიდარია სხვადასხვა რელიეფური ფორმებით. არსანიშნავია ფოთოლ-ცვენის მღვიმე, მისი სიგრძე 2,5 კილომეტრია, სიღრმე 340 მეტრი; სავერდოვანის უფრსკული –

სიგრძე 1,5 კილომეტრი, სიღრმე 400 მეტრი; ზისნახეს მღვიმე – სიგრძე 1,5 კილომეტრი, სიღრმე 300 მეტრი; მუხურის მღვიმე – სიგრძე 960 მეტრი. სოფელ მუხურის ტერიტორიაზე გადის მდინარე შურუბუმუს კანიონი, რომელიც მდიდარია ულამაზესი ჩანჩქერების კასკადებით. შურუბუმუს მღვიმეს, ადგილობრივი მოსახლეობა ასთმის სამკურნალოდ იყენებდა. ყალიბინის და ლეწურწუმეს კლასტოკლასტრულ მღვიმებში პირველყოფილი ადამიანების საცხოვრისებია აღმოჩენილი. ლუგელა მიეკუთვნება ქლორიდული წყლების ჯგუფს. ლუგელა გამჭირვალე უსუნი მინერალური წყალია, რომელშიც ქლორიდისა და კალციუმის შემცველობა 9.5%-ს აღწევს. ახასიათებს ოდნავ მომწარო გემო, მაღალი მინერალიზაციის გამო. დიდხანს ინახება და ჩამოსხმისას არ საჭიროებს ნახშირორუნგის დამატებას. არ იყინაბა – 25 გრადუსმდე, სხვა მინერალური წყლის მიღება 6–8 ჯერ თუ შეიძლება, მისი მიღება მხოლოდ 3-ჯერ და ისიც ექიმის რეკომენდაციით. წყლის საერთო მინერალიზაცია 45–60%-ია, ტემპერატურა 12 გრადუსია. მისი წამყვანი ელემენტებია: კალციუმის კათიონი და ქლორის ანიონი. დამახასიათებელია ბრომის არსებობა. თანმხლები გაზია მეთანი, მცირე რაოდენობით შეიცავს ანიონებიდან ფტორს, იოდსა და სულფატს, ხოლო კათიონებიდან ნატრიუმს, კალციუმს და მაგნიუმს. სამედიცინო გამოკვლევებით დადგენილია, რომ მინერალური წყალი „ლუგელა“ მიეკუთვნება სამკურნალო-სასხლი წყლების კატეგორიას. ლუგელას სამკურნალო ჩვენებაა: ტუბერკულიოზი, ლულოვანი ძვლების მოტეხილობა, რაქიტი, ალერგიული დაავადებები და სისხლის შედედების დაქვეითება, პარათირედული ჯირკვლების, სასუნთქვი ორგანოებისა და ლიმფური ჯირკვლების ფუნქციური უქმარისობა, ნეფრიტი, კანისა და გინეკოლოგიური ანთებითი ხასიათის დაავადებები. ამჟამად მისი წარმოება-რეალიზაციაც შეჩერებულია.

დასავლეთ საქართველოს საზღვაო ეკვატორია 300-ზე მეტი კილომეტრს შეადგენს, განუმეორებელი ლანდშაპტითა და შიდა წყალუხვი მდინარეებითა და ტბებით, და, დღეს მრავალი ხელოვნური წყალსაცავებით, სადაც ბინადრობს უამრავი უნიკალური ჯიშისა და სარეწაო მნიშვნელობის თევზი, რომელთა მოპოვება ხდებოდა უქსოვარი დროიდან სხვადასხვა მათოდებითა და წესებით რაც დღესაც გრძელდება. საერთოდ დღეისათვის ცნობილია 160-ზე მეტი ჯიშის თევზი, მათ შორის საუკეთესო ჯიშები: მდინარის წითელწინწკლებიანი, შავ-წინწკლებიანი და ტბის კალმახი, წვერა, მურწა, ციმორი, ხრამულა, შამაია, ლოქო, ჭანარი, კობრი, სქელშუბლა თეთრი ამური, სიგა, ქორქილა, ქარიყლაპია, ხონთქარი, კოლხური ზუთხი, კაპარჭინა, სკუმბრია, ზღვის ორაგული, კეფალი, ღორჯო და მრავალი სხვა. „პალიასტომის ტბის კობრისა და ქარიყლაპიას არასასიამოვნო გემო აქვს. შესანიშნავი კალმახი იცის ბაბუშერას ტბის და, აბაშის, თურქეს მთის წყლებში, ხოლო საუცხოო ზუთხი კი რიონსა და ხობში. ენგურზე თევზაობა სამეგრელოს მთავრების შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. სოხუმ-კალესა და ფოთს შორის იჭერენ ზუთხს, ორაგულს, ფარგასა და ქაშაბს, პატარა მდინარეებსა და რუბში კი გემრიელ კიბოებსა და კიბორჩხალის ერთ-ერთ სახეობას წერდა თავის წივნში უიულ მურიე (1884წ.). და იქვე აგრძელებს თხრობას: „სამეგრელოს მთებსა და ტყეებში ბინადრობს პატარა ტანის, მაგრამ მეტად ავი დათვი ყელზე თეთრი გულქანდით, მგელი, ტურა, ყვითელი და შავი მელა, მაჩვი, კვერნა, ნაცრისფერი ციყვი, და გარეულუ კატა, ველების ხშირ ბუჩქებში, უმთავრესად ლერწმით დაფარულ ტბორებსა და მდინარეების ნაპირას კი ტახი, ირემი, შველი და კურდლელი ჭალებში ცხოვრობს. ქურციკი მთებში 2500 ფუტის სიმაღლეზე ბინადრობს, ხოლო ჯიხვი კი, რომლის გაპრიალებულ და ვერცხლით მოპირკეთებულ რქებს სასმის ჭურჭლად იყენებენ, სგანეთის მომიჯნავე 600 ფუთის სიმაღლის მიუვალ მწვერვალებზე. იმავე ზონაში, სადაც ჯიხვებს ვხვდებით, ბინადრობს კავკასიური როგორ.. ჯიხვის მოშინაურება გამორიცხულია... ვეულებრივ ჯიხვთა დაძრულ რემას როჭოს გუნდი ფრენით წინ მიუძღვება და მტრის ყოველი მიახლოებისას მათ ხმა-მაღალი ყივილით აფრთხილებს... ხოხობზე სამეგრელოში შევარდნით ნადირობენ, ხოლო მწვერზე კი მიმინოთ... არწივი მთის მწვერვალების ზემოდან დაფრინავს. ძერა, ძერაბოტი, მიმინო, შევარდნი, ჭოტი, ბუ ირაოს აკეთებენ ცაში და მინდვრის თაგვებსა და თხუნელებს ებრძიან. ხოხობი, რომელიც დღეს უკვე იშვიათია, ენგურის მარჯვენა ნაპირზე და ცხენისწყალის ნაპირებზე ბომბუახიდის მახლობლად სოფელ ხუნში გვხვდება. ტყისა და შეკრიანი ადგილების განაპირა მხარეებში ბინადრობს სოღო. მწყრების გადაფრენას ადგილი აქვს აგვისტოში. ჩიბუხა, ლაღა, პატარა სავათი, იხვი მანდარინკა, გარეული იხვი, პრანწია, გარეული ბატი, ყანხა და ჩვამა კუებთან ერთად ანცობენ წურბელებით მიფუთფუთე ჭაობში. თოლიები და ქარიშხალები ხშირად ზუგდიდამდეც კი მოდიან, რომ შავ ზღვაზე ქარიშხალის მოახლოება ამცნო. მგალობელ ფრინველებს, როგორც ჩანს, მოსწონთ სამეგრელოს ლამაზი ცა და ხშირად ფოთლების ჩრდილი. ლურჯი ყვავი, ბულბული, საყაჩიტი, შაშვი, მეულია, გვრიტი და გარეული მტრედი განუწყვწტლივ ატკბობენ სმენას

თავიანთი სასიამოვნო ხმებით. საკმაოდ უვნებელი მწერები და ქვეწარმავლები ზომიერი სარტყელისათვის დამახასიათებელ ტიპებს მიეკუთვნებიან და განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევიან, თუმცა მორიელის კბენა სახიფათოა და ადგილობრივ მოსახლეობას მისი განსაკუთრებულად ეშინია.

„სამეგრელოს ფლორა, როგორც ველური მცენარეულობა, მეტად მრავალფეროვანია. ჩვენ მხოლოდ იმ ძირითად მცენარეებზდ ვისაუბრებთ, რომელიც სოფლის მეურნებოსთვის სასარგებლოა ან მავნებელია. ამ უკანასკნელ შორის გხვდება ვირისტერფა ფართო ფოთლებით, ჭანგა, შვრია (შქერიელა) ანწლი, ვარდ-კაჭკაჭა, რძიანა, ძირწითელა, ქერიფქლა, მცოცავი ბაია, ნიახურა, ნარშავი, სამჯურნალო გვირილა, მამულა, ბოსტნის წალიკა, ჭილისებრთა და ისრისებრთა გვარის მცენარეები, წაყლიკრეფია და სამეფო გვიმრა. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მცენარეებია, სამკურნალო გვირილა წყალიკრეფია. სასარგებლო მცენარეებიდან სამეგრელოში გვხვდება: ჩვეულებრივი ნამეკრეფია, მდელოს ნამიკრეფია, მდელოს თავიქასრა, წყლის მანანა, მდელოს მელაკუდა, თავთეთრა, ისლურას და ჭილის სხვადასხვა სახეობები, მრავალძარღვა, გობისცხვირა, ნეისწვერა და წითელი სამყურა. ეს მცენარეები დაუმუშავებელ მინდვრებზე იზრდება და საქონლის საკვებს წარმოადგენს. წყლის დაფარულ ადგილებზე მოსჩანს ჭილი, ზამბახი, ლელქაში, ლერწამი და სხვა. ტყეებში უხვად არის ბაგისებრთა ოჯახის მცენარეები. წმინდა კირიან ნიადაგებზე ხარობს მარწყვაბალაზი, დიდფოთლებიანი გობისცხვირა, ჭარელა, ანისული, საკმელა, მზეყვავილა, ხოლო უნაყოფო ადგილებზე – მწყერიფეხა დიდი ყვავილებით. რამდენადაც სამეგრელოს ტყეებში უხვად არის ფოთ-ლოგანი მცენარეები, იმდენად მდიდარია ბაღები ყვავილებითა და ხილით. ღობედ გამოყენებულია მჭიდროს დარგული ახალგაზრდა ალვის ხეები, რომელსაც ენაცვლება აკაციის, თხილის, მიმოისა და თუთის ხეები; ცხრატყავისა და ასკილის უზარმაზარი ბუჩქების გზისპირა ხეივნები, ჰაერში სასიამოვნო სურნელს აფქრვევენ. ვაზი თელას ხავისინ ღეროებზე შემოხვეული, ზემოთ ადის და ისი მწვანე ფოთლებით თაღივით ადგას თავზე ოქროსფერ სიმინდს; ეზოებს ამშვენებს აყვავებული ხეხილი, რომლის ნაყოფით დახუნძლული ტოტები ფანჯრებსა და აივნებს წვდება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ნიადგი საუკათესო არ არის, მცენარეთა სხვადასხვა სახეობები და ჯიშები საოცარი სის-წრაფით იზრდება. ამ გასაოცარ უზარმაზარი ხეების დანახვისას, რომელთა კენწეროებშიც ვაზია გადახლართული, რა დიდებულია, რა საუცხოოა – აღმოხდება ხოლმე მგზავრს. შქერის ბუჩქები ტაისი, ბრწყინვალე ფოთლებით იელის ყვავილები – ფაუნის ერთ-ერთი საოცრება - და ბზის ფარდა, რომლის სურნელებითაც გაჟღენთილია ჰაერი, იქთ კაკლისა და წაბლის ხეები ფართოდ შლიან ბრჭყვიალა ფოთლებს. სერებსა და გორაკებზე შეფენილია დაფნა, სოჭი, მჯხიდა და ზეთისხილის ხეები, მოშორებით მოჩანს აკაცია, რცხილა, ნაძვი, წიფელი, თელა, ცაცხვი, ნეკერჩალი და კოპოტი და ბოლოს, ხშირი ფოთლების ქვეშ პატარა ტბა, რომლის ნაპირზე მურყანი, ჭილი, და ლერწამი წყალს ჩაროსავით შემოუყვება. გაზაფხულზე, აქური ბუნება ისე მომხიბლავია, რომ გასაკვირი არ არის, თუ რატომ უწოდებენ სამეგრელოს სამოთხეს. როგორც ტყის შუაგულში, ისე მის განაპირა ადგილებზე, ხეები ერთმანეთზე ეცემა. ერთი წაქცეული ხე რამდენიმე მეზობელ ხეს გაიყოლიებს. ეს ხეები ნახევრად წყალში ლპება და მასზე საოცარი სისწრაფით ჩნდება და მრავლდება ახალი მცენარეები. უზარმაზარ, გვერდზე გადაწოლილ ხეებს, ფესვების მხოლოდ ნახევარი აქვთ მიწაში, აქ ცულის დაუხმარებლად, 50 ნაბიჯის გავლაც კი შეუძლებელია. მუხა საკმაოდ დიდი იზრდება, მსხვილი და წყლით გაჟღენთილი ბოჭკო აქვს, რის გამოც ადგილად ლპება. კოპოტი ლამაზი ძარღვიანი ხეა, რაც მას დურგლების თვალში დიდ ღირებულებას ანიჭებს. აქ მხოლოდ სამშენებლო ასალად იყენებენ. წიფელს, რომელსაც საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილება აქვს ხის ფეხსაცმლისა და სხვადასხვა ნივთების დასამზადებლად, აქ მხოლოდ შეშად იყენებს. წაბლის ხე, კარგი ხარისხისა და იმდენივე ღირს, რაც კოპოტი. ცაც-ხვის, გარეული მსხლის ხეებისაგან აქ უმთავრესად ავეჯს ამზადებენ. თელას მხოლოდ სამშენებლო მასალად იყენებენ, დეკემბრუსადა იანვარში მოჭრილი მურყანი, მუხაზე უფრო სწრაფად ჭიანდება, იგი წყალში არ ლპება, შესბამის სეზონზე რომ იჭრებოდეს მისი ხიმინჯებად გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. რცხილა მხოლოდ სეშად გამოიყენება, ბზა წვის დროს მის წითელ და ძლიერ ცეცხლს სასიამოვნო ტკაცუნი გააქვს. იგი საკმაოდ კარგი ხარისხისაა და მას ინგლისში აგზავნიან საქსოვი დაზგის, მაქოებისა და გორგოლა-ჭების დასამზადებლად. ურთხელი საკეთესო თვისების მქონე ძარღვიანი ხეა, როგორც ეტლების დასამზადებელი მასალა, ძალიან მცირე რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ... /ადგილობრივად გავრცელებულ დაავადებებზე, მათ მკურნალობაზე და ცრუ რწმენებზე/ უ. მურიე თავის 1884 წლის გამო-

ცემულ წიჯნში ღნიშნავს: დაკვირვებული და გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სამეცნიელოს დაბლობებზე ციებ-ცხელების ეპიდემია, განსაკუტრებით სიმინდის ყვავილობის პერიოდში ბზინვარებს, წვიმიანი ზაფხულები ნკლებ ციებ-ცხელებიანია, და სანამ ჭაობები წყლითაა დაფარული, ნიაზმები მცირე რაოდენობითთაა. ადგილობრივი მცხოვრები გამოჯანმრთელების მიზნით, ქინა-ქინას მცირე რაოდენობით ხმარობებს. ისინი მხოლოდ წიფელის, მუხისა და ტირიფის ქერქის ნაყენს სვამენ. ჩვეულებრვე ქინა-ქინას 1 გრ სამ დოზად მიღება, როდესაც ციების ხასიათი დადგენილია. ავადმყოფილი პირველ დოზას ძლიერ შეტევამდე, 6 სთით ადრე იღებს, მეორე დოზას შეტევის განმეორებამდე 4 სთით ადრე და მესამე დოზას – მოსალონდნელ შეტევამდე 2 სთით ადრე. მომდევნო დღეებში, ღებულობენ მხოლოდ ორ დოზას და ბოლოს ერთს. იშვიათი შემთხვევაა, რომ ციება არ დაემორჩილოს ასეთ მკურნალობას. თუ სასაქმებელი საშუალების წინასწარ მიღებამაც ხელი შეუწყო. სამეცნიელოში, 40-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის დროგამოშვებითი ციება არსებობს, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ის ფორმა, როდესაც შეტევა გრძელდება 48 სთ-ზე მეტ ხანს, პაროქსიზმის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მკურნალობა სრულიად განსხვავებული უნდა იყოს იმისაგან რაც ზემოთ ავღწერეთ. აგადმყოფმა დაუყოვნებლივ უნდა მიღოს ქინა-ქინას 15 მლ/გ-დოზა, ყოველ 2-3 სთში. ამ სახეობის ციებას თან ახლავს ძლიერი თავის ტკივილი და ტემპერატურა 40-მდე იწევა. ზამთრობით, ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს წარმოადგენს: რევმატიზმი, ანგინა, ფილტვების ანთება და ფარარათი. წითელა და ყვავილი, რომელთაც აქ ბატონებს უწინდებენ, მუსრს ავლებს მოსახლეობას. იშვიათადაა ბავშვების აცრა. გადამდები სწორულების გარდაცვლილს, დაუყოვნებლივ ასაფლავებენ ყოველგვარი დატირებისა და ხმარუის გარეშე. როდესაც ჭლებისგან იღუპებიან, ეს კიდევ უარესია. გარდაცვლილის სახლს, რამდენიმე წლის წინ ცეცხლს უკიდებენ, ახლა კი მხოლოდ მისი ლოგინისა და ტანისამოსით შემოიფარგლებიან. სამწუხაროდ 1812 წელს შავმა ჭირმა სამეცნიელოს მმოსახლეობის სამი მეოთხედი იმსხვერპლა. ადგილობრივი მოსახლეობა, ოფიციალურ მედიცინას ნაკლებად ენდობა, მათვის უფრო სანდომი არიან გამოცდილი მოხუცი ქალები და ექიმებაშები //არქანჯელო ლამბერტის (XVII საუკან) საპირისპიროდ „დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში, მთელი კოლხეთში მეტად მიღებული არიან ექიმები და მათ ისე არაფერი ენატრებათ, როგორც საექიმო საქმიანობა“ – ხაზგასმა ჩვენია მ. რ//. გთავაზობთ უცნაური ექიმებაშების რეცეპტს: თევზის მწამვლის შემთხვევაში, უნდა გადაყლაპოთ იმავე თევზის ნაღველი. კუჭის ტკივილის დროს, აწონეთ უმი კვერცხი დ მისი წონის შაბი შეურიეთ კვერცხის გულში, მის შემდეგ რაც ცილას მოაშორებთ, ნაჟუჭი დახურეთ ფერილით, კვერცხი შეწვით ღუმელში ცეცხლზე და შემდეგ აჭამეთ ავადმყოფს, ის უმაღვე განიკურნება. მორიელს ნაკბენს უბრალოდ ადგებენ აღუბლის დაფხვნილ ფოთლებს. გველის ნაკბენისათვის არსებობს განსაკუთრებული ლოკოკინა, რომელსაც ადებენ ნაკბენზე, მას შეუძლია შეიწოვოს შხამი და ჩააქროს ანთებითი პროცესი. რამდენიმე წუთში ნიჟარა გამწვანდება, შემდეგ მას ჩააგდებენ რძეში, სადაც ამოანთხევს შხამს და კვლავ თავისი პირვანდელი მონაცრისფრო ფერით დაიფარება. ეს მეთოდი, ინდური წამლობიდან მომდინარეობს. ძაღლის ან სხვა ცოფიანი ცხოველის კბენის შემთხვევაში, გამოიყენება დასაღვევი წამალი და განსაკუთრებული მკურნალობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეფექტურია. დიდი შიშის ან სიხარულის გამო გულწაული ადამიანის მოსახრუნებლად, მოიხმობენ მკითხავს, რომელიც აღდგომის ღამეს ნაქონი ქამრით, ავადყოფს გაუზომავს ხელის სიგრძეს, იდაყვიდან ნეკა თითამდე, თუ ქამრის სიგრძე ზუსტად არ დაემთხვევა ორივე მხარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ გული დასხეულებულია. მაშინ წარმოითქმის შემდეგი ვერება: „გულო, ჩადექ საგულესა, ნუ გასცდები ბუნებრივ საზღვრებს! დაქმაყოფილდი შენი სამყოფილით ნუ ხეტიალობ! მე შენ შეგიკერავ ჭრელ ბუდეს ისეთი ფერებით, რომელიც შენ მოგეწონება. ღმერთო, შეასრულე ჩემი თხოვნა! როდესაც წითელა ან ყვავილი გამოაჩნდებათ, მშობლები ან ახლობლები იჩოქავენ ავადმყოფის საწოლთან და ოთახს რთავენ წითელი და მყვირალი ფერის ქსოვილებით მოაქვთ ყვავილები, ღვრიან წყალს, უკრავენ გიტარას, ცეკვავენ და წარმოსთქვამენ ჯადოსწურებს. ავადმყოფს ასმევენ ქალის რძეს“.

სადღეისოდ, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებისათვის ისე პრაქტიკოსი ექიმებისთვის და ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ არა-სრულფსოვნი და უხარისხო საკვების მიღება (როგორც ადამიანებში ისე ცხოველებში), ძირითადად არაგადამდებ (არაინფექციურ) დაავადებათა ძირითადი მიზეზი ხდება. ამ დაავადებათა მიერ გამოწვეული ეკონომიური და ადამიან/რესურსული ზარალი ბევრად აღმატება ინფექციური აგენტებით გამოწვეულ დაავადებათა ზარალს: კვებითი რეჟიმის დარღვევები და უხარისხო (თუნდაც ეკოლოგიურად სუფთა, ან ეწ. „ბიო“) პროდუქტებით კვება და კვების არასწორი რეჟიმი – „ჩქარი

პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კვების” ობიექტებში იწვევს არამარტო კუჭ-ნაწლავის დაავადებებს; ამ მიზნით პირველი ღონისძიება ევროპაში ჩაატარა შვეიცარიამ, რომელმაც ქვეყნის მაშტაბით ამოიღო ჩქარი კვების ობიექტები და ისინი შეცვალა ე.წ „ნელი კვების” ობიექტებით, რაც მისასალმებელია; ჩვენი თვალთახედვით ეს ჩანაცვლება ვერ/არ გადაწყვეტს ძირი-თად პრობლემებს, რადგან პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა არამარტო ეკოლოგიურად სუფთა, არამედ ჯანმრთელობისათვის საჭირო და სასარგებლო შემცვლელი პროდუქტების მიღება; საკვები კლიმატო-გეოგრაფიულ გარემოსა და პიროვნების ინდივიდუალურ საჭიროებს და სხვა ფურადსაღებ ფაქტორებს ორგანიზმის სრულფასოვანი ცხოველმყოფადობის შენარჩუნების მიზნით” (მ.როგავა, 2006წ). რაც შეიძლება აღნიშნული დაავადებების მასობრივი და ინტესიური გავრცელების მიზეზად ჩაითვალოს განსაკუთრებით ტექნიკურად და ეკონომიურად მაღალი განვითარების ქვეყნებში, სადაც ძალზე მაღალია მასობრივი წარმოების არასრულფასოვანი საკვები პროდუქტების წარმოება. აღნიშნული მასობრივი წარმოების პროდუქტების ყოველწლიური რაოდენობრივი ზრდა სასუქებითა და პესტიციტებით გაჯერებულ ნიადაგებზეა მოყვანილი, რაც არასრულფასოვან კვებითი ღირებულების ნედლეულს იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ მიწის თითოეულ ფართობზე მოსავლის რაოდენობრივი პარამეტრების გარკვეულ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ნიადგი „ქიმიისაგან” სულ უფრო მეტ „დოზას“ ითხოვს – მიწა „ნარკომანად“ გაქციეთ. (მ. როგავა 2004, 2006, 2012წ). მედიცინა იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს ამა თუ იმ დაავადების დროს დიეტური ანუ შერჩევითი და სტანდარტული კვების შესახებ, რაც მკურნალობის ერთ-ერთ არსებული მნიშვნელოვან პირობას შეადგენს. ამის შესახებ, ჯერ კიდევ სამკურნალო მედიცინის განვითარების გარიურაჟზე მედიცინის მაბა – პიპოკრატე წერდა და პაციენტებს ურჩევდა: „დე თქვენი საკვები თქვენი წამალი იყოს, ხოლო წამალი – თქვენი კვება“. საკვები რომელსაც ჩვენ ვიღებთ, ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზმის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, შენარჩუნებია და განახლებისათვის. ბუნებრივია საკვები იუნდა შეიცავდეს ცილებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებსა და მინერალებს. თავის მხრივ დიეტოლოგიას სწავლობს ამათუ იმ საკვების გავლენას ორგანიზმის ფუნქციონირებაზე და იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს ამა თუ იმ დაავადების დროს. ქართველი ერის ბიოსამედიცინო და სამურნეო გამოცდილებაზე, ეკონომიურად ზუსტად გათვლილი და ერთან მეცნიერულ ხედვაზე დაფუძნებული უალტერნატივო აგროსამედიცინო პრინციპების დამკვიდრება და განვითარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მათი დღიური რაციონის სრულფასოვანი კვებითი პროდუქტების შევსების გზით რაც ჩვენი აზრით პრევენციული მედიცინის უპირველეს ქვაკუთხეს შეადგენს (მ. როგავა 2006-2012-2015). XX საუკუნის მიწურულს ამერიკელი მეცნიერების მიერ (Д. Адамо, К. Уитни 2001 წლის თარგმანი) ყურადღება მიექცა კვების რაციონის შერჩევის პრინციპებს და სათანადო რეკომენდაციები იქნა შემუშავებული სისხლის ჯგუფობრიობის მიხედვით, რაც ჩვენი აზრით ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რასაც შემდგომ, სათანადო ფუნდამენტურ საფუძვლებზე უნდა იქნეს შესწავლითი და დამუშავებული ჩვენი ქვეყნის მაშტაბით – ყველაზე მძიმე და ვერაგი დაავადების – ათეროსკლეროზის წინააღმდეგ, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების ნიზნით.

მარცვლეულ კულტურებთან ერთად ჩვენი ქვეყნის, ამ პატარა ტერიტორიაზე არის კულტურული ვაზის ორი ძირითადი კერა: ალაზნის – აღმოსავლეთ საქართველო და კოლხეთი – დასავლეთ საქართველო, სადაც ათასწლეულების მანძილზე შეიქმნა 525-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიში, რომლებიც გავრცელებულა წარმოშობის პირველად ეთნიკურ – გეოგრაფიულ ცენტრებში: კახეთში – 80, ქართლში – 72, იმერეთში – 75, რაჭა-ლეჩეთში – 50, გურიაში – 59, აფხაზეთში – 58, აჭარაში – 52, მესხეთში – 25, სამეგრელოში – 60. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი ღვინის სამრეწველო ასორტიმენტის 94 – 95% ქართული აბორიგენული ჯიშის ყურძნის მასალით არის წარმოდგენილი. ჩვენს წერილობით წყაროებში V საუკუნიდან მოიხსენიება მრავალი ვაზის ჯიშები. არქეოლოგიურ მასალებში უხვადა წარმოდგენილი ვაზის სასხლავი და სამწნობი იარაღები (დანები, წალდები); ვენახის ნიადაგის დასამუშავებელი საშუალებები (ირმის რქის სახნისი), სასმისები: კულა, ჭინჭილა, ფიალა, ყანწი; ღვინის დასაყენებელი, შესანახი ნაგებობები: მარანი – ღვინის სახლი. მსოფლიოში ღვინის დაყენების სამი (ტექნოლოგიდან) წესიდან ორი ქართულია: კახური და იმერული. მესამე ევროპული წესი წნევესა და კასრებს. უხსოვარი დროიდან ჩვენში, ოჯახის პირობებში ამზადებდნენ „ჭაჭას“, როგორც ყურძნიდან ისე სხვადასხვა ხილის არავს. სამეგრელოში ტყემლის, პანტის, მსხლის, ვაშლის, ანწლის, ლელვის, თაფლისა და სხვა. სამეგრელოში მდინარე

ჩხოუშისა და ტეხურის ხეობაში, ჭკადუაშია და სალნინოს მიკროუბანში, სამხრეთია და სამხრეთ-აღმოსავლეთის მთისპირა კალთებზე გაშენებული იყო ოჯალების ყურძნისაგან წარმოებული დვინოები ხასიათდება განსაკუთრებული ჰარმონიულობით, შინაარსით, აღკოპოლის ნორ-მალური (10,5–13,5 გრადუსის) შემცველობით, ინტენსიური შეფერვით, შენახვისა დატრანსპორტირების უნარით, რაც ძლიერ საყურადღებოა. გამორჩევით დიდია სამეგრელოს მთავრის სიძის, ნაპოლეონ ბონაპარტის დეიდაშვილისა აშილ (ახილ) მიურატის ღვაწლი ღვალების ჯიშის ვაზის გადარჩენის და აღდგენა-განვითარების და საერთაშორისო აღიარების საქმეში. ოჯალები ჭკადუაშის მიკროზონაში, 1889 წელს მის მიერ გაშენებული იყო 25 დესიტინა მიწაზე, სოფელ სალნინოში კი 14 ჰექტარზე. დღემდე შემორჩენილია მის მიერ აშენებული მარანი. 1912 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენა-კონკურსზე მიურატის მამულში მოწეულ და დაყენებულ ოჯალების ღვინომ უმაღლესი ჯილდო „გრან პრი“ დაიმსახურა. პრინცი შილ მიურატი ღვალების ყურძნისაგან ამზადებდა სპეციფიკურ ღვინოს უცხოეთში გასატანად, ეტიკეტზე წარწერით “Odjaleche, Vignobles S. A. Medame La princesse A. Muret”. პრინცი აშილ მიურატი, თავად დიმიტრი დადიანთან ერთად ითვლება სამეგ-რელოში „დაბლარი“ (დღევანდელი „შპალერის სისტემის“) მევენახებობის შეტანის ინიციატორად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყურძნითა (ამპელოთერაპია) და ღვინით (ენოთერაპია) მკურნალობა საქართველოში შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ძალლონე გამოცლილ, ნაშიმშილარ და უღონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს (ავადმყოფს) აძლევდნენ ღვინოში ჩამბალ პურს (ბილიწოს). რაც უფრო დაბალ ტემპერატურის პირობებში იზრდება ვაზი, ყურძნები მეტი რაოდენობითა ვაშლმჟავა. გასულ საუკუნაში სამედიცინო მიმართულებამ „ღვინო და ვანმრთელობა“ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქართველ და ფრანგ მეცნიერთა მიერ. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ღვინო მდიდარია სამკურნალო, პროფილაქტიკური და დიეტური ნივთიერებებით: – ფრენოლური შენართოები და ანტოციანები (პროანტოციანიდოლები) ყველაზე დიდ როლს. თამაშობს კარდიოლოგიური დაავა-დებების წინააღმდეგ. ეს ნივთიერებები იცავს არტერიებს ნაადრევი ათეროსკლერიზული პროცესების განვითარებისაგან. დადგენილია, რომ პროანტოციანიდოლები დიდი რაოდენობითა ყურძნის წიპ-წაში (59%), კლეიტში და კანში (21–19%); რბილობში კი ყველაზე ნაკლები –1%-ს ფარგლებშია. გამომდინარე აქედან, ქვევრში დაუღებული ქართული ღვინოები პროანტოციანიდების შემცველობა 62%-ს აღწევს (მიშეღ ბურზექსი), რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კერძოდ ათეროსკლე-როზის ადრეულ პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება. დადგენილად ითვლება, რომ ყურძნები არსებული ნივთიერება რეზერვატოროლი ხელს უშლის თრომბოციტების შეწებებას და თრომბის წარმოქმნას. ამ ტიპის ღვინის მიღება დღეში 200 მლ/ლ-მდე ამცირებს ინფარქტისა და ინსულტებით გამოწვეულ სიკვდილობას 21 - 28%-მდე. რეზერვატოროლი ფიტოსტროგენია და ადამიანის ორგანიზ-მზე ესტროგენების მსგავს მოქმედებას ახდენს. იგი ეფექტურად მოქმედებს სისხლის, კანისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს. მრავალსაუკუნოვანი ოჯახური ტრადიციებით შექმნილი ქართული ყურძნისა და ღვინის პროდუქტებია: ჩურჩხელა, თათარა, ფელამუში, ტკბილის კვერი, ჯანჯუხა, ტყელაპი და სხვა. რომლებიც ხშირად ქართველ მეომართა ძალის აღმდგენ სწრაფ და უებარ საშუალებას წარმოადგენდა ბრძოლის ველზე. 2004 წელს იტალიის მილანის უნივერსიტეტმა, გამოსცა კაპიტალური წიგნი – „ვაზი და ადამიანი“. რომელშიც, პირველად გამოქვენდა რუქა, საღაც აღი-რებულია კულტურული ვაზის წარმოშობის პირველ კერად საქართველოს ტერიტორია და მასში ილუსტრირებულია 150 ქართული აბორიგენული ქართული ჯიში. წიგნში მოცემულია ვრცელი ინფორმაცია ქართული მევენახება-მეღვინეობის შესახებ (თანავატორები: ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგზარ ცერცვაძე). სამეგრელოში, აბორიგენული წითელფერმნიანი ოჯალებისაგან მიიღება ინტესი-ურად შეფერილი, ბუნებრივად მოტკო და მშრალი ჯიშურის დასახელების ოჯალები.

უხსოვარი დროიდან, ჩვენი ქვეენის არსებობის ათასობით წლების მანძილზე, ჩვენმა წინაპრებმა შეარჩია და ჩამოაყალიბა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს შეგუებულ შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ჯიშები. მეგრული ცხენი, მეგრული ძროხა, თხა, ქათამი. მეგრული ცხენი ითვლება კოლხური ცხენის პირდაპირ შთამომავლობად, იგი საკვდომ-საპალნე მიმართულებისაა, თუმცა წარმა-ტებით იყენებენ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამურნეო სამუშაოებზეც. იგი ხასიათდება, მაგარი კონსტიტუციით, ბუნებრივ კლიმატურ პირობებთან კარგი შეგუებით, მუშაობის მაღალუნარიანობით, კვებისა და მოვლა-შენახვის პირობებისადმი ნაკლებ მოთხოვნილებით, ამტანობით, მაღალი ნაყოფი-ერებით და სიცოცხლის ხანგრძლივობით. ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში სამეგრელოში წარ-მატებით იყენებდნენ მეგრული ჯიშის ცხენს, რომელიც ხასიათდება მაღალი კონსტიტუციით, ბუნებრივ

კლიმატურ პირობებთან კარგად შეგუებით, მუშაობის მაღალუნარიანობით, კვებისა და მოკლა-შენახვის პირობებისადმი ნაკლებ მოთხოვნილობით, ამტანობითა და სიცოცხლის ხანგრძლივობით. შეედრის ტარებისა და ტვირთვის გადაზიდვის კარგი პირობებით, გამძლეობით, მოქნილობითა და სიმარდით. მისი საპალნის წონა 100-130 კგ-ია, რაც ცოხალი მასის 35-40%-ს შეადგენს. იგი გამოცდილია მარულაშიც, 10-15 კმიან დისტანციაზე. 10 კმ-ს 15,30 წთში ფარავს, ხოლო 15,30 კმ-ს 27,5 წთში. მეგრული ცხენი პატარა ტანისაა, კარგი აგებულების, თუმცა რამდენიმე ნაკლი აქვს, კის-ერი უშნოა, გრძელი კუდი საკმაოდ დაბლა აქვს, ფაფარი თხელია. იგი მუქი წაბლისფერი ან მონაცისფრო-მოთეთროა და მარდია. ჭამაში ზომიერია, იკვებება თივით, ფეტვის ჩალით, რომელიც მდიდარია ადვილად შესათვისებელი ნივთიერებებით და სიმინდით, რომლის დიდი რაოდენობით მიღება ფეხების დასიებას იწვევს. მას შშვიდი დამყოლი ხასიათი აქვს და მისი მთავარი ღირსება გამძლეობაა. ეს ცხენი თოხარიეთ დადის და ნელი ტემპით შეუძლია 70 კგ-ით დატვირთულს საათში საშუალოდ 6 ვერსი გაიაროს და შეუჩერებლად 10 საათი იაროს. იგი მუდმივად ტალახში, ჭაობში და მთებში დადის, იტანს იქაური გზების სინელეებს, მარდად გადაცურავს მდინარეებს, დაჭ-ედილია თურქულად – ბრტყელი ნალით და ისეთივე მტკაცე ფერხები აქვს, როგორც ჯორის. მას გამწევ ძალად არ იყენებენ, რადგან მეტად ნერვულია... ცხენზე დეზების გარეშე სხდებიან, ლაგამი წვრილია, საზურგე და სამკერდე თასმები მხოლოდ აღკაზმულობის ნაწ-ილია. უნაგირი ძალიან ჰგავს ჩვენთან გავრცელებულ ძველებურ უნგრულ სამხედრო უნაგირს, გადაკრული აქვს ტყავის სექლი გატენილი ბალიში და ცხოველს არ აზიანებს. რკინის ან ვერცხლის უზანგები ძალიან მოკლედ არის მიბმული. ეს აღმოსავლეთის ხალხების საერთო ჩვეულებაა, მაგრამ ამ მოდას სხვა ახსნაც აქვს. დიდმა და მაღალმა მამაკაცებმა შშვენივრად იყან, რომ ფეხების შეუწყვეტელი ქანობის გამო მშედრის ჭარბი წონა უფრო მეტად ამბიმებს ცხოველს. ამასთანავე, ძველად ომში ბრძოლა მოითხოვდა მოულოდნელ სწრაფ მობრუნებას და, რასაკვირველია, ასესეთ უნაგირზე ჯდომის ადგილობრივი მანერით მარჯვნივ ან მარცხნივ მცირე გადახრაც კი აადვილებდა ცხენის გადაადგილებას. მეგრულები ბავშვობიდანვე ეწვევიან ცხენოსნობას, შესანიშნავი მშედრები არიან, თუმცა მკაცრი ხელი აქვთ, მათ ემარჯვებათ გაუვალ ტყებში ხეებქვეშ გაძრომა... უყვართ ცხენის ადგილიდან მოწყვეტა, 60 ან 100 მეტრზე გაჭენება, უცებ გაჩერება და უკან შემობრუნება. რომელიც მომხდარა – გაჭენებისას დაცუმული ცხენი ისე წამომდგარა, რომ მარჯვე მშედარი არ წყდება უნაგირს, თითქოს მასზე მიკრულია! მეგრელი არასოდეს შევდება კუდომჭრილ ან ჭაკ ცხენზე და განსაკუთრებით კი ვირზე, რომლითაც ძველად მოდალატე ცოლს დაატარებდნენ... მამაკაცურად ამხედრებულ სამეგრელოს დედოფალს თან ახლდა მასავით ცხენზე გადამჯდარი 10–12 სეფექალი, 30 – 40 თავადი, თუ აზნაური და ამდენივე დოლმახორე, რომლებიც ყოველთვის ფეხით მისდევდნენ, რაც არ უნდა სწრაფად ევლოთ ცხენებს. ქალებს მეწამული ფერის დაქარგული მაუდის მოსახვამი ამშვენებდათ, თავზე იგივე ფერის მრგვალი ფეტრის ჭუდები ეხურათ, რომლებსაც ორივე მხრიდან წვრილი ზონრები და სირმები ქონდათ შემოკერებული და ძვირფასი მონეტებით იყო გაფორმებული. ცხენის ზურგზე გადაფენილი ფარჩის ასალი მიწამდე ეშვებოდა. უნაგირები, უზანგები, აღბირები, ცხენის სამკერდები უხვად იყო მორთლ-მოკაზმული ორნამერტებიტა და ოქრო-ვერცხლის მონეტებით. ბავშვები და მათი ამღზრდელი, ასევე ბერიც, ამ ამალის წევრები იყენენ. მდინები, რომელთაც ბერძნების მსგავსად სარტყელზე გამობმული ქონდათ სპილენძის ან მოოქროვილი ვერცხლის სამელნე, ცხენოსანთა ამ ბრწყინვალე მსვლელობას ქვეითად მისდევნდნენ. ჩვენც ღროში კი, ინგლისელი ქალის პროზაური უნაგირი ერთადერთ წესიერ უნაგირად ითვლება ყველა მეგრელი ქალის-ათვის ვინც კი საკუთარ თავს ღრძნავ მაინც ცემს პატივს". ერის ხასიათი და ზნე-ჩვეულებები საუკუნეთა განმავლობაში ორგანულად ერწყმის მის საცხოვრის ტერიტორიას და ბუნებრივ ლანდშაფტს. მაბულის ტერიტორიას და თავის საცხოვრისს მამაკაცებთან ერთად ქალებიც იცავდნენ. „საქართველოში ქალები ისეთივე მშედრები არიან, როგორც მამაკაცები – ამბობს საბერძნეთის ისტორიკოსი ჰეროინტე – ნადირობები ქალებიც და ქმარს არ ირთავენ ვიდრე თითო მტერს სამშობლო ქვეყნისას არ მოკლავე... ყველაზე უფრო საყურადღებოა დიოდორ სიცილიების სიტყვები, საქართველოს ამაზონებზე და ამაზონთა სამეფოზე... როდესაც ეგვიპტელები შემოიჭრენ საქართველოში და მამაკაცებს გაუჭირდათ მათი ძლევა და განდევნა საქართველოდან, მაშინ ამოსელმა თავადმა ქალმა შექრიბა ქალთა მშედრიობი, თავს დაესხა მათ მოულოდნელად, ეგვიპტელები დამარცხდნენ, უმრავლესობა ქალებმა ამოხოცეს და დანარჩენები განდევნეს ქვეყნიდან. მათმა მამაკაცებამ და ბრძოლამ თავზარი დასცა უცხოელებს. ამოსედ ქალებს უცხოელებმა დაარქვეს ამაზონები, ხოლო საქართველოს დასაგლეოთის ზღვის პირს მცხოვრებლებს კოლხიდარნი – ქალნი მშედარნი (ამონარიდი კონსტატინე კაპანელის წიგნიდან „ქართული სულის ესთეტიკური სახეებში") – სააღდვომო დღესას-

წაულებისა და ქორწილების დროს მარტლა იმართება. გასარბენი დისტანცია 5-6 ვერსია. ამარჯვებულს დიდ ზემს უხდიან. მეგრული ჩაცმულობის აღსანიშნავად მდიდარი ტერმინოლოგია გვაქვს. ზოგადი ტერმინია ბარგი, რომელიც ყველაფერს აღნიშავს, რაც ადამიანს აცვია და ახურავს. ბარგი მოიცავს, როგორც მუკაქუნალს, მუკოქენჯს, გინაქენჯს, გინაქუნალს, გიორთუმალარს, მადვალარს, ჩამოვლილთაგან მუკაქუნალში შედის ის, რაც ჩასაცმელია, გინაქუნალში რასაც მკლავი არ გაეყრება. დანარჩენი ერთი თავსაბურავია და მეორე ფეხსაცმელი. განასხვავებენ საგარეო და საშინაო, აგრეთვე საგვირგვინო და სამგლოვიარო ტანსაცმელს. მეგრული ჩოხა გამორჩეულია რაღან, ორივე იარაღი, ხმალი და ხანჯალი ერთდღოულად გვხვდება. ხოლო ქალის კაბა, ნატიფი ქსოვილისგანა შეკერილი და თავსაბურავითაა დამშვენებული. კიდევ ერთი განსხვავება აღმოსავლეთ ქართველებთან, სადაც მამაკაცები ყოველთვის თმებს იჭრიდნენ – დასავლეთ ქართველი კაცები XIX საუკუნის შეუახნებამდე, როგორც წესი თმებს იზრდიდნენ გრძლად. რაც შეეხება ჩაქურას, აქ საქმე გაცილებით მარტივადაა, ეს ტანსაცმელი აცვიათ, აჭარლებს, გურულებს, მეგრელებს, მესხებს, ანატოლიელ თურქებს, პონტოელ და კვიპროსელ ბერძნებს. მეგრულები ასხვავებდნენ სადღესასწაულო და საგარეო ჩაცმულობას. „სადიარო“ „სასტუმრო“ – „საგარო მუკაქუნალი“, საშინაოსაგან „საოჯახო“ – „ყუდეშ მუკაქუნალი“ ერთ-მანეთს უპირისპირებდნენ საქორ-წილოს და სამგლოვიარო სამოსელს. მოსარგები სამოსელის დანაწილების პრინციპებს: შიგნითა „დნახალე“, გარეთა „გალე“, „გალენ“ ზემოთა „ჟინ“ დო „ტუდონი“. საინტერესოა ზოგი კონკრეტული ცნებაც, როგორიცაა „ოსარე“ – პერანგი“, „ყანთარი – საგულე და სხვა. საცვლის ნიმუშებიდან მეგრული სახელწოდების მატარებელნი. ოსარე, კურთა, ყანთარი.

მეგრული ჯორი, პატარა ტანისაა და ხშირ შემთხვევაში ავია, იგი აფრიკულ ჯორს წააგავს. ჯორით ჩვეულებრივ მღვდლები მგზავრობენ, ისინი აღვრსა და დეზებს ხმარობენ.

კამეჩი ტანით დიდია და ქვემი სამეგრელოში დიდი რაოდენობით ჰყავთ. მათ გლეხები დიდი ტვირთვის გადასაზიდადს იყენებენ და ასე გადიან დიდ მანძილს, აღმართსა თუ მნელად სავალ გზას. მისი რეჟ საუცხოო სასმელია, ცხიმიან ნაღებს იძლევა, რომლისგანაც თეთრ კარაქსა და მაწონს ამზადებენ. ოდეთგან ეს ქვეყანა განთქმული იყო ღორით. ამჟამად აქ გავრცელებულია ერთი ჯიში, რომელსაც ტახის შეგავის გრძელი, შავი და უხეში ჯაგარი აქვს. მისი ხორცი შსუბუქ და ნოყიერ საჭმელად ითვლება. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა და გრაფმა როზმორდიუქმა აქ მოსაშენებლად შემოიყანეს გრინიონის (ბერშიკ-ჰამფრირის) ჯიშის ღორი, ხოლო პრინცმა აშილ მიურატმა კი ძველი ფრანგული კროლეს ჯიშის ღორთან შეაჯვარებით გამოიყანა ახალი ჯიში. ამ შეჯვარებამ კარგი შედეგი გამოიღო. სამეგრელოში აქა-იქ ვხვდებით ახალციხის ჯიშის ცხვრის რამდენიმე ფარას. აქაური მაცხოვრებლები ცხვრის გრძელი და სქელი მატყლისგან მათვის ასე აუცილებელ ნაბადს ამზადებენ. ნაბადი ერთგვარი წყალგაუმტარი მოსასხამია, რომლის გარეშეც წვიმიან, ქარიანსა და თოვლიან ამინდში სახლიდან არავინ გადის. ლეჩხუმში არის პატარა ტანის გამბლე ცხვრის ჯიში, რომელიც საუცხოოდ ეგუება მთის პირობებს. ნერბი წელიწადში საშუალოდ ორ ბატკანს იგებს. მისი მატყლი ძალიან უხეშია და მხოლოდ სქელი ტანისამოსის დასამზადებლად გამოდგება, სამაგიეროდ ამ ცხვრის ხორცი ძალიან გემრიელია. ბატქნის მატყლი ხვეულია, ტყავს კარგად გამოქნიან და ბეწვიან მოსასხამს (კარაველი) ამზადებენ. ბატი, ინდაური, იხვი და საუცხოო ყვერული, რომლებსაც შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ბრესისა და მანსანს ნაწილობრივ თფილისისა და ქუთაისის ბაზარზე გააქვთ გასაყიდად.

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, დასავლეთ საქართველოში და მისი მასა საშუალოდ 280 კგ-ს შეადგენს, კურობის კი 440-კგ-მდე აღწევს. იგი კარგად ეგუბება ჭაობიან საძოვრებსაც, როცა სხვა ჯიშის ძროხები ამ პირობებს ვერ უძლებს. ხასიათდება რძის მაღაალი ცხიმიანობით, რომელიც საშუალოდ 4,45%-ს ხოლო მაქსიმალურად 6,17%-ს აღწევს. ფურცამეჩის ცოცხალი მასა 450 კგ-ს ხოლო კუროს 445 კგ-ს აღწევს. წლიური საშუალო წველადობა 1500-დან 2400-კგ-მდე მერყეობს, რძის ცხი-მიანობა კი 7,6%-დან 8%-მდეა. სამეგრელოში და მთლიანად საქართველოში ფართოდაა გავრცელებული მეგრული თხა რომელიც ჩამოყალიბებულია ხალხური სელექციით, იგი მერძეული მიმართულებისაა. თაისუფლად იალაღობს სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე (2500-3200 მეტრი ზღვის დონიდან) კარგად გრძნობს თავს ბარის ზონაშიც, ამტანია და კარგად ეგუება მომთაბარული კმკაცრ პირობებს. მისი მერძეულობა საშუალოდ 250-300 კგ-ია. საუკეთესო ეგზემპლარები კი 500-600 კგ რძეს იძლევიან. ბოტი წარმოებლის ცოცხალი მასა 60 კგ-

მდეა, ნეზვების კი 45 კგ-მდე. იგი თითქმის ბუნებრივი საკვების ხარჯზე იკვებება. სამეგრელოში გავრცელებულია მეგრულ-სვანური ჯიშის ორი სახე. ფართოდაა გავრცელებული ქათმის, ინდაურისა და ბატის ადგილობრივი ჯიშები. ქათამი მეგრულა უძველესი ადგილობრივი ქათმის ჯიშია, მიეკუთვნება კვერცხულ-მეხორცეული თვისების მქონე ტიპს, საშუალოდ 170 დღეში აღწევს სქესობრივ სიმწიფეს, ცოცხალი მასა, დედლები 1,4-1,6 ხოლო მამლები 2,1-2,4 კგ-ია. საშუალო კვერცხმდებლობა 160-165 ცალია, კვერცხის მასა 53-დან 59 გრამამდეა. კვერცს ახასიათებს მაღალი საინკუბაციო პერიოდი, წიწილები სწრაფად იზრდება და დასაკლავ ასაკს 3-4 თვის ასაკში აღწევს. ცხიმის დაგროვება ხდება არამარტო კანქვეშ და მუცლის ღრუში, არამედ კუნთებს შორის, რაც არ ახასიათებს სხვა კულტურულ ჯიშებს რის გამოც, ხორცი მარალი საგემოვნო თვისებებით ხასიათდება. მის კვერცხში მაღალია ლიზინის, ლეციტინის და იზოლეციტინის შემცველობა, რაც განაპირობებს საინკუბაციო და საგემოვნო პირობებს.

„სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სისტემა და მდელო-საძოვრების უქონლობა მოსახლეობას აიძულებს ზაფხულში საქონელი მთაში გაგზავნოს. ასხის მთის საძოვრები ყველაზე დიდი და საუკეთესოა სამეგრელოში... საქონლის ძირითადი საკვები ბალაზია: ნამიკრეფია, წივანა, ჭანვა, ტუჩოსანნი, მთის სამყურა, მთის ასისთავა, ისებრნი, ქარტული ნემისწვერა, დიდფოთლება ნემსიწვერა, და სხვა. ეს ბალაზები თავიანთი ნოყი-ერებით და ამგზნები თვისებებით ვსაქონელს ძალასა და სიმწნევეს მატებს და საძოვრებზე სიარულსა და სუფთა ჰაერთან ერთად ისინი ცხვრის სიგამძღვრის წინააღმდეგ კარგ საშუალებას წარმოადგენს. ...საძოვრებზე ასვლა ზაფხულში პირველდან 15 ივნისამდე ხდება... ასხის საძოვრებზე ყოველწლიურად 3500 – 4000 ცხენსა და 10 000 – 12 000 ცხვარს მიერეკებიან, თუმცა იქ მეტის გამოკვება შეიძლება... ამ ცხენების ხელახალი დაჭრა პატ-რონს ქამანდით უხდება, როგორც ამას სამხრეთ ამერიკაში აკეთებენ. რა გიუური და თავბრუდმშვევი ჭენება იმართება ამ ციცაბო ფერდობებზე! რა საერთო თავდავიწყება! რამდენი ხალისია! რა ყიუინა! რამდენი უბედური შემთხვევა ხდება! ეს საკმაოდ იშვიათი სანახაობაა მონაწილეთა დიდი რაოდენობით, სცენების მრავალფეროვნებითა და პეიზაჟების სილამაზით. შანალიროს მთაზე მდებარე სანადიროსა და ახალჭალის საძოვრები კარგია როგორც ცხენების, ასევე ძროხებისათვის (ჟიულ მურიე „სამეგრელო/ძველი კოლხეთი/ გამომც. „არტანუჯი“ 2018წ). მეგრული წითელი ჯიშის ძროხა, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. მისი გამოყვანისას უცხო ჯიში არ ყოფილი გამოყენებული ფურების საშუალო ცოცხალი მასა 280 კგ-მდეა, კუროების 480 კგ-მდე აღწევს. რძის ცხიმიანობა, 4,45%-დან 6,17%-მდე მერყეობს. იგი მთიან საძოვრებთან ერთად, ჭაობიან საძოვრებსაც კარგად იყენებს. ფურ-კამეჩის ცოცხალი მასა 450 კგ-ია ხოლო კუროსი 545. მისი საშუალო წლიური წველადობა, 1500 კგ-იდან 2400 კგ-ს შეადგენს. რძის ცხიმიანობა კი 7,6-8,0%-ია. მისი რძისგან მზადდება ბევრად უკეთესი მაწონი, ვიდრე ძროხის რძისგან, აგრეთვე საუკეთესო ყველი – სულგუნი, ნაღები, ხაჭო და რძის ზოგიერთი სხვა პროდუქტი. მეგრული თხა ჩამოყალიბებულია ხალხური სელექციით, იგი მერმეული მიმართულებისაა, პროდუქტს იძლევა ნაკლები დანახარჯებით, თავისუფლად იალაღობს სუბალტურ და ალპურრ საძოვრებზე. (2500-დან 3200 მ ზღვის დონიდან). იგი კარგად გრძნობს თავს ბარის ზონაშიც, ამტანია და კარგად ეგუება მომთაბარულ შენახვის მყაცრ პირობებს, მისი მერძეულობა საშუალოდ 250-300 კგ-ია წელიწადში, საუკეთესო შედეგი 500-600 კგ რძეს იძლევა. ცოცხალი მასა საშუალოდ 60 კგ-მდეა, ნეზვების კი 45. იგი მთლიანად ბუნებრივი საკვების ხარჯზე იკვებება. ადგილობრივი ჯიშებიდან გავრცელებულია სვანური ჯიშის ღორი, რომელიც ბუნებრივი საკვებით იკვებება. მეგრული ქათამი, უძველესი ადგილობრივი ჯიშია. მიეკუთვნება მეკვერცხულ – მეხორცეულ თვისებების მქონე ქათმის ტიპს, 170 დღეში აღწევს სქესობრივ სიმწიფეს, დედლების ცოცხალი მასა 1,4-1,6. მამლების 2,1-24 კგ-ია. კვერცხმდებლობა საშუალოდ 160-165 ცალია, კვერცხის მასა, 53-დან 59 გრამამდეა. წიწილები სწრაფად იზრდება და დასაკლავად 3-4 თვის ასაკში აღწევს. მისი ხორცის მაღალი საგემოვნო თვისებები გამოწვეულია იმით, რომ ცხიმის დაგროვება ხდება არამარტო კანქვეშ და მუცლის ღრუში, არამედ კუნთებს შორის, რაც არახასიათებს სხვა კულტურულ ჯიშებს და კროსებს. სოფლებში მომრავლებულია აგრეთვე, იხვი, ინდაური, ბატი და სახვა სახის ფრინველი, რომლისგანაც მზადდება შესანიშნავი ტრადიციული კერძები.

დადგენილია, რომ ქართველები, მეფუტკრეობას ჯერ კიდევ ძვ.წ IV საუკუნეში იცნობდნენ, და დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ თაფლს. სამეგრელოს მთავრის, ნიკო დადიანის შვილების აღმ-

ზრდელი ჟიულ მურიე 1884 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში LA MINGRELIE (ANCIENNE COLCHIDE) წერდა: ყოველწლიურად ფოთიდან 5000 ფუთი თაფლის სანთელი (ცვილი) გადის. ზოგიერთი ყვავილის ნექტრის თაფლი სიმთვრალეს იწვევს და მომწამვლელიც კი არის ადამიანისათვის. ეს ყველაფერი გაზიადებულია და ერთი შემთხვევაც კი არ დაფიქსირებულა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ადგილობრივები იყნისის თვის (იელის ყვავილობის პრიოლი) თაფლის ჭამას ერიდებიან. ენგურის, ტეხურის, ცხენისწყალის ხეობებში მეფუტკრეობა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. სკა მზადდება ორო ერთმანეთზე დადგებული გრძელი, ფუჟე ხის ცილინდრისაგან, რომლებიც სიგრძეზე გაპიბილი და ორ ფეხზე შემდგარი. გაპიბილი ადგილის ნაპირზე პატარა ხერელებია გაკეთებული ფუტკრების შესასვლელ-გამოსასვლელად, რომ-ლებიც თაფლს აგროვებენ სურნელოვანი მცენარეებით მოფენილ ტყეში, ბორცვებსა და პატარა ხეობებში. სკიდან თაფლს წელიწადში ერთხელ, ივნისში ან აგვისტოში იღებენ. ფუტკრისაგან თავის დაცვის მიზნით სკის მახლობლად უკიდებენ წიგას, რომლის ბოლი ფუტკრებს აბრუებს". გარდა ამისა წიგნში მოცემულია, რომ იმ დროს სამეგრელო აწარმოებდა თამბაქოს მრავალი ათასი ფუთის ოდენობით, რამოდენიმე ათას კაკლის ხის მასალას, დაფნის ფოთოლს – წელიწადში 50 000 ფუთს, საკასრე ფიცარს - 90 000 ცალი ხის სკეჩს, ას ფუთამდე ხიზილალას, სელის თესლი 25 000-დან 50 000 ფუთამდე, „ყოველწლიურად სიმინდს – 2 მილიონამდე ფუთი იგზანება რედუტკალესა და ანაკლი-იდან, მანჩესტერსა და მარსელში მხოლოდ 200 000 ათასი ფუთ გააქვთ, რაც შეეხება აბრუშუმს – გააჩნია მოსავლის სიდიდეს, თუმცა ის მაინც მუდმივი გაცვლა გამოცვლის ობიექტია. წლიური მოსავალი 1 900 ფუთს აღწევს". დიდი ბერძენი ისტორიკოსის სწავლულისა და მხედარმთავრის – ქსენოფონტეს ისტორიულ თხზულებაში „ანაბასისი" აღნიშნულია, რომ ჩვენი ხალხი ფუტკარს დვთაბრივ მწერად თვლიდა და წელიწადში ერთ დღეს ფუტკარს უძღვნიდა. ამ საკულტო დღეს, მამაკაცები მხოლოდ სკებს აკეთებდნენ, და საფუტკრეს ასუფთავებდნენ. წესად ჰქონდათ შემოღებული ფუტკრის შელოცვა. დანაშაულად ითვლებოდა ფუტკრის უდიერი მობყრობა, რითაც იგი მდიდარია ჩვენი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები. მასთან დაკავშირებულია მრავალი წეს-ჩვეულება, ზღაპარი, ანდაზა, რომლებმაც მოაღწიეს ჩვენამდე. ქართული მთის რუს ფუტკარს, დიდი უპირატესობა გააჩნია მსოფლიოში სხვა ჯიშებთან შედარებით და განსაკუთრებული აღილი უჭირავს. მისი ხორთუმის სიგრძე, (6,7-დან 7,4 მმ-ია) დიდად ჭარბობს მსფლიოს სხვა ფუტკრების ხორთუმს. 1923-1931 წლებში ვაიომინგის შტატში (აშშ) ქართული და იტალიური ფუტკრის შედარებითმა გამოცდამ, მათ პროდუქტიულობაზე დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ფუტკრის სასარგებლოდ. მან 36,5-გვთ მეტი თაფლი დააგროვა, ვიღრე იტალიურმა. მეფუტკრეთა საერთაშორისო კონგრესზე, მოწყობილ გამოფენაზე, ქართული ფუტკარი 3-ჯერ დაჯილდოვდა ოქროს დიდი მედლით. ქალაქ ერთუტში 1961 წელს, ბუქარეში (რუმინეთი) 1965 წელს და ქალაქ მისკოვში (რუსეთი) 1971 წელს. დღესთვის საქართველოში, 400 000-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი ითვლება. ფუტკარი იძლევა ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პროდუქტებს: თაფლი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, ცვილი, ფუტკრის სადედე რმე და ფუტკრის შხამი. ქართული თაფლი არ შეიცავს პესტ-იციდებს, ნიტრატებს, ანტიბიოტიკებს, მძიმე მეტალებს, მექანიკურ მინარევებს, რადიაციას. თაფლის შემადგენლობაშია: ფრუქტოზა 39 %, გლუკოზა 32%, წყალი 18-21%. ნაცარი 0,24 %. დასტაზის რიცხვი 8%-მდეა. ჩვენში ძირითად იწარმოება ე.წ აკაცის, ცაცხვის, წაბლის და მინდვრის ყვავილების თაფლი. ყვავილის ნექტარიდან მიღებული თაფლის მასაში 70%-მდეა შესაბამისი მცენარეთა ყვავილის შემცველობა. ფუტკარი მის მიერ გამო-მუშავებულ დინდგელს (პროპოლისი) იყენებს სკაზე არსებულ ნაპრალთა ამოსალესად. დინდგელის სამკურნალო თვისებები დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. მას აქვს ბაქტერიოსტატიური, ბაქტერიოციდული, ფუნგიციდური, ანტიოქირებს, ანთებითი პროცესების საწინაღმდეგო მოქმედება. იგი უცხო უჯრედებს ისე ანადგურებს, რომ მასპინძლის მიკროფლორას არაფერს ვწებს. მის შემადგენლობაში დადგენილია: 284 სახეობის ნივთიერება. წელიწადში ერთ ოჯახი 100-დან 150 გრამამდე დინგელს გამოიმუშავებს, ხოლო ყვავილის მტვერი, ცილების, ცხიმების, მინერალური მარილებისა და ვიტამინების ძირითადი წყაროა. ფიჭაში თაფლი დაკონსერვებული ყვავილის მტვერი, ნატურალური პროდუქტია, მისი შექმნა მხოლოდ ფუტკარს შეუძლია და ფალისფიციას არ ექვედებარება. იგი ხასიათდება ნივთიერებათა მრავალფეროვნებით, მათ შორის შეიცავს 22 ამინომჟავას რომელთაგან 10 ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. იგი აგრეთვე შეიცავს გლუკოზას, ურუქტოზას, საქართვას, მაღაროზას, სახამებელს, გლიკოგენს, უჯრედანს, დექსტრინებს და ბენზოზინებს. პიგმენტებს, ზრდის ფაქტორის პრომონს და მრავალ მიკროლემენტს. იგი სხვადასხვა სახეობის მცენარის ყვავილის მტვერი, სხვადასხვა ხარისხისაა. ფუტკრის ერთმა ოჯახმა

დღე-ღამეში შეიძლება 200-დან 250-გრამამდე ყვავილის მტვერი შეაგროვოს. ფუტკრის საცვილე ჯირკვლის მიერ გამომუშავდება პროდუქტი, ცვილი. რომელსაც ფუტკარი ხმარობს ფიჭვების დასამზადებლად. იგი ათასწლეულების მანძილზე ინარჩუნებს თავის პირვანდელ თვისებებს. მის შემადგენლობაში რთული ეთერები 75%-ძეგა, თავისუფალი ცხიმოვანი მქავები 13-15%-ს შეადგენს, ნახშირწყლები 12-15%-ს, წყალი 0,1-დან 2,5%-ძეგა, კაროტინოიდები 100 გრ ცვილში, 13 მლ/გრ-ძეგა. იგი გამოიყენება ხელო-ვნური ფიჭვებისა და საკლესით სარიტუალო სანთლების დასამზადებლად. სადედე ფუტკრის რეჟ შეიცავს 21 ამინომჟავას, წყალს 60-70%-ს, ცილას 14-18%-ს, შაქრები 12%, ცხიმები 1,7-5,7%-ძეგა. ნაცარი 1%, სხვა ნივთიერებები 3,5%. იგი შეიცავს თითქმის ყველა სახის ვიტამინს, სადედე რძის განზავება 1:100-დან 1:1000-ძეგა მასალის განზავებული წყალი, სპოს 15 სახეობის ბაქტერიას, გრიპის ვირუსებს, სოკოებს. დადგენილია, რომ იგი კლას ამერიკული სიდამბლის გამომწვევ ბაცილას და სტრეპტოკოკებს. თანამედროვე მედიცინისთვის ცნობილია, რომ იგი ახდენს გულ-სისძარღვთა სისტემაში არტერიების გაფართოვებას, რაც არტერიალ წნევას დაბლა წევს. იგი აუმჯობესებს აგრეთვე იმუნურ სისტემას და არეგულირებს ლიპიდების ცვლას, თანა ახასიათებს ანტისპაზმური მოქმედება. სისხლში ამცირებს ქროლესტერინის რაოდენობას, ბაგშვებში აჩქარებს ზრდის პროცესს და აუმჯობესებს მეხსიერებას. იგი აახალზრდავებს ორგანიზმს, და ხელს უშლის სიმსივნეების განვითარებას. ფუტკრის შხამის კომპონენტებს ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო, გამაუტკივარებული და განგლიობლოკატორების თვისებები, აუმჯობესებს უანგვა-აღდგენის პროცესებს ორგანიზმში. მისი თერაპიული დოზები, აფართოვებს ტკინისა და კორონალურ სისხლძარღვებს. იგი ხელს უწყობს სისხლში ჰემოგლობინის შენარჩუნებას. ფუტკრის შხამს იყნებენ, სახსრების, კუნთების, რადიკულიტის, ოსტეოსონდროზის სამკურნალოდ. გაირკვა, რომ რუს ფუტკრებს შორის ყველაზე გრძელხორთუმიანი (7,23 მმ) სამეგრელოში, ჩხოროწყუს რაიონში მდებარე ხობის წყლის ხეობაში ბინადრობს.

90-ინ წლებიდან მოყოლებული, ქვეყანაში შექმნილი მხიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, უყურადღებოდ დარჩა ქვეყნის მთავარი სიმდიდრე – ნიადაგი, რომლის მთავარი მაჩვენებელია – ჰუმურის შემცველობა მასში საუალოდ 1,5%-ით შემცირდა. მის ნიადაგზე შეიძლება იწარმოოს მრავალი სახის სუბტროპიკული კულტურები: თხილი, კაკალი, ნუში, რწყავი და სხვა.

„...ქართულ სამიწათმოქმედო ტერმინოლოგიაში ხორბლის კულტურა მოხსენიებულია წერილობით ძეგლებში, რომლებიც განკუთვნება ძვ.წ. V საუკუნეს. უძველეს ქართულ ლექსიკაში კარგადაა ასახული ხორბლის სახეობრივი და ჯიშობრივი სახელწოდებები: ზანდური, მახა, ასლი, იფქლი, ხულუგო და სხვა” (ივ. ჯავახიშვილი 1930). „საქართველოს ხორბლები გვევლინება თავისებურ ცოცხალ მუზეუმად, სადაც ხორბლის გვარის მთელი სახეობრივი მრავალფეროვნებაა წარმოდგნილი. მხოლოდ აქ (მსოფლიოში სხვაგან არსად) არის შემონახული კულტურული ხორბლების ევოლუციის საწყისი ეტაპები. ამგვარად, ხორბლების ქართული მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმია, რომლის ბადალი სხვაგან არსად გვხვდება” (Менабდე 1948, მაისათა და სხვა. 2005). „უძველესი კოლხური კულტურების რელიქტებში (მახა, ზანდური, ძველი კოლხური ასლი) ნათლადაა წარმოდგნილი ხორბლის ევოლუციის თითქმის ყველა ეტაპი” (Менабდე 1948).

უფრო მურიე თავის წიგნში სამეგრელოს შესახებ წერს, რომ „...მეგრელები ზნავენ იარაღით, რომელსაც **კონხონას** ეძახიან. ეს თავისებური გუთანია – გრძელი ზის ნაჭერი, რომელიც ბოლოში კუთხეს ქმნის, ჩვენი ასო L-ს პერის და წვეტი ზოგჯერ რკინით არის მოჭედილი. ... მოძრავ უდელში აბამენ ხარებს ან კამეჩს და მათ პატარა ბიჭი მიუძღვის. მხვნელს ხელში უჭირავს დაგრეხილი ტოტის სახელური, რომელიც მიმაგრებულია რვილზე, მართავს ხელსაწყოს, კვალი გამოყავს ისე, რომ ოდნავ ხაზავს მიწას, რომელიც თანაბრად ცვივა ორივე შხარეს. მას შემდეგ მიწას ძერგით (თოხი) გააფენიერებენ, მის გასათანაბრევლად და დასაფარცხავად ხმარობენ ფიცარს, ოთხკუთხა დიდ ჩელტს, რომელსაც მთელ მინდოოზე მოატარებენ. ხორბლის გასაღეწად თხილარს ხმარობენ, რომ-ელსიც ქვის ნაშხვრევებითა და კენჭებით გაწყობილი სქელი ფიცარი წარმოადგენს.”

გასული საუკუნის 20-იანი წლების მონაცემებით, სამეგრელოში თესდნენ; ხორბალს: „...პურს ერთსა და იმავე მიწაზე შვიდიდან ათ წლამდე შეუწყვეტლად თესდნენ; მერე გლეხი რაკი დაატყობს ნიადაგი მოიღალაო, თავს ანებებს და სხვა, დასვენებულს საძოვრად გაშვებულს მიწას დაუწყებს ხვნას. პურის დასათესად დანიშნულ ნიადაგზე ღვინობის თვეში მოაგროვებენ ბალახ-ბულახს, ეკლებს, ჯირკვებს და ყველას ერთად ცეცხლს წაუკიდებენ, ამის შემდეგ მოუხვნელ ნიადაგზე თესლს მოაბნებენ, მერე უღელხარ შებმული სახნისით ერთის გოჯის სიღრმეზე მოხნავენ და მოხნულს დაფარცხავენ. მაისის გასულს პურს მოიმკიან კიდეც. პურს მზეზე აშრობენ. ლეწვა კალოზე იციან, ნავის

ძირის მსგავს სალენტავით (კვერი), რომელსაც ძირში ხშირად კაზის მსხვილი ნატეხები აქვს ჩასმული. კევრში ერთ უღელ ხარს აპამენ, ზედ შედგებიან და დაასრიალებენ წინ და უკან გაშლილ კალოზე, სანამ მარცვალი არ მოსცილდება თავთავის. ხორბალს ამის შემდეგ მზეზე აშრობენ, ფქვავენ და ფქვილად ინახავენ” (ბოროზდინი და სხვა, 1927წ.)

ქართული ხორბალი, ქერი და ფეტვნაირი კულტურები ადასტურებს საქართველოს უნიკალურ პრეისტორიულ კულტურას. მიწათმოქმედების პირველი ნიშნები საქართველოს ტერიტორიაზე თარიღდება მეზოლითის პერიოდით (Menabde 1948). შორეული წრსულიდან დღემდე ფრაგმენტების სახით მოღწეულია ხორბლის სახესხვაობასა და სახეობათა დიდი მრავალფეროვნება. უძველესი კოლხური კულტურების რელიქტებში (მახა, ზანდური, ძველი კოლხური ასლი) ნათლადაა წარმოსახული ხორბლის ევოლუციის თითქმის ყველა ეტაპი (Menabde 1948). ხორბლის კულტურის ისტორიაში, ერთ-ერთ უძველეს სახეობადა მიჩნეული (თრიტიცუმ აესტივუმ) – რბილი ხორბალი. მას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ნეოლითის ხანაში. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილია რბილი ხორბლის კარბონიზირებული მარცვლის ნაშთები და ამ სახეობის თავთავის ღერძის ნაწევრებიც. (მაისია და სხვები, 2005 რუსშვილი, 1990). მისი გავრცელების შესახებ, ქართულ მწერლობით წაყროში V საუკუნიდანაა ცნობილი. (ლ. დეკაპრელევიჩის (1938) გამოკვლევებით, XII-XIII საუკუნეში, რბილი ხორბლის რამდენიმე ჯიში ითესებოდა. თავად ხორბალი გამოირჩევა პოლიმორფიზმით – არსებობს მისი ფხიანი და უფხო ჯიშები. ფხიანი ჯიშების ადგი-ლობრივი სახელწოდება „იფქლი”, „ყანა”, „პური”, „ანეულის პური”, „დოლის პური”, „მევლოთესლი” და სხვა. ლ. დეკაპრელევიჩის მონაცემებით, (1947) წლის მონაცემებით, იფქლი ითესებოდა დასავლეთ საქართველოში. „იფქლი” წერილობით ძეგლებში აღნიშნულია V საუკუნეში, „დაბადებისა” და სახარებათა ნათარგმ ტექსტებში, აგრეთვე გიორგი მერჩელეს თხზულებაში (ბრეგაძე, 1979-1980). რბილი ხორბლის ფხიანი ჯიშებიდან, აღსანიშნავია იფქლი, მეგრულად – „ირქიშ ქობალი” // „ქობაი”, რომლის ადრეული ფორმა უნდა ყოფილყო „ქვა-ბალი”, ჭანურად – „ქო-ალი” // „ქუ-ალი”// „ქუ-ალი”// „ქელი”; ლაზურად – „ქოვალი”// „ქუვალი”, (ჩიქობავა, 1938, კალანდია, 1995. მაჭავარიანი 2006, ივანიშვილი 2014). ი.მაისაიას (2009) კვლევებით, ძველათ სამეცნიელოში, იფქლის კარგად გამომშრალ მარცვლებს დაფქვავდნენ, დაუმატებდნენ რძეს, ცოტა მარილს, მომზადებდნენ ფაფას რომელიც დიეტურ საკვებად ითვლებოდა.

ჩელტა ზანდური Triticum timopheevi (Zhuk.) Zhuk. საქართველოში, კილიან ხორბლებს შორის, ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო. იყი დასავლეთ საქართველოში დამოწმებულია რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოში და ითესებოდა ზღვის დონიდან 400-800 მ სიმაღლეზე. გ. ჯალაბაძის გამოკვლევებით, (1990) სამეგრელოში ძეგლათ მოჰყავდათ ხორბლის ორი ჯიში: „რუხუ” და „დურუ”. მისივე გნმარტებით, „რუ-ხუ” უნდა გულისხმობდეს ჩელტა ზანდურს, რომელსაც სპეციალური იარაღით – „მნაკვით” კრეფლენენ. (ბ. ვერმიშევის) მიხედვით, რაჭის მაზრაში, ითესებოდა „ზანდური”, „მახა”, „ხუ-ლუგო” და პური. „მახა” და „ზანდური” ძეგლთა გადმომცემით შემოტანილი სამეცნიელოდან, ითესებოდა ცოტაოდენი, განსაკუთრებით ხერხის თემში (Вермишев, 1938).

მახა – Triticum macha Dekapr. & Menabde მეგრულად – „მახა”, ჭანურად – „მოხა”. ამ ხორბლის კულტურის კარბონიზირებული მარცვლები აღმოჩენილია სამეცნიელოში. (ზუგდიდი რაიონი, დიხაგუმუბა). ვლ. მენაბდე (Menabde 1969) გამოთქამს მოსაზრებას, რომ ენეოლითში კოლხეთის ტერიტორიაზე, ხორბლის მეურნეობამ ხორბლის კილიანი სახეობით იყო წარმოდგენილი. მახას ნათესებში, დადასტურებულია საინტერესო ვარიაციები, რომელთა შესატყვისი ადგილობრივი სახელწოდებებია: „წვრილი მახა”, „კენტებელა მახა”, „ფართე მახა”, „ჩელტა მახა”, „ფიცარა მახა” (ბრეგაძე, 2004). გ. ჯალაბაძე (1990) სამეცნიელოში გავრცელებული ხორბლიური კულტურებიდან, ასახელებს „კენტებილას” (მახასნაირი); „დურუს” და „რუხუს” (ნაგულისხმევია „ჩელტა ზანდური”). მახა ნიადაგის მიმართ ნაკლებად მომთხოვი პურულია, ადგილად ეგუება კირქვან, ხრეშიან ნიადაგსა და ტენიან პირობებს. ახასიათებს მაგარი ღერო, ფოთლების დიდი მასა. გუდაფშუტვისადმი გამძლეობა. მას აქვს ველული ხორბლის ნიშნები: თავთავის ღერძის ძლიერი მტკვრევადობა, მარცვლის კილიანობა, რის გამოც მნელად ლეწვადია. მტკვრევადოთავთავიანი მცენარეა, ამიტომ აუცილებელია მისი მოსავლის დროულად აღება (ი. მაისაია, 2009). მახას პური დიდად ფასობდა მოსახლეობაში. მისი ფქვილისაგან ცხვება თეთრი, კარგი გემოსა და არომატისაგან სურნელოვანი პური, რომელიც რმდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებს სირბილეს. საზოგადოდ, საპატიოთ ითვლებოდა მახას პურით გამასპინძლება. უხუცესთა გადმოცემით, ძველად მხედველობის გასაუმჯობესებლად სვამდნენ მახას მარცვლის

ნახარშს. ხოლო მისი ფქვილისაგან მზადდებოდა „ხაბიზგინა” – ნიგზვით და ხახვით შეზავბული პური (ი. მაისაია, 2009). ამჟამად, მისი ნათესი, ისევე რგორც ზანდურისა, იშვიათად გვჩვდება.

ორმარცვლიანი ასლი, – *emmeri Triticum dicoccum* (Schrank) Schubl ორმარცვალა ასლი, ანუ ემერი, ნეოლითური ხანის რელიეფური კულტურაა. V საუკუნით ქართულ-ისტორიული წყაროებში მოხსენიებულია იფქლთან ერთად. ქსენოფონტეს გადმოცემით, ჭანურ ტომს მოსინიკებს, ბეღელში ორი წლის მოსავლის გაღეწილი და გაულეწავი ხორბალი ჰქონდათ შენახული, მეტადრე კი ასლის დიდი სიუხვე ყოფილა (მიქელაძე, 1967).

კოლხური ასლი – *Triticum palaeo-colchicum* Menabde (T. georgicum (Dekapr. & Menabde) Dekapr.). იგი საშემოდგომო ხორბალია, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო კულტრის რელიეფი და მეტად საინტერესოა, ხორბლის გვარის ევოლუციის შესასწავლად. მნიშვნელოვანი სამუერნეო თვისებებია: ნაცარა, მტვრიანა და მაგარი გუდაფშუტებისადმი გამდლეობაა. მრავალ-თავთუნიანობა 34-39 თავთუნი თავთავზე. ფართფოლიანობა, მაგარი მკვრივი ღერო, უარყოფითი თვისებებისგან აღსანიშნავია მარცვლის კილიანობა და ძნელად ლეწვადობა. იგი გამოიჩინა ცილისა და ცილაში ლიზინის მაღალი შემცველობით (გორგაძე 1964, მაისაია და სხვანი 2005).

ქერი – (*Hordeum vulgare*L) ჭანურად, ლაზურად და მეგრულად „ქერი”, სვანურად „ჭემინ”, აფხაზურად „აქარ”, რაჭულად - „კეშერი ქერი”, „კობერი ქერი”, ლეჩეუმურად „კუპური ქერი” (ჩიქობავა, 1938; ბრეგვაძე 1969; მაჭავარიანი 2006). ქერი ითესებოდა მთიან ადგილებში, ძირითადად კი მთისწინა ფერდობებზე, სადაც კარგ მოსავალს იძლეოდა.

ჯეტვი – *APanicu miliacum*, ჯეტვნაერთა უძველესი სამიწათმოქმედო კულტურაა, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მასალები. იგი სამეგრელოში ცნობილია „ჭკიდის”, „ჭკიდიშ-(ი)-ჭკიდის”, ფიტის, „ფატის” სახელწოდებით. იმერეთში „ფანჩა” მჭადი, გურიაში ჭადი. იმერეთში ფეტვის პურს, „ჭადის ჭადსაც” უწოდებენ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით (1949 წლის გამოცემა), „მჭადი ფეტვისა, სიმ-ინდისა და მისთანა პურია” სახელწოდება „ჭადის ჭადი ნაწარმოებია მცენარე „ჭადისაგან”. ფეტვის კულტურასთან დაკავშირებულია მრავალი რიტუალი, მითი და მრავალი ხეთაებრივი ფორმაც არსებობდა სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ფეტვის მოხალული ფქვილისაგან ამზადებდნენ „ქუმუ”-ს, რომელიც ტკბილი ნამცხვრის მაგიკობას სწევდა. ფეტვი საუცხოო საკვებია ფერინველებისათვის რადგან ისინი მეტი კვერცხის დებით ასუხობენ და კვერცხის ნაჭუჭიც უფრო მკვრივა. სამეგრელოში მიწათმოქმედების შესახებ, ცნობებს გვაწვდის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII საუკუნე) სადაც იგი აღნიშნავს ჩვეულებრივ, კარგი მიწაც სადაც არის მეგრელები ასეთ წესს ადგენენ: პირველ წელიწადს სთესენ ღომს, მეორეს – ფეტვს (იგლით) და მესამეს – პურსა (ლამბერტი, 1938 წლის გამოცემა.) ფრანგი მისიონერი უა შარდენი (XVII საუკუნე) სამეგრელოს აღწერისას აღნიშნავს, რომ გარდა ღომისა მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფეტვი (შარდენი 1975 წლის გამოცემა). სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მიერ შედეგილ 1852 წლის „უსტარში” დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა მოიწეოდა სამეგრელოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სხვადასხვა მარცვლოვან კულტურებს შორის აღნიშნულია ფეტვი (მუშარგია, 1939 წელი). ს. მაკალათია თავის ნაშრომში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია” (1941 წელი) აღნიშნავს: „უძველესი ღომიდან სამეგრელოში ითესებოდა ღომი, მეგრულად „ჩხვერი” და „ფეტვი” – „ჭკიდი”, რომელიც მოსახლეობის მთავარ პურეულს წარმოადგენდა. ღომისაგან იხარშებოდა მაგარი ფაფა „ღუმუ”, ფეტვისაგან კი აცხობდნენ პატარა კვერებს. საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი გ. ჩიტაია (1959 წელი) ნაშრომში „თონის კულტურა დასავლეთ საქართველოში”; იგი წერს – „...მიწათმოქმედების ღომის უმთავრესად ითესებოდა კოლხეთის პურეულის უძველესი სახეები, სახელდობრ: ფეტვი, მთის ხორბალი – ზან-დური, მახა და სხვა. პირველად თესავდნენ ფეტვს, შემდეგ ქერს, შემდეგ სიმინდსა და მეოთხე წელიწადს ხორბალს”. მიუხედავად იმისა რომ ცნობები ფეტვის მოყვანისა და გამოყენების შესახებ, კაცობრიობის განვითარების უძველესი საუკუნეებიდან მოდის, ველური ფორმებიდან კულტურულ მცენარედ მისი მოშინაურების შესახებ საერთო კონსესუსი არ არსებობს. სამეგრელოში მიღებული იყო თესლის შენაცვლება: ორ წელიწადს ითესებოდა ღომი, შემდეგ ორ წელიწადს ფეტვი, მესამე წელიწადს სიმინდი, მერე ისევ ღომი. XIX საუკუნის პირველ ნახევრში ფეტვის ორი ჯიში ითესებოდ სამეგრელოში: „...თეთრი ფეტვი უფრო თავისა ნაყოფიერ არსს, არამედ შავს აქვს თავისი სასარგებლო ხასიათი, რომელიც თვენახევრით უადრეს თეთრისა მოიწევის” (მუშარგია, 1939 წელი). შავს აქებდნენ, მისგან უფრო ტკბილი მჭადი ცხვებაო. ფეტვის გუთანი ან ორშაბათს ან ხუთშაბათს

უნდა გავიდეს, ეს ორი დღეა მთელი დღე და თესლი ახალ მთვარეზე უნდა გავიდეს (მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის კახაძე, 1987 წელი). საქართველოში არქეოლო-გიურად დამოწმებულია ფეტვი როგორც უძველესი სამიწადმოქმედო კულტურა, არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილია ფეტვის კარბინიზებული ნაშთები, რომლებიც განეკუთვნებიან ძვ.წ VIII-I ათასწლეულსა და ა.წ. XIII-I საუკუნეზე (ი. მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005 წელი). საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში, დღემდეა შემონახული ფეტვის თესვა-მოყვანისა და მის მოხმარებასთან დაკავშირებული ძველი იარაღები: ფეტვის გასამარგვლი ყველაზე მარტივი მიწის სამუშაო იარაღი „წმ”, ფეტვის კიდობანი, ფეტვის ფქვილის შესანახი „ოლე” ფეტვისა და ღომის თაველის გასამრობი; ჩამური – ფეტვის მარცვლის გამოსაფშვნელი (საცეხველი); ხულა/ბელელი – ფეტვის თაველების შესანახი სათავსო და სხვა. თავად ფეტვი ეკუთვნის ე.წ. საბურლულე მცენარეთა ჯგუფს. ფეტვის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს, მეგრულად – „ჭკიდს”. ფეტვის მარცვალი საუცხოო კონცენტრირებული საკედებია, იგი გამოიყენებოდა აგრეთვე შინაური ფრინველებისათვის, მწვანე მასა და ჩალა მეცხოველეობაში. სამკურნალოდ ხმარობდნენ ფეტვის ფქვილს დაფქვილისაგან გამომცხვარ პურს. ფეტვისაგან ამზადებდნენ ლუდს (ბოზოდინს). თვლიდნენ, რომ ფეტვი შემკვრელად მოქმედებს და მის ნაწარმს ამ მიზნითაც იყენებდნენ (წუწუნავა 1960წ). დავით ბაგრატიონი (1992 წლის გამოცემა): „კაცმა რომე ამაფეტვისა ფქვილი რაგინდარასა სიმსივნეზედა დაიდვას, ყოველს სიმსივნეს დააცხრობს და გაუცუდებს”. სეზონის პერიოდში ფეტვის ცოშს კაკლის ფოთოლს შემოაკრავდნენ ორივე შხარეს და გამოსაცხობად ცხელ ტაფაზე ღუმელში აცხობდნენ. უხუცესთა გადმოცემით, ფეტვის მოხალული ფქვილისაგან ამზადებდნენ „ქუმუს”. იგი ტყბილი ნამცხვრის მაგივრობას სწევდა. ზოგჯერ ცომში ყველის მაგივრად აკეთებდნენ ღორის მუცლის გადამდინარ ქონს. ბიოქიმიური კვლევებით მტკიცდება, რომ ფეტვის მარცვალში ცილის შემცველობა მერყეობს 16-დან 19%-ში და იგი ყველაზე მაღალი აღმოჩნდა ქართულ ფეტვში 19,1%. ქართულ ფეტვში ასევე მაღალია ლიზინის შემცველობა (ი. მაისაია 1998 წელი).

ურიში – *Echinochloa frumentacea* (Roxb Link) (*Panicum frumentaceum* Roxb) ძველი

პრიმიტიული ფეტვნაირი პურულია. უხუცესთა გადმოცემით მის დაღერღილ მარცვალს „ჩხვერის” (ლომის) მსგავსად მოხარშულს ძირითადად ყმაგლებები ხმარობდნენ. იგი როგორც საკედები ძალზე დაბალი ღირსებისაა.

სამეცნიეროში წამყვანი კულტურაა სიმინდი. აპრილში მთელი ოჯახი მინდორში მიდის, ერთმანეთის გვერდით დგებიან, სიმინდის ძველ ღეროებს გლეჯენ, წვავენ, სიმინდის მარცვალს მოფანტვით თესაგენ და გუთვნით მიწას ოდნავ გადააფარებენ. ივნისსა და ივლისში თოხით სარეველა ბალახს მოაცლიან და სიმინდის ძირებს მიწას ოდნავ შემოაყრიან... მოსავლის აღებისას, ერთხელ ან ორჯერ, ყოველი მესაკუთრე, მდიდარი თუ ღარიბი, სთხოვს მეზობლებს, რომ მიწას მოხვნაში დაეხმარონ. მეზობლები თავს მოვალედ თვლიან თავიანთი ბერგით გამოცხადდნენ დათქმულ დღეს, რომელიც ყველასათვის ნამდვილ დღესასწაულად იქცევა. ათი, ოცი, ორმოცი გლეხი მუშაობს მთელი დღის მანძილზე – თან მღრიან და თანაც გულმოდგინედ ეჯიბრებიან ერთმანეთს. ქალებიც მოდიან მათ სანახავად, თავიანთი დასწრებით ამხნევებენ და სამუშაოს კარგად დამთავრების შემოხვევებში საუცხოო ვახშამს პპირდებიან მამაკაცებს, საღამოს არაჩვეულებრივი ვახშამი იშლება, სადაც მოწვეული სტუმრების რაოდენობისა და მეპატრონის შესაძლებლობის მიხედვით ხშირად ხარიც იკვლება და ღვინით საგეს ახალი ლავვანი (ქვერი) იძება. რომელმაც ნოდობა მოაწყო, ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში თავადაც ეწვიოს თავის მეზობლებს და ასეთი წესით გადაუხადოს მაღლობა.

ღომი – *Seteria Italika*-ს სამშობლოდ, ძირითადად, სამეცნიერო ღირსერატურის მონაცემებით მანჯურია-ჩინეთს მიიჩნევენ. უახლესი კვლევებით დასტურდება, რომ კოლხეთი მისი წარმოშობის ერთ-ერთ კერად მოიაზრება (ი. მაისაია 1987წ). საქართველოში, ჩვენს წელთაღრიცხვების მოწვეული საუკუნის ღომის დანახშირებული მარცვლები იქნა აღმოჩენილი. ზოგადად არქეოლოგიური მონაცემებით ღომის დანახშირებული მარცვლები იქნა აღმოჩენილი. ზოგადად არქეოლოგიური მონაცემებით ღომის არსებობის ისტორია დაახლოებით 4500-5000წწ მოიცავს. ღომი დღესაც იაპონელთა, ჩინელთა და კორეელთა საკვებია. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე – დასავლეთ საქართველოში, ღომის როგორც ძირითადი საკედები პურულის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს მისი ჯიშისა თუ სახე-სხვაობათა მრავალი ქართული ტერმინის არსებობა; სამეცნიეროში ცნობილია: „ჩხვერე”, „ჩე ღუმუ” (თეთრი ღომი), „მოცეროზი”, „ქოჩუბუ”, „ჩქინობურა”, „მეკურ ღუმი”, „ცეცი”, „ცხედ ღუმე”, „ჭითა ღუმე”, „ჯურუხო”; სამეცნიეროში ღომის თესავდენ ორშაბათს – „თუთაშხას“ (ბედნიერ) დღეს ან ხუთშაბათს, რომელიც „პვათიერ” (გამჭრიახ) დღედ იყო მიჩნეული. თესვა სავსე მთვარეზე უნდა

ყოფილიყო, რადგან ახალ მთვარეზე შეიძლება თესლს ჭია გაჩენოდა. ჰექტარზე გადაანგარიშებით სათესი ნორმა 10-12 კგ-ს შადგენდა. თესლი გარიგებულად – თხლად, ან როგორც მეგრელი მეურნე ამბობს „წყორილით” – ქვიშით გაზავებული ითესებოდა, რათა ზომიერი სიხშირის ღომი ამოსულიყო და მისი გამარგვლა ადგილი ყოფილიყო.

ღომის მცენარეული, ქიმიური შესწავლა საქართველოში 1894 წელს დაიწყო ე. ნაკაშიძემ. ე. ნაკაშიძის და მ. ჩხემკელის მონაცემებით, ერთწლიან მარცვლეული კულტურების თივისა და ჩალის ქიმიური შემადგენლობის შედარებითა და შეფასებით, ღომის კულტურა არანაკლებ ღირებულებისაა, ვიდრე სიმინდის, სორგოს, სუდანაურის, მოპარისა და სხვათა ჩალა, ხოლო ღომი თავად თივად აღების შემთხვევაში მოუმწიფებელი თავთავები, (რძისფერი სიმწიფის დასაწყისში) და აგრეთვე მწვანე მასად აღების დროს, რიგ შემთხვევებში ჯობია ზემოთაღნიშნულ კულტურების ჩალას თავისი ყუათინობით, რადგან მის ფოთლებში 9,5%-ია შაქარი, ღოროში 6,2%. ნედლ თივაში კი 9,8%. ღომის ჩალის (თივას), განსაკუთრებით მწვანე მასაში, საქმაოდ დიდია ცილების და რაც მთავარია უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერების რაოდენობა, ხოლო ცელულოზა, რომელიც აუხეშებს საკვებს, მეტად მცირეა. ამ თვისების გამო ღომი, უახლოვდება მარცვლოვან და პარკოსანთა ოჯახებს, როგორც ერთ-ერთი მაღალდირებულების მქონე საკვები. ღომი ჰექტარზე იზრდება 350-400 ცეტნერ მწვანე მასას, ხოლო 65-80 ცენტნერ თივას. სასილოსე მასა მდიდარია ამინმჟავებით: ლიზინით, თიროზინით, ალანინით, ფენილალანინით (ა. გიორგაძისა და ი. მაისაიას 1985 წელი) კვლევის შედეგად დაგინდა, რომ კერიმა ღომის წინამორბედი კულტურაა. ავტორები მივიღენ დასკვნამდე, რომ ქართული სახეობის ღომი განსხვავდება მსოფლიოში გეოგრაფიულად სხვა მხარის წარმომადგენლებისაგან. კოლხეთის ღომი კარგი მოვლის დროს სიმაღლეში 2 მ-ს აჭარბებს. აქვს ხშირი და ფართო შეფუთვა, უხვი ბარტყობა, დიდი ზომის 40-50 სმ-ის სიგრძის თაველები, გვერდითი თაველების რაოდენობა, თითოეულ თაველში თავთუმთა დიდი რიცხვი. წვრილი უფასიანობა, თესლის მაღალი მოსავლინობა, გრძელ საკვებებით პერიოდში 90-120 დღე აღმოცენებიდან ყვავილობამდე. აღნიშნულ ქვესახეობებში ... Tori იხილავს ორ ჯგუფს; Convar, Panicula Commuvit - ჩვეულებრივით თაველი და ღამ-იფერ (თაველი) (ი. მაისაიამ და აგორგაძემ (1985 წ) დაადგინეს 22, ხოლო (ორი თითისებრი თაველის განშტოებით) – ერთი სახესხვაობაა. აგტორებმა მიაგლიეს კიდევ ერთ სახესხვაობას Varbigra – მოშავო ფერის მარცვლით: ქართულ კულტურული ღომის სახესხვაობაში (ი. მაისაია, ე. ეგაძე 1985წ) გვაქვს ახალი სახე-სხვაობა. 1) Cv Vulgata-ში თაველი კომპაქტურია, მეტნაკლებად ცილინდრული და კენწეროსკენ წაწვრილებული ფორმის, ჯაგრულას საშუალო სიგრძე 10-მმ-მდეა, მარცვალი ყვითელია, ჯაგრულა ისფერი შეფერილობისაა და მას ინარჩუნებს თაველის მომწიფების შემდეგაც, გამოირჩევა უხვი ბარტყოფით. 2) Cv Violaeca-ს თაველი ვიწროა, კენწეროსკენ მნიშვნელოვნად წაწვეტებულია, ჯაგრულა ისფერის ინარჩუნებს მომწიფებულობის შემდეგაც. თაველის ქვედა ნაკვეთები რამდენადაც წაგრძელებულია და მეჩერადა დასაწყისში. საქართველოში ღომის კულტურის სიძეველეზე მოგვანიშნებს ეწ. ღომის სალოცავი, მეგრულად – „ღუმუშ ოხვამერი“. ღომი თაველებს რომ გამოისხამდა გამოაცხობდნენ კვერებს და ჩაფლავდნენ მიწაში, ზედ ჯვარს დასვამდნენ და ღმერთს შეევეღრებოდნენ: „ბევრი ღომი მოვეცი“; როცა ღომის მკაფება დამთავრდებოდა, ოჯახის უფროსი ქალი ახლად აღებული ღომისგან გააკეთებდა ტაბლას, რომლის გული ნიგვზით, ხახვითა და სანელებლებით იყო შეზავებული და ძველ მამალს დაკლავდა. მამლის თავს მეხვავეს მისცემდა. მეხვავე ტაბლას გაანაწილებდა და მომავალი წლის ხვავსა და ბარაქაზე ილოცებდა (მაკალათია 1941წ, რუხაძე 1968-1978წ). ღომი მეგრულად – „ღუმუშ“/ჩვერე“ – წითელა ბატონების, მაგიური ხასიათის საგანს – „ბატონების“ ნიშან სვეტს წარმოადგენდა. ძველი კოლხებისათვის იგი ითვლებოდა „სუჯუნას“ ნაწილიან ნაყოფად. ღომი დოვლათისა და სიმრავლის მნიშვნელობით ფართოდ გამოიყენებოდა, აგრეთვე სახლში პატარძლის მოყვანის დროს, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო (ს. ჭანტურიშვილი 1973წ). ღომის ღომი თავისი შემცველობით (ქართული თეთრ ღომში, მსოფლიოს სხვა ჯიშებთან შედარებით ცილის შემცველობა ყველაზე მაღალია და ის 21,15-ს აღწევს, აღბუმინის შემცველობა კი 40-60%-მდე მერყეობს) უხსოვარი დროიდან ჩვენი წინაპრების სრულფასოვან საკვებ პროდუქტს წარმოადგენდა და მათ ყოველდღიურ უმთავრეს მოთხოვნებს სხვა პროდუქტებთან ერთად აქმაყოფილებდა. ფეტვისა და სიმინდისგან განსხვავებით იგი ცილის მაღალი შემცველობით გამოირჩევა; ს. ბერდი (ვიტამინების ბიოქიმია და ფიზიოლოგია) 1951წ წერს, რომ სიმინდის მარცვალი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ვიტამინის ანტაგონისტია და ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს პელაგრის დაავადება არამარტო სიმინდში PP-ს ნაკლებობის გამო. ჩვენი აზრით, მისი რეაბილიტაცია და საკვებ რაციონში მისი ადგილის დაბრუნება, ხელს შეუწყობს გულსისხლძარღვთა მირთადი დაავადების ათეროსკლეროზის ნაადრევ გავ-

რცელებათა პროფილაქტიკას, კუჭ-ნაწლავის ფლორის გაჯანსაღებასა და ჭარბწონიანთა შემცირებას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და მათ დღეგრძელებას (მ. როგავა 2013წ).

ჭვავი – Secale cereal – მევრულად – „ჭვე”//ჭანურად – „ნჭვავი”, ... უძველესი სამიწათმოქმედო კულტურაა, რაც არქეოლოგიურად დამოწმებულია. სამეგრელოს უხუცესთა გადმოცემით „ჭვე-ჭვავი” ძირითადად ითესებოდა მთასა და მთისწინეთში. შემოდგომაზე ყინვების დაწყებამდე, გაზაფხულზე – აპრილის ბოლოს, შესაბამისი თესლების გამოყენებით. ყანის მომწიფების მაჩვენებელია ჩალის გაფითლება. მოხმარებამდე „კვაკვს” (ძნას) ინახავდნენ ბეღლებში. ჭვავი ნაკლებმომთხოვნია ნიადაგსა და ტენიანობის მიმართ, სიცივის ამტანია, გვალვაგამძლეა. ის კარგი წინამობრედია თესლბრუნვაში. ჭვავის პური თავისი სპეციფიკური არომატით და გემური თვისებებით ხორბლის პურს არ ჩამოუვარდება. სამეგრელოში ის გამოიყენებოდა „ნერჩის ხვამის” რიტუალის შესრულებისას; ვახშისათვის ჭვავის ფქვილისაგან აცხობდნენ დიდ ლობიოპურს, რომელიც იდებოდა ხის გობზე – „ნოსირზე” და იდგმებოდა მიწაზე, სახლის აღმოსავლეთით კუთხეში. ეს რიტუალი სრულდებოდა მაში, როცა სახლის ფუზე გამწყრალი იყო. ჭვავი სიმინდის მოსვლამდე შემოდიოდა და მას უპირატესობა ენიჭებოდა მაღალმთიან რაიონებში. XX საუკუნის 60-იან წლების საველე-ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება, რომ სამეგრელოში ძველთაგანვე ითესებოდა თეთრი გრძელმარცვლიანი ჭვავი, ნაბადივით შავი ჭვავი, წვრილი, წითელმარცვალა ჭვავი და მსხვილმარცვალა ჭვავი – „მოშეუე კაკალი” (ბრეგაძე 1968 წელი).

სიმინდი (Zia mays), მისი ლათინური სახელწოდება zea Saqari, მეგრულად ლაიტი/ლატი, რომლის სამშობლოდ ცენტრალური ამერიკა–მექსიკა ითვლება. ევროპის ქვეყნებში პირველად სიმინდი ესაქნეთში XV–XVI საუკუნის მიჯნაზე გავრცელდა. დასავლეთ საქართველოში სიმინდი შავი ზღვის სანაპირო გზით XVII საუკუნეში შემოვიდა, აღმოსავლეთ საქართველოში იგი უფრო გვიან XVIII საუკუნეში შემოვიდა (გონაშვილი, მგელაძე 1964), XIX საუკუნეში კი ფართოდ გავრცელდა და მან ფეტვი და ლომი, ზოგიერთი რეგიონიდან ხორბალი და ქერიც კი განდევნა. არსებობს სიმინდის მრავალი სახეობა, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა შეფერილობის მარცვლებს: მოშავო, წითელი, ისფერი, მუქი ლურჯი, ყვითელი, ზოლიანი და თეთრი. მოხარშული სიმინდი 88 კილ კალ შეიცავს, აქვს ვიტამინი E, B, K, PP, D და ასკორბინის მჟავა, ცილა, სახამბელი, ფოსფორი, მაგნიუმი, კალიუმი, სპილენბი და ნიკელი. სხვადასხვა მეცნიერი მიიჩნევს, რომ მისი სისტემატიკური ხმარება ამცირებს ინსულტის, დიაბეტის და გულ-სისხლძარღვით დაავადებების ნაადრევ წარმოშობას. წითელი სიმინდი ხარობს მექსიკაში და განსაკუთრებით შეიცავს ანტიოქსიდანტს (ანთოციანოიდებს), რაც მას შეფერილობასაც აძლევს და ხელს უშლის სიმსივნების წარმოქმნას. იგი შეიცავს უამრავ ბოჭკოებს, რაც ხელს უწყობს ნაწლავების გასუფთავებას და კუჭ-ნაწლავების ფუნქციის შენარჩუნებას. მას მცირე შარდღდენი ეფექტიც ახლავს. ყვითელი ფერის სიმინდი დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, რაც კარგი საშუალებაა მხედველობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ხანშიშესულ პირებში და მისგან გაკეთებული საკვებიც ადსვილად მოსანელებელია. ჟოულ მურიეს (1884 წ) აღწერით სამეგრელოში სიმინგი „2–3 მეტრი სიმაღლის იზრდება. ქვემო სამეგრელოში სიმინდის თითოეული ძირი 2–3 ტაროს იკეთებს. თითოეული ტაროს 800 მარცვალი აქვს. ერთ ჰექტარ მიწაზე 125 ფუთი მოსავალი მოდის, რაც დაახლოებით 2 ტონამდეა. (თანა-მედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შერჩეული ჯიშები საშუალოდ ჰექტარზე 7–9 ტონას იძლევან). წელიწადში სიმინდის მოსავალი 5–6 მილიონი ფუთია. სექტემბერი და ოქტომბერი მოსავლის აღების თვეებია... მოსავალს არაბაზე (ურეზზე) ტვირთავენ და სახლში შეაქვთ, სადაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები სიმღერ-სიმღერით არჩევენ სიმინდს, რომლის ფუჩქისაც ლეიბისთვის იყენებენ. ისევ როგორც ხვნის დროს, აქაც მეზობლები მოდიან დასახმარებლად და გათენებამდე რჩებიან. დარჩეული სიმინდის ტაროები შესანახად მაღაზაში თავსდება, რომელიც მაღალ ბოძებზე შემდგარ პატარა ფიცრულ სახლს წარმოადგენს. აქ, ნესტისაგან მოშორებულ ადგილას, რომელიც კარგად ნიავდება, სიმინდი ნელ-ნელა შრება. შემდეგ ადიან მაღაზაში და ჯოხს ურტყამზე სიმინდს. პატარა სახლის იატაკში გაგეთებული ჭრილებიდან სიმინდის მარცვლები ცვივა ხალიჩაზე ან სპეციალურად გაჭიმულ ნაჭერზე. აქედან სიმინდის მარცვლები მიაქვთ ხულაში – ხის ქოში, სადაც ის წისქვილში წაღებამდე ინახება. მეგრული წისქვილი მეტად მარტივი ნაგებობაა: წყალსადნიარი დარი, რომლის სიგრძე 6 მეტრია, ხოლო სიგანე კი 16 სანტიმეტრია, წყალს 1,6 მეტრის სიმაღლიდან ასხამს 80 სანტიმეტრის ჰორიზონტალურ ბორბალზე, რომელსაც 20-მდე ფრთა აქვს. წყალი ირიბად ეჯახება ბორბლის ფრთებს, რომლის ღერძი ტრიალებს და 50 სანტიმეტრის ზედა დოლაბს ამოძრავებს. ფქვილი დოლაბის გეგრძებიდან გადმოიდის. პატარა ხის ლარტყა, რომელიც დოლაბს ედება, მოძრაობის დროს საკმაოდ ძლიერად არყევს ძაბრს, საიდანაც რაოდენობით

სიმინდის მარცვალი ჩამოდის. ასეთია ამ წისქვილების მყარად პრიმიტიული მექანიზმი, რომელიც დაახლოებით 2,5 სიგანის ხის ქოხშია მოთავსებული. წყლის მცირე დინებაც კი საქმარისა მის ასამუშავებლად. ამგვარ წისქვილს დღეში დაახლოებით 25 კგ სიმინდის მარცვლის დაფქვა შეუძლია”.

XX საუკუნის 60–70 წლებიდან გავრცელება დაიწყო „პბილა” სიმინდის ჯიშებმა. „კაუ” და „პბილა” სიმინდის შეჯვარებით მიღებული იქნა სიმინდის ადგილობრივი ჯიშები „აბაშური ყვითელი”, „აჯამეთის თეთრი” და სხვა. ა. ჯაფარიძის (1970 წელი) მონაცემებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში „პბილა” სიმინდის ფორმები, მეტად მოკლე პერიოდში სწრაფად გავრცელდა მთელ დაბლობ ნაწილში, „კაუ” ფორმები კი შემაღლებულ და მთავა ზონებში, სიმინდის ნაორები ფართობების განუწყვეტილი ზრდის მიუხედავად, ჩვენს XVIII საუკუნის დასაწყისში ღომი მაინც გაბატონებული კულტურა იყო. ამ მოსაზრებას ადასტურებს ვახუშტის (1904, 1944 წწ. გამოცემა) მიერ მოყვანილი ცნობები, რომელიც 1740-იან წლებს განეკუთვნება. იგი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში „სთესენ ღომს და ფრიად მრევალსა, და გამოიზრდებან მითით”. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ძირითადი პურული იყო ღომი. XVIII საუკუნის პირველ ნახევრიში საქართველოში მყოფი მისიონერი ჯუდიჩ ღონ ჯუზეპე (1964 წლის გამოც.) წერს, რომ სამეგრელოში „პური” არა აქვთ, არც ხორბალი, თუ აქვთ, ძალიან ცოტა და როდესაც ვინმეს დასაჩუქრება უნდათ, მას ერთ ხორბლის პურს უგზავნიან. პურის მაგივრად სჭამენ ღომს”. ა. ჯაფარიძის (1970 წ) მონაცემებით, სამეგრელოში XVIII საუკუნის პირველ ნახევრიში ღომი ჯერ კიდევ საყო-ვრლთაოდ გავრცელებული და ყოველდღიური სასურასათო პროდუქტი იყო. საუკუნის მიწურულში კი იმდენად იშვიათი გახდა, რომ მას მხოლოდ საპატიო სტუმრისათვის ან დღესასწაულებში აკეთებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში კერძოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ღომი და სხვა აბორიგენული კულტურები ჩვენს ქვეყანაში თითქმის მთლიანად მოისპო; სამეგრელოსა და გურიაში იშვიათად თესდენ, როგორც ივ. ჯავახიშვილი (1930 წ) აღნიშნავს: ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიიდან ჩანს, რომ სიმინდი აღმოსავლეთ საქართველოში მე-XVIII საუკუნის ორმოციან წლებშიც კი ჯერ არსად ყოფილა მიწათ-მოქმედების მნიშვნელოვან კულტურად მიჩნეული. სიმინდი იმ დროს არქანელო ლაბბერტის თხუჯულებიდან ჩანს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევრიში (1633 – 1653 წწ.) სიმინდი ოდიშში უკვე მიწათმოქმედების საგნად იყო ქცეული, მაგრამ მაშინ ადამიანის საკვებად მაინც ჯერ კიდევ ღიმი იყო მიღებული. 221 აქედან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ სიმინდის კულტურა სამეგრელოში XVII საუკუნის დამდეგში უნდა იყოს შემოსული. აღნიშნული საუკუნის პირველი ნახევრისთვის სიმინდს მცირე მნიშვნელობა პქონდა და ფართო ასპა-რეზი კი მხოლოდ მეორე ნახევრიდან მიეცა... ივ. ჯავახიშვილის განმარტებით (1930 წ) ამ მცენარის ზოგადი ქართული სახელია „სიმინდი”, ძველი სახელია „სიმინდა”, და „სიმინდო”, „სიმანდალი”; მეგრულად ამ მცენარის აღსანიშნავად „სიმინდი” და „ლაზუტი”, „ლაიტი” და „ლატი” იხმარება. სიმინდა ღომის ფაფა ჩანაცვლა, როგორც საკვები პური, განსაკუთრებით სამეგრელოში. ჩვენში XX საუკუნის დასაწყისში ძირითად საკვებად მარტო სიმინდის გამოყენებამ დაავადება – „პელაგრის” მასიური გავრცელება გამოიწვია. ამჟამად სამინდისაგან საკვებ ზეთსაც ამზადებენ. ამრიგად ამერიკული და ჩვენთვის ახალი მცენარისათვის ქართველ ხალხს ძველის-ძველი ქართული ტერმინი გამოუყენებია; როგორც ივ, ჯავახიშვილი განმარტავს ფქვილის აღმნიშვნელი სიტყვა უხმარიათ, ეს გარემოება, საფიქრებელია იმით უნდა იყოს გამიწვეული, რომ სიმინდი ჩვენში პირველად ფქვილად იწენდა შემოტანილი და მხოლოდ შემდგომში უნდა იყოს მისი მარცვლეული კულტურა გავრცელებული.

ბრინჯი – (*Oryza sativ*) – „ორიზა”, ორზა, ორზა, (მეგრულად) „ჩელოუქი”. დასავლეთ საქართველოში ბრინჯის მოყვანის მდიდარ ტრადიციებზე მიუთითებს ეთნოგრაფიული მასალები და ისტორიული ცნობები. არქანჯელო ლაბბერტის (XVII ს). მოწმობით, სამეგრელოში ბრინჯი იმდენი მოცყვადათ, რომ იქ ექსპორტის საგნადაც იყო ქცეული. „ქვეყნის მრავალ ნაწილში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ღომის თესვა, თესვენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოღის, რომ არამცუუ აქაურებს ყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემბს, რომელიც აქ მოღიან” (ლამბერტი, 1938). ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს) სამეგრელოს (ოდიშის) აღწერისას აღნიშნავს: „...ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყვად” (ვახუშტი, 1941). საქართველოში გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე მთის ანუ მშრალი ბრინჯის (*Oryza montana*Lour) კულტურაც. (ნ. ნ კენცხველი, 1957) მონაცემებით, ბრინჯის გავრცელების ზონაა კოლხეთის დაბლობი, კახეთისა და ქვემო ქართლის დაბლობები. ჯ. რუხაძე (1996–1976) აღნიშნავს რომ, მშრალი ბრინჯი ძირითადად მთაში იყო გავრცელებული. ლაზები ბრინჯის თესვას 15 აპრილიდან იწყებნენ და ბრინჯს ქალები თესვა მთავრდებოდა. შემო-

დგომაზე ოწყებოდა ბრინჯის მკა, რომელშიც მამაკაცები ეხმარებოდნენ ქალებს. ამ კონებიდან ზვინს დგამდნენ და დრო და დრო შლილნენ გასაშრობად და ქარიან ამინდში ანიავედნენ რასაც „ობინტურე“ ეწოდება. ზამთარში ჭერიდან ჩამოყრიან და ხარით ან ცხენით ლეწავენ. სამეგრელოში მცხოვრებ უხუცესთა ცნობებით, ბრინჯი – „ორზა“ ან „ორზა“ ითესებოდა აპაშის რაიონში, ჭალადიდში, ძრინარე ნოღელას ჭენჭყობიან ადგილებზე. საკმაოდ უხვ მოსავალს იძლეოდა. მარცვლეულის შეფერილობა ოდნავ ღვინისფერი იყო. ბრინჯს იყენებდნენ ფაფის დასამზადებლად და ის სამკურნალო დიეტურ საკვებად ითვლებოდა. ღვინის ნარევთან ერთად დამზღვებულ ფაფას ოფლის მოსადენად გრიპისა და სურდოს დროს იყენებდნენ. ბრინჯისგან დამზადებულ შექმანდს „მასულყას“ უწოდებენ. მისი სამკურნალო თვისება უმთავრესად შემკველი თვისება გახლდათ. (წუწუნავა, 1960; მააისაია და სხვა 2005). ივ. ჯავახიშვილი ითვალისწინებდა რა ნიკო მარის ცნობებს, აღნიშნავდა: „ჭანეთში ყოფილა ბრინჯის ადგილობრივი მუქი, მაგრმ გემრელი ჯიში, რომელიც თურმე ურწყავია, მთაშიც ხარობს და მშარლ ადგილებშიც იზრდება“. ზღვისპირეთში და მიმდებარე რაიონებში იგი უხვად იყო გავრცელებული.

ცერცვი –*Vicia faba* L ... გურულ-იმერულად, „ხაჯი“ – მეგრულ-ჭანურად, სვანურად – „ღვდარ“, ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. სამეგრელოსა და იმერეთში მას როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე გვიან შემოღომაზე თესავენ, მაშინ როდესაც სხვა კულტურები ჯერ შემოსული არ არის. იგი უნდა დაითესოს კარგად დამზადებულ და ნოყიერ ნიადაგზე. დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო „სამარხვო ცერცვის“ მოყვანა (ი. ჯავახიშვილი 1934). გვარი ვიციას წარმომადგენლობიდან საქართველოს ენეოლითურ არქეოლოგიურ ძეგლებზე (ძვწ. VI-IV საუკუნე) აღმოჩენილია *Vicia ervilia* თითქმის ყველა სამშენებლო ობიექტზე; დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში მსხვილი ცერცვის შემოღომის ნათესები არსებობს. მაგრამ ახლანდელ დროში მას ჩვენში ნაკლებად მისდევენ და საკარმიდამ ბოსტანში და კარ-მიდამოებში თუ შეხვდებით. იგი ძალიან მდიდარია ცილებით, მინერალებითა და ვიტამინებით. ცერცვი შეიცავს აგრეთვე L-DOPA-ს ნივთიერებას, რომელიც გამოიყენება პარკინსონის სამკურნალოდ, იგი აგრეთვე ხელს უწყობს არტერიული წნევისა და ლიბიდოს მოწესრიგებას. სამარხვო საკეთიდან ცერცვი ერთ-ერთი პირველია. „წიგნი სააქმომიში“ (XIII ს), სამკურნალო კარაბადინში „ადაგარ დაუდი“ (XVII ს), ცერცვი ძირითადად მოხსენიებულია, როგორც სამკურნალო მცენარე (კოტეტიშვილი, 1938წ). ქართულ წერილობით ძეგლში – ქანანელის „უსწორო კარაბადინში“ აღნიშნულია: „ცერცვი – ბაქლა, როგორც ავადმყოფისთვის ფრიად მარგე საკვბი (ქანანელი, 1940). ცერცვი ერთწლიანი მცენარეა. კოლხეთში ითესებოდა ადრეულ გაზაფხულზე და შემოღომაზე. ცერცვის კვებით ღირებულებას განსაზღვრავს მასში შემა-ვალი ცილები, მინერალები და ვიტამინები, რაც განაპირობებს მის გამოიყენებას პურ-ფუნთუშეული ნაწარმში (ფურცხვანიძე, ასათიანი 1966). კოლხეთში ცერცვის თესლისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა სახის წვნიანს: ნიგვზით შემზადებულ შეჭამადს; მოხარშულ მწვანე პარკებს აზავებდნენ ნიგვზით, ძმრით და სხვადასხვა სანელებლებით. ამ კერძს ძირითადად მარხვის დროს იყენებდნენ; მოხალულ კანგაცლილ ცერცვს ანიავებდნენ ქვის საფქავაში ფქვავდნენ. დაფქვილ ცერცვს ხარშავდნენ, უკეთებდნენ მარილს, სუნელს და აცხობდნენ შესალოც კვერებს. სვანურად ამ კვერებს „როგვა ლემზირს“ (რუხაძე 1976, ბერიშვილი 2008, გასვიანი 2010) უწოდებდნენ.

მუხუდო – *Cicer arietinum* L., საქართველოში მოჰყავდათ როგორც სასურსათე ისე პირუტყვის საკვებად. ძველი ქართული სახელწოდება „ერევონდი“ მეგრულ-იმერულად, გურულად მუხუდო. მარცვლის სიმსხოს მიხედვით ყოფდნენ მსხვილ და წვრილისებრ ჯგუფებად. მუხუდო ერთ-წლიანი, პარკოსანი გვალვაგამძლე მცენარეა. ითესება ადრე გაზაფხულზე, ერგება თითქმის ყოველგვარ ნიადაგს. ძველათ საქართველოში გავრცელებული ყოფილა „გოგრა მუხუდო“, „თეთრი მუხუდო“, „წითელი მუხუდო“. (ერისთავი 1884წელი). სასურსათოდ ძირითადად გამოიყენებოდა მუხუდოს თეთრ-თესლიანი ჯიშები. სამეგრელოში ძველად, დილის საუზმისათვის ქვის კეცზე აცხობდნენ მუხუდოს ფქვილის მჭადს. ზოგჯერ მუხუდოს მარცვალს მოხალავდნენ ქვის კეცზე, დაფქვავდნენ ხელის საფქვავით, მოზელდნენ ნელთბილ წყალში, შეურევდნენ ახლად ამოყვანილ ჭყინტ ყველს და გამოიცხობდნენ ქვის კეცებზე. ის პირველად იხსენიება „დაბადების“ V საუკუნის ქართულ თარგმნებში. მუხუდო მოხსენიებულია XIII საუკუნის „ხოჯათყოფილის კარაბადინის წერილობით ძეგლში და XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლში „სახელმწიფოს კარის გარიგებაში“-ც გვხვდება (ივ. ჯავახიშვილი 1934წ). ჯავახიშვილის გადმიოცემით, ის ძალზე გავრცელებული იყო კოლხეთში და დიდი რაოდენიბით ითესებოდა დასავლეთ საქართველოს მთისწინა კალთებზე ზღვის დონიდან 800-900-მის ფარგლებში. იგი ერთ-ერთი სამარხვო საჭმელი იყო საქართველოში. მუხუდოს ფქვილისაგან აცხ-

ობდნენ მჭადს, რომელიც ძალზე გემრიელი და ნოყიერი იყო. მუხუდოს თესლში ცილების შემცველობა 12-31.2%-ის ფარგლებში მერყეობს, საშუალოდ 25%-ია. ცხიმი – 6%-მდეა; თივაში ცილა 6,12%, ცხიმი – 3,4% (კობალაძე 1944წ.). საუკეთესო წინამორბედია თესლბრუნვაში პურული-სთვის, რადგან ნიადაგს აზოტით ამდიდრებს. ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მიერ მიღებულია მუხუდოს ახალი პერსპექტიული ფორმა „სარკინეთი”, რომელიც 1998-2001წწ. გამოცდის მიზნით ითესებოდა ჯავახეთის ზეგანზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ გამოყანილია მუხუდოს ჯიშები „ზედაზენი” და „ელექსირი”.

ძაბა – Vigna sinesis (Kuuru) ია. საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის ვახუშტი ბაგრატიონი ძაბას ასახელებს, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ის „წვრილი ლობიოს” სახელით არის წარმოდგენილი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ის სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: იმერეთში „ძაბა – მიწის ლობიო”, სამეგრელოში „დიხაშ ლებია”, „ჩე ჰიფელებია”, „ჩე სარალებია”, „გირძე ლებია”. (კობასიძე 1962 წელი). ლ. დეკაპრელოვიჩ (1926 წელს აღნიშნული აქვს ერთის მხრივ იაპონელის ლობიო, მეორე მხრივ – ქვა ლობიოს სახელწოდებით. ძაბას კულტურა ოდითგანვე ფართედ გავრცელებულ მცენარედ წარმოადგენდა აფრიკის კონტინეტზე წინა და შუა აზიაში, ირანში, ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. ძაბას ნორჩი პარკი და თესლი გამოიყენება სურსათად. მისი ფქვილი შეიძლება პურის ფქვილსაც შეურის გამოსაცხობად.

ძველ კოლხეთში მისგან მზადდებოდა ძალიან გემრიელი შეჭამანდი. ლობიოს კულტურის გავრცელების შემდეგ, უფრო ითესებოდა მსხვილთესლიანი ფორმები. ძაბას მარცვლებისგან შესაძლებელია ზეთის გამოხდა და ყავის სუროვატის მიღება. იგი მდიდარია ცილებითა და ცხიმებით და ამიტომაც მას სამართლიანად უწოდებდნენ „ლარიბების ხორცი”. (ავალინი, 1923 წელი). ძაბა როგორც ტროპიკული მცენარე, უკეთ იზრდება ჭარბი ტენისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში, მას სიმინდთან ერთდ თესავენ როგორც ყველა პარკოსანი, ისიც ნიადაგს აზოტით ამდიდრებს. ამჟამად, იგი ძირითადად საბოსტნე ნაკვეთებზე გვხვდება. ლობიოსგან ამზადებდნენ და მზადდება მაღალკალორიული შეჭამანდი, ლობიოს სუპი, გადალესილი და ნიგვზით, თხილით შეკაზმული ლობიო, რომელიც მდიდარია ცილებით.

საკადრისა – Vigna angularis (Wild) Ohwi & H. Ohashi ტერმინები „საკადრისა” ან „საკადრისი” გვხვდება (XVII-XIX) საუკუნეების წყაროებში (მაისათ, 2013) გ. აბესაძის გამოკვლევებით (1945), საკადრისა (*Vigna angularis (Wild) Ohwi & H. Ohashi*) ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული ლიახვის ქედამდე, საკადრისა შემოლგომაზე ითესება, მაისს-ივნისსში ყვავილობს, მოგრძო და განიერ პარკს იკეთებს; ერთ პარკში 10-მდე მარცვალია. მოხარშულ პარკს შეაზავებენ ძმრით, ნიგვზით და მწვანილობ (გოცირიძე, 2007)

სელი – Linium L სამეგრელოში მცხოვრები უწუცესთა გადმოცემით სელის ბოჭკოსგან ამზადებნენ ტილოს – „ჯვალო”-ს. სელის ტილოსაგან დამზადებული პერანგი, „სუს-ოსარეს” სახელწოდებით იყო ცნობილი. სელის პერანგი გრილი და სასიამოვნო იყო. მამაკაცები მას ყანაში მუშაობის დროს იყენებდნენ, გარდა სელის პერანგისა, ცნობილი იყო სელის პირსახოცები. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია სელის ნართისგან თევზის საჭერი ბადების დამზადება. სელ-ის ქსოვილს არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ქსენოფოტეს ცნობით, ქართული ტომის მოსინიკების მეომრებს სელის ქოვილსგან დამზადებული პერანგები სცმიათ, ხოლო ხალიბები სელის ჯავშან-სამკედრულებს ატარებდნენ (მიქელაძე, 1967). სელი საკულტო მცენარე იყო. მისი სამოსელი სიწმინდის, სისუფთავის სიმბოლოდ ითვლებოდა. ძველი კოლხების სარწმუნოებრივი წარმოდგენით, მიცვალებულის სულითვის საჭირო იყო ცხელის გახვევა სელის ტილოში. დასავლეთ საქართველოში, კავკასიის მთის წინებში, „მუძუანას მღვიმეში” აღმოჩენილია სელის ბოჭკოს უძველესი ნიმუშები, რომელიც დათარიღებულია ზემო პალეოლითით, 30 000 წლით. (Kvavadze et al., 2009). კოლხური სელის საექსპორტო მნიშვნელობაზე, საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ეს შემთხვევა (XVII ს) (დონ კრისტოფორო დე კასტელის – XVIII ს) სხვათა თხუზულებებში. ეხება რა, სამეგრელოს მხარეს ეს შარდენი აღნიშნავს: – „მეგრელები ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე გემებით შემოსულ თურქებთან და ევროპელებთან ვაჭრობენ, სამეგრელოდან გააქვთ აბრეშუმი, სელის ძაფი, ტილო. სხვადასხვაგვარი ბეწვეული, ბზა, ცვილი, თაფლი და სხვა. სამეგრელოს მთავარი დაძირი თსმალეთს ხარჯის სახით მხოლოდ სელის ტილოს უხდიდა”. კოლხეთის სამეურნეო ყოფაში, უძველესი დროიდან დაკვიდრებული იყო სელის ზეთის წარმოება. მას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ, როგორ დასალევად, ისე წაასამელად – მაღამოების სახით. სელის ზეთი შეიცავს ეთეროვან ზეთებს 30-48%-ს, ცილას-33%-მდე, ნახსირწყელბს 26%-მდე, ორგანულ მჟავებს,

ვიტამინ A-ს, გლიკოზიდ ლინიმარილს და სხვა. მისი თესლისაგან მიღებული პრეპარატი – ლინეტოლი, გამოიყენება ათეროსკლეროზის მკრუნალობასა და პროფილაქტიკისთვის. კუჭის პეპტიური წყლულის ფარმაკოთერაპიაში. მას გააჩნია დამცველ-დამაწყნარებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ლინეტოლი აგრეთვე გამოიყენება თერმული დამწვრობისა და კანის სხივური დაზიანებს დროს, ხელს უწყობს ქსოვილების რეგენერაციას და ეპითელიზაციას (თურმანაული, 1997წ; ქათაძე 2009წ). სელის წრმოებით განთქმულ კოლხეთში, სელისგან როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთი მზადებოდა. იგი გამოიყენებოდა ჭრილობების სამკურნალოდ, მოსახლეობა იყენებდა თაფლის, სანთლის, ღორის მუცლის ქონისა და სელის ზეთით შეზავებულ წამალს. მის ზეთში ათავსებდნენ სხვადასხვა მცენარეებს. სელის ზეთით მკურნალობდნენ კუჭ-ნაწლავის, გულ-სისძარღვთა, სასუნთქი და შარდ-სასქესო სისტემების დავადებებს. მონასტრებში ზეთი გამოიყენებული იყო, განსაკუთრებით მარხვის პერიოდში. ის განათების მიზნითაც იყო გამოიყენებული. მას იყენებდნენ ტყავის დამუშავებაში და საღებავების დასამზადებლადაც. გლეუხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პირველნახად ზეთს, რომელსაც ავადმყოფს გულის ტკივილის დროს უზმოზე ასმევდნენ. გართულებული მშობიარობის შემთხვევაში, კვერცხს სელის ზეთში შეწვავდნენ, მატყლზე დადებდნენ და ასე იარაზე ადგებდნენ (მოლოდინი 1959 წელი; ბერიაშვილი 1964; ჩირგაძე 2003; მაისაია და სხვა 2012წ) სელის მარცვლის ფქვილისაგან ამზადებდნენ ფაფას ე.წ. „ქუმუს“. იგი ყუათიანი საჭმელი იყო და ერთგვარი სამკურნლო დანიშნულებულ ქონდა. მას იყენებდნენ როგორც ჩირქის გამოსაღებ საშუალებას. „ქუმუს“ და თაფლისაგან აკეთებდნენ ტკბილ ნაცხობს, რომელსაც „კანძილი“ ეწოდებოდა. (მაისაია და სხვა 2005).

ბამბა – *Gossypium herbaceum* – მეგრულად „ბამბუ“ იმერულად „ბამბა“, „ბანბა“ (ერისთავი, 1884). ბელად დასავლეთ საქართველოში ბამბის თესვა-მოყვანასაც მისდევნდნე. ა. ბოროზდინის, რაფ. ერისთავისა და ჟ. მურიეს მონაცემებით (1927), სამეგრელოში ბამბა იმდენი მოყავდათ, რომ ბეზოელ ქვეყნებშიც გაქონდათ. ბოლო ხანებში სინაური საჭიროების შემთხვევაში თესავინენ (აზიკური, 2003). ბამბის მარცვლებიდან („კურკა“ ხდიდნენ ზეთს). ბამბის ზეთი შეიცავს 20-27% ზეთს. ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი კოპტონი, ჩინებული საკვება საქონლისათვის. (გაზ. „მიწის მუშა“, 1924; ჯაფარიძე, 1971). ბამბა სითბოსა და სინათლის მოყვარული მცნარეა, ბამბის დათვესამდე ნაკვეთი კარგად ირწყვებოდა. ითესებოდა შუა აპრილამდე. სამეგრელოში უხუცესთა გადმოცემით, ბამბის ნათესის მოვლაში ერთ-ერთი ღონისძიება მცენარის წვერის წაწყვეტა. ეს აჩქარებდა მცენარის ზრდას და კოლოფების მომწიფებას. ბამბის კოლოფი არაერთდროულად მწიფდება. მომწიფება გრძელდება 2 თვემდე. მას ორი ხელით კრეფლები და აწყობდნენ სპეციალურ წინსაფრებში, რომელსაც სამი ჯიბე ჰქონდა. კარგი ხარისხის ნედლეულს ერთში ათავსებდნენ, დაავადებულს მეორეში და დანარჩენს მესამეში. პირველ კრეფას იწყებდნენ მაშინ როცა თითოეულ ბუჩქზე 1-2 კოლოფი გაიხსნებოდა, ხოლო აღებას ყინვების დაწყებამდე ამთავრებდნენ. მოსავლის დაგვიანებით აღება მიუღებელი იყო, რადგანაც გახსნილი კოლოფებიდან ბამბის გაფანტვა ხდებოდა. მოსავალს სექტემბერში იღებდნენ. მის კოლოფს მჩხვლეტავი ეკლები აქვს (მაისაია, შანშიაშვილი, რუსიაშვილი, 2005). ბამბის სუფთა ნაწილს ჭილოფზე ათავსებდნენ და თხილის ჯონით პენტავინენ („დოპენ ტუნდეს“). ეგრულად ამის შემდეგ დაიწყებდნენ ბამბის ძაფის დართვას, ძაფს რთავდნენ თითისტარაზე მეგრულად, „ჩერიაზე“. მას თხილის გათლილი ჯონისაგან აკეთებდნენ. ერთი ბოლო წვრილი ქონდა, მეორე ბოლოში კი წარმომული ქონდა სიმინდის ტაროს ნაჩური, მეგრულად – „გუგა“. ნაქუჩის შუა ნაწილს აიღებდნენ, გახვრეტდნენ და მოაცმევდნენ ჩერიას, ბოლო ნაწილს. ბამბის ნაწილს ჩერიას წვერზე მოათავსებდნენ და ატრიალებდნენ. ტანსაცმელს და წინდებს ყაისნალით ქსოვდნენ. მისგან ამზადებნდენ ლეიბებს, საბ-ნებს, ქსოვენ სარტყელებს, ხურჯინებს, ფარდაგებს.

აბრეშუმის დიდი გზა, საქართველოზე გადიოდა. ქართულმა მეაბრეშუმეობამ თხუთმეტ-საუკუნოვანი ისტორიის ქარტეხილები, წარმატებით განვლონ და იგი მისი ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია. აბრეშუმის გზა მოიცავდა სამხრეთ, ახლო და დასავლეთ აზიის ტერიტორიას, რომელიც ევროპისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებამდე აღწევდა იგი აკავშირებდა უძველესი ჩინეთის ცივილიზაციისა და დასავლურ სამყაროს. აბრეშუმის გზამ შემოუნახა ისტორიას ბრწყინვალე ცივილიზაციები და დაგვიტოვა უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა. ორი ათასი წლის განმავლობაში, აბრეშუმის გზას არ დაუკარგავს თავისი შარმი და მომხიბლაობა. ცნობილია, რომ ძვ.წ II-III საუკუნეებიდან ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი იმიღებოდა. შუა აზიიდან სანაოსნო იყო მდინარე ოქსოსით, ახლანდელი ამურდარია (იმ ხანად კასპიის ზღვას ერთვოდა), კასპიის ზღვით მტკვრით, სუ-

ამის უღელტეხილთა და მდ. ფაზისით (მდ. რიონი) შავი ზღვის სანაპიროს ქ. ფაზისთან (ახლან-დელი ფოთი) აღწევდა. აქედან კი მცირე აზისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა. დიდი აბრეშუმის მსოფლიო გზის საქართველოსა და კავკასიის მონაკვეთის აღორძინების იდეა დაიბადა XXს-ის დასასრულს. დიდი აბრეშუმის გზისადმი ინტერესი მანამდე თუ მეცნიერული იყო, კასპიის ნავთობისადმი დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან ყურადღების გააქტიურებამ და საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ინიციატივის შეარდაჭერამ, აბრეშუმის ძველ გზას ახალი სიცოცხლე შესძინა (შეიქმნა ერაზმული დერეფანი ტრასეკა); ანუ ახალი დიდი აბრეშუმის გზა, მხოლოდ ამჯერად, ჩინური და შუა აზიური აბრეშუმის მაგივრად, ენერგომატარებლების გატარება წარმოებს რუსეთისა და ორანის გვერდის ავლით. ამ კორიდორის შექმნას მხარი დაუჭირეს აშშ-მ და ევროკავშირმა. კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტურება სუფასის ტერმინალზე ხორციელდება რკინიგზით. ყოველდღიურად მილიონობით ტონა ტრანზიტული ტვირთი ნავთი, ნავთობპროდუქტები, ბურებრივი გაზი) გადის საქართველოს ტერიტორიაზე, ბაქო-თბილის-ჯეოპანის ნავთობსადენით და აზერბაიჯანისა და საქართველო-თურქეთის გაზსადენით. ქალაქ თბილისში „აბრეშუმის გზის“ სახელწოდებით სისტემატიურად ტარდება მრავალი საერთაშორისო კონფერენცია — მათ შორის სამედიცინო პრობლემების აქტუალურ საკითხებზე

1850 წელს ტურინში, და 1862 წელს ლონდონში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე, ქართულმა აბრეშუმმა მედლები დაიმსახურა. ესპანეთში მოწყობილ გამოფენაზე, 1998 წელს, თუთის აბრეშუმშვევის ქართული ჯიშების პარკიდან, ცივად ამოხვეული ძაფით დამზადებულმა ქსოვილმა, ევროპის ხარისხის, კომიტეტის უმაღლესი ჯლდო – პლატინის ვარსკვლავი დაიმსახურა. საქართველო, თუთის აბრეშუმშვევის ჩქაროსლი მეთოდით, გამოკვების სამშობლოა. 60-იან წლებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, დარაიონებული თუთის 7 ჯიშიდან, (71 %) 5 საქართველოში იყო გამოყვანილი. საქართველოში ამოვენილი მზიური ორის ჰერმშრალი პარკის აბრეშუმიანობა, 50%-ს შეადგენს. ხამის ძაფის გამოსავლიანობა – 43%-ს ხოლო პარკის ძაფის სიგრძე 2032-მს. საქართველო ზღვისპირა ქვეყანა, მისი ეკვატორი 300 000 კმ-ზე მეტზეა გადაჭიმული. იგი მდიდარია ბუნებრივი მაღალ და საშუალო – მინერალიზებულ–სამკურნალო–სასმელი და დაბალ მინერალიზებულ მტკნარი სას-მელი წყლების მარაგით. მინერალურ–სასმელი და ბალნეოლოგიური სამკურნალო წყლების უდიდესი ნაწილი სამთო კლიმატურ საკურორტო ზონებშია განლაგებული. ქვეყანა მდიდარია, შიდა წყლებით (მდინარებით, ტბებით, ხელოვნური წყალსაცავებით). სამეგრელოში გამორჩეული ადგილი უკავია სამკურნალო კურორტს სკური, რომლის ულამაზეს ხეობაში მოედინება კუჭ-ნაწლავის დავადებათა სამკურნალო სასმელი წყალი „სკური“. ქვეყნის შიდა წყლებსა და ზღვის აკვატორიაში, ბინადრობს მრავალი ჯიშის თევზი. მათში არსებულ თევზთა სიუხვისა და ჯიშთა მრავალსახეობით შესანიშავად აქვს აღწერილი, სამეფო დინასტიის ღვაწლმოსილ წარმომადგენელს ვაჟუშტი ბატონიშვილს (1696-1757 წწ.). ღღესათვის ბინადრობს 160-ზე მეტი ჯიშის თევზი. რომელთაგან 40 ერთულს აქვს სარეწი დანიშნულება, თევზთა საუკეთესო ჯიშები როგორიცაა: მდნარის წითელწინწკლებიანი, შავწინწკლებიანი და ტბის კალმახი, მურწა, წვერა, ციმორი, ხრამური, შამაია, ლოქო, ჭანარი, კობრი, სქელშუბლა, თეორი ამური, სიგა, ზღვის ორაგული, ქაფშია, კამბალა, სვია, ქორჭილა, კოლხური ზუთხი და სხვა. ვჯავხიშვილის 1930 წლის და ვ. მენაბდი 1948 წლის განმარტებით, თავდაპირებული ტორთველური ტომები, საკუთრივ პურსა და პურეულ მცენარეთა აღსანიშნავად, ხმარობდნენ: (იყენებდნენ) სახელწოდება „დიარს“. ღღესაც ეს ტერმინი შემორჩენილი აქვსთ მხოლოდ მეგრელებს, სკანებსა და ლაზებს; დიარა სამეგრელოში ლხინის სუფრის, დაპურებას აღნიშნავდნენ, ხოლო იღიარს „ბალახობს“. ღღეს ეს სიტყვა ქართული ენის ლექსიკონიდან საერთოდ გამქრალია, მისი ჩანაცვლება მოხდა ტერმინი „ხორბლით“, შემდგომ კი „პურით“. გარდა კვებისა, ხორბლის იყენებდნენ სამკურნალო დანიშნულებითაც. ხორბლის ფერილისაგან ამზადებნენ „ხავიწს“, მმარში ამოზელილ ცოშის, რომელსაც სქლად შემოადებდნენ დაჩირქებულ თითს, მის გამოსარწყავად. სტომატიტის მკურნალობნენ, მოხალული ხორბლის მასით, რომელსაც ნაყავდნენ და დანაცულ მასას ურევდნენ დანაცულ თეთრ შაბს, შემდეგ ცრიდნენ მას და ამზადებდნენ სავლებელს. კუჭის შეკრულობის დროს, საფალარათოდ ცხოველს ხორბლის ალაოს აძლევდნენ (ი. მაისაა, 2009). ყაბზობის პროფილაქტიკისთვის კი ადამიანები იყენებდნენ ხორბლის ქატოს, სამკურნალოდ იყენებდნენ აგრეთვე ხორბლის სახამებელს, რომელსც წერილობით წყაროებში იხსენიება სხვადასხვა სახელწოდებებით: სახამებელი, ბაგრუკი, თანგარი, ნიშანსტაგი, ნიშანსტა, ნოშო. სახამებელი ხშირად შედიოდა, სხვადასხვა წამლის შემადგენლობაში, უმთავრესად იყენებოდა ხველებისა და კუჭ-ნაწლავის დავადებების სამკურნალოდ, ხალხურ მედი-ცინაში, ხორბლის მარცვლის ნახარში გამოყენებოდა, როგორც გამაგრილებელი სასმელი (კოპ-

ალიანი, 2002წ). „გვაწა ზანდურისგან” ამზადებნენ კორკორს: ხორბალს ალბოფენენ, კანს აცლიდნენ, და ხახვითა და მარილიტ აზავებდნენ. „ჩელტა ზანდური” („პიტა” ქობალი”) რაც ხალხურ მედიცინაში, ძველთაგანვე გამოიყენებოდა. სამეგრელოში ამ ხორბლის თაველებს გადაარჩევდნენ, შეკრავდნენ და ჩამოკიდებნენ ფაცხაში შეუკრის თავზე კვამლით რომ კარგად გამომშრალიყო, შემდეგ საჭიროებისამებრ გამოარჩევდნენ მარცვლებს, დაალბობდნენ 2 დღე-დღამის განმავლობაში, მოხარშავდნენ წყალში და მიღებულ ნახარშს დაალევინებდნენ სიცხიან ავადმყოფებს, ოფლის მოდენის მიზნით ხოლო ნერვიულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, ძილის წინ ასმევდნენ. „პიტა ქობალის” მარცვლების თაფლიან ნახარშს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებად ხმარობდნენ, მისი მოხალული მარცვლის ფქვილისაგან ამზადებნენ „ქუმუს”; ქუმელის – ფქვილი ნელთბილ წყალში იზიღება და არ საჭიროებს გამოცხობას და მას საკვებად იყენებდნენ მწყემსები მთაში. მხედველობის გასაუმჯობესებლად სვამდნენ მახას მარცვლების ნახარშს, ფქვილისაგან კი ამზადებდნენ ხაბიზგინებს, ნიგვზითა და ხახვით შეზავებულ პურს (ი. მაისაა, 2009წ). ხორბლის საკვები ფაფიდან გამომცხვარ პურ-პროდუქტად ქცევამდე, საკმაო დრომ განვლო, ერთი-ორი თითის სისქემდე გამომცხვარ მრგვალ ან ოვალურ ფორმის ქართულ პურს, ლავაშს უწოდებნენ რომელიც ისტორიულ წარსულში სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. მიცვალებულს გულზე დაადებნენ და მისგან მოტეხხილ პურს, პურის ლუკმას (პურის გატეხვა) ღვინოში ალბობდნენ და ღმერთს შენდობას თხოვდნენ, რის შედეგაც სამგლოვიარო სუფრას შემოუხსდებოდნენ. ჩვენს წინაპრებს იმდენად ჰქონდათ სულსა და სისხლ-ხორცში გენეტიკურად გამჯდარი ადამიანის რაობის, საერთო მნიშვნელობაში წარმომჩენი ქართული სიტყვა) „გურ”, /გული/—ის შინაარსობრივ ერთიანობაში კულტურული ცივილიზაციის მაუწყებელი ძირითადი ფილოსოფიური და ცხოვრებისეული არსის გამოხატვის – „პური ჩვენი არსობისა” სამყაროს ერთიანობისა და გამაერთიანებელი ფორმის მსგავს, საკვებად გამომცხვარ მრგვალ პურს – „გურ (რ)გვალი” შეარქვა (მ. როგავა 2012).

ხანჭკოლა – Lupinus L., საქართველოში გვხვდება კულტურული ხანჭკოლას სამი სახეობა: ჭრელთესლიანი, წვრილთესლიანი და ყვითელთესლიანი. თეთრთესლიანი ხანჭკოლა კოლხეთის ბარში ერთ-ერთ უძველესი მცენარეა. საქართველოს გარდა მისი არეალი ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებია. მისი თესლი შეიცავს 30-50% ცილას, მწვანე მასა 20-25% (მაისურიანი 1974წ). მას უმტესად თესავდნენ გურია-სამეგრელოს ზღვისპირა ზოლში. მის თესლს მწარე გემო აქვს და უშუალ არ მოიხმარება. სიმრავის მოსაშორებლად და დას-ალბობად დაახლოებით ერთ დღე-დამეს აჩერებენ გამდინარე წყალში. მცენარის სახელწოდება (ივ. ჯავახიშვილის 1934 წელი) „ხანჭკოლა” ორი მეგრული სიტყვისაგან არის შედგენილი: ხაჯი (ცერცვი) და კოლა (მწარე) მომწარო გემოს გამო დაურქმევიათ. მისგან ნაწარმოებია არაერთი გეოგრაფიული სახელი – მდინარე ოდიშის შენაკადს „ხანჭკულა” ეწოდება.

უძველესი დროიდან, გარდა მარცვეული და პარკოსანი მცენარეებისა, როგორც მთლიანად საქართველოს ისე სამეგრელოს სამეურნეო ყოფაში დიდი მნიშვნელობა ქონდა საზეთე ბოჭკოვან კულტურებს, განსაკუთრებით სელს და ბამბას. სელს მეგრულად „სუ / ფსუ / ქუმუ”, ჭანულად „სულეი”, სვანუად „სელ” იმერეთში „სელი” (მაყაშვილი 1949; ი. მაისაა და სხვები 2005). ანტიკურ ხანში ცნობილი იყო „კოლხური სელი”. „კოლხური სელი”-ს ტილოს ბერძნები „სარდონულ ტილოს” უწოდებენ. ეგვიპტური მაღალხარისხოვანი ქსოვილების ღირსეულ მეტოქედ, კოლხური „სელის ქსოვილი” ითვლებოდა (მიქელაძე 1967). ძველად საქართველოში სამი ჯიშის სელი ითესებიდა: მაღალი სელი (საბოჭკოვე) – იძლეოდა კარგი ხარისხის ბოჭკოს დ ცოტა თესლს. ხვეულა – ხუჭუჭა სელი (საზეთე) – შედარებით დაბალი იყო, იძლეოდა მდარე ხარისხის ბოჭკოს და უხვ თესლს. საშუალო სიმაღლის სელს ჰქონდა საშუალო სიმაღლის ბოჭკო და იძლეოდა არც თუ ბევრ თესლს. სამეგრელოში უხუცესთა გადმოცემით, „სელს” ყამირი ანუ ახლად გატეხილი ნია-დაგი უყვარს. თესავდნენ შემოდგომაზე, სიმინდის აღების შემდეგ. მიწას „ოგაფათი” – ხის კავით ხნავდნენ და სელის თესლს – „სუს” ნახნავში ჰქონდა მიმოაბნევდნენ. ხშირად თესლს ურევდნენ ქვაშას, რათა ერთნაირი სიხშირით აღმოცენებულიყო. დაახლოებით 10-12 ღლის შემდეგ, ზოგჯერ უფრო გვიანაც, ნათესი აჯევილდებოდა. იგი კარგად იზამთრებდა და ნახამთრი სელი გაზაფხულზე ტანს იყრიდა. დაახლოებით ივნისის დასაწყისს ღეროს ქვედა ფოთლები შეუყვითლდებოდა, რაც სიმწიფის ნიშანი იყო”.

კანაფი – Cannabis, საქართველოში ბუნებრივად გვხვდება ჩვეულებრივი კანაფი ჩანაბაი სატოვა, და ველური კანაფი – **Cannabis ruderalis**. კანაფის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ ქალალის, ქსოვილს, ხომალდის იალქნებს, ბაგირებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს. „ამ მცენარეს საცხოვრებლების

ახლოს ვხვდებით. თუ კანაფი ღრმა თიხა-კირიან ნიადაგშია დათესილი, კარგად ხარობს, მაგრამ ტენიან თიხნარში, სადაც ნიადაგი წაყლგაუმტარია, კანაფი მცირე მოსავლიანია”, წერს ეიულ მურიე თავის წიგნში, მაგრამ აღნიშნული მცენარის მოხმარება-გამოყენების ან მისი გაყიდვის თაობაზე აქცენტს არ აკეთებს. ძვ. წ. აღ. დათარილებულ ხელნაწერებში პლინიუს უფროსი კანაფს აღწერს, როგორც დასაწნავ, საკვებ და სამკურნალო მცენარეს, რომლის თესლები უებარი საშუალებაა პირ-უტყვის შეკრულობისას, მისი წვენი კურნავს ყურის ანთებას (ოტიტს), ფესვი კი გამოიყენება როგორც საფენი სახსრების ტკივილის, პოდარისა და დსამწვრობის დროს. აღმოსავლეთში ის ტკივილგამაყუჩებელ, ანტიპილებტიკურ, ღებინების, კრუნჩევის და რევმატიზმის სამკურნალოდ. საქართველოში კანაფი ცნობილია, როგორც სანელებელი კულტურა, კანაფისაგან წნავენ თოკებს, ქსოვენ ტილოს. ხალხურ მედიცინაში კი იყენებდნენ, როგორც ტკივილ გამაყუჩებელ საშუალებად.

სპაი – *Lens culinaris* Merdic., სექართველოს მთიან ნაწილში, კერძოდ სვანეთში, ეს კულტურა დღესაც მოჰყვავთ საკარმილამი ნაკეთებზე „ქორცი”-ის სახელწოდებით. ოსპი უძველსი კულტურული მცენარეა. იგი ფართოდაა გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთში. Zehary and Hopf (1988წ) მოსაზრებით, იგი თანადროულად იყო დომესტიციზირებული ერთმარცვალსა და ქერთან. კულტურული ოსპის პირველად კერად მიჩნეულია მცირე აზია და ამიერკავკასია. ოსპის კულტურა ცნობილია ეგვიპტის ფარაონთა XII დინასტიის ნამარხებში. პალეონთო-ბოტანიკური მონაცემების მიხედვით, ოსპი ქვემო ქართლში ფართოდ იყო გავრცელებული ენეოლოთის ხანაში. საქართველოში პირ-ველი წერილობითი ცნობა ამ მცენარის შესახებ „დაბადების” ქართულ თარგმანშია მოცემული. მეგრულ-ჭანურში სახელწოდება „ოსპი” სრულიად არ ჩანს, რაც იმას ნიშნავს რომ ამ მცენარემ ამ რეგიონში ფეხი ვერ მოიკიდა. სკანური სახელწოდება „ქორცი” ივ. ჯავახიშვილის (1934წელი) აზრით, ამ მცენარის ოსლის ფორმის, მისი სიბრტყის გამომხატველია., რაც მის ადგილობრივ წამოშობაზე მიგვინიშნებს. ოსპის შეჭამადი დელიკატესად ითვლება. ქართველი სელექ-ციონერების მიერ გამოყვანილი ოსპის ჯიშებია: „აბბლო” და „შირაქი”. ნაზი ვეგეტაციური მასა და ცილის მაღალი შემცველობა მას ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდეს საქონლის საკვებად. სხვა პარკოსნებთან შედარებით, ყურადსალებია ისიც, რომ ოსპი კარგად ხარობს მთის მწირ ნიადაგებზე. ამჟამად ოსპი ჩვენში შედარებით იშვიათია, ჩვეულებრივი ლობიოს შემოსვლამ იგი ბარიდან მთისკენ გახიზნა.

ცულისპირა (*Lathyrus sativus*) მეორე სახელია „უკადრისა”. ძველი ქართული სამედიც-ინო წყაროების მიხედვით, მას კიდევ, „მარჯაშთას”, „უურჩაქს” და „მურდუმაქს” უწოდებდნენ (წუწუნავა, 1960; ჯავახიშვილი, 1986). ცულისპირა ერთწლოვანი მცენარეა, ითესება ადრე გაზაფხულზე. აქვს სუსტი ღერო, იგი ბარდასთან შედარებით უფრო მოსავლიანია. არ არის სიტყბოსადმი მომთხოვნი. კარგ მოსავალს იძლევა შავმიწა, თიხნა, ყავისფერ, ალუვიურ მიწებზე. იგი ვენახებშიც ითესებოდა და ტრადიციულ თესლებრუნვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ცულისპირას და ჭვა-ვის ან ხორბლის ნარევისგან ამზადებდნენ ნოყიერ პურს. (მაისაია, 2013) ისგან აკეთებდნენ შეჭამანდს: მოხარშელი ცულისპირა შეზავდება დანაყული ნიგვზით, ქინძით და ხახვით, მარილი, პილპილი, ტყემალი ან ტყლაპი გემოოვნებით. სხვადასხვა ცილის მარცვალში ცილის შემცველობა მერყეობს 23-დან 35%-მდე. ცულისპირას ნაშთები აღმოჩენილია ნოქალაქეების არქეოლოგიურ მასალებში. (ძგ.წ VI-V ს) (Bokeria et al., 2009) ცულისპირას სამკურნალოდაც იყენებდნენ. კუჭის შეკრულობის შემთხვევაში, აგრეთვე ხველების, გაციების და სურავანდის საწინააღმდეგოდ (წუწუნავა 1960).

ლობიო – *Pheolus* მისი სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. მისი კაკალი შეიცავს 31% ცილას, 50–60% ნახშირწყლება და 3–6% ცხიმს. ერთწლიანი ლობიო – ***Pheolus Vulgarus*** იზრდება 25–45 სანტიმეტრამდე, ხვიარა ფორმა 2–% მეტრომდე, პარკის ზომა 7–28 სანტიმეტრი, პარკში 3 – 7 ცალი 1000 კაკლის წონა მერყეობს 250 დან 450 გრამამდე, საქართველოში ლობიო – მეგრულად – ლება XVII საუკუნიდან შემოვიდა, უფრო მოგვიანებით კი აღმოსავლეთ საქართველოში. იგი პარკოსანთა ოჯახის ერთ და მრავალწლიან მცენარეთა გვარს წარმომადგენელია. დღესდღეობით ცნობილია 150-ზე მეტი სახეობა, აქედან 20-მდე კულტურული სახეობა, რომელთანაც სასურსათო მნიშვნელობა მხოლოდ შვიდ მათგანს გააჩნია... გავრცელებული სახეობებია წითელი და ოთორი. იგი შეიცავს კაროტინს ვიტამინ B, C, E და PP-S; დიდი რაოდენობით მაკრო და მიკრო ელემენტებს: თუთიას, რკინას, გოგირდს, ქლორს, ფოსფორს, კალიუმს, ნატრიუმს, კალციუმს. ასევე მასში არის ლიზინი, არგინინი, ჰისტიცინი, თიროზინი, ტრიფეტოფანი. საშუალოდ მისი კალორიულობა 100 კლ კალ. იგი ხორცის აღტერნატივაა, მისი მოხმარების სასურველი რაოდენობა კვირის რაციონში 330–350 გრამია. მწვანე ლობიოს პარკში არის დიდი რაოდენობით არგინინი, რომელიც ნივთიერებათა ცვლაზე დადებით გავლენას ახდენს და სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის

შემცველობა საგრძნობლად კლებულობს... იგი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ფუნქციას, ქოლინის შემცველობის შედეგად ხელს უწყობს ღვიძლის, თირკმლებისა და თავის ტვინის მუშაობას და მონაწილეობს მეტაბოლურ პროცესში. მისი მცენარეული ბოჭკოები შეიცავენ პოლიფენოლებს, ფიტოცისტეინებს და საბონინებს, რომლებიც ამცირებენ ქოლესტერინის შემცველობას სისხლში და ამცირებენ სისხლძარღვა მიღრეკილებას ათეროსკლეროზული ცვლილებებისადმი. მისი ხშირი მიღება ხელს უშლის კბილებში ქვების გაჩენას, იგი აგრეთვე სასარგებლოა კლიმაქსიანი ქალ-ებისათვის, რადგან კვერცეტინი და ანტოციანები ჰორმონალურ ფონს აწესრიგებენ. ლობიო მდიდარია ანტი-ოქსიდანტებით, რაც ორგანიზმს ნაადრევი დაბერებისაგან იცავს, და რაც მუქი ფერისაა ლობიო, მით მეტი ანტიოქსიდანტია მასში. იგი შეიცავს თუთიასა და გოგირდს, რაც ალამაზებს – ბზინგარებას აძლევს თმას, კანს და მტვრევისაგან იცავს ფრჩხილებს. მისი მოხარშული კაკლებისაგან თაფლით, ქაცვით ან ლიმნის წვერით შეზავებული მასის მოთავსება გაეკვეული დრიოთ პრობლემურ ადგილებზე ალამაზებს, აპრიალებს კანს და აქრობს მცირე სახის ნაოჭებს. მისი მიღება საჭმელად არ არის რეკომენდი-რებული მწვავე გასტრიტის, მისი გამწვავების, მაღალი მუვანობის, კუჭისა და თორმეტ-გოჯა ნაწლავის წყლეულის დროს. არ არის რეკომენდირებული მეტური ქალებისათვის რადგან იწვევს მუცლის შებერვას როგორ დედის ისე ჩვლის ორგანიზმში. მისი მოხარშვის დროს პროფილაქტიკური მიზნით საჭიროა მას დაემატოს მცირე რაოდენობით პიტნა ან კამა. ლობიოს გავრცელებამ ჩანაცვლა ბევრი ჰარკოსნები, რომლებიც ზემოთ გვაქვს მოყვანილი და ისინი, იშვიათად გვხდება დღეს მხოლოდ საკარმიდამი ნაკვეთებში.

ვაზისადმი თაყვანისცემა, მისი სარწმუნოებრივ სიმბოლოდ აღქმისა, ღვთაებრიობამდე ამაღლების ფაქტია IV საუკუნეში ვაზის ჯვრის წმინდა ნინოს შემოძრმანება. ქრისტიანობის ქადაგება და სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება საქართველოში. როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის საგანძურში, ვაზისა და ღვინოს გამორჩეული ადგილი ეკავა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ფრიად საყურადღებოა კოლხეთში ანაკლის ტერიტორიაზე გათხრების (1936-1938 წლებში) გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა – ნაპოვნია ყურნძნის წიპტები და ვაზის ლერწის (რქის ნაშთები) რომლებიც ნეოლითის ბოლო პერიოდს მიეკუთვნება. საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილი და დაცულია თხნამედროვე კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი, ტაბიური ველური სახობა – კრიკინა ვაზი (უსურვაზი). როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში, ბოლო ათასწლეულების მანძილზე, შეიქმნა 525-ზე მეტი აბორიგენული ვაზის ჯიში, რომლებიც ამჟამადაც გავრცელებულია პირველად ეთნიკურ გეოგრაფიულ ცენტრებში: კახეთში – 80, ქართლში – 72, იმერეთში – 75, რაჭა-ლეჩხუმში – 50, გურიაში – 59, აფხაზში – 52, მესხეთში – 45 და სამეგრელოში – 60. მსოფლიოს ხალხთა ენების ლექსიკაში, ისე როგორც მედიცინა, მედიკამენტი, ისე სიტყვა ღვინო „ქართულიდან არის შესული“. (ეი. ტონსონის განმარტებით, სიტყვა ღვინო ძველ ეროვნულ ენებში ფრიგიელების მიერ გადაიღეს. ფრიგიელები კი ძვ.წ VIII საუკუნეში, მცირე აზიაში ჩასახლებული ტომებია, რომელებიც ფრიგის სახელმწიფო გაერთიანებად იყო (ცნობილი). XII საუკუნეში შეიქმნა ქრისტიანობის საგალობელი „შენ ხარ ვენაზი“. იგი ამავე დროს ჰიმნია ვაზისა და ქართველი ერისა. ყურძნისა და ღვინის ქართული ეროვნული საკებელი პროდუქტებია: ჩურცხელა, თათარა, ფელამუში, ჯანჯუხა, ტკბილისკვერი, ტყლაპი და სხვა. რომელიც ხშირად ქართველლ მეომართა საგზალს წარმოადგენდა ბრძოლის ველზე. სამეგრელოში აბორიგენული წითელყურძნიანი ოჯალებისაგან მიღება ინტესიურად შეფერილი, ბუნებრივად მოტებო და შავი ჯიშური დასახელების ოჯარები. სამეგრელოში მდინარე ჩხიოუშისა და ტექურის ხეობაში, ჭყადუაშისა და სალხინოს მიკროზონაში, სამხრეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მთისპირა კალთებზე, გაშენებული ოჯალების ყურძნისგან წარმოებული ღვინოები, ხასიათდება განსაკუთრებული ჰარმომნით, შინაარსით, ალკოჰოლის ნორმალური (10,5-13,5) შემცველობით, ინტენსიური შეფერვით, შენახვისა და ტრანსპორტირების უნარით, რაც ძველთაგანვე იქცევდა ქართველთა და უცხოელთა ყურადღებას. გამორჩეულად დიდია, სამეგრლოს მთავრის სიძის, ნაპოლეონ მონაპარტის დეიდაშვილის, პრინც აში (ახილ) მოურატის ღვაწლი, ოჯალეთის ჯიშის ვაზის გადარჩენის, ალდენა-განვითარების და საერთაშორისო აღიარების საქმეში. ჯერ კიდევ 1989 წელს, მის მიერ ჭყადუაშის მიკროზონებში, ოჯალში გაშენებული ყოფილა 25 დესეტინაზე, სოფელ სალხინოში კი იგი 14 ჰეკტარამდე გაუშენებიათ. დღემდეა შემორჩენილი მის მიერ აშენებული და მოწყობილი ღვინის მარანი. აქ დაყენებული ღვინოები ქვეწის გარეთაც გაჰქინდა. 1912 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენა კონკურსსზე, მიურატის მამულში მოწეულ და დაყენებულ ოჯალების ღვინოს უმაღლესი ჯილდო – „გრანპრი“ დაუმსახურებია. პრინცი აშილ მიურატი იჯალებში ამზადებდა სპეციფიკურ ღვინოს უცხოელში გასატანად – ეტიკეტზე წარ-

წერით „Odjaleche Vignobles S.A Madame La princesse A. Muret”. პრინცი აშილ მიურანტი, თავად დამიტრი დადიანთან ითვლება სამეგრელოში „დაბლარი” დღევანდელი (შპალერის სისტემის მევენახეობის შეტანის ინიციატორადაც). საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ მიმართულება (XX საუკუნე) „დაბლი და ჯანმრთელობა” ქართველ და ფრანგ მეცნიერთა მიერ დადგნილი იქნა, რომ წითელი და თეთრი განსაკუთრებით კახური გლეხური წესით დამზა-დებული ქვევრის ღვინო (ღვინის დაღულება ფურძნის მთლიანი მასის მონაწილეობით) შეიცავს მეტად აქტიურ ნივთიერებებს და ფრენოლურ შენაერთებს რაც დიდ როლს თამაშობს კარდიოლოგიური დაავადების წინააღმდეგ. აგრეთვე მათ როლს სისმივნური დაავადებების პროფილაქტიკაში. დადგენილია, რომ პროანტოცი-ანიდოლები დიდი რაოდენობით არის კონცენტრირებული ყურძნის წიაღაპში. კლერტში და კანში 21-19%. რბილობში კი კველაზე ნაკლები 1% ის ფარგლებში. დასავლეთ საქართველოში თესლოვანი და კურკოვანი ზეხილი მეტწილად საკარმიდამო ნაკვეთებზეა წარმოდგენილი და მოწეული პრდუქტია, ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისა და საკურორტო ზონის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება. შამე-გრელოში თხილის წარმოება მაღალ ღონებზეა და ის ადგილობრივი მოხმარებისთვის იყენებენ, ისე საექსპორტოდაც გააქვთ. მაღალია ციტრუსოვანი კულტურების წარმოებაც.

„მეგრელი, ბერძნული წესის მიხედვით, წლის თითქმის ორი მესამედის მანძილზე მარტულობს: პირველ ყოვლისა თოხშაბათსა და პარასკევს. შემდეგ დიდი მარხვის 49 დღეს, შობის წინა მარხვას, წმ. პეტრესა და პავლეს დღესასწაულის წინ და ღვთისმშობლის მიძინების წინ. ამ დღეების განმავლობაში მიირთმევენ ლობიოს, ჭარხალს და სხვა ბოსტნეულს ჭადთან და ღომთან. პირველი კოვზით გადაღებულ ულუფას „ძაღლის ულუფას” უწოდებენ და მას ძაღლებს აჭმევნ. ღომის მომდევნო ულუფას მაგიდაზე დებენ და პირველის გადაწერის შემდეგ ჭამას იწყებენ ზელით. დახსლოებით შუადღისას სადილობენ, ხოლო საღამოს 7-დან 8 საათამდე კი ვახშმობენ. სახსნილო დღეება და დღესასწაულებზე სუფრაზე მოაქვთ ყველული, ცხვრის თავი, გოჭი და სხვა ცხარე საჭმელი. ადგილობრივი სამზარეულოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სიმჟავე, რომელსაც ყველა კერძში ვხვდებით და თვით წვენიან საჭმელშიც კი, სადაც სიმჟავე შერბილებულია ნიგვზის ზეთით და ბოსტნეულით. სადილისა და ვახშმის დროს უამრავ სხვადასხვა მწვანილ ს მიირთმევნ მარილთან ერთად, მაგალითად ნიახურს.

გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ რამდენიმე კერძის რეცეპტს: **სუპი (ჩიხირთმა):** დაჭერით და გარეცხეთ წიწილა, ჩადეთ თბილი წყლით სავსე ქვაბში, დაუმატეთ კარაქი და სახვი. ადგულეთ, შემდეგ კი დაუმატეთ ძმარში გათქვეფილი კერცხი, ფქვილი, ჭყიმა-მხალი, ოხრახუში და მიირთვით. **სუპი (ბატქის ბოზბაში):** ბატქის მყერდი და ნეკნები დაჭერით პატარა ნაჭრებად, გარეცხეთ ცხელ წყალში, ჩადეთ ქვაბში, ადგულეთ, ქაფი მოხადეთ, დაუმატეთ დაკეპილი სახვი, ბრინჯი და პილპილი. ადგულეთ ორი საათის განმავლობაში, შეკაბმეთ ოხრახუშით და პრასით, მიუმატეთ ცოტა მაწონი, ახალი ტყემლის წვენი და მიირთვით. **კალმახი:** გამოფატრეთ და გარეცხეთ კალმახი. დაჭერით დიდი რაოდენობით ტარხუნა და წყალში ჩაყარეთ კალმახთან ერთად მოსახარშად. ხარშვის დროს ქაფი მოხადეთ, რომელსაც ცალკე მიირთმევთ კალმახთან ერთად. **ზუთხი ჩაღებული:** დაჭერით თევზი და ადგულეთ მარილის წყალში, რომელშიც ცოტა თეთრი ღვინოა ჩასხმული. ოდნავ მოხარშვის შემდეგ თევზი ცეცხლიდან გადმოიღეთ და გააცივეთ. დაკეპილ პრასის, ოხრახუშის და დაფნის ფოთოლს დაუმატეთ ძმარი და სუფრაზე მიტანისას მოასხით თევზს. **მწვადი:** ეს კლასიკური და მთელ კავკასიაში განთქმული კერძია. ეს არის ხის წვრილ ჯოხზე წამოცმული ცხვრია ან საქონლის ხორცის სუკის ნაჭრები, მარილმოყრილი, პილპილმოყრილი და ღია ცის ქვეშ აგიზგიზებულ ნაკვერჩხლებზე შემწვარი. **ფარშირებული ბატქანი (გატენილი ცხვარი):** ბატქანი გაასუფთავეთ და წყლით სავსე ქვაბში მთლიანად მოხარშეთ. აიღეთ სამი გირგანქა ბრინჯი, აურიეთ და მოხალეთ კარაქსა და დაკეპილ სახვთან ერთად. ბატქის გული, შიგნეული, ღვიძლი და სხვა დაკეპეთ და მანძალე ხარშეთ, სანად ყველაფერი აქელ ფარშად არ იქცევა. ამ მასით გამოტენეთ ბატქანი. შემდეგ ბატქანს შეკერავთ, შეწვავთ და სუფრასთან მიიტანთ. **გატენილი გოჭი:** იხელმძღვანელეთ ზემოთ მოყვანილი რეცეპტით, მხოლოდ დაუმატეთ საჭოს საწებელი ცალკე მისაყოლებლად. **საქონლის ბეჭი:** წყალში ხარშეთ საქონლის ხორცის ნაჭერი მანამ, სანამ ხორცი ოდნავ შევარდისფერდება. ცალკე მოამზადეთ მოხარშული და გაწურული მწვანე ტყემლის საწებელი, შეკაბმეთ პრასით და მიირთვით. **ხორცის ნახარში არ ისმევა!** ბეჭი უპირატესად მეგრული კერძია. იგი ისეთივე ძალიან თხელ ნაჭრებად იჭრება, როგორც ჩვენთან (საფრანგეთში) როსტბიში. **ძროხის ხარჩი:** ხარის ერთი გვერდი დაჭერით პატარ-პატარა ნაჭრებად. გარეცხეთ და დიღხანს ხარშეთ ბრინჯსა და სახვთან ერთად. მოამზადეთ საწებელი მაწვნითა და სხვადასხვა მწვანილით და კერძიც მზად არის მისართმევად. **გუფთა:**

საქონლის ხორცი დაკებეთ, მოხარშეთ წყალში, რომელშიც ჩამატებულია ახალი კარაქი, ბრინჯი, მარილი, ქიშმიში, მწვანილი და ნიახური. შემდეგ გააკეთეთ ხორცის პატარ-პატარს გუნდები, ამოავლეთ ფქვილში და შებრაწეთ კარ-აქში. ჭამის წინ მოასხით ჩვეულებრივი მუავე საწებლი. **ქათამი ქოთანში:** შეარჩიეთ ცხიმიანი დედ-ალი, ცეცხლის აღზე შეტრუსეთ, შემდეგ ჩადეთ ქვაბში ახალ კარაქთან, კარგად დაბრაწულ ხახვთან და მმართან ერთად და დაუმატეთ ხოცის წვენი. ქვაბს დაახურეთ და ნელ ცეცხლზე აღუღეთ. სუფ-რასთან მიტანის წინ მოასხით ბროწეულის წვენისა და დანაყილი ნიგვზისაგან გაკეთებული საწებელი. **ჩადებული ინდაური:** შამფურზე შეწვით ინდაური, შემდეგ დაჭერით და ჩააწყვეთ ქოთანში. აიღეთ 10-12 კვერცხის გული, ათქვითეთ, დაუმატეთ მმარი, ნახევარი გირვანქა დანაყილი ნიგოზი, მარილი, პილპილი, მჭყიმა-ფხალი, პრასი და ცოტა ნიორი. აღუღეთ და შემდეგ გააცივეთ. ინდაურს მოასხით ორი ბროწეულის წვენი, მოაყარეთ ზაფრანა და მიირთვით. ზამთარში ამ კერძის შენახვა რვა დღეს შეიძლება. **წითელი ლობით (ჭითა ლებია):** ლობით მოხარშეთ, დაუმატეთ მმარი, რამდენიმე დანაყილი ნიგოზი, ახალ-ახალი დაჭრილი ხახვი, ოხრახუში, ჭყიმა-ფხალი, დარიჩინი. ყველაფერი ეს გაჭყლიტ-ეთ ქვაბში და მიირთვით. **ახალი ლობით:** დაჭერით მწვანე ლობით მწვანილთან – ოხრახუში, ჭყი-მა-ფხალი და კამა – ერთად და მოხარშეთ. როლესაც საკმაოდ მოიხარშება, შეკაზმეთ კვერცხის გულით და ოდნავ გააცხელეთ მირთმევის წინ. **სულგუნი (სელეგინი):** სულგუნს აკეთებენ ძროხის, კამეჩის და თხის რძისაგან. რძე აჭერით და შემდეგ შეათბეთ. ხელით გაწურეთ გუნდები, წაქი გამო-ჟონავს თითებს შორის და ყველი დარჩება. ეს ყველი ერთ-ორი დღე შეინახეთ და შემდეგ გადადუღეთ. ყველი გასქელდება, მას თხელი ფორმა მიეცით და მარილი მოაყარეთ. ასე გაკეთებული ყველი ერთი წელი იუნახება სითბოსა და მზეში. **კაზილაყველი:** დამზადების წესით სულგუნს ჰგავს, მაგრამ მას ხელახლა არ ხარშავენ, როგორც სულგუნს. მას ნაჭრებად ჭრიან, ამარილებენ და ქოთანში დებენ, რომელიც რამდენიმე კვირის მანძილზე მიწაშია დაფულული, სანამ ყველიერის კვირაში არ შეჭამენ. **მაწონი:** ააღუღეთ კამეჩის რძე, ასაჭრელად დაუმატეთ ლიმონის წვენი, ჩაასხით ხის ქოთანში (ბუფუნი), ერთი ღამე შეინახეთ სიგრილეში და მიირთვით. მეგრელებს ძალიან უყვართ ახალი ხილი. მნელია არჩევანის გაკეთება იმ ხილს შორის, როელსაც ასე უხვად იძლევა აქაური მიწა: ატყმი, ჭერამი, ქლიავი, ვაშლი, შინდი, ბროწეული, შიხალი, მარწყვი, მოცხარი, ყურძენი, კიტრი, ნესვი, ზეთისხილი, კაკალი, წაბლი და სხვა. სმაში ზომიერება მეგრელების ერთ-ერთი ღირსებაა, მათ არ უყვართ დათრობა. ღვინო იშვიათად ჩანდა მათ სუფრა-ზემას შემდეგ, რაც ნაცარმა გაანადგურა მათი ვენახები. რამდენიმე წელია სადლეგრძელობი და მრავალებამიერი ისევ გასმის სოფლებში, სადაც ვენახები ხელახლა იყრება (ჟ. მურიე 1884წ.). აქვე გთავაზობთ თანამდროვე სამეგრელოს ყოფაში არსებულ საჭმლის მოსამზადებელ რეცეპტებს, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელოდა განსხვავებული და ძირითადად ტრადიციას ეყრდნობა.

საცივი – საცივის წარმომავლობაზე სამეგრელო, გურია და იმერეთი აცხადებენ პრეტენზიას. ყოველ ამ კუთხეში საცივი ტრადე-ციული კერძია და თითქმის ერთნაირად მზადდება. საცივის რამდენიმე ვერსია არსებობს. ზოგჯერ ამატებენ კვერცხს, ბროწეულის წვენს, ჯანჯაფილს, მიხაკსა და დარიჩინს. ამ ბოლო დროსაც ლიმონის წვენსაც. **მასალა –** ინდაური 1 ცალი; ნიგოზი 800(გრ) ან 1(კგ); ხახვი 100(გრ); ზმელი ქინძი 1 (ჩ/კ); უცხო სუნელი 1 (ჩ/კ); ყვითელი ყვავილი (1/2/ჩ/კ)’ მიხაკი (1/2/ჩ/კ)’; ნიორი 2-3 კბილი; მარილი და დაფქვილი წიწაკა გემოვნებით. **მომზადების წესი –** მოხარშელს ინდაურს მოაყარეთ მარილი, დაჭერით და დაბრაწეთ. ინდაურის ნახარშს მოხადეთ ცხიმი და შიგ მოშემუშავეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. გაატარეთ ნიგოზი ხორცსაკეპ მანქანაში (წვრილ ბადეში, სასურვეია ორჯერ). შეურიეთ ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ყვითელი ყვავილი, წვრილად დაჭრილი ნიორი, წიწაკა, მიხაკი, დარიჩინი, მოშემული ხახვი და გახსნით ნახარშში. უნდა მიიღოთ თხელი არაენისებური მასა. ჩააწყვეთ ქვაბში ინდაურის ნაჭრები, დაასხით წინასწარ მომზადებული ნიგვზიანი მასა და წამოადუღეთ. აღუღეთ 5 წუთსა და ურიეთ. შეგრილებულს დაამატეთ მმარი გემოვნებით. კარგად გააცივეთ და სურვილისამებრ მოასხით ნიგვზის ზეთი.

მეგრული ხაჭაპური – ფქვილი 200(გრ); საფუარი 5(გრ); შაქარი 2(გრ); მარილი (5გრ); ზეთი (20გლ); წყალი ან რძე 100 (მლ); კარაქი ან ერბო (10გრ); გულსართისთვის: იმერული ყველი ცხიმიანი და ნაკლებად მარილიანი (300გრ); ზემოდან მოსაყრელად: სულ-გუნი 30(გრ); კვერცხი (1ცალი); რძე 1(ჩ/კ). **მომზადების წესი –** თბილ რძეში ან წყალში გახსნით საფუარი და შაქარი. ცალკე თასში ჩაყრილ ფქვილს დაამატეთ მარილი და კვერცხი, დაასხით საფუარიანი მასა და მოზილეთ ფაფუქი ცომი. ზეთში დასველებული ხელით გადაზილეთ. გადაიტანეთ ღრმა თასში და ტილო გადააფარეთ. 30 წთ-ში ისევ გადაზილეთ და დაელოდეთ სანამ კარგად აფუვდება. გულს-

ართისთვის: იმერული ყველი გახეხეტ ან გაატარეთ ხორცსაგაც მანქანაში. ზემოდან მოსაყრელად ცალკე გახეხეტ სულგუნი, დაამატეთ 1 (ს/კ) რძე და 1 კვერცხის გული. ცომი რომ კარგად აფუვდება, აიღეთ 300 (გრ) გუნდა და ოდნავ გააბრტყელეთ. დაადეთ გულსართი და თავი მოუკარით. გააბრტყელეთ 1(სმ) სისქეზე, ნაპირები ცოტა ამაღლული დატოვეთ. მოაყარეთ გახეხილი სულგუნისა და კვერცხის გულის ნაზავი. შედგით ღუმელში და გამოაცეთ (200-250 გრადუსამდე). კარგად რომ დაიბრაწება გამოიღეთ ღუმელიდან და ზემოდან გადაუსვით კარაქი ან ერბო.

ჯუჯინი – მეგრული კუპმაჭი, კერძში სუბპოლუქტების გამოყენების საუკეთესო და უგემრიელესი ნიმუშია. შიგნეულის დამუშავება და ფასუფთავება ძალიან ფრთხილი, ფაქტზე პროცესია, რომელიც ქართული სამზარეულოში განსაკუთრებული გულმოლგინებით სრულდება. **მასალა** – ძროხის ხორცი (170გრ); ძროხის ფაშვი (150გრ); ძროხის ნაწლავები (150გრ); ზროხის გული (200გრ); ძროხის ღვიძლი (200გრ); ძროხის ხორცი (170გრ); ხახვი (3-4 თავი); დაფქული ქონდარი (12გრ); ხმელი ქინძი (12გრ); ქინძი (30გრ); დაღერღილი წიწაკა (10გრ); უცხო სუნელი (10გრ); მარილი გემოვნებით; ზეთი (20მლ). **მომზადების წესი:** – ნაწლავები და ფაშვი გარეცხეთ და სხვა ცხოვეურ იგრძიერტებთან ერთად წვრილად დაჭრით. იმავე ზომაზე დაჭრით ხახვი. ტაფაში ზეთი ჩაასხით და ხახვი მოშუშეთ, ხახვი რომ გაუფერულდება, დაამატეთ წვრილად დაჭრილი ხორცეულობა და ერთად მოურიეთ. ყველაფერი კარგად რომ დაიბრაწება, დაუმატეთ დაფქვილი ქონდარი, ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, წიწაკა, მარილი და კარგად აურიეთ. ზედმეტი ცხიმი რომელიც შეწვის დროს გამოვა, შეგიძლიათ გადაღვაროთ. მომზადებულ კერძს მოაყარეთ, წვრილად დაჭრილი ქინძი.

კუპატი – კუპატს ქართულ კულინარიაში ორი მნიშვნელობა აქვს. ასე ეწოდება დაკეპილი ხორცით ან შიგნეულით გადატენილ ნაწლავს, ძეხვის ერთგვარ სახეობასა და სხვადასხვა სახის შიგთავსით დატენილი გამომცხვარს. ღორის კუპატის დამზადება მთელი ცერემონიაა. ღორის დაკვლის შემდეგ შიგნეულობას დიდხანს რეცხავენ და სხვადასხვა სანელებლის დამატებით მისგან ამზადებენ კუპატს, რომელიც კარგად ინახება და ზამთარში განსაკუთრებით გემრიელია. საშობაოდ დაკლული ღორის ნაწლავებისაგან ამზადებენ კუპატს. ძალიან ყურადღებით და დიდხანს რეცხავენ ნაწლავებს (სოდით, მარილით ან ღერლილით). არჩევნენ თანაბარი ზომის რამდენიმე ნაწლავს და შეინახავენ ცალკე. დანარჩენს გადაავლებენ ნელობილ წყალს და დააღვამენ მოსახარშად, ღორის ფილტვთან, ღვიძლთან და ელენთასთან ერთად. მოხარშულ ნაწილებს დაჭრიან წვრილად, მოაყრიან ქონდარს, მარილს წითელ წიწაკას და ბროწეულის მარცვლებს. მიღებულ მასას ჩატენიან მოუხარშავ გადაბრუნებულ ნაწლავებში. მოუკრავენ თავს და ჩამოკიდებენ ჰაერზე ან კვამლზე გასაშრობად, ასეთი წესით დამზადებული კუპატი გაზაფხულამდე ინახება, სუფრაზე მიიტანება შამფურზე ან ტაფაზე შემწვარი ტყემლის საწებელასთან და ღომთან ერთად. **მასალა** – ღორის შიგნეულობა (გული, ღვიძლი, თირგმელი - 400გრ); ნიორი (2-3 კბილი); ხმელი ქინძი (7გრ); ხმელი ქონდარი (7გრ); კოწახუ-რის ან ბროწეულის მარცვლები (35გრ); უცხო სუნელი (5გრ); მეგრული აჯიკა (10გრ); ღორის ნაწლავი (1 გ). **მომზადების წესი** – ნაწლავი კარგად გავრცეხოთ წყლით, შემდეგ გახეხეთ სიმინდის ფქვილით და ბოლოს ისევ გადაავლეთ წყალი. წვრილად დაკეპეთ შიგნეულობა, ჩასრისეთ ნიორი. დაუმატეთ მარილი, დაფქული ხმელი ქინძი. ხმელი ქონდარი, უცხო სუნელი, აჯიკა, კოწახუ-რი ან ბროწეულის მარცვლები. ნაწლავი წამოაცვით ძაბრს და ისე გატენეთ გულსართით რომ ბევრი ჰაერი არ შეჰვეს. ბოლოს კუპატს თავი მოუკარით. სასურველია 1 ღორით მაცივარში გააჩეროთ რომ შიგნეულობას არომატიც გაუჩნდეს. კუპატი ნემსით დაჩველიტეთ და ისე შეწვით ცხიმში ან 180 გრადუსამდე გაცხელებულ ღუმელში, შედგით კეცით 35°-ით, სანამ არ დაიბრაწება.

ფუჩხოლია – დასავლეთ საქართველოს მთელ სიმდიდრეს აერთიანებს – ღერლილს, ყველს, აჯიკას, ნაღულს. ეს მეგრული სამზარეულოს ძალიან პოპულარული კერძია. **მასალა** – იმერული ყველი (უმარილო) (150გრ); ნაღული (80გრ); პიტნა (50გრ); მწვანე აჯიკა 15(გრ); მარილი გემოვნებით. **მომზადების წესი** – იმერული ყველი ხელით გასრისეთ და დაუმატეთ ნაღული, დანაყული ან დაკეპილი ჰატნა, აჯიკა და მარილი კარგად აურიეთ ერთმანეთში. მომზადებული ფუჩხოლია გადაიტანეთ თევზზე და ღომთან ერთად მიირთვით.

ხარჩი – სიტყვა „ხარჩის“ (ხარშოს) ხორციანი ცხელი კერძის აღსანიშნავად ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი ახსენებს თავის ლექსიკონში. ხოლო ქართული ენის ძიდიდარი დააღექტოლოვიური მასალა კერძის სხვადასხვა გარიანტს გვთავაზობს. მას ფრინველის ხორცისა და კურდღლისგანაც ამზადებენ და ტყდაპით, კვაწარახითა თუ ბროწეულის წვენით აზავებენ. **მასალა:** – საქონლის ხორცი (400-500 გრ); ნიორზი (300გრ); ხახვი (150გრ); ნიორი (3-4 კბილი); პამიდორი (400გრ); ყვითელი ყვავილი (1ს/კ); უცხო სუნელი (1,5 ს/კ); ქინძი (მელი) (1,5 ს/კ); ზეთი 970

მლ); კვაწარახი (1 ჩ/გ); სიმინდის ფქვილი 2 (ს/გ); წყალი (250 მლ); მარილი და წიწაკა გემოვნებით. **მომზადების წესი:** – საქონლის ხორცი დაჭურით საშუალო ზომის ნაჭრებად და მოხარშეთ. ნახარში დოლბანდში გაწურეთ და შეინახეთ. ზეთიან ტაფაზე მოშუშეთ წრილად დაჭრილი ხახვი. როცა შეო-ქროსფერდება დაამატეთ გახეხილი პამიდორი და შუშეთ სანამ წვენს არ შეიმრობს. დაამატეთ დაკე-პილი ნიორი და შიგ ჩაწყვეთ მოხარშული ხორცის ნაჭრები. ცალკე პატარა ჯამში ჩაყარეთ სიმ-ინდის ფქვილი და დაამატეთ 1 ჭიქს წყალი. გატარგბული იგოზი, ყვითელი ყვავილი, უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, მარილი, წიწაკა და ჯვაწარახი. აღუღეთ 5-7 წთ, შემდეგ დაამატეთ ხორცის ნახარში და წამოადუღეთ. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.

მეგრული ხარჩი – როგორც სამეგრელოში მოგზაურობისას იტალიელი მისიონერები წერდნენ: გლეხები ხორცს იშვიათად ჭამდნენ, ხორციანი კერძები ძირითადად არისტოკრატების რაციონში შედიოდა. მეგრული ჩაშუშული ცხელი ხორციანი კერძია, რომელსაც პამიორი უფრო გვიან დაემატა. მთავარი ამ კერძში ხორცის, მწვანილისა და სანელებლების სწორი ბალანსი და რასაკვირველია მეგრული კერძებისთვის დაახასიათებელი სიცხარეა. **მასალა** – საქონლის ხორცი (1კგ); პამიდორი 600(გრ); ნიორი (3-4 კბილი); ოხრახუში (50გრ); ქინძი 50გრ); დაფნის ფოთოლი 9ც); მარილი გემოვნებით; წითელი ცხარე (ცოცხალი) წიწაკა (25გრ); დაფქვილი ქინძი (8 გრ); უცხო სუნელი 9გრ); შაქარი (10გრ); ზეთი (50 მლ); **მომზადების წესი** – ტაფაში ჩაყარეთ პატარა კუბებად დაჭრილი საქონლის ხორცი. ჩააგდეთ დაფნის ფოთოლი, დაახურეთ თავსახური და მოშუშეთ. საჭიროების მიხედვით დაამატეთ წყალი, შუშეთ მანმადე სანამ ხორცი არ დარბილდება. დაახლოებით 25 წთ-ში. ხორცი გადაწურეთ და სითხე ჭურჭელში შეინახეთ. ტაფაში დარჩენილ ხორცს დაუმატეთ ზეთი, დაჭრილი ხახვი და მობრაწეთ. პამიდორს გააცილეთ კანი და დაკეპეთ, როცა ხორცი სასურველ დონემდე დაიბრაწება, დაასხით დაკეპილი პამიდორი წენიანად, შუშეთ 3-4 წუთს. შემდეგ დაუმატეთ შენახული სითხე, მარილი, შაქარი, დაფქვილი ქინძი, უცხო სუნელი და წვრილად დაკეპილი წითელი წიწაკა. შუშეთ დაბალ ცეცხლზე დაახლოებით 15-16 წთ-ს და თუ წყალს ჩაიშრობს, დაამატეთ. მომზადებული ჩაშუშული გადმოდგით ცეცხლიდან, კერძს მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში, ქინძი, დაჭყლეტილი ნიორი და ამოურიეთ. მიირთვით ცხლად, ცხარე წიწაკა დაუმატეთ გემოვნებით.

სქიბუ – სულგუნის ნაირსახეობაა, რომელსაც ხმელ პიტნას უმატებენ, მომრგ-ვალგბული ფორმის ყველს შუაში ნახვრეტი აქვს და თავისი ფორმით „დოლაბის ქვას“ წააგავს. მისი მეგრული სახელწოდებაც სწორედ „დოლაბის ქვას“ უკავშირდება.

თხის ყველი – ტრადიუციული სამეგრელოს რეგიონში, მაგარი ოღონდ ფშხვნადი ყველია, გამოირჩევა დამახასიათებელი გემოთი. დღესდღეობით შედარებით ნაკლები რაოდენობით მზადდება და დელიკატესად ითვლება... სულგუნის მოაყრიან მარილს და რამდენიმე დღე აჩერებენ მარილში. ამის შემდეგ ააცმევნ.

შებოლილი სულგუნი – არსებობს როგორც ჩვეულებრივი, მრგვალი ფორმის, ასევე სხვადასხვა ფორმის და ზომის შებოლილი სულგუნი. ამ ყველს როგორც წესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ბოლავენ. იგი მეგრული სამზარეულოს განსაკუთრებული კერძია. იგი მზადდება ამოსული ჭყინტი ყველისაგან. ჭყინტ ყველს დაჭრიან თხელ ნაჭრებად და ჩაყრიან მდუღარეში ერთი-ორი წუთის შემდეგ დაგმოიღებენ მას და მოზელავენ. მიიღება სულგუნი თოკზე და დაკიდებენ შუა ცეცხლის თავზე გამოსაშრობად. სადაც შეიბოლება და დებულობს სასიამოვნო კვამლის გემოს.

სულგუნის რულეტები – სულგუნი ნაზი ფაქტურით გამორჩეული ყველია, რაც საშუალებას იძლევა, მისი მრავალგვარი ვარიანტი მომზადდეს. ძალზე გემრიელი რულეტები, ნიგვზითა და ლორით, ტარსუნით, პიტნიანი ნაღულით, ტკბილი წიწაკით და ა.შ. პური, ელარჯი, გებუალია, ბორანო, კაიმალი, თაშმიჯაბი და ა.შ. გარდა ყველისა, სამზარეულოში აქტიურად გამოიყენება სხვა რძის პროდუქტები, მაგალითად: ხაჭო და ნაღული. ყველი ქართული კულინარიის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. გარდა იმისა, რომ ყველი სუფრასთან ცალკემიაქვთ, მისგან უამრავი სახეობის კერძი მზადდება. მაგალითად: ხაჭაპური, ჭვიშთარი და ა.შ. **აჯიგა (მწვანე)** – ცხარე და ტკბილი მწვანე წიწაკა, ქინძი, ოხრახუშისა და ნიახურის გაფოთლილი ღეროები (ნორჩი), ცერეცო და ნიორი გავატაროთ ხორცსაკებ მანქანაში. შემდეგ დავამატოთ დანაყილი ქინძის თესლი, ღვინის ძმარი, მარილი და კარგად ვურიოთ. მიღებული მასალა მოვათავსოთ ქილაში ისე, რომ 0,75 შეავსოს, მოვუკრათ თავი და შევინახოთ მშრალ, გრილ ადგილას. ასეთი აჯიგის მომზადება სასურველია ოქტომბრის თვეში. **აჯიგა (წოთელი)** – ცხარე და ტკბილი წითელი წიწაკა გაგარჩიოთ, თესლი გამოვაცალოთ და გავრეცხოთ. გადორთლილი ქინძი, ოხრახუში, რეჰანი, ცერეცო, ნიახური, ნიორი წიწ-

აკასთან ერთად გავატაროთ ხორცსაკებ მანქანაში. შედეგ დავამატოთ უცხო სუნელი, ზაფრანა, ხმელი ქინზი, მარილი. კარგად ავურიოთ, ჩავდოთ ქილებში, მოვუკრათ თავი და შევინახოთ. წიწაკა: 500(გრ); ბულგარული წიწაკა 500(გრ); ოხრახუში 250(გრ); ქინბი (250გრ); ცერეცო(250გრ); რეჰანი (150გრ); ნიახური 150გრ); ნიორი (100გრ); სუნელი: 2(ს/კ); ზაფრანა: (2ს/კ); ხმელი ქინბი 2(ს/კ); მარილი გემოვნებით.

ბურლულის კერძები: ელარჯი — მოვხარშოთ ღომი ჩვეულებრივი წესით. მერე გადმოვიდოთ ცეცხლიდან, ჩავყაროთ შიგ დაჭრილი შეუქანი ჭყინტი ყველი ან ახლად ამო-ყვანილი სულგუნი. სუთით კარგად ავურიოთ, დავდგათ ისევ ცეცხლზე და ვუიოთ, სანამ ყველი კარგად არ ჩაიზილება ღომში. ყველი 500(გრ); სიმინდის ფქვილი (1კილო).

ბრინჯისგან მომზადებული ღომი — 1(ჩ/ჭ) ბრინჯი გაგარჩიოთ, კარად გავრეცხოთ, დავასხათ 4-5 (ჩ/ჭ) წყალი, დავდგატ ნელ ცეცხლზე და ვხარშოტ, სანამ ბრინჯი კარგად არ ჩაიხარშება. შემდეგ ჩავყაროთ შიგ ცოტა სიმინდის ფქვილი, დავზილოთ და ნელ ცეცხლზე ვშუშოთ, სანამ ფქვილის სუნი არმოშორდება. ბრინჯი 1(ჩ/ჭ); წყალი (5ჩ/ჭ); სიმინდის ფქვილი გემოვნებით.

ღომის ღომი — ღომის მარცვლები გავაჩეროთ, რამდენჯერმე გავრეცხოთ, დავასხათ ზედ თბილი წყალი, დავადგატ ცეცხლზე, ადუღებისას მოყენებული ქაფი მოვხადოთ და ვხარშოთ. შემდეგ დავზილოთ მოგრძო მრგვალი ჯოხით (სუთით), დავაზუროთ ქვას სახურავი და ნელ ცეცხლზე მოვშუშოთ. ღომი როცა წყალს კარგად შეიშრობს და მარცვლები მოხარშული იქნება, ხელმეორედ დავზილოთ სუთი, დავასველოთ ჩოგანი წყლით და გადავიდოთ თითო-თითო თეფშზე. ღომის მარცვალი: 1(ჩ/ჭ); წყალი 3(ჩ/ჭ)

სიმინდის ფქვილით შეზელილი ღომი — 1(ჩ/ჭ) მარცვალი კარგად გავრეცხოტ, დავასხათ 4(ჩ/ჭ) წყალი, ავადულოთ და ქაფი მოვხადოთ. როცა ღომის კაგალი მოიხარშება, ჩავყაროთ შიგ გაცრილი სიმინდის ფქვილი ისე, რომ ღომი შესქელდეს. სუთით კარგად დავზილოთ, დავაზუროთ ქვას სახურავი და ნელ ცეცხლზე ვშუშოთ, სანამ სუნი არ მოშორდება. ღომის მარცვალი: 1(ჩ/ჭ) წყალი (4ჩ/ჭ); სიმინდის ფქვილი გემოვნებით.

სტატისტიკური ანალიზი: 7 (10%) პაციენტს ჩატარდა კომბინირებული ოპერაცია - სწორი ნაწლავის ქრონიკული ნახეთქი (5), გარეგანი ჰემოროიდული კვანძების ამოკვეთა (2). ტკივილის სინდრომი სამუალოდ შეადგენდა პირველ დღეს 4,6, მეორე დღეს 3,8, მასამე დღეს 2,8, მეოთხე დღეს 1,3 ბალს. ანალგეტიკების მიღების ხანგძლივობა - 3,42 დღე.

ოპერაციის შემდგომი გართულებები აღენიშნა 6 (8,6%) პაციენტს: გარეთა ჰემოროიდული კვანძების თრომბოზი - 3, მწვავე ნახეთქი - 2 და ლიგატურის ჩაჭრის შედეგად განუვითარდა სისხლ-დენა 1 პაციენტს. ყველა გართულების ლიკვიდაცია განხორციელდა კონსერვატიულად (იხ. ცხრილი2).

ცხრილი №2 პოსტოპერაციული გართულებების ხასიათი

გართულების ხასიათი	დეზარტერიზაცია, ლიფტინგი, მუკოპეკსია. n=70
ჰემორიდული კვანძების თრომბოზი	3 (4,28%)
მწვავე ნახეთქი	2 (2,86%)
სისხლდენა	1 (1,32%)

გართულების გარეშე მიმდინარე პაციენტების ამბულატორიული რეაბილიტაციის ხანგძლივობა შეადგენდა 4,38 დღეს.

60 პაციენტის მკურნალობის შედეგების შესწავლა მიმდინარეობდა 3 წლის განმავლობაში (იხ. ცხრილი3).

ცხრილი №3 ჩატარებული ოპერაციების სახეობა (n=60)

ჰემორიდული დაავადების სტადია და ჩატარებული ოპერაციის სახეობა	ოპერაციის რიცხვი		შედეგები	
	რაოდენ ობა	%	კარგი და დამაკმაყოფი- ლებელი	არადამაკმაყოფი- ლებელი
II სტადია 22 (36,7%)	დეზარტერიზაცია	9	15%	9
	დეზარტერიზაცია+ მუკოპეკსია და ლიფტინგი	13	21,7%	13
III სტადია 32 (53,3%)	დეზარტერიზაცია	11	18,3%	5
	დეზარტერიზაცია+ მუკოპეკსია და ლიფტინგი	21	35%	21
IV სტადია 6 (10%)	დეზარტერიზაცია	1	1,7%	1
	დეზარტერიზაცია+ მუკოპეკსია და ლიფტინგი	5	8,3%	5

მიღებული შედეგების ანალიზით დადგინდა: კარგი შედეგი აღენიშნებოდა 46 (76,7%) პაციენტს - პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა ყოველგვარი ჩივილების გარეშე; დამაკმაყოფილებელი შედეგი მიღებულ იქნა 8 პაციენტან მათ შორის 3 (5%) აღენიშნებოდა სისხლიანი გამონადენის იშვიათი ეპიზოდები, რომლებიც კუპირებული იქნენ კონსერვატიული მკურნალობით, ხოლო 5 (8,3%) პაციენტს აღნიშნებოდა გარეთა ჰემორიდული კვანძების ზომის პროგრესული ზრდის ტენდენცია, მათ ჩატარდათ გარეთა ჰემორიდული კვანძების ამოკვეთა; არადამაკმაყოფილებელი შედეგი - ჰემორიდული კვანძების მუდმივი გამოვარდნა აღენიშნებოდა 6 (10%) პაციენტს, გაუკეთდათ განმეორებითი ოპერაცია.

ცხრილი №4 მკურნალობის შორეული შედეგები (n=60)

მკურნალობის შედეგები	ჩივილების ხასიათი	დამატებითი მანიპულაციები	რაოდენ ობა	%
კარგი	არ აღინიშნება		46	76,7%
დამაკმაყოფილებელი	სისხლიანი გამონადენის იშვიათი ეპიზოდი	კონსერვატიული მკურნალობა	3	5%
დამაკმაყოფილებელი	გარეთა ჰემორიდული კვანძების გადიდება	გარეთა ჰემორიდული კვანძების ამოკვეთა (3)	5	8,3%
არადამაკმაყოფილებელი	ჰემორიდული კვანძების მუდმივი გამოვარდნა	ჰემორიდული კვანძების ლიგირება (2), მუკოპეკსია და ლიფტინგი(2)	6	10%

დასკვნა: ჰემორიდული დაავადების II-IV სტადიის ქირურგიულ მკურნალობაში შესაძლებალია წარმატებით გამოყენებულ იქნას ტრანსანალური დეზარტერიზაცია ულტრაბგერითი კონტოლით, ლორწოვანის ლიფტინგი და მუკოპექსია. აღნიშნული მეთოდი პაციენტების უმრავლესობაში მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. მის გამოყენებისათვის სწორი ნაწლავის თანმხლები ქრონიკული დაავადებების არსებობა უკუჩვენებას არ წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა სწორი ნაწლავის სხვა ქრონიკული პათოლოგიის სიმულტანური ოპერაციის ჩატარების საშუალებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოსტოპერაციული სტაციონარული მკურნალობის ვადის მინიმუმამდე (12-24 საათი), ხოლო ამბულატორიული რეაბილიტაციისა 4-5 დღემდე დაყვანა.

Transanal Hemorrhoidal Dearterialization under the ultrasound control, Mucosa Lifting and Mucopexy

O. Marshava, L. Kostava

Z. Tskhakaia Vest Georgia National Medical Center

Study (60 patients with hemorrhoids were involved in the study) results obtained during 3 years, show that Transanal Hemorrhoidal Dearterialization under the ultrasound control, Mucosa Lifting and Mucopexy is the choice of surgical treatment of hemorrhoids stage II-IV. The mentioned method was highly effective among the majority of the patients. Comorbidities of the rectum are not contraindicated that facilitates simultaneous surgical treatment. The most important thing is the shortening of postoperative period either necessity of hospitalisation (12-24h) or duration of outpatient rehabilitation (4-5 days).

ლიტერატურა:

1. Гончарук Р.А. и соавт. Лечение больных хронической геморроидальной болезнью III-IV стадии //Хирургия. 2013г. №5. С. 8-12.
2. Загрядский Е.А. Опыт амбулаторного лечения хронического геморроя методом шовного лигирования геморроидальных артерий под контролем ультразвуковой допплерометрии //Колопроктология. 2005г.№1 (11).С.20-26.
3. Загрядский Е.А., Горелов С.И. Геморроидэктомия и трансанальная допплер-контролируемая дезартеризация внутренних геморроидальных узлов в сочетании с мукопексией слизистой в лечении геморроя III-IV стадий// Колопроктология.2010.№2 (32). С 8-14.
4. Загрядский Е.А. Малоинвазивная хирургия геморроидальной болезни. М.: «ИПК «Дом книги», 2014. 232с.
5. Канаметов М Х. Шовное лигирование терминальных ветвей верхней прямокишечной артерии под контролем ультразвуковой допплерометрии в лечении геморроя. Автореф. диссертации канд. мед наук. -М.2003.
6. K. Morinaga, K. Hasuda, T. Ikeda A novel therapy for internal hemorrhoids: ligation of the hemorrhoidal artery with a newly devised instrument (Moricorn) in conjunction with a Doppler flowmeter Am. J. Gastroenterol., 90 (1995), pp. 610-613
7. H.Ö. Johansson, L. Pahlman, W. Graf Functional and structural abnormalities after Milligan hemorroideectomy: a comparison with healthy subjects Dis. Colon Rectum, 56 (7) (2013), pp. 903-908
8. P. Denoya, J. Tam, R. Bergamaschi Hemorrhoidal dearterialization with mucopexy versus Coloproctol., 18 (11) (2014), pp. 1081-1085
9. C. Ratto, A. Parella, E. Veronese, E. Cudazzo, E. D'Agostino, C. Pagano, E.Cavazzoni, L. Brugnano, F. Litta Doppler-guided transanal haemorrhoidal dearterialization for haemorrhoids: results from a multicentre trial Colorectal Dis., 17 (1) (2015), pp. O10-O19
10. F. Noguerales, R. Díaz, B. Salim, F. Piniella, A. Landaluce, A. Garcea, J.M. López-Pérez Tratamiento de la enfermedad hemorroidal mediante desarterialización y hemorroidopexia. Experiencia en varias unidades especializadas Cir. Esp., 93 (2015), pp. 236-240

გულ-სისხლძართვთა სისტემის ცვლილებები თირკმელების ქრონიკული უკმარისობის დროს

**ნ. ცინცაძე, ნ. კობალაძე
ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ლეტალობის მიზეზი თირკმლის ქრონიკული უკმარისობის (თქუ) დროს (მათ შორის დიალიზის, პერიტონიალური დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციისას) უკავშირდება ცვლილებებს გულ-სისხლძართვთა სისტემაში, რომელიც მეტად მრავალჯეროვანია და მაღალი სიხშირით ვლინდება. განსაკუთრებული მნიშვნელობის მათ შორის არის არტერიული ჰიპერტენზია, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია, გიდ, გულის უკმარისობა [1,2,3-4]. გულ-სისხლძართვთა სისტემაში ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს პროგრნოზე [5,6,7] და ზრდის უეცარი სიკვდილის რისკს [7]. თირკმლის უკმარისობის მქონე პაციენტებში კარდიალური მიზეზით ლეტალობა შეადგენს 40-50%, ხოლო ყოველწლიური სიკვდილიანობა უდრის 7-9,5%, რაც 20-ჯერ უფრო მაღალი ლეტალობის მაჩვენებელია, ვიდრე საერთო პოპულაციაში [8,1,9,10,11,3]. საერთო სიკვდილიანობის სტრუქტურაში თქუ ავადმყოფებში მიოკარდიუმის ინფარქტი შეადგენს 7-25%, უეცარი კარდიული სიკვდილი 12-27%, შეგუბებითი გულის უკმარისობა 37%, გულის ტამპონადა 3-8% [7,12,13]. ადაუდებელი ჰისპიტალიზაციის მიზეზების ერთი მესამედი თქუ ავადმყოფებში დაგავშირებულია გულ-სისხლძართვთა სისტემის გართულებებთან [1]. სიკვდილიანობა დიალიზზე მყოფ ავადმყოფებში ამ დარღვევების დროს შეადგენს 40-48% [14,15,16,17,18,19,20,21,22,23].

არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს გულ-სისხლძართვთა სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ დარღვევას თქუ დროს [24,25,7] ჯერ კიდევ თირკმლის უკმარისობის განვითარებამდე.

თირკმლის სხვადასხვა დაზიანებისას, ის მკაფიოდ აღემატება საერთო პოპულაციაში მის გავრცელებას და შეადგენს 34-85 % სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმის გლომერულონეფრიტის დროს, ხოლო დიაბეტური გლომერულოსკლეროზის შემთხვევაში 70-84 % [2,6,7]. თქუ განვითარება კიდევ უფრო ზრდის ჰიპერტენზიის სიხშირეს და შეადგენს 90 % დიალიზზე მყოფ ავადმყოფებში [7]. ჰიპერტენზიის პათოგენეზი მრავალკომპონენტიანია. Campes [27] მონაცემებით წამყვანი ფაქტორი ამ დროს ნატრიუმის და წყლის შეკავებაა, ასევე რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის და სიმპატიკური სისტემების აქტივაცია, თირკმლის ბარო და ხემიორეცეპტორების აპარატის რღვევა, გაზოკონსტრიკტორული და ვაზოდეპრესორული სისტემების ბალანსის დარღვევა, ცვლილებები ნატრიუმებული ჰეპტიდის სისტემაში, ცვლილებები თირეოიდულ და პარათირეოიდულ ფუნქციებში. გარკვეულ როლს ჰიპერტენზიის განვითარებაში თამაშობს გულის მოცულობითი გადატვირთვა არტერიო-ვენოზური შუნგის ან ფისტულის გამო. არტერიული ჰიპერტენზიის პროგნოსტიკული მნიშვნელობა თირკმლის დაავადებების და თირკმლის უკმარისობის დროს შეფასებულია განსხვავებულად [5,26]. არტერიული ჰიპერტენზიის ნეგატიური გავლენა თირკმლის უკმარისობის პროგნოზირებაზე მტკიცდება მასშტაბური გამოკვლევებით, რომლითაც გამოვლენილია პირდაპირი კავშირი ჰიპერტენზიასა და კრეატინინის რეციპროკულ დონეს შორის. ნაჩვენებია აგრეთვე განსხვავება ავადმყოფთა გადარჩენის კოეფიციენტებს შორის შენარჩუნებებით და შეუნარჩუნებებითი თირკმლის ფუნქციით, არტერიული ჰიპერტენზიის არსებობის და არარსებობის შემთხვევაში [24,6]. ჰიპერტენზიის საშუალო მაჩვენებლის 99 მმ/ჸგ შემთხვევაში 10 და 15 წლიანი გადარჩენამ შეადგინა 85-67% შესაბამისად, ხოლო უფრო მაღალი წნევის მაჩვენებლების დროს 65 და 43%.

ბევრი ავტორის მონაცემებში არ არის დაფიქსირებული კავშირი მაღალ არტერიულ ჰიპერტენზიას და არაკეთილსამედო პროგრნზე შორის. გამოთქმულია შეხედულება, რომ ნეფროპათიის სიმბიოგ განაპირობებს პროგრესირების სისწავეს, ჰიპერტენზიის ხარისხს და გამოხატულებას. არტერიული ჰიპერტენზია ამ შემთხვევაში განიხილება არა როგორც მიზეზი ან ტრიგლი ნეფროპათიის პროგრესირების დაჩქარების, არამედ, როგორც პათოფიზიოლოგიური შედეგი. Fouznier ხაზს უსვამს იმ გარე-

მოქაბას, რომ არტერიული ჰიპერტენზიის შეფასებას პროგნოსტიკული თვალსაზრისით თირკმლის უკმარისობის დროს ართულებს ის, რომ ბევრ პროსპექტულ და რეტროსპექტულ გამოკვლევებში პაციენტები აწ კონტროლისთვის იყენებენ სხვადასხვა ჰიპოტენზიურ პრეპარატებს, რომლის მონიტორინგიც არ ხორციელდება. თუკი კავშირი არტერიულ წნევას და თირკმლის ქრონიკულ უკმარისობის პროგრესირებას შორის ნამდვილად არსებობს, ეს არაპირდაპირი კავშირია ან უმნიშვნელო კორელაცია პროგრესირების გარკვეულ ეტაპზე.

მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია (მაპ) თირკმლის უკმარისობის დროს ძალიან ხშირად გვხვდება. იგი ხელს უწყობს მიოკარდის დისფუნქციას, გულის რიტმის და გამტარებლობის დარღვევას, იწვევს შეგუბებით გულის უკმარისობას, ამაღლებს ლეტალობის რისკს [12,27,28,29,30,31].

ფრემინგემის გამოკვლევების თანახმად საერთო პოპულაციაში მაპ შეადგენს 17-20%-ს. მონაცემები მაპ შესახებ თირკმლის უკმარისობის საწყის და ტერმინალურ ეტაპზე მცირებილიცხოვანი და ურთიერთგამომრიცხვაი [32,33]. ასე მაგ., Levin და თანავგ. [31,34] მონაცემებით მაპ პრედიალიზურ პერიოდში თირკმლის უკმარისობის დროს შეადგენდა 38,9%. სხვა ავტორების მონაცემებით მაპ სიხშირე მერყეობს 25%-დან 50%-მდე თირკმლის უკმარისობის ხარისხის მიხედვით [12,35,36]. ამასთანავე გამოვლენილი იყო კავშირი ფილტრაციის სიჩქარის დაჭვეითებასა და მაპ შორის. ფილტრაციის მაჩვენებლის 50 მლ/წთ შემთხვევაში ის რეგისტრირდებოდა ავადმყოფების 25%-ში, 49-25 მლ/წთ-ის დროს პაციენტთა 31%-ში, ხოლო 25 მლ/წთ ვარიანტში 45%-ში [31]. ამრიგად მაპ თქუ დროს აღმოცენდება ჯერ კიდევ დიალიზამდელ სტადიაში და სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით მერყეობს 74%-დან 87%-მდე [12,13].

კანადელი მეცნიერების სპეციალური ექოკარდიოგრაფიული გამოკვლევით 246 ავადმყოფიდან, რომელთა ფილტრაცია შეადგენდა 75-დან 25 მლ/წთ-მდე, გამოვლინდა, რომ 12 თვის განმავლობაში ავადმყოფთა 1/4-ს მარცხენა პარკუჭის მიოკარდიუმის მასის ინდექსი გაუზარდა 20% [34]. მიუხედავად იმისა, რომ თირკმლის ტერმინალურ სტადიაში მაპ სიხშირე კარგად არის შესწავლილი [2,37,38] სხვადასხვა ავტორთა მონაცემებში მისი მაჩვენებლები განსხვავებულია 50%-დან [32,39] 70-95%-მდე [40,41]. ეს მონაცემები დასტურდება აუტოფსიის მონაცემებით, სადაც მაპ ყველაზე ხშირი აღმოჩენაა თქუ დროს და შეადგენს 74-86%-ს [42,43,44,45,46,47]. ხანგრძლივი დიალიზი ასოცირებს პროგრესირებად მაპ. ხაჩვენებია, რომ ავადმყოფებს, რომლებსაც აღნიშნებათ ნორმალური ექოკარდიოგრაფიული მონაცემები დიალიზის დაწყებისას, რამოდენიმე თვეში აღენიშნებათ მაპ [48]. მიოკარდის დაზიანების მიზეზები ჰქმოდიალიზის დროს ინტენსიურად შეისწავლება. გამოვლენილია, რომ თქუ დროს მატულობს მიოკარდის უჯრედ-შორისი ნივთიერება. ეს პროცესი არტერიულ ჰიპერტენზიასთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ უშუალოდ უკავშირდება ჰქმოდიალიზით მკურნალობის ხამგრძლივობას [49,50]. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ მაპ პროგრესირება დიალიზზე მყოფ აგადმყოფებში უკავშირდება მაღალ ასაკობრივ ჯგუფებს ან იმ შემთხვევებს, როდესაც მარცხენა პარკუჭის კუმულაციური ფუნქცია დაქვეითებული იყო ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყებამდე [51,52]. ამასთანავე ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს აზრს, რომ დიალიზის პროცედურა გავლენას ახდენს მაპ აღმოცენებაზე, თუმცა აღიარებენ, რომ ჰქმოდიალიზი იწვევს დიასტოლური ფუნქცია და მიოკარდის დისფუნქციის პროგრესირებას დაზიანებით ხანგრძლივად. ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ მაპ და მიოკარდის დისფუნქციის პროგრესირებას დიალიზის დროს, განეცემობა: არტერიული წნევის არასაკმარისი კონტროლი, მოცულობითი გადატვირთვა, ანემია, ჰიპერპარათორეზი, კვების დარღვევა და სხვა [53,54,55,13,56,57,58,33,59].

მონეცემები მაპ გეომეტრიული მოდელის შესახებ თირკმლის უკმარისობის დროს უერთერთგამომრიცხვაი, თუმცა მთელ რიგ ნაშრომებში აღნიშნულია ექსცენტრული ჰიპერტროფიის სიჭარებები (63%) [31,60]. სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ კონცენტრული ჰიპერტროფიის შემთხვევები მეტი (40-63%), კიდევ ექსცენტრული (20-30%) [35,46,61,47,62,63,64].

კონცენტრული ჰიპერტროფიის განვითარება ძირითადად უკავშირდება ქრონიკული წნევით გადატვირთვას, ათეროსკლეროზს, ზოგჯერ აორტულ სტენოზს (პოსტდატვირთვის გაზრდა) [46,61]. კონცენტრული ჰიპერტროფიის დროს იზრდება მიოკარდიო-

ციტების სისქე მიუხედავად უმნიშვნელო მარცხენა პარკუჭის მოცულობის ცვლილებისა. მარცხენა პარკუჭის მოცულობითი გადატვირთვის დროს, რომელიც შედეგია ნატრიუმის და წყლის სიჭარბის, ანემის და არტერიო-ვენოზური ფისტულის (პრედატვირთვის გაზრდა) აღმოცენდება ექსცენტრული ჰიპერტროფია მიოკარდების სიგრძის და მარცხენა პარკუჭის მოცულობის გაზრდით [47,62,63,64,65]. მაკ სხვადასხვანაირი გეომეტრიული მოდელი დამოკიდებულია ჰემოდინამიკური და მეტაბოლური ცვლილებების თავისებურებებზე თქუ პროგრესირების დროს, ასევე კონკრეტულ ავადმყოფთან თერაპიის სახეზე [46]. მაკ მჯიდროდ უკავშირდება აგრეთვე მიოკარდის იშემიას, რომელიც (სისშირე 27%) ვითარდევა თქუ დროს, განსხვავებით გიდ დროს აღმოცენებულ იშემიასთან, ის გამოწვეულია არა კორონარების ათეროსკლეროზით, არამედ კორონარული რეზერვის შემცირებით, რომელიც განპირობებულია კაპილარების სიმჭიდროვის რაოდენობის შემცირებით მიოკარდიუმის ზედაპირის ერთეულზე. ეს უკანასკნელი თავის მხრივ უკავშირდება იმას, რომ მაკ თქუ დროს ხასიათდება მიოკარდების ზომების გაზრდით მისი რაოდენობის შემცირების პირობებში, ასევე ინტერსტიციის მოცულობის გაფართოებით და დიფუზური ინტერსტიციული ფიბროზის განვითარებით.

გიდ კორონარული არტერიების ათეროსკლეროზული დაზიანება თქუ დროს გვხვდება გიდ სხვადასხვა ფორმით და წარმოადგენს ხშირ და პროგნოსტიკულად მნიშვნელოვან დაავადებას [27,66,41,67]. გიდ იყავებს მნიშვნელოვან ადგილს თქუ სიკვდილიანობის სტრუქტურაში და შეადგენს 7-25% საერთო სიკვდილიანობაში, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე საერთო პოპულაციაში [7]. მნიშვნელოვანი ინტერვეს წარმოადგენს გიდ სისშირის გეოგრაფიული ვარიაბილობა თქუ დროს. სამხრეთ ევროპულ ქვეყნებში ის გვხვდება იშვიათად, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპაში. ეს ეხება როგორც საერთო პოპულაციას, ისე დიალიზზე მყოფ პირებს [3]. ნაციონალური რეგისტრების თანახმად გიდ საერთო პოპულაციაში გვხვდება 5-12%, ხოლო თირკმლის უკმარისობის ბოლო სტადიაში დიალიზის დაწყებამდე პაციენტებში უდრის 41-55% აშშ მონაცემები, 36% ავსტრალიაში და ასალ ზელანდიაში და 28% კანადაში.

ყოველწლიური ლებალობა გიდ მისებით დიალიზზე მყოფ მამაკაცებში მატულობს 55-64წწ. ასაკში და იტალიაში შეადგენს 1000-ზე 14 შემთხვევას, დიდ ბრიტანეთში 32 შემთხვევას 1000-ზე. ქალებში ეს მაჩვენებელი უდრის 9 და 34 შესაბამისად [8,38,68,9,11].

ნაჩვენებია, რომ de novo გიდ შემთხვევები დიალიზზე მყოფ ავადმყოფებში, ე.ი. მაშინ, როცა დაავადების სიმპტომები დიალიზის დაწყებამდე არ არის, აღწევს 12%-ს 41 თვის განმავლობაში, რაც ნიშნავს ამ პათოლოგიის მატებას ყოველწლიურად 3,6%-ით [69,36,70,71]. თვალსაზრისი ხანგრძლივი დიალიზის კაგშირისა ათეროსკლეროზის სწრაფ განვითარებასთან პირველად გამოითქვა 1974 წ. [72]. შემდგომში ეს პიპოთება დადასტურდა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით [73,74,75,76,77].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ათეროსკლეროზული პროცესი შეიძლება წინ უსწრებდეს ტერმინალურ თირკმლის უკმარისობას და გამომჟღვნდეს კლინიკურად დიალიზით თერაპიის პროცესში [36,4]. ნაჩვენებია, რომ გიდ სისშირე დიალიზზე მყოფ ავადმყოფებში მერყეობს 11-დან 46%-მდე [78,79,75,80,81].

დიალიზის ცენტრის ხანგრძლივი გამოკვლევებით 822 ავადმყოფიდან 11 დიალიზის ცენტრში დადგენილია, რომ სტენოკარდიის სისშირე იყო 21%, მიოკარდიუმის ინფარქტი 18%, პერიფერიული სისხლძარღვოვანი დაავადება 16% [82]. ორონაროგრაფიით დაავადება გამოვლენილი იქნა 30% ავადმყოფში. სტენოკარდიის დროს კორონარული არტერიების დაზიანებამ შეადგინა 73%. კორონარული ათეროსკლეროზის შედეგად აღმოცენებულ მიოკარდიუმის იშემიას აღრმავაებს ზემოთ აღწერილი ჰიპერტონია, მაკ შედეგად კარდიომიოციტების ბიოენერგეტიკის დარღვევა, ანემია, კალციუმის დეპოზიტები მიოკარდში და კორონარული არტერიების კედლებში, ალუმინის დაგროვება მიოკარდში, აორტო-ვენოზური შემცირება [54,35,82,83,82]. სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს ტერმინალური თირკმლის უკმარისობის დროს, რომელიც გართულებულია გიდ, წარმოადგენს უეცარი სიკვდილი და მიოკარდიუმის ინფარქტის სარწმუნოება ამ ავადმყოფებში შეადგენს 8%. მიოკარდიუმის ინფარქტი მნიშვნელოვნად აუარესებს პროგრნოზს. სიკვდილიანობის ალბათობა ინფარქტის შედეგ მატულობს [84,36,85,86,87]. ხანგრძლივი დაკვირვებით დადგენილია, რომ 34 189 დიალიზზე მყოფი ავადმყოფიდან

გადარჩენის მაჩვენებელი ერთი წლის შემდეგ არის 41%, ორი წლის შემდეგ 27%, სამი წლის შემდეგ მხოლოდ 10%, სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლი 1,16 წ [36].

გულის შეგუბებით უკმარისობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კარდიოგასტულარულ გართულებებში თქუ დროს. დაღგენილია, რომ მა სისტოლური ფუქნციის დარღვევა აღენიშნება 20-დან 65%-მდე [88,89,90]. რიგი ავტორებისა აღნიშნავს, რომ სისტოლური ფუქნციის დარღვევა გამოვლენილია დიალიზის დაწყებამდე, ხოლო შემდეგ დიალიზის პროცესში მატულობს [46,90]. ზოგიერთი ავტორის აზრით მა სისტოლური ფუქნცია ზიანდება ნაკლებად, ვიდრე დიასტოლური, რომელიც გამოვლენილია 50-68%-ში [89]. სხვები აღნიშნავენ მიოკარდიუმის საერთო დისფუნქციას [41,91]. სისტოლური დისფუნქცია პროგრნოზს მნიშვნელოვნად აუარესებს. აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევებში, როცა ის დაფიქსირებულია დიალიზის დაწყებამდე, ავადმყოფის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 38 თვეს [52]. ამ დროს კარდიული სიკვდილის მიზებს წარმოადგენს მიოკარდიუმის დისფუნქცია [52,71]. თქუ დროს მიოკარდიუმის, პერიკარდიუმის, ენდოკარდის დაზიანება განპირობებულია ურემით, არტერიული ჰიპერტენზიით, კორონარული ათეროსკლეროზით, წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევით, ანემიით, დიეტის დარღვევით და სხვა ფაქტორებით, რომლებიც იწვევენ გულის შეგუბებით უკმარისობას [28,89,92,41,67]. მულტიცენტრული გამოკვლევებით მისი სიხშირე საერთო პოპულაციაში შეადგენს 5%, პრედიალიზურ სტადიაში 10-12%, ხოლო დიალიზით მცურნალობის პროცესში იზრდება 40-50%-მდე, ამასთანავე სიკვდილიანობის საერთო მიზეზთა შორის დიალიზზე მყოფ პაციენტებში აღწევს 37%-ს [78,14,93,81].

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა 1983-1991 წწ. აჩვენა, რომ გქუ თქუ აღინიშნება 31%-ში [89,84,71,52]. ნაჩვენებია, რომ კონცენტრული მჰკ, დილატაცია და სისტოლური დისფუნქცია დიალიზის დაწყებამდე სამჯერ ზრდის გულის შეგუბებითი უკმარისობის განვითარების რისკს, ასაკის, დიამეტრის, გიდ მიუხედავად და შესაბამისად გადარჩენის შანსს ამცირებს [12,71]. ინტერესს წარმოადგენს მონაცემები, რომლის მიხედვით გქუ პროგრამული დიალიზით მკურნალობის პროცესში ავადმყოფთა 14%-ში კომპენსირდა, როცა დიალიზამდე გამოხატული იყო და შემდგომში რეციდივი შემჩნეული არ იყო. 17% ავადმყოფებში ჰქონდა მორეციდივე ხასიათი, ხოლო 17%-ში განვითარდა de novo. ავადმყოფთა ნახევარში გქუ არც დიალიზამდე და არც მის შემდეგ 41 თვის მანძილზე არ აღინიშნებოდა [84,71,52].

სხვა ავტორების მონაცემებით [89,81] გქუ-ის გავრცელება ტერმინალური თქუ დროს, მკურნალობის დაწყებამდე შეადგენს 31%, ხოლო დიალიზით მკურნალობის პროცესში უვითარდება დამატებით 25%-ს. ფიქრობენ, რომ გქუ განვითარების სისტრაფე შეადგენს 7,6% წელიწადში [89,84,9,81]. დადასტურებულია აგრეთვე, რომ ორჯერ უფრო ხშირად ის ვითარდება შაქრიანი დიაბეტის დროს [94,81]. გქუ განვითარება უარყოფით გავლენას ახდენს თქუ ავადმყოფებზე [89,84,91]. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამ ავადმყოფებში, რომლებსაც გქუ აღენიშნებათ, შეადგენს 36 თვეს და არ არის დამოკიდებული ავადმყოფის ასაკზე, შაქრიან დიაბეტზე, გიდ. სიკვდილიანობის რისკი გქუ დროს დიალიზის დაწყებამდე იზრდება 93%-მდე. ფილტვების შეშუალების განვითარების ალბათობა შეადგენს 10% წელიწადში [69,84,71]. ავადმყოფებს გქუ გარეშე პროგრნოზი უკეთესი აქვთ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამ შემთხვევაში შეადგენდა 45 თვეს, მაგრამ გქუ გარეშე ის იყო კიდევ უფრო მეტი და აღწევდა 62 თვეს [89,84,81,68].

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ კარდიო-გასეულარული მიზეზით მაღალი ლეტალობა თქუ დროს იწვევს დიდ ინტერესს. ბოლო წლებია მრავალ ქვეყანაში ტარდება მულტიცენტრული ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები კარდიო-გასეულარული ცვლილებების შესასწავლად. თქუ დროს რისკ-ფაქტორების გარდა შეისწავლება პროგრნოზი, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, აგრეთვე აღნიშნული გართულებების პროფილაქტიკა. მიღებული მონაცემები იმედია შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი და ხანგრძლივობა თქუ ტერმინალური სტადიის მქონე ავადმყოფებში.

დასკვნა: კარდიო-გასეულარული მიზეზით მაღალი ლეტალობა თქუ დროს იწვევს დიდ ინტერესს. ყველაზე გაბრცელებული ცვლილებები ამ დროს არის: არტერიული

პიპერტენზია, მარცხენა პარკუჭის პიპერტოფია, გიდ, გულის უძმარისობა. გარდა რისკ-ფაქტორებისა საჭიროა დეტალურად იქნას შესწავლილი კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მიღებული მონაცემები შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს ცხოვრების ხარისხი და ხანგრძლივობა თქე მქონე ავადმყოფებში.

Cardiovascular System Changes During Renal Chronic Failure

*N. Tsintsadze ,N.Kobaladze
Batumi Shota Rustaveli State University*

High letality because of cardio-vascular failure creates high interest. In the patients with renal failure the most spread changes are: arterial hypertension, left ventricular hypertrophy, IHD, heart failure. Apart from the risk-factors, it is necessary to study in details the clinical dynamic, diagnostics and treatment. The results got give possibility to improve the life style and duration among patients having chronic renal failure.

ლიტერატურა:

1. Levey AS, Beto JA, Coronado B.E. et al. Controlling the epidemic of cardiovascular disease in chronic renal disease: What do we know? What do we need to learn? Where do we go from here? Am J Kidney Dis 1998; 32:853-906.
2. Parfrey P.S., Foley R.N. The clinic epidemiology of cardiac disease in chronic renal failure. J Amer Soc Nephrol 1997; 10:1-18.
3. Raine A.E.G., Margreiter R., et al. Report on management of renal failure in Europe, XX 11, 1991 Nephrol Dial Transplant 1992; 7 (Suppl 2):7-35.
4. Ritz E., Deppisch R., Stier E., Hansch G. Atherogenesis and cardiac death: are they related to dialysis procedure and biocompatibility? Nephrol Dial Transplant 1994, 9 (Suppl 2): 165-172.
5. Тарееба И.Е. Тер. арх – 1996, N 6, с. 5-10.
6. Шулутко Б. И. Врач. дело – 1990, N 6, с. 21-24.
7. Brown J. H., Hunt L. P., Vites N.P. et al. Nephrol Dial Transplant 1994;9 p. 1136-1142.
8. Disney A.P. Demography and survival of patients on receiving treatment for chronic renal failure in Australia and New Zealand: Report of dialysis and renal transplantation treatment from the Australia and New Zealand dialysis and transplant registry. Am. J. Kidney Dis. 25:1995, 165-175.
9. National Kidney Foundation Task Force on cardio-vascular disease: controlling the epidemic of cardiovascular disease in chronic renal disease. Am. J. Kidney Dis 1998; 32 (Suppl 3):1-199.
10. Odaba M. Mortality in chronic dialysis patients in Japan. Am. J Kidney Dis 1990; 15:410-413.
11. Foley R.N., Parfrey P.S., Harnett J.D. et al. Clinical and echocardiographic disease in end-stage renal disease: prevalence, associations and prognosis. Kidney Int 1995; 47:186-192.
12. Foley R.N., Parfrey H.S., Harnett J.D. et al. Impact of hypertension on cardiomyopathy, morbidity and mortality in end stage renal disease. Kidney Int 1996; 49:1379-1385.
13. Barret B.J., Parfrey P.S., Morgan J. et al. Prediction of early death in end stage renal disease patients receiving dialysis. Am. J. Kidney Dis. 1997; 29: 214-222.
14. Bommer J. Medical complications of the long-term dialysis patients. In: Cameron S., Davison A.M., Grunfeld J. P., Kerr D., Ritz E. (eds) Oxford University 1992; 1436-1458.
15. Bronn J.H., Hunt L.P., Vites N.P. et al. Comparative mortality from cardiovascular disease in patients with chronic renal failure. Nephrol Dial Transplant 1994; 9:1136-1142.
16. Collins A., Va. J., Umen A. Urea index and other predictors of hemodialysis patient survival. Am. J. Kidney Dis 1994; 23:272-282.
17. Gentil M.A., Carriazo A., Pavon M.J. et al. Comparison of survival in continuous ambulatory peritoneal dialysis and hospital hemodialysis. A multicentric study. Nephrol Dial Transplant 1991; 6:444-451.
18. Held P.J., Levin N.W., Panly M.V., Diamond L.H. Mortality and duration of hemodialysis treatment JAMA 1991; 265:871-875.
19. Kikert D., Mitch W. The heart Ed. R. C. Schlant. – New York 1994; 1961-1970.

20. Klabr S., Levey A.C., Beck G.J. et al. The effects of dietary protein restriction and blood pressure control on the progression of chronic renal disease. Modification of diet in renal disease study group. *New Engl. J. Med.* 1994; 330:877-884.
21. Maiorca R., Vonesh E.F., Cavalli P.L. et al. A multicenter selection adjusted comparison of patient and technique survival on CAPD and hemodialysis. *Perit Dial Int* 1991; 11:118-127.
22. Prevention of coronary heart disease in clinical practice: recommendation of the task force of the European Society of Cardiology, European Atherosclerosis Society and European Society of Hypertension. *Eur. Heart J.* 1994; 15:1300-1331.
23. Абброва Э.Р., Косорукова Н.Н. Тер. арх. 1996-№6 – с. 77-82.
24. Рябова С.И., Котовой Ю.О. Артериальные гипертонии Под ред. Б.И. Шулутко. – Л., 1988- с. 106-112.
25. Campese V.M. *Nephrol Dial Transplant* – 1994 – Vol. 9 N2 – p. 741-742.
26. Fearnadez J.N., Carbonell M.E., Mazzucchi N., Petruccelli D. Simultaneous analysis of morbidity and mortality factors in chronic hemodialysis patients. *Kidney Int* 1992; 41:1029-1034.
27. Harnett J.D., Parfrey P.S. The management of congestive heart failure in uremia patients. Cardiac dysfunction in chronic uremia. Eds. P.S. Parfrey J.D. Harnett Norwell 1992; 14:221-229.
28. Harnett J.D., Kent G.M., Barre P.E. et al. Risk factors for the development of left ventricular hypertrophy in a prospectively followed cohort of dialysis patients. *J. Am Soc Nephrol* 1994; 4:1486-1490.
29. Lagagb G. Cardiac pathophysiology and its heterogeneity in patients with established hypertensive disease. *Am. J. Med.* 1988; 84:3-11.
30. Levin A., Singer J., Tbompson C.R., Lewis M. Prevalent left ventricular hypertrophy in the predialysis population: Identifying opportunities for intervention. *Am. J. Kidney Dis.* 1996; 27:347-354.
31. Greaves S.C., Gamble G.D., Collins J.E. et al. Determinants of left ventricular hypertrophy and systolic dysfunction in chronic renal failure. *Am. J. Kidney Dis.* 1994; 24(5):768-776.
32. London G.M., Fabiani F., Marcabais S.J. et al. Uremic cardiomyopathy: An inadequate left ventricular hypertrophy. *Kidney Int* 1987; 31:973-980.
33. Levin A., Tbompson C.R., Etbier J. et al. Left ventricular mass increase in early renal disease: Impact of decline in hemoglobin. *Am. J. Kidney Dis* 1999, in press.
34. Ha S.K., Park H.S., Kim S.U. et al. Prevalence and patterns of left ventricular hypertrophy in patients with predialysis chronic renal failure. *J. Koreah Med. Sci* 1998;13(5), 488-494.
35. Herzog C.A., Ma J.Z., Collins A.J. Poor long-term survival after acute myocardial infarction among patients on long-term dialysis. *N. Engl Med* 1998; 339:799-805.
36. De Lima J.J.G., Abensur H., Krieger E.M., Pileggi F. Arterial blood pressure and left ventricular hypertrophy in hemodialysis patients. *J. Hypertens.* 1996; 14:1019-1024.
37. Foley R.N., Parfrey P.S. Cardiac function and cardiac disease in renal failure. Primer on kidney disease. Ed. A. Greenberg. Academic Press, 1998; 455-459.
38. Portoles J., Torralbo A., Martin P. et al. Cardiovascular effects of recombinant human erythropoietin in predialysis patients. *Am. J. Kidney Dis* 1997; 29:541-548.
39. London G.M., Guerin A.P., Marcabais S.J. Cardiac and arterial interactions in end-stage renal disease. *Kidney Int* 1996; 50:600-608.
40. Parfrey P.S., Harnett J.D., Griffits S.M. et al. The clinical course of left ventricular hypertrophy in dialysis patients. *Nephrol* 1990; 55:114-120.
41. Bullock R.E., Haissein A.A., Simpson I., Ward M. K. Cardiac abnormalities and exercise tolerance in patients receiving renal replacement therapy. *BMJ* 1984; 28:1479-1484.
42. Devereux R.B., Alonso D.R., Lutas E.M. et al. Echocardiographic assessment of left ventricular hypertrophy: Comparison to necropsy findings. *Am J Kidney Dis* 18, 1991; Suppl 2:1-127.
43. Devereux R.B., Koren M.J., Simone G. et al. Application to hypertensive heart disease. *Eur Heart J.* 14, 1993; Suppl. D: 8-15.
44. Hucbins G.M. Cardiac pathology in chronic renal failure cardiac dysfunction in chronic uremia. Eds PS Parfrey, JD Harnett Norwell 1992; 6:86-104.
45. London G.M., Fabiani F. Left ventricular dysfunction in endstage renal disease: Echocardiographic insights. In: *Cardiac Dysfunction in Chronic Uremia*, edited by Parfrey PS, Harnett JD, Boston, Kluwer, 1992; Chapt 8; 117-138.
46. London G.M., Pannier B. et all. Cardiac hypertrophy, aortic compliance, peripheral resistance, and wave reflection in end-stage renal disease: Comparative effects of ACE inhibition and calcium channel blockade. *Circulation* 1994; 90:2786-2796.
47. Foley R.N., Parfrey P.S., Kent G.M. et al. Long term evolution of cardiomyopathy in dialysis patients. *Kidney Int* 1998; 54:1720-1725.
48. Mall G., Rambausek M., Neumeister A. et al. Myocardial interstitial fibrosis in experimental uremia – implication for cardiac compliance. *Kidney Int* 1988; 33:804-811.
49. Mall G., Hutter W., Scbneider J. et al. Diffuse intercardiomyocytic fibrosis in uremic patients. *Nephrol Dial Transplant* 1990; 5:39-44.

50. Palmer B.F., Herricb W.L. The effect of dialysis of left ventricular contractility. Cardiac dysfunction in chronic uremia. Eds. PS Parfrey, JD Harnett Norwell, 1992; Chart 11; 172-185.
51. Parfrey P.S., Foley R.N., Harret J.D. et al. The outcome and risk factors for left ventricular disorders in chronic uremia. *Nephrol Dial Transplant* 1996; 11:1277-1285.
52. Amann K., Rits E. Cardiac structure and function in renal disease. *Curr Opin Nephrol Hypertens* 1996; 5:102-106.
53. Amann K., Scwarz U., Torning J. et al. Some cardiac abnormalities in renal failure. In: Crunfeld J.P., Bach J.F., Kreis H. (Eds). *Actualités néphrologiques Jean Hamburger*. Hospital Necker 1997. Medicine-Sciences Flammarion, Paris, 1997; 1-15.
54. De Lima J.J.G., Abensur H., Bermardez-Silva H. et al. Role of arterial hypertension in left ventricular hypertrophy in hemodialysis patients an echocardiographic study. *Cardiology* 1992; 80:161-167.
55. Foley R.N. Parfrey P.S. et al. A randomized controlled trial of complete vs partial correction of anemia in hemodialysis patients with asymptomatic concentric LV hypertrophy or LV dilatation (Abstract) *J. Am Soc Nephrol* 1998, 9:208A.
56. Iseki K., Kawazoe N., et al. Serum albumin in a strong predictor of death in chronic dialysis patients. *Kidney Int* 1993; 44:1145-119.
57. Lamere N. Cardiovascular risk factors and blood pressure control in continuous ambulatory peritoneal dialysis. *Perit Dial Int* 1993; 13(Suppl 2):394-395.
58. Sadler D.B., Brown J., et al. Impact of hemodialysis on left and right ventricular Doppler diastolic filling indices. *Am J. Med Sci* 1992; 304:83-90.
59. Straumann E., Bertet O., et al. Symmetric and asymmetric left ventricular hypertrophy in patients with end-stage renal failure on long-term hemodialysis. *Clin cardiol* 1998; 21(9):672-678.
60. Tburaisingbam R.C., Tucker B., et al. Left ventricular hypertrophy in early renal failure. *Nephrol Dial Transplant* 1994; 7:859-860.
61. Cow I., Grutzmacber P., et al. Echocardiographic findings in patients on maintenance hemodialysis substituted with recombinant human erythropoietin. *Clin Nephrol* 1989; 31:26-30.
62. Sbarpe N., Cardiac remodelling in congestive heart failure. Congestive heart failure. Pathophysiology, diagnosis and comprehensive approach to management. New York – Budapest 1994; 6:83-94.
63. Silberberg J.S., et al. Role of anemia in the pathogenesis of LVH in ESRD. *Am. J. Cardiol* 1989, 64, 222-224.
64. Huwez F.U., Pringle S.D., Macfarlane P.W. A new classification of left ventricular geometry in patients with cardiac disease based on M-mode echocardiography. *Am J Cardiol* 1992; 70:681-688.
65. Zubbecke F., Mattbias F.R., et al. Coronary risk factors in chronic hemodialysis patients. *Med Klin* 1996; 91(11):687-693.
66. Parfrey P.S., Harnett J.D. et al. Heart failure and ischemic heart disease in chronic uremia. *Curr Opin Nephrol Hypertens* 1995; 4:105-110.
67. Murpy S., Foley R.N. et al. Comparative mortality of hemodialysis and peritoneal dialysis in Canada. *J Am Soc Nephrol* 1998; 9:237A.
68. Cburchill D.N., Taylor D.W. et al. Canadian hemodialysis morbidity study. *Am J Kidney Dis* 1992; 19:214-234.
69. Kong T.Q., et al. Features of acute myocardial infarction in patients on chronic hemodialysis. *Circulation* 1993; 88(Suppl. 1):1-49.
70. Parfrey P.S. Foley R.N. et al. Outcome and risk factors of ischemic heart disease in chronic uremia. *Kidney Int* 1996; 49:1428-1434.
71. Zinder A., Cbara B. et al. Accelerated atherosclerosis in prolonged maintenance hemodialysis. *New Eng J Med* 1974; 290:697-701.
72. Bonomini V., Feletti G., et al. Atherosclerosis in uremia: a longitudinal study. *Am J Clin Nutr* 1980; 33:1493-1500.
73. Burke J.F., Francos G.C., et al. Accelerated atherosclerosis in chronic-dialysis patients – another look. *Nephron* 1976, 21:181-185.
74. Ibels L.S. et al. Occlusive arterial disease in uraemic and haemodialysis patients and renal transplant recipients *Q J Med* 1977 46:197-214.
75. Napoli C., Di-CGregorio F. et al. Hight prevalence of myocardial ischemia and vasoconstrictive hormonal release in hypertension during chronic renal failure. *Nephron* 1977; 76(4) 434-444.
76. Nicbolls A.J., Catto G.R.D., et al. Accelerated atherosclerosis in long-term dialysis and renal transplant patients. Fact or fiction? *Lancet* 1980; 1:276-276.
77. Agodoa L.Y., Eggers P.W. Renal replacement therapy in the United State: data from the United States renal data system. *Amer J Kidney Dis* 1995; 29:119-133.
78. Canadian Organ Replacement Register 1993 Annual report. Don Mills Ontario, Canada, Canadian Institute for Health Information, 1995; 113.
79. Kasiske B.L., Guijarro C., Massy Z.A. Cardiovascular disease after renal transplantation. *J. Am Sic Nephrol* 1996; 7:158-165.

80. Teraoka S., Toma H., et al. Current status of renal replacement therapy in Japan. *Amer J Kidney Dis* 1995; 25:151-164.
81. London G., Parfrey P.S. Cardiac disease in chronic uremia: Pathogenesis *Adv Renal Replace Ther* 1997; 4:194-211.
82. Gonsorick I., et al. Pharmacotherapy of silent myocardial ischemia in patients on hemodialysis. *Vnitr Lek* 1996; 42(12):837-841.
83. Harnett J.D. Foley R.N. et al. Congestive heart failure in dialysis patients: prevalence, incidence, prognosis, and risk factors. *Kidney Int* 1996; 49:1428-1434.
84. Keane W.F., Collins A.J. Influence of co-morbidity on mortality and morbidity in patients treated with hemodialysis. *Am. J. Kidney Dis* 1994; 24:1010-1018.
85. Kong T.Q., Dacanay S., et al. Features of acute myocardial infarction in patients on chronic hemodialysis. *Circulation* 1993, 88(Suppl 1):1-49.
86. Rubin T.A., Tbielen K.A. et al. Acute myocardial infarction in chronic dialysis patients. *J. Am Coll Cardiol* 1996; 27:67A (abstract).
87. Takeda K., Nakamoto M., et al. Echocardiographic evaluation in long-term continuous ambulatory peritoneal dialysis compared with the hemodialysis patients. *Clin Nephrol* 1998; 49:308-312.
88. Harnett J.D., Foley R.N. et al. Congestive heart failure in dialysis patients: prevalence, incidence, prognosis and risk factors. *Kidney Int* 1995; 47:884-890.
89. Palmer B.F., Herricb W.L. The effect of dialysis of left ventricular contractility. Cardiac dysfunction in chronic uremia. Eds. PS Parfrey, JD Harnett. Norwell, 1992; Chart 11; 172-185.
90. Parfrey P.S., Harnett J.D. et al. Congestive heart failure in dialysis patients. *Arch Intern Med* 1988; 148:1519-1525.
91. Huting J. Cardiac problems in end-stage renal disease: left ventricular structure and function. *Primary cardiol* 1991; 17:42-56.
92. Levey A.S., Eknayan G. Cardiovascular disease in chronic renal disease. *Nephrol Dial Transplant* 1999; 14:828-833.
93. Foley R.N., Culleton B.F., et al. Cardiac disease in diabetic end-stage renal disease. *Diabetologia* 1997; 40:1307-1312.

განცხადება

შემდგომ ნომერში უურნალს ექნება შესაძლებლობა გამოაქვეყნოს პროფესიონალთა მოსაზრებები და დაინტერესებულ პირთა საქმიანი წინადადებები უურნალში გამოქვებულ სტატიებზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ქართველ მკითხველთათვის უურნალი ფართოდ გააშუქებს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ საინტერესო სამეცნიერო ნაშრომებს, მათ შორის გიდ და ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, ვირუსული პეპატიტებისა და მიოკარდიტების, ენდოკრინული და ცერებრული პათოლოგიების, კარდიომიოპათიების, გულის უკმარისობის სინდრომის დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მედიკამენტოზური და ინტერვენციული ოერაპიის, პროგნოზირებისა და ქირურგიული მკურნალობის თანამედროვე მიღწევებსა და პრობლემურ საკითხებს.

მაღალი კვლიფიკაციის პროფესიონალთათვის და თემატიკის დაინტერესებულ პირთათვის უურნალი მოაწყობს შეხვედრებს და გამოაქვეყნებს კარდიოლოგიისა და შინაგანი მედიცინის აქტუალურ საკითხებზე გამართული დისკუსიის მასალებს.

STATEMENT

In the next issue of the Journal, it will be possible to publish business proposals of health care professionals and their ideals concerning published articles and other urgent problems.

For Georgian readers the Journal will publish information and results of the most important and interesting International and European trials on CHD and atherosclerosis, hypertension, viral hepatitis and myocarditis, endocrine and cerebral disorders, cardiomyopathies, heart insufficiency - its prevention, diagnosis, pharmaceutical and interventional treatment, and prognosis, surgical treatment and contraversional aspects of the pathologies.

For all professionals and those interested in the listed above problems the Journal will organize meetings and publish the proceedings of the discussions.